

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე
2008, №3

**ვალდებულებითი, საოჯახო და
მემკვიდრეობის სამართალი**

1. ნარდობა
2. გადაზიდვის ხელშეკრულება
3. თავდების პასუხისმგებლობის შემცირება
4. უფლებათა გადაცემა; ინდოსამენტის სახეები
5. ერთობლივი საქმიანობა
 - ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების ფორმა
 - უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა
6. უსაფუძვლო გამდიდრება
 - ვითომ-კრედიტორისაგან მოთხოვნის საფუძველები
 - ზიანის ანაზღაურების ვალდებულება
 - თანხის დაკისრება
7. მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურება
8. უხარისხო პროდუქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება
9. საოჯახო სამართალი; შვილად აყვანის დადასტურება
10. ფიქტიური ქორწინების ბათილად ცნობა
11. არასრულწლოვანი შვილების ინტერესების გათვალისწინება თანასაკუთრების გაყოფისას
12. მამობის დადგენა
13. მშობლის უფლებებისა და მოვალეობების ჩამორთმევა
14. ალიმენტი
 - ალიმენტის გადახდისგან განთავისუფლება
 - ალიმენტის დაკისრება
15. სამკვიდრო
 - სამკვიდრო ქონება
 - სამკვიდროს მიღება (ვადა)
16. სავალდებულო წილი

1. ნარდობა

განჩინება

საქმე №ას-272-530-08

24 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავლერების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება.

აღწერილობითი ნაწილი:

შპს «დელტაპროექტი-2000-მა» სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს «საქართველოს რკინიგზის» მიმართ ვალდებულების შესრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ შემდეგი სა-ფუძვლებით: 2000 წლის 12 იანვარს მხარეთა შორის დაიდო №001 ხელშეკრულება, რომლის მიხედვით მოსარჩელემ ვალდებულება იკისრა, შესრულებინა «ლოკომოტივის ფეხბურთის სტადიონის» საპროექტო-სადიებო-სახარჯთაღრიცხვო მუშა პროექტი, რისთვისაც მოპასუხისაგან ანაზღაურებას მიიღებდა ეტაპობრივად. მოსარჩელემ ნაკისრი ვალდებულება ჯერონად შეასრულა. შესრულებული სამუშაოს 2001 წლის 24 იანვრის, 6 აპრილისა და 26 დეკემბრის მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე მოპასუხემ დღგ-ს ჩათვლით გადაუხადა 881 630 ლარი. 2001 წლის 12 იანვარს გაფორმდა «ლოკომოტივის ფეხბურთის სტადიონის» ექსპლუატაციაში მიღების სახელმწიფო აქტი. საქართველოს არქიტექტორთა კავშირმა შპს «დელტაპროექტი-2000-ის» მიერ შესრულებულ პროექტს 2003 წლის საუკეთესო არქიტექტურული ობიექტის სტატუსი მიანიჭა. «უფვას» კატეგორიული მოთხოვნით საჭირო გახდა სტანდარტული ზომების სათადარიგო მოედნისა და ათასადგილიანი ტრიბუნის პროექტირება-მშენებლობა. 2003 წლის 23 ოქტომბერს №ნოკს-14/79 მიმართვით, მოსარჩელემ მოპასუხისაგან მიიღო დავალება დამატებითი კრებსითი ხარჯთაღრიცხვის შედგენის შესახებ ჩამოთვლილი სამუშაოებისა და დანახარჯების გათვალისწინებით. შპს «დელტაპროექტი-2000-მა» შეიმუშავა მუშა პროექტი, ძირითადი და დამატებითი ხარჯთაღრიცხვა, რომლის მიხედვით, საპროექტო სამუშაოების ღირებულებამ დღგ-ს ჩათვლით შეადგინა სულ 1 263 276 ლარი. 2003 წლის 4 ნოემბრის №209ა წერილით მოსარჩელემ მოპასუხეს მოსთხოვა დავალიანების - 61 584 ლარის გადახდა, თუმცა უშედეგოდ. მხარეთა შორის დადებული გარიგება წარმოადგენდა ნარდობის ხელშეკრულებას, რომლის მე-4 პუნქტის თანახმად, შემსრულებელსა და დამკვეთს შორის სამუშაოს ღირებულება უნდა გადახდილიყო ეტაპობრივად, მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე არა უგვიანეს 10 დღისა, მე-6 პუნქტის მეორე ნაწილის მიხედვით კი, დამკვეთთან შეთანხმებული საპროექტო ვარიანტის დამკვეთის ინიციატივით შეცვლის შემთხვევაში, დამატებითი სამუშაო უნდა ანაზღაურებულიყო. მოპასუხემ დაარღვია სამოქალაქო კოდექსის 316-ე და 649-ე მუხლები, როდესაც მოსარჩელეს არ გადაუხადა გაუთვალისწინებელ სამუშაოთა ღირებულება - 381 657 ლარი და საავტორო ზედამხედველობის თანხა - 61584 ლარი. 2003 წლის 4 ნოემბრის №209ა წერილით შპს «დელტაპროექტი-2000-მა» გაუზავნა შპს «საქართველოს რკინიგზის» გენერალურ დირექტორს აღნიშნული დამატებითი სამუშაოების შესრულების გასაფორმებელი მიღება-ჩაბარების აქტების პროექტები, რომლებიც უნდა გაფორმებულიყო 2003 წლის 18 დეკემბერს, მოპასუხის მიერ კრებსითი ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შემდეგ. 2003 წლის 18 დეკემბრიდან 10 დღის ვადაში კი უნდა ანაზღაურებულიყო შესრულებული სამუშაოების ღირებულება და საავტორო ზედამხედველობის თანხა. სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად, მოსარჩელეს სწორედ ამ მომენტიდან წარმოეშვა მოპასუხის მიმართ მოთხოვნის უფლება. ამავე კოდექსის 403-ე მუხლის შესაბამისად, შპს «საქართველოს რკინიგზას» უნდა დაეკისროს 2004 წლის დასაწყისისათვის გადასახდელი თანხის გადახდის დაყოვნების შედეგად მიყენებული ზიანის - 95603 ლარისა და სახელმწიფო ბაჟის - 5000 ლარის გადახდა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო, თუმცა განმარტა, რომ ის სამუშაო, რასაც მოსარჩელე სარჩელის ფაქტობრივ საფუძველად უთითებდა, რეალურად შესრულებულია და შპს «საქართველოს რკინიგზა» თანახმა იყო, სარჩელში აღნიშნული თანხა გადაეხადა 24 თვის განმავლობაში შესაბამისი გრაფიკის მიხედვით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 10 მაისის გადაწყვეტილებით შპს «დელტაპროექტი-2000-ის» სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა - შპს «საქართველოს რკინიგზას» შპს «დელტაპროექტი-2000-ის» სასარგებლოდ დაეკისრა 538 844 ლარისა და მოსარჩელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის - 5000 ლარის გადახდა შემდეგ გარემოებათა გამო: სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2000 წლის 12 იანვარს შპს «საქართველოს რკინიგზას» და შპს «დელტაპროექტი-2000-ს» შორის დაიდო №001 ნარდობის ხელშეკრულება, რომლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსარჩელეს დაევალა «ლოკომოტივის

საფეხბურთო სტადიონის» საპროექტო-სადიებო-სახარჯთაღრიცხვო მუშა პროექტის შედგენა. ამავე ხელშეკრულების მე-4 პუნქტით განისაზღვრა შესრულებულ სამუშაოთა ანაზღაურების წესი, რომლის თანახმად შპს «საქართველოს რკინიგზა» იღებდა ვალდებულებას, ეტაპობრივად გადაეხადა მოსარჩელისათვის შესრულებული სამუშაოს ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე არა უგვიანეს 10 დღისა. 2001 წლის 24 იანვარს, 6 აპრილსა და 2002 წლის 26 დეკემბერს მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე დამკვეთმა, დამატებითი ღირებულების გადასახადის გათვალისწინებით, მოსარჩელეს გადაუხადა 881 630 ლარი. 2003 წლის 23 ოქტომბერს მოსარჩელემ შპს «საქართველოს რკინიგზისაგან» მიიღო დამატებითი დავალება, ჩატარებული გაუთვალისწინებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვების გათვალისწინებით შეეძინა და მოპასუხისათვის წარედგინა ჩატარებული სამუშაოების კრებსითი ხარჯთაღრიცხვა, რაც შპს «დელტაპროექტი-2000-მა» განახორციელა და მის მიერ წარდგენილი დამატებითი კრებსითი ხარჯთაღრიცხვის თანახმად, მოსარჩელის მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულება, დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლით, შეადგენდა 1 263 276 ლარს. აღნიშნული თანხა მოიცავდა პროექტის სათანადო შესრულებაზე საავტორო ზედამხედველობისათვის დადგენილ 61 584 ლარს. 2003 წლის 4 ნოემბერს შპს «დელტაპროექტი-2000-მა» მიმართა შპს «საქართველოს რკინიგზას» და მოსთხოვა გადაანგარიშებული ხარჯთაღრიცხვით დადგენილი აუნაზღაურებელი თანხის - 381 657 ლარისა და საავტორო ზედამხედველობის თანხის - 61 584 ლარის გადახდა, თუმცა მოპასუხეს სადავო თანხა არ გადაუხდია. სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში სადავო არ არის, რომ მხარეთა შორის არსებობდა სასყიდლიანი ნარდობის ხელშეკრულება, მოსარჩელემ კრებსითი ხარჯთაღრიცხვის გათვალისწინებით, მოპასუხის დაკვეთით შეასრულა 1 263 276 ლარის საპროექტო სამუშაოები, თუმცა ანაზღაურების სახით მიიღო მხოლოდ 881 630 ლარი. სასამართლომ ასევე დადასტურებულად მიიჩნია, რომ მოპასუხემ მიიღო და მოიწონა მოსარჩელის მიერ შესრულებული სამუშაო. სასამართლომ გაიზიარა ინდივიდუალური აუდიტის - თ. კ-მის დასკვნა, რომლის თანახმად, საქართველოს ეროვნული ბანკის ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონზე 2004-2006 წლებში დაფიქსირებული საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთის გათვალისწინებით, მოსარჩელისათვის თანხის გადახდის დაყოვნებით მიყენებული ზიანი შეადგენდა 95 603 ლარს. სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 629-ე მუხლის პირველი ნაწილით, 649-ე მუხლით, 361-ე მუხლის მეორე ნაწილით, 403-ე მუხლის პირველი ნაწილით და მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნა საფუძვლიანია. სასამართლოს მოსაზრებით, ვინაიდან სადავო ვალდებულება ჯერაც არ არის შესრულებული, მოპასუხეს უნდა დაეკისროს თანხის გადახდის ვადის გადაცილებისათვის კანონით განსაზღვრული პროცენტის გადახდაც. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე სასამართლომ შპს «საქართველოს რკინიგზას» დააკისრა მოსარჩელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის - 5000 ლარის ანაზღაურება.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შპს «საქართველოს რკინიგზამ» გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 12 დეკემბრის განჩინებით შპს «საქართველოს რკინიგზის» სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი. სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებანი და სამართლებრივი შეფასება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება შპს «საქართველოს რკინიგზამ» გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძველებით: სასამართლომ საქმე განიხილა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მეორე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტისა და 394-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტის დარღვევით. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ შპს «დელტაპროექტი-2000-მა» შეასრულა დამატებითი საპროექტო სამუშაოები, რომელიც კასატორმა მიიღო და მოიწონა. 2000 წლის 12 იანვარს მხარეთა შორის გაფორმებული №001 ნარდობის ხელშეკრულების მე-4 პუნქტის თანახმად, საპროექტო სამუშაოების შესრულების ფაქტი უნდა დადასტურებულიყო კასატორის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, სადაც აღინიშნებოდა შესრულებული სამუშაოს მოცულობა და შესრულების ვადები. მითითებული წარმოდგენდა ანგარიშსწორების ძირითად უმთავრეს პირობას. სამუშაოს მიღებისა და მოწონების ფაქტი საქმეში წარმოდგენილი არც ერთი მტკიცებულებით არ დასტურდება. საქმეში არ მოიპოვება 2000 წლის 12 იანვრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტი და, შესაბამისად, ვერ ჩაითვლება დადასტურებულად ფაქტობრივი გარემოება შპს «დელტაპროექტი-2000-ის» მიერ სამუშაოს შესრულებისა და მიღების თაობაზე. ამდენად, სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 649-ე მუხლი. ამავე კოდექსის 629-ე მუხლის პირველ ნაწილზე მითითებისას სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ მოსარჩელეს არ წარუდგენია და არც საქმეში მოიპოვება რაიმე მტკიცებულება, რომლითაც მხარეებს შორის ანაზღაურებაზე შეთანხმების ფაქტი დადასტურდება, მხოლოდ შპს «დელტაპროექტი-2000-ის» მიერ ხარჯთაღრიცხვის წარდგენა კი ვერ გახდება ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი.

მოცემულ საქმეზე დადგენილია და კასატორს სადავოდ არ გაუხდია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2000 წლის 12 იანვარს შპს «საქართველოს რკინიგზასა» და შპს «დელტაპროექტი-2000-ს» შორის დაიდო №001 ნარდობის ხელშეკრულება, რომლისთავ მოსარჩელეს დაევალი «ლოკომოტივის საფეხბურთო სტადიონის» საპროექტო-სადიებო-სახარჯთაღრიცხვო მუშა პროექტის შედგენა. ამავე ხელ-

შეკრულებით განისაზღვრა შესრულებულ სამუშაოთა ანაზღაურების წესი, რომლის თანახმად, შპს «საქართველოს რკინიგზა» იღებდა ვალდებულებას, ეტაპობრივად გადაეხადა მოსარჩელისათვის შესრულებული სამუშაოს ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე არა უგვიანეს 10 დღისა. მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე დამკვეთმა მოსარჩელეს გადაუხადა 881 630 ლარი. 2003 წლის 23 ოქტომბრის მოსარჩელემ შპს «საქართველოს რკინიგზისგან» მიიღო დამატებითი დავალება, ჩატარებული გაუთვალისწინებელი სამუშაოების გათვალისწინებით შეედგინა და მოპასუხისათვის წარედგინა ჩატარებული სამუშაოების კრებსითი ხარჯთაღრიცხვა, რაც შპს «დელტაპროექტი-2000-მა» განახორციელა და მის მიერ წარდგენილი დამატებითი კრებსითი ხარჯთაღრიცხვის თანახმად, მოსარჩელის მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულება შეადგენდა 1 263 276 ლარს. შპს «დელტაპროექტი-2000-მა» შპს «საქართველოს რკინიგზას» მოსთხოვა გადაანგარიშებული ხარჯთაღრიცხვით დადგენილი აუნაზღაურებელი თანხის - 381 657 ლარისა და საავტორო ზედამხედველობის - 61 584 ლარის გადახდა, თუმცა მოპასუხეს სადავო თანხა არ გადაუხდია. მოსარჩელემ კრებსითი ხარჯთაღრიცხვის გათვალისწინებით, მოპასუხის დაკვეთით შეასრულა 1 263 276 ლარის საპროექტო სამუშაოები, ხოლო ანაზღაურების სახით მიიღო მხოლოდ 881630 ლარი. სასამართლომ ასევე დადასტურებულად მიიჩნია, რომ მოპასუხემ მიიღო და მოიწონა მოსარჩელის მიერ შესრულებული სამუშაო. შპს «საქართველოს რკინიგზას» შესრულებული სამუშაოს ხარისხი სადავოდ არ გაუხდია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს «საქართველოს რკინიგზის» საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედაგება).

საკასაციო პალატა დასათვლელ საკასაციო პრეტენზიად ვერ მიიჩნევს კასატორის მოსაზრებას, რომ საქმეში არ მოიპოვება 2000 წლის 12 იანვრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტი და, შესაბამისად, დადასტურებულად ვერ ჩაითვლება ფაქტობრივი გარემოება სადავო სამუშაოს შესრულებისა და კასატორის მიერ მისი მიღების თაობაზე. სასამართლომ აღნიშნული გარემოება დადგენილად მიიჩნია სწორედ შპს «საქართველოს რკინიგზის» მოსაზრების საფუძველზე სარჩელში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, კერძოდ, პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომაზე 2007 წლის 10 მაისს საქართველოს რკინიგზის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ის სამუშაო, რასაც მოსარჩელე მხარე სარჩელის ფაქტობრივ საფუძველად უთითებს, რეალურად შესრულებულია. იგივე გარემოება იქნა დადასტურებული საკასაციო სასამართლოშიც შპს «საქართველოს რკინიგზის» კასაციის განხილვისას, შესაბამისად, ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული კასატორის მითითება იმ გარემოებაზე, რომ, მიღება-ჩაბარების აქტის არარსებობს გამო, სამუშაოების შესრულების ფაქტი არ დგინდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სასამართლომ მოცემულ შემთხვევაში სავსებით კანონიერად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 629-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად, ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებას, ხოლო შემკვეთი ვალდებულია, გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური. ამავე კოდექსის 649-ე მუხლით, ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს მიღებისთანავე შემკვეთი ვალდებულია, გადაიხადოს საზღაური.

ასევე უსაფუძვლოა კასატორის მოსაზრება, რომ სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 629-ე მუხლი, ვინაიდან საზღაურზე მხარეების უფლებამოსილი წარმომადგენლები არ შეთანხმებულან. მხარეთა შორის ვალდებულების წარმომშობი №001 ხელშეკრულების მე-4 პუნქტით განსაზღვრულია დამკვეთის მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურების წესი. ამრიგად, ცხადია, რომ მხრეთა შორის დაიდო სასყიდლიანი ნარდობის ხელშეკრულება. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადასტურებულია და კასატორი სადავოდ არ მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ ამ ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოების ღირებულების ნაწილი შემკვეთს უკვე გადახდილი აქვს, შესაბამისად, ყოველგვარ დასაბუთებასაა მოკლებული კასატორის პრეტენზია სამუშაოების ანაზღაურებაზე მხარეთა შორის შეუთანხმებლობის თაობაზე.

კასატორი ასევე უთითებს იმ გარემოებაზე, რომ დამატებით სამუშაოზე და, შესაბამისად, დამატებით ხარჯებზე მხარეები არ შეთანხმებულან. მხარეთა შორის დადებული ძირითადი ხელშეკრულების მე-6 პუნქტით გათვალისწინებულია სახელშეკრულებო ცვლილებების და, შესაბამისად, დამატებითი სამუშაოს ანაზღაურება. საქმის მასალებით დასტურდება, რომ დამატებითი კრებსითი ხარჯთაღრიცხვა შედგენილია შპს «საქართველოს რკინიგზის» 2003 წლის 23 ოქტომბრის მოთხოვნის საფუძველზე. ამასთან, მხარე სადავოდ არ ხდის იმ გარემებას და კასატორის წარმომადგენელმაც დადასტურა, რომ დამატებითი კრებსითი ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრული სამუშაოები შესრულებულია და მიღებულია შპს «საქართველოს რკინიგზის» მიერ (იხ. საკასაციო სასამართლოს სხდომის ოქმი).

კასატორი სადავოდ არ მიიჩნევს გასაჩივრებული განჩინებით სამოქალაქო კოდექსის 361-ე და 403-ე მუხლის საფუძველზე მოვალისათვის, ვადის გადაცილების გამო, სამოქალაქო სამართლებრივი

პასუხისმგებლობის განსაზღვრის საკითხს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი საკასაციო პალატა გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინებით სასამართლომ დადგინდეს ფაქტობრივ გარემოებებს სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა და საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების იურიდიული საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დაადგინა:

შპს «საქართველოს რკინიგზის» საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 12 დეკემბრის განჩინება დარჩეს უცვლელი.

სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

2. გადაზიდვის ხელშეკრულება

ხელშეკრულების ფორმა

განჩინება

საქმე №ას-358-610-08 30 სექტემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი**

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება.

აღწერილობითი ნაწილი:

მ. შ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს «საქართველოს ფოსტის» მიმართ ზიანის - 2000 ლარის ანაზღაურების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 2005 წლის 15 მარტს მოსარჩელეს ესპანეთის ქ. ბარსელონადან ა. ნ-მა გამოუგზავნა №064027536 ამანათი, რომელიც მ.შ-ურმა მიიღო 2005 წლის 25 აპრილს. ამანათის ჩასაბარებლად მისულმა მოსარჩელემ შეამჩნია დაზიანების აშკარა კვალი და მოითხოვა ფოსტამტის თანამშრომლების თანდასწრებით ამანათის გახსნა, რის შედეგად აღმოაჩინა დანაკლისი, კერძოდ, სამი მობილური ტელეფონი («ნოკია 6260», «ნოკია 7210», «სამსუნგ D-600»). მ. შ-ურმა შესთავაზა მოპასუხეს ზარალის - 2000 ლარის ნებაყოფლობით ანაზღაურება, თუმცა შპს «საქართველოს ფოსტის» ექსპლუატაციის დირექტორის 2005 წლის 13 სექტემბრის №15-30-134/4 წერილით უცნობა, რომ მატერიალური ზიანი მას უნდა აუნაზღაუროს ესპანეთის საფოსტო ადმინისტრაციამ, რაც ეწინააღმდეგება სამოქალაქო კოდექსის 686-ე მუხლის პირველ ნაწილს, 701-ე, 692-ე, 409-ე მუხლებსა და 408-ე მუხლის პირველ ნაწილს.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მოსარჩელემ ამანათში სადავო ნივთების არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულება ვერ წარმოადგინა. ამასთან, დაკარგული ტელეფონები არ იყო დაფიქსირებული საბაჟო დეკლარაციაში, სადაც უნდა აღრიცხულიყო ნივთების მახასიათებლები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილებით მ. შ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, შპს «საქართველოს ფოსტას» დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ 2000 ლარის გადახდა, რაც მოპასუხემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 22 იანვრის განჩინებით შპს «საქართველოს ფოსტის» სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი: 2005 წლის 15 მარტს ესპანეთიდან, ქ.ბარსელონადან ა. ნ-მა საქართველოში, ქ.თბილისში, ... №66 ბინაში მცხოვრებ მ. შ-ის სახელზე გამოაგზავნა ამანათი, რაზე დართული დოკუმენტების მე-14 გრაფა შეიცავდა გამოგზავნილი საქონლის დაწვრილებით ჩამონათვალს. აღნიშნული დოკუმენტებით ირკვეოდა, რომ ამანათით, სხვა ნივთებთან ერთად, გამოიგზავნა 3 ცალი ტელეფონი, რაც იწონიდა 14,780 კგ-ს.

საქმეში მტკიცებულების სახით წარმოდგენილი 2005 წლის 25 აპრილის საფოსტო ადმინისტრაციის მიერ მიმღების თანდასწრებით შედგენილი №19 აქტში სპეციალური აღნიშვნებით დასტურდება ამანათის გამარცვის ფაქტი. აღნიშნული აქტის თანახმად, გამოგზავნისას ამანათი იწონიდა 14,780 კგ-ს, ხოლო ადრესატის მიერ მისი მიღებისას - 14,600 კგ-ს. აქტში ფოსტის თანამშრომლებმა მიუთითეს ასევე ამანათის შიგთავსის დაწვრილებითი აღწერილობა და შემდგომ შემოწმების შედეგად დადგენილი დანაკლისი - სამი მობილური ტელეფონი. აქტში ასევე აღინიშნა, რომ სადავო ამანათს დაზიანების სერიოზული კვალი ვიზუალურადაც ემჩნეოდა. სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებაც. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ აპელანტმა 2008 წლის 22 იანვრის სასამართლო სხდომაზე თავად უარყო სააპელაციო საჩივრის ერთ-ერთი არგუმენტი, რომ შპს «საქართველოს ფოსტა» განსახილველ შემთხვევაში გადამზიდველი არ არის და, შესაბამისად, სასამართლომ არასწორად გამოიყენა გადაზიდვის ხელშეკრულების მარეგულირებელი ნორმები. ამდენად, სააპელაციო პალატის მითითებით, მხარეებს შორის სადავო არ არის ის გარემოება, რომ შპს «საქართველოს ფოსტა» განსახილველ ურთიერთობაში წარმოდგენს გადამზიდველს და საქალაქო სასამართლომ სწორად გამოიყენა შესაბამისი ნორმები. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4, 102-ე მუხლებით და მიიჩნია, რომ აპელანტმა რაიმე მტკიცებულების წარმოდგენით ვერ დაადასტურა მისი სააპელაციო საჩივრის საფუძველი, რომ მოპასუხისათვის დაკისრებული თანხის ოდენობა დაუსაბუთებელია. აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლომ მიუთითა მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ქონების ღირებულების შეფასების აქტზე, რომელიც მიღებულ იქნა მტკიცებულების სახით. დასახელებული აქტით ირკვევა, რომ შესაფასებელი ტელეფონების ღირებულება 2005 წლის მდგომარეობით შეადგენდა 2000 ლარს, რაც, სამოქალაქო კოდექსის 692-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლომ სავსებით სწორად გაიზიარა, ვინაიდან აღნიშნული მტკიცებულების საწინააღმდეგოდ მოპასუხეს სხვა რაიმე მტკიცებულება არ წარმოუდგენია. სასამართლომ ასევე დაუსაბუთებლად მიიჩნია აპელანტის მითითება, რომ მოსარჩელის მიერ დასახელებული ტელეფონების ბაზარზე რეალიზაცია დაიწყო ამანათის გამოგზავნის შემდეგ - 2005 წლის 1 ივლისიდან.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება შპს «საქართველოს ფოსტამ» გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა კასატორის წარმომადგენლის განმარტება, როდესაც მიუთითა, რომ მან სასამართლო სხდომაზე უარყო სააპელაციო საჩივრის საფუძველი და დაადასტურა, რომ შპს «საქართველოს ფოსტა» სადავო ურთიერთობაში გადამზიდველს წარმოადგენდა, შესაბამისად, პალატამ არასწორად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს სამოქალაქო კოდექსის 681-ე, 686-ე, 687-ე და 701-ე მუხლების საფუძველზე აგებული დასაბუთება, რაც ეწინააღმდეგება მსოფლიოს საფოსტო კონვენციის რეგლამენტის 109-ე მუხლის მეორე ნაწილს, რომლის შესაბამისად საქართველო წარმოადგენს ტვირთის მიმღებ ქვეყანას და არა გადამზიდველს. სასამართლომ სათანადოდ არ შეაფასა ის გარემოება, რომ მ.შ-ურს ამანათში ახალი მობილური ტელეფონების არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულება არ წარმოუდგენია. ინვოისის დეკლარაციაში მითითებულია მხოლოდ ტელეფონები და არ ირკვევა მობილურ ტელეფონებზე საუბარი თუ არა, ასევე, არ ჩანს მათი მოდელი. ამდენად, გაუგებარია, თუ რის საფუძველზე დაადგინა სასამართლომ, რომ ამანათში სწორედ ის ტელეფონები იყო, რომლებზეც მოსარჩელე უთითებს. სააპელაციო პალატამ არასწორად შეაფასა აუდიტის დასკვნა და დროსაც არ გაითვალისწინა, რომ თავად აუდიტს სადავო ნივთები არ უნახავს, დასკვნაში მითითებულია ახალი ტელეფონების საბაზრო ღირებულება, მაშინ, როცა თავად მოსარჩელის განმარტებით დასტურდება, რომ მობილური ტელეფონები იყო ნახმარი. სასამართლომ ასევე არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული ერთ-ერთი ტელეფონი - «სამსუნგ 600» რეალიზაციაშია 2005 წლის 1 ივნისიდან.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო შემდეგი გარემოებები: 2005 წლის 15 მარტს ესპანეთიდან, ქ.ბარსელონაიდან, ა. ნ-მა საქართველოში, ქ.თბილისში, ... №66 ბინაში მცხოვრებ მ. შ-ის სახელზე გამოგზავნა ამანათი, რაზეც დართული დოკუმენტების მე-14 გრაფა შეიცავდა გამოგზავნილი საქონლის დაწვრილებით ჩამონათვალს. ამანათით, სხვა ნივთებთან ერთად, გამოიგზავნა 3 ცალი ტელეფონი, რაც იწონიდა 14,780 კგ-ს. 2005 წლის 25 აპრილს საფოსტო ადმინისტრაციის მიერ მიმღების თანდასწრებით შედგენილ იქნა №19 აქტი, რომლის თანახმად, გამოგზავნისას ამანათი იწონიდა 14,780 კგ-ს, ხოლო ადრესატის მიერ მისი მიღებისას - 14,600 კგ-ს. აქტში ფოსტის თანამშრომლებმა მიუთითეს ასევე ამანათის შიგთავსის დაწვრილებითი აღწერილობა და შემდგომ შემოწმების შედეგად დადგენილი დანაკლისი - სამი მობილური ტელეფონი. აქტში ასევე აღინიშნა, რომ სადავო ამანათს დაზიანების სერიოზული კვალი ვიზუალურადაც ემჩნეოდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს «საქართველოს ფოსტის» საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელი დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ საქმეზე კანონის მითითებულ დარღვევას არ აქვს ადგილი, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია. დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე დასაბუთებული პრეტენზია კასატორს არ წარმოუდგენია.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატამ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა დადგენილ გარემოებებს, კერძოდ:

მოცემულ შემთხვევაში მხარეთა შორის წარმოშობილია ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის ძალითაც ერთი მხარე შპს «საქართველოს ფოსტა» ვალდებულია, მიმღებს გადასცეს მისთვის გამოგზავნილი ტვირთი - საფოსტო ამანათი. სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.

მართალია, მოდავე მხარეები არ შეთანხმებულან ხელშეკრულების პირობებზე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, შპს «საქართველოს ფოსტას» სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება წარმოშობილი ვალდებულებითი ურთიერთობის საფუძველზე, კერძოდ, 2005 წლის 15 მარტს ა. ნ-მა ესპანეთიდან გამოგზავნა ამანათი მ. შ-თვის გადასაცემად. გზავნილი მიიღო საქართველოს საერთაშორისო ფოსტამტმა. ამდენად, ვინაიდან საქმე ეხება საერთაშორისო საფოსტო ურთიერთობებს, მასზე უნდა გავრცელდეს მსოფლიოს საფოსტო კონვენციის დებულებები.

მსოფლიო საფოსტო კონვენციის (რეატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 1999 წლის 23 ივლისის №2324 დადგენილებით) მეხუთე თავი აწესებს საფოსტო ადმინისტრაციის პასუხისმგებლობის წესსა და საფუძვლებს. დასახელებული კონვენციის 34-ე მუხლში ჩამოთვალა ის გარემოებები, როდესაც საფოსტო ადმინისტრაცია პასუხს აგებს მიყენებული ზიანისათვის. ხსენებული ნორმის 1.1. პუნქტით ადმინისტრაცია პასუხს აგებს შეკვეთილი გზავნილებისა და ფასგამოცხადებული გზავნილების დაკარგვაზე, დაზიანებასა და დატაცებაზე. ამავე მუხლის მე-5 პუნქტი ადრესატს აღჭურავს უფლებით, მოითხოვოს ანაზღაურება დაზიანებული ან დატაცებული შეკვეთილი ან ფასგამოცხადებული გზავნილების მიღების შემდეგ. დასახელებული კონვენციის 35-ე მუხლით დადგენილია საფოსტო ადმინისტრაციის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძვლები, რომლის 1.1.1 პუნქტის თანახმად, საფოსტო ადმინისტრაცია არ გათავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან იმ შემთხვევაში, თუ დატაცება ან დაზიანება დადგენილი იქნება გაცემამდე, ან გზავნილების ჩაბარების დროს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლების თანახმად, კასატორი ვალდებული იყო, დაემტკიცებინა, რომ გზავნილი ადრესატისათვის ჩაბარებამდე იყო სათანადო მდგომარეობაში. აღნიშნული გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება მხარეს სასამართლოსათვის არ წარუდგენია, რაც მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

უსაფუძვლოა კასატორის მოსაზრება, კერძოდ, სასამართლომ არასწორად გაიგო შპს «საქართველოს ფოსტას» წარმომადგენლის განმარტება, რომ კასატორი სადავო ურთიერთობაში გადამზიდველს წარმოადგენდა. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ დავის სამართლებრივი შეფასება სასამართლოს კომპეტენციაა და, მიუხედავად იმისა, მხარე რა შეფასებას აძლევს სადავო ურთიერთობას, სასამართლო ვალდებულია, თავისი გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს სწორი სამართლებრივი შეფასება მისცეს. კასატორი აღნიშნულთან დაკავშირებით უთითებს, რომ საქართველო წარმოადგენს ტვირთის მიმღებ ქვეყანას და არა გადამზიდველს. გადაზიდვის ხელშეკრულების დანაწესების გამოუყენებლობის შემთხვევაშიც შპს «საქართველოს ფოსტა» მსოფლიო საფოსტო კონვენციის ზემოთ მითითებული ნორმების საფუძველზეც ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი.

ამასთან, მოცემულ შემთხვევაში უდავოდ იკვეთება გადაზიდვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა. კასატორის არგუმენტაცია, რომ საქართველო ამ ურთიერთობაში წარმოადგენს მიმღებ ქვეყანას, ვერ იქნება გაზიარებული, ვინაიდან სადავო ურთიერთობაში ტვირთი შპს «საქართველოს ფოსტის» მეშვეობით უნდა გადასცემოდა მიმღებს - მ.შ-ურს. ამდენად, შპს «საქართველოს ფოსტა» ტვირთის გამგზავნ ნაცვლიშვილსა და მიმღებ შ-ურს შორის ტვირთის გადაზიდვას ახორციელებდა, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი, სამოქალაქო კოდექსის 672-ე მუხლით გათვალისწინებული წესით შედგენილი, გადაზიდვის ხელშეკრულების ზედნადებითაც. კასატორი სარჩელის უარსაყოფად უთითებდა იმ გარემოებაზეც, რომ იგი არის მხოლოდ მიმღები ქვეყანა, ხოლო ტვირთი გამოგზავნილია ესპანეთიდან რუსეთის გავლით. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება შეიძლება შეფასდეს, როგორც ერთმანეთის მიმდევარი გადამზიდველების მიერ განხორციელებული გადაზიდვა.

სამოქალაქო კოდექსის 701-ე მუხლის თანახმად, თუ გადაზიდვა ერთი ხელშეკრულებით ხორციელდება ერთმანეთის მიმდევარი სხვადასხვა გადამზიდველების მიერ, თითოეული მათგანი პასუხს აგებს მთლიანი გადაზიდვის განხორციელებისათვის; მეორე და ყოველი მომდევნო გადამზიდველი ტვირთისა და ზედნადების მიღების გზით ხდება ხელშეკრულების მხარე. ხოლო ამავე კოდექსის 703-ე მუხლის მიხედვით, ტვირთის დაკარგვის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნები შესაძლებელია

გამოყენებულ იქნეს მხოლოდ პირველი, ბოლო ან იმ გადაზიდვის მიმართ, რომლის მიერ გადაზიდვისას დაიკარგა ტვირთი.

რაც შეეხება ზიანის ფაქტს, ამანათის დაზიანებისა და ტვირთის დაკარგვის ფაქტი სადავო არ არის და იგი დადასტურებულია ტვირთზე არსებული ზედნადებისა და თვით კასატორის მიერ შედგენილი ამანათის დაზიანების №19 აქტის შედარებით.

გადაწყვეტილების კვლევით ნაწილში მითითებული მსჯელობით დადგენილია ზიანის ანაზღაურების დაკისრებისათვის აუცილებელი წინაპირობების (ზიანი, მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ბრალი, მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის) არსებობა, რაც საფუძვლიანს ხდის მ.შ-ურის მოთხოვნას. სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილით, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია ანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია, კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება (სამოქალაქო კოდექსის 409-ე მუხლი).

საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელე მხარეს არ წარუდგენია სასამართლოსათვის რაიმე მტკიცებულება სარჩელში მითითებული ტელეფონების მოდელისა და მათი მდგომარეობის შესახებ, რადგანაც საქმის მასალებში მოიპოვება ქონების ღირებულების შეფასების აქტი და დგინდება, რომ სადავო მობილური ტელეფონების ღირებულებამ 2005 წლის მდგომარეობით შეადგინა 2000 ლარი, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მესამე ნაწილით სათანადო მტკიცებულებას წარმოადგენს.

პალატა ვერ გაიზიარებს შპს «საქართველოს ფოსტის» წარმომადგენლის მოსაზრებას, რომ 2005 წლის 15 მარტისათვის «სამსუნგ 600» რეალიზაციაში არ იყო გამოშვებული და მისი სარეალიზაციოდ გამოშვება მოხდა მხოლოდ 2005 წლის 1 ივნისიდან, რადგანაც მხარეს სასამართლოსათვის თავისი მოთხოვნის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება არ წარუდგენია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებებს. კასატორმა ვერ შეძლო საკასაციო საჩივარში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების კანონით გათვალისწინებული მტკიცებულებით დადასტურება. ამასთან, არ არის გამორიცხული, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ნივთის სა-რეალიზაციოდ დაშვების დრო არ ემთხვეოდეს მისი მსოფლიო ბაზარზე სარეალიზაციოდ დაშვების დროს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დაადგინა:

შპს «საქართველოს ფოსტის» საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

უცვლელი დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 22 იანვრის განჩინება.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

3. თავდების პასუხისმგებლობის შემცირება

განჩინება

საქმე №ას-689-910-08

9 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი**

დავის საგანი: ვალდებულების შესრულება.

აღწერილობითი ნაწილი:

სს «საქართველოს საზღვაო ბანკმა» სარჩელი აღძრა სასამართლოში ნ. ა-ძის, ზ. უ-შვილის, ა. რ-ძისა და რ. ბ-ძის მიმართ მოპასუხეებისათვის 2189 აშშ დოლარის სოლიდარულად დაკისრების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 2003 წლის 12 დეკემბერს სს «საქართველოს საზღვაო ბანკმა» ტ. მ-ძის სასარგებლოდ გასცა საბანკო კრედიტი - 2800 აშშ დოლარი 18 თვის ვადით, ყოველთვიურად 2,2%-ის დარიცხვით. ასევე დადგინდა პროცენტის განსაზღვრულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე პირგასამტეხლოს სახით დაუფარავი კრედიტის 0,2%-ის გადახდა. სესხის უზრუნველსაყოფად ტ. მ-ძეს თავდებად დაუდგინეს ნ. ა-ძე, ზ. უ-შვილი, ა. რ-ძე და რ. ბ-ძე. 2006 წლის 8 სექტემბრის მდგომარეობით დავალიანებამ შეადგინა სულ 2189 აშშ დოლარი, საიდანაც

2176 აშშ დოლარი იყო დარჩენილი სესხის ძირითადი თანხა, ხოლო 13 აშშ დოლარი - ვადიანი პროცენტი.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს შემდეგ გარემოებებზე მითითებით: მოსარჩელემ ვერ წარადგინა სარჩელში მითითებული გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები, კერძოდ, ტ. მ-მესთან გაფორმებული ხელშეკრულება კრედიტის გაცემის შესახებ, ტ. მ-მის მიერ ბანკში შეტანილი თანხის ქვითრები (რა ოდენობის თანხა იქნა შეტანილი და როდის), ასევე, ტ. მ-მის მიმართ, ბანკის მიერ კრედიტის დაფარვის მიზნით, გატარებული ღონისძიებები. ამასთან, მოსარჩელეს სესხის დასაბრუნებლად იძულებითი ღონისძიებები თავად მოვალის - ტ. მ-მის მიმართ არ განუხორციელებია. ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის, სამოქალაქო კოდექსის 894-ე და 902-ე მუხლების შესაბამისად, მოპასუხეები სესხის დაფარვის ვალდებულებისაგან უნდა გათავისუფლდნენ. მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი 2003 წლის 9 დეკემბრის №2/147 თავდებობის ხელშეკრულება ყალბია, რადგან იგი ნ. ა-მისა და ზ. უ-შვილის მიერ ხელმოწერილი არ არის. ამასთან, სადავო გარიგებაზე არსებული ხელმოწერები დამოწმებულია ინსპექციის სამმართველოს უფროს თ. ა-მის მიერ, რომელსაც აღნიშნული უფლება არ გააჩნდა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილებით სს «საქართველოს საზღვაო ბანკის» სარჩელი დაკმაყოფილდა, ნ. ა-მეს, ზ. უ-შვილს, ა. რ-მესა და რ. ბ-მეს მოსარჩელის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 2189 აშშ დოლარის გადახდა, რაც მოპასუხეებმა გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და სს «საქართველოს საზღვაო ბანკის» სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეებს ნ. ა-მეს, ზ. უ-შვილს, ა. რ-მესა და რ. ბ-მეს სოლიდარულად დაეკისრათ სს «საქართველოს საზღვაო ბანკის» სასარგებლოდ 176 აშშ დოლარის გადახდა შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი: 2003 წლის 12 დეკემბრის საკრედიტო ხელშეკრულებით სს «საქართველოს საზღვაო ბანკმა» ტ. მ-მის სახელზე გასცა საბანკო კრედიტი 2800 აშშ დოლარის ოდენობით, 18 თვის ვადით, ყოველთვიურად 2,2%-ის დანამატით, ხოლო კრედიტისა და მასზე დარიცხული პროცენტების მითითებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს სახით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დაუფარავი კრედიტის 0,2%-ის ყოველთვიურად დარიცხვით. სესხის უზრუნველსაყოფად ტ. მ-მეს თავდებობის ხელშეკრულებით თავდებად დაუდგინა ნ. ა-მე, ზ. უ-შვილი, ა. რ-მე და რ. ბ-მე. 2006 წლის 8 სექტემბრის მდგომარეობით ტ. მ-მის მიმართ საბანკო დავალიანებამ დარიცხული პროცენტებით შეადგინა 2189 აშშ დოლარი, მათ შორის, 2176 აშშ დოლარი ძირითადი სესხიდან იყო დარჩენილი, ხოლო 13 აშშ დოლარი კი - ვადიანი პროცენტიდან. 2003 წლის 12 დეკემბრის გირავნობის ხელშეკრულებით სს «საქართველოს საზღვაო ბანკის» მოთხოვნა მოვალე ტ. მ-მის მიმართ უზრუნველყოფილ იქნა ამ უკანასკნელის მიერ დაგირავებული «მერსედეს ბენცის» მარკის ავტომანქანით სახელმწიფო №606-002. სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა საქმის განხილვისას სს «საქართველოს საზღვაო ბანკის» წარმომადგენელ გ. გორამის განმარტებაზე, რომ მოვალის მიერ მოთხოვნის უზრუნველსაყოფად შეთავაზებულ მოძრავ ნივთზე - ავტომანქანაზე მათ არც მფლობელობითი და არც რეგისტრირებული გირავნობა არ განუხორციელებიათ და ხსენებული ავტომანქანა გასხვისებულია. სამოქალაქო კოდექსის 901-ე მუხლის საფუძველზე სასამართლომ ჩათვალა, რომ თავდებთა - ნ. ა-მის, ზ. უ-შვილის, ა. რ-მისა და რ. ბ-მის პასუხისმგებლობა, სს «საქართველოს საზღვაო ბანკის» მიმართ თავდებობით ნაკისრი ვალდებულების გამო, 2000 აშშ დოლარით უნდა შემცირდეს. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 902-ე მუხლით და მიიჩნია, რომ საქმის მასალებში არ მოიპოვება მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა ტ. მ-მის მიერ ვადიანი პროცენტის გადახდის ვადის გადაცილების შესახებ თავდებთათვის შეტყობინების ფაქტს, რაც სადავო ვადიანი პროცენტის - 13 აშშ დოლარის მოპასუხეთათვის დაკისრების ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია. სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ, სამოქალაქო კოდექსის 895-ე მუხლის შესაბამისად, აპელანტებს სს «საქართველოს საზღვაო ბანკის» სასარგებლოდ სოლიდარულად უნდა დაეკისროთ 176 აშშ დოლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სს «საქართველოს საზღვაო ბანკის» ლიკვიდატორმა ბ. პ-მემ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველებით: სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 901-ე მუხლი, რადგან მოცემულ შემთხვევაში კრედიტორს ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის შემდეგ საგირავნო უფლება არ შეუმცირებია. სადავო კრედიტი უზრუნველყოფილი იყო რა მოძრავ ნივთზე - ავტომანქანაზე გირავნობით, ფაქტობრივად დაგირავებულ ნივთზე არც მფლობელობითი და არც რეგისტრირებული გირავნობა არ განხორციელებულა, რის გამოც 2000 აშშ დოლარით სასამართლომ მოპასუხეთათვის დაკისრებული თანხა არასწორად შეამცირა. სააპელაციო პალატამ ასევე არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 902-ე მუხლი, როდესაც ძირითადი თანხის პროცენტის - 13 აშშ დოლარის გადახდის ნაწილში სარჩელი არ დააკმაყოფილა. გაურკვეველია, რატომ არ გაიზიარა სასამართლომ პროცენტის ნაწილში თავდებთა გაფრთხილება მოვალის მიერ ვალდებულების ვადის გადაცილების თაობაზე, მაშინ, როცა ძირითადი თანხის ნაწილში გაფრთხილების ნამდვილობა

სარწმუნოდ ჩათვალა. სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 895-ე მუხლი, როდესაც თავდებ პირებს კასატორის სასარგებლოდ დააკისრათ 176 აშშ დოლარის გადახდა და არ გაითვალისწინა, რომ დასახელებული ნორმა არეგულირებს როგორც ძირითადი თანხის, ასევე მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის გადახდევინების ვალდებულებასაც.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2003 წლის 12 დეკემბრის საკრედიტო ხელშეკრულებით სს «საქართველოს საზღვაო ბანკმა» ტ. მ-ძის სახელზე გასცა საბანკო კრედიტი 2800 აშშ დოლარის ოდენობით, 18 თვის ვადით, ყოველთვიურად 2,2%-ის დანამატით, ხოლო კრედიტისა და მასზე დარიცხული პროცენტების მითითებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს სახით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დაუფარავი კრედიტის 0,2%-ის ყოველთვიურად დარიცხვით. სესხის უზრუნველსაყოფად ტ. მ-ძეს თავდებობის ხელშეკრულებით თავდებად დაუდგინენ ნ. ა-ძე, ზ. უ-შვილი, ა. რ-ძე და რ. ბ-ძე. 2006 წლის 8 სექტემბრის მდგომარეობით ტ. მ-ძის მიმართ საბანკო დავალიანებამ დარიცხული პროცენტებით შეადგინა 2189 აშშ დოლარი, მათ შორის, 2176 აშშ დოლარი ძირითადი სესხიდან იყო დარჩენილი, ხოლო 13 აშშ დოლარი კი - ვადიანი პროცენტიდან. 2003 წლის 12 დეკემბრის გირავნობის ხელშეკრულებით სს «საქართველოს საზღვაო ბანკის» მოთხოვნა მოვალე ტ. მ-ძის მიმართ უზრუნველყოფილ იქნა ამ უკანასკნელის მიერ დაგირავებული «მერსედეს ბენცის» მარკის ავტომანქანით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სს «საქართველოს საზღვაო ბანკის» ლიკვიდატორ ბ. კ-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძვლებით:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» პუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო პალატამ სამოქალაქო კოდექსის 901-ე მუხლის საფუძველზე შეამცირა თავდებთა პასუხისმგებლობა იმ გარემოებაზე დაყრდნობით, რომ ბანკს მოვალე ტ. მ-ძის მიმართ მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გამოყენებულ მოძრავ ნივთზე - ავტომანქანაზე მფლობელობითი ან რეგისტრირებული გირავნობა არ გამოუყენებია და აღნიშნული ავტომანქანა გასხვისებულია.

სამოქალაქო კოდექსის 901-ე მუხლის თანახმად, თუ კრედიტორი თავდების საზიანოდ ამცირებს საგირავნო უფლებებს ან უზრუნველყოფის სხვა საშუალებებსა და შეღავათებს, მაშინ თავდების პასუხისმგებლობა მცირდება ზემოაღნიშნული შემცირების შესაბამისი თანხით.

აღნიშნული ნორმის გამოყენებისათვის აუცილებელია დადგინდეს შემდეგი წინაპირობები, ანუ კანონით დადგენილი ნორმის შემადგენლობის შემდეგი ნიშნები: 1. მოთხოვნა უზრუნველყოფილია როგორც თავდებობით, ასევე მოთხოვნის უზრუნველყოფის სხვა საშუალებით; 2. კრედიტორი ამცირებს სხვა მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებებს, რაც უარყოფით გავლენას ახდენს თავდების პასუხისმგებლობაზე. მოცემულ შემთხვევაში კრედიტორის - ბანკის მოთხოვნა მოვალის ტ. მ-ძის მიმართ უზრუნველყოფილი იყო როგორც გირავნობით, ასევე თავდებობით. სასამართლომ ისე გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 901-ე მუხლი, რომ არ დაუსაბუთებია, თუ რაში გამოიხატა კრედიტორის მიერ თავდების საზიანოდ მოთხოვნის უზრუნველყოფის სხვა საშუალებათა შემცირება.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო პალატის მითითებას კრედიტორის არაკანონიერ მოქმედებაზე იმ მოტივით, რომ მან არ გამოიყენა მფლობელობითი ან რეგისტრირებული გირავნობა. მხარეთა შორის წარმოშობილი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა უზრუნველყოფილია 2003 წლის 12 დეკემბრის გირავნობის ხელშეკრულებით. ამ დროისათვის მოქმედი სამოქალაქო კოდექსი იმპერატიულად არ ითვალისწინებდა გირავნობის მფლობელობით ან რეგისტრირებული სახით გამოყენებას. ამავდროულად, არც ამგვარი აკრძალვა იყო კანონით დადგენილი და კრედიტორს შეეძლო, გირავნობის საგანზე გამოეყენებინა გირავნობის ერთ-ერთი სახე. ამდენად, გირავნობის საგნის მფლობელობითი ან რეგისტრირებული გირავნობის განუხორციელებლობა კრედიტორის ბრალეულ მოქმედებაზე არ მეტყველებს. მით უმეტეს, ამგვარი მოქმედება არ ნიშნავს სამოქალაქო კოდექსის 901-ე მუხლით გათვალისწინებულ კრედიტორის მიერ თავდების საზიანოდ მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების შემცირებას.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს სააპელაციო საჩივრის ფარგლებში უნდა შეემოწმებინა იმ ფაქტობრივი გარემოებების არსებობა, რომლებიც ცალსახად გამორიცხავენ გირავნობის საგნის მიმართ მფლობელობითი გირავნობის გამოყენებას (ამ ფაქტის არსებობაზე უთითებს მოწინააღმდეგე მხარე და არც კასატორი უარყოფს კატეგორიულად ამგვარ გარემოებას).

საქმის ხელახლა განსახილველმა სასამართლომ საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე უტყუარად უნდა გამოარკვიოს და დაადგინოს შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: გირავნობის საგნის -

ავტომანქანის მიმართ ხომ არ იყო გამოყენებული მფლობელობითი გირავნობა და ეცნობათ თუ არა დროულად თავმდებებს მოვალის მიერ გადახდის ვადის გადაცილება.

სარეზოლუციო ნაწილი :

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დაადგინა :

სს «საქართველოს საზღვაო ბანკის» ლიკვიდატორ ბ. პ-მის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

4. უფლებათა გადაცემა; ინდოსამენტის სახეები

განჩინება

საქმე №ას-469-710-08

4 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი**

დავის საგანი: აქციების მესაკუთრედ ცნობა, საზოგადოების აქციათა რეესტრში ცვლილების შეტანა.

აღწერილობითი ნაწილი :

თ. ჭ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში სს „ავტომომარაგების“ დირექტორ კ. ა-მის მიმართ სს „ავტომომარაგების“ 15 000 აქციის მესაკუთრედ ცნობისა და საზოგადოების აქციათა რეესტრში აქციების საკუთარ სახელზე აღრიცხვის შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 1999 წლის 24 დეკემბერს მოპასუხემ თ. ჭ-მეს მიჰყიდა სს „ავტომომარაგების“ 2400 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ღირებულების 15000 აქცია. დაიდო აქციების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც მოპასუხემ ვალდებულება იკისრა, მოსარჩელისათვის გადაეფორმებინა აქციები. ხელშეკრულებით მოპასუხემ უფლება დაიტოვა, ექვსი თვის განმავლობაში გაყიდული აქციები უკან გამოესყიდა, თუმცა დათქმულ დროს თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში აქციები რჩებოდა მოსარჩელის საკუთრებაში. აქციების ღირებულება თ. ჭ-მემ მოპასუხეს ხელშეკრულების დადების დღესვე დროულად გადაუხადა, რის დასადასტურებლადაც გადაეცა 1999 წლის 24 დეკემბერს გაცემული ნაყიდი აქციების ინდოსირებული სერტიფიკატი. ხელშეკრულებით შეთანხმებულ ვადაში მოპასუხემ აქციები არ გამოისყიდა, თუმცა, მოსარჩელის თხოვნის მიუხედავად, არც მის სახელზე აღრიცხა. სს „ავტომომარაგების“ აქციონერთა რაოდენობა ასს არ აღემატება და მისი აქციების რეგისტრაცია წარმოებდა საზოგადოების პასუხისმგებელი პირის მიერ (შიდა რეგისტრაცია). მოპასუხემ მოსარჩელეს გადასცა რა სადავო აქციებზე სერტიფიკატი, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 51.4 მუხლის თანახმად, აქციათა გასხვისებისათვის სანოტარო წესით დამოწმებული ნასყიდობის ხელშეკრულების დადება არ იყო სავალდებულო, არამედ უნდა მომხდარიყო აქციათა სერტიფიკატზე ინდოსირება და საზოგადოების აქციათა რეესტრში მისი შემქმნის აქციათა მფლობელად აღრიცხვა აქციათა რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირის დამოწმებით. ამდენად, სს «ავტომომარაგებამ» ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება მხოლოდ ნაწილობრივ შეასრულა, გადასცა აქციათა ინდოსირებული სერტიფიკატი და, შესაბამისად, ამ აქციათა საკუთრების უფლება, მაგრამ აღნიშნულის შესახებ სათანადო ცვლილებები საზოგადოების აქციათა რეესტრში არ შეუტანია.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: კ. ა-მესა თ. ჭ-მეს შორის ნამდვილად დაიდო აქციების ნასყიდობის ხელშეკრულება, თუმცა, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-15 მუხლის შესაბამისად, მოსარჩელის მოთხოვნა ხანდაზმულია. ხანდაზმულობის ვადის დენა უნდა აითვალოს 1999 წლის 24 დეკემბრიდან 6 თვის გასვლის მომენტიდან, სარჩელი კი აღძრულია ხუთწლიანი ვადის გასვლის შემდეგ. ამასთან, გაურკვეველია აქციათა გასხვისების შემდეგ თ. ჭ-მისათვის გადაცემულ აქციათა სერტიფიკატი პრივილეგირებული იყო თუ ჩვეულებრივი, ამდენად, სერტიფიკატის საფუძველზე საზოგადოების რეესტრში ცვლილებების შეტანა გაუმართლებელია. მოცემულ შემთხვევაში დაირღვა სამოქალაქო კოდექსის 923-ე მუხლის მოთხოვნა, ვინაიდან სადავო აქციების ინდოსამენტის მეშვეობით გასხვისებისას აქციაზე ახალი მფლობელი არ დაფიქსირებულა. ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ იქნა პირობა, რომ გამყიდველი იტოვებდა უფლებას, 6 თვის განმავლობაში დაებრუნებინა გაყიდული აქციები, თუ იგი დაუბრუნებდა მყიდველს გადახდილ თანხას. ამდენად,

ინდოსამენტი შესრულდა გარკვეული პირობით, რაც კანონით დაუშვებელია და წარმოადგენს ხელშეკრულების ბათილობის საფუძველს.

საქმეში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირად ჩაერთო სს «ავტომომარაგება».

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილებით თ. ჭ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა, მოსარჩელე ცნობილ იქნა სს «ავტომომარაგების» 15 000 აქციის მესაკუთრედ, რომელზეც 1999 წლის 24 დეკემბერს გაცემულია №0177 სერტიფიკატი, დადგინდა ცვლილების შეტანა სს «ავტომომარაგების» აქციათა რეესტრში შემდეგ გარემოებათა გამო: 1999 წლის 24 დეკემბერს თ. ჭ-ძესა და კ. ა-ძეს შორის დაიდო აქციების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც კ. ა-ძემ თ. ჭ-ძეს მიჰყიდა სს „ავტომომარაგების» თავისი კუთვნილი 15 000 აქცია 2 400 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარად. ხელშეკრულების თანახმად, „გამყიდველი ვალდებულია ყიდვა-გაყიდვის ორგანიზება და გადაფორმება გააკეთოს თვითონ კანონით დადგენილ ფარგლებში». ამასთან, კ. ა-ძემ უფლება დაიტოვა, ექვსი თვის განმავლობაში უკან დაებრუნებინა თ. ჭ-ძისათვის გადაცემული აქციები, თუკი დაუბრუნებდა მისგან მიღებულ თანხას - 2 400 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარს. ექვსი თვის გასვლის შემდეგ კი აქციები რჩებოდა მყიდველის საკუთრებაში. აქციათა ნასყიდობის ხელშეკრულების დადების დღესვე - 1999 წლის 24 დეკემბერს კ. ა-ძემ 15 000 აქციაზე თ. ჭ-ძის სახელზე გასცა №0177 სერტიფიკატი. სს „ავტომომარაგების» აქციონერთა რაოდენობა ხელშეკრულების დადების დროსაც და ამჟამადაც 100-ზე ნაკლებია და აქციათა რეგისტრაციას აწარმოებდა საზოგადოების შიდა რეგისტრატორი. სასამართლომ მიიჩნია, რომ სს „ავტომომარაგება» არის ე.წ. დახურული (არასაჯარო) ტიპის სააქციო საზოგადოება. სასამართლომ იხელმძღვანელა ხელშეკრულების დადების დროს მოქმედი „მეწარმეთა შესახებ» საქართველოს კანონის რედაქციის 51.3, 51.1, 51.2, 51.4 მუხლებით და მიუთითა, რომ დახურული სააქციო საზოგადოების შემთხვევაში დაშვებულია აქციათა გასხვისების ორი ფორმა - სანოტარო წესით დამოწმებული აქციათა ნასყიდობის ხელშეკრულებითა და აქციის სერტიფიკატზე ინდოსამენტით, ორივე შემთხვევაში საზოგადოების აქციათა რეესტრში უნდა შევიდეს ცვლილება და დამოწმდეს რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მხარეთა შორის დაიდო 15000 აქციის ნასყიდობის ხელშეკრულება გამოსყიდვის უფლებით. საქმეში წარმოდგენილი ხელშეკრულებითა და სერტიფიკატით დადგენილია, რომ 1999 წლის 24 დეკემბერს კ. ა-ძემ გაყიდა სს „ავტომომარაგებას» თავისი კუთვნილი 15 000 ცალი აქცია, ხოლო თ. ჭ-ძემ იყიდა ისინი, რაშიც კ. ა-ძეს გადაუხადა 2 400 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი, ხოლო კ. ა-ძემ მიიღო აღნიშნული თანხა. აქციათა ნასყიდობა დადასტურებულია მხარეთა ხელმოწერებით. სასამართლოს მითითებით, მოპასუხე კ. ა-ძეს სადავოდ არ გაუხდია აქციათა ნასყიდობის ხელშეკრულების დადების ფაქტი, ნასყიდობა ნამდვილია და შეესაბამება მხარეთა მიერ გამოვლენილ ნებას. კ. ა-ძემ ორჯერ მიმართა სასამართლოს წერილობითი შესაგებლით და ხელშეკრულების ნამდვილობა სადავოდ არც ერთხელ არ მიუჩნევია. სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 477-ე, 509-ე მუხლებით და ჩათვალა, რომ კ. ა-ძეს სადავო აქციების გამოსყიდვა შეეძლო ნასყიდობის ხელშეკრულების დადებიდან ექვსი თვის განმავლობაში, თუმცა აღნიშნული შესაძლებლობით არ უსარგებლია. „მეწარმეთა შესახებ» კანონის 51.2 მუხლის თანახმად, სასამართლომ მიიჩნია, რომ თ. ჭ-ძეს გადაეცა აქციათა №0177 სერტიფიკატი, რაც ადასტურებს მის მესაკუთრეობას კ. ა-ძისაგან შეძენილ 15 000 აქციაზე. სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება სარჩელის ხანდაზმულობასთან მიმართებაში და მიუთითა, რომ თ. ჭ-ძის სარჩელის საგანია აქციებზე მესაკუთრედ ცნობა - აღიარება და არა მოპასუხე კ. ა-ძისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების დავალდებულება. სასამართლოს მოსაზრებით, მართალია, ხელშეკრულების მიხედვით, კ. ა-ძემ იკისრა ვალდებულება თ. ჭ-ძის სახელზე აქციები თვითონ გადაეფორმებინა (აღერიცხა), მაგრამ თ. ჭ-ძე სარჩელით ითხოვს არა კ. ა-ძისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას, არამედ, აქციების მესაკუთრედ აღიარებას, აქცია კი წარმოადგენს საკუთრების ობიექტს და იგი, როგორც საკუთრება, დაცულია კონსტიტუციით. ამდენად, სარჩელი ხანდაზმული არ არის. სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლზე დაყრდნობით სასამართლომ ჩათვალა, რომ მოსარჩელეს სადავო აქციათა მესაკუთრედ აღიარების ნამდვილი იურიდიული ინტერესი გააჩნია, რადგან აღნიშნულს მოჰყვება აქციათა რეესტრში მისი რეგისტრაცია. სასამართლომ ასევე არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება ინდოსამენტის გარკვეული პირობებით შესრულების შესახებ, ვინაიდან აქციების ნასყიდობის ხელშეკრულებაში მითითებული დათქმა, რომ კ. ა-ძეს უფლება ჰქონდა, ექვსი თვის ვადაში გამოესყიდა აქციები თ. ჭ-ძისაგან, არის არა ინდოსამენტის პირობა, არამედ წარმოადგენს მხარეთა შეთანხმებას. „მეწარმეთა შესახებ» კანონით არსებობს აქციათა სახისა და აქციათა კლასის ცნება, ანუ ამგვარი დაყოფა შეეხება თავად აქციას და არა მასზე გაცემულ სერტიფიკატს. სააქციო საზოგადოებას შეუძლია გასცეს მხოლოდ სახელობითი და არა საწარმომდგენლო აქციები. სახელობით აქციაზე (აქციის სერტიფიკატზე) აღინიშნება მისი მფლობელის ვინაობა, ხოლო ინდოსამენტით კი დგინდება აქციის ყოველი ახალი მფლობელის ვინაობა როგორც ეს მითითებულია განსახილველ შემთხვევაში. ამდენად, სასამართლომ დაუსაბუთებლად ჩათვალა მოპასუხის მითითება, რომ გაურკვეველია სადავო სერტიფიკატი ჩვეულებრივია, თუ პრივილეგირებული და აქციათა რეესტრში ცვლილებების შეტანა არ უნდა მომხდარიყო.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სს «ავტომომარაგების» დირექტორმა კ. ა-ძემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 13 მარტის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი. სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებანი და სამართლებრივი შეფასებები.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება სს «ავტომომარაგების» დირექტორმა კ. ა-მემ გასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით: სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 923-ე მუხლით და გაეთვალისწინებინა ის გარემოება, რომ აღნიშნული ნორმით დაუშვებელია ინდოსამენტის შესრულება რაიმე პირობით. აღნიშნულის მიუხედავად, სერტიფიკატი გადაეცა თ. ჭ-მეს. ამასთან, ნასყიდობის ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია ინდოსამენტის პირობა გამყიდველის მიერ 6 თვის ვადაში გასხვისებულ აქციათა გამოსყიდვის უფლების შესახებ. ამდენად, ინდოსამენტი შესრულდა გარკვეული პირობით, რაც, ზემოხსენებული ნორმის შესაბამისად, დაუშვებელია. სასამართლომ აღნიშნული გარემოება სათანადოდ არ შეაფასა და დაეყრდნო მხოლოდ «მეწარმეთა შესახებ» კანონის 51.4 მუხლს. სადავო ინდოსამენტის გარკვეული პირობით შესრულებაზე მიუთითებს ასევე სასამართლოს მსჯელობა, რომ სამოქალაქო კოდექსის 509-ე მუხლის მიხედვით, მხარეთა შორის აქციების ნასყიდობის ხელშეკრულება დაიდო მათი გამოსყიდვის პირობით. სასამართლოს მსჯელობა წინააღმდეგობრივია, რადგან, ერთი მხრივ, სასამართლო აქციათა გასხვისების საფუძვლად მიიჩნევს ნასყიდობის ხელშეკრულებას, ხოლო, მეორე მხრივ, სერტიფიკატს. სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია, რომ თ. ჭ-მის სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმული არ არის, ვინაიდან დავის საგანს წარმოადგენს საკუთრების უფლების აღიარება, რომელიც მხარეს კანონიერი საფუძვლით აქვს მოპოვებული. თ. ჭ-მის სარჩელი სასამართლომ არასწორად ჩათვალა აღიარებითად, ვინაიდან იგი სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლის მოთხოვნების დაცვით არ ყოფილა წარდგენილი, ამ მიმართულებით მხარეს დასაბუთება არ გააჩნია და სარჩელი მიკუთვნებითი ხასიათისაა. ასევე აღსანიშნავია, რომ მოსარჩელეს სადავო აქციებზე საკუთრების უფლება კანონიერი საფუძვლით არ მოუპოვებია. ამდენად, ხსენებულ სარჩელზე სასამართლომ ხანდაზმულობის ვადა უკანონოდ არ გაავრცელა. სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე და 248-ე მუხლები და გასცდა მხარის მოთხოვნის ფარგლებს. სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის პირველი ნაწილით, «მეწარმეთა შესახებ» კანონის მე-15 მუხლით და ხანდაზმულობის ვადა აეთვალა 1999 წლის 24 დეკემბრიდან, რა დროსაც თ. ჭ-მისათვის ცნობილი გახდა, რომ მას შეეძლო წარედგინა პრეტენზია სადავო აქციებთან დაკავშირებით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სს «ავტომომარაგების» დირექტორ კ. ა-მის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება უნდა დარჩეს უცვლელი შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დაკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი.

საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, კერძოდ:

უდავოა ის გარემოება, რომ თ. ჭ-მემ 1999 წლის 24 დეკემბერს კ. ა-მისაგან 2400 აშშ დოლარად შეიძინა 15 000 ცალი აქცია. ნასყიდობის ხელშეკრულება დაიდო გამოსყიდვის პირობით, ანუ მხარეთა შეთანხმებით კასატორს შეეძლო 6 თვის განმავლობაში აქციების დაბრუნება 2400 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის დაბრუნების სანაცვლოდ. იმავე დღეს თ. ჭ-მეს გადაეცა სერტიფიკატი №0177 ინდოსამენტით.

უსაფუძვლოა კასატორის მოსაზრება, რომ სასამართლომ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა 923-ე მუხლს, ვინაიდან აღნიშნული მუხლით დაუშვებელია ინდოსამენტის შესრულება რაიმე პირობით. აღნიშნული მუხლით, დოკუმენტში მოცემული უფლება შეიძლება გადაცემულ იქნეს ინდოსამენტითა და დოკუმენტის გადაცემით. ინდოსამენტი კეთდება დოკუმენტზე ან მის დანართზე. დაშვებულია ტექნიკური საშუალებების გამოყენება. ინდოსამენტი არ საჭიროებს ინდოსატარის აღნიშვნას და შეიძლება შედგებოდეს მხოლოდ ხელმოწერისაგან (ბლანკეტური ინდოსამენტი). ბლანკეტური ინდოსამენტი შეიძლება შეავსოს უფლებამოსილმა მფლობელმა თავისი ან სხვისი სახელით, გასცეს დოკუმენტი შეუვსებლად ანდა თავად მოახდინოს მისი შემდგომი ინდოსირება განსაზღვრულ პირზე.

ამდენად, დასახელებული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ საორდერო ფასიანი ქაღალდიდან წარმოშობილი უფლების გადაცემისათვის აუცილებელია ორი პირობის შესრულება: ფასიან ქაღალდზე ინდოსამენტის შესრულება და ამ დოკუმენტის ახალი მფლობელისათვის გადაცემა. მითითებული ნორმით რეგულირდება რა უფლებათა გადაცემის წესი და ინდოსამენტის სახეები, რაიმე დათქმას ინდოსამენტის პირობით შესრულებაზე კანონი არ შეიცავს. ინდოსამენტი გამოიყენება საწარმდგენლო აქციების შემთხვევაში და წარმოადგენს აქციის მეორე მხარეს შესრულებულ წარწერას აქციის ახალი მფლობელის ვინაობის თაობაზე. შესაბამისად, დაუშვებელია თვითონ წარწერის შესრულება რაიმე პირობით. რაც შეეხება აქციათა გასხვისებას, მისი ყიდვა-გაყიდვა შეიძლება განხორციელდეს მხარეთა

მიერ შეთანხმებული პირობებით, მათ შორის, გამოსყიდვის პირობითაც და ამ მხრივ კანონი რაიმე აკრძალვას არ ითვალისწინებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სავსებით მართებულად იქნა გამოყენებული სამოქალაქო კოდექსის 509-ე მუხლი, რომლის თანახმად, თუ გამოყენებულს ნასყიდობის ხელშეკრულებით აქვს გამოსყიდვის უფლება, ამ უფლების განხორციელება დამოკიდებულია გამოყენებულის ნებაზე.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას სარჩელის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით იმ მოტივით, რომ თ. ჭ-ძისათვის 1999 წლის 24 დეკემბრიდან ცნობილი იყო გარემოება სადავო აქციების, «მეწარმეთა შესახებ» კანონის შესაბამისად, სათანადო წესით რეესტრში რეგისტრაციის არარსებობს თაობაზე. უნდა აღინიშნოს, რომ 1999 წლის 24 დეკემბერს დაიდო ხელშეკრულება აქციათა გაყიდვის თაობაზე 6 თვის ვადაში გამოსყიდვის პირობით. ამდენად, თუნდაც მოთხოვნის ხანდაზმულობის გაზიარების შემთხვევაში, ხანდაზმულობის ვადა მითითებული თარიღიდან არ უნდა აითვალოს. რაც შეეხება თვით მოთხოვნის ხანდაზმულობას, მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ სს „ავტომომარაგების» აქციონერთა რაოდენობა ხელშეკრულების დადების დროსაც და ამჟამადაც 100-ზე ნაკლებია და აქციათა რეგისტრაციას აწარმოებდა საზოგადოების შიდა რეგისტრატორი, შესაბამისად, სს „ავტომომარაგება» არის ე.წ. დახურული (არასაჯარო) ტიპის სააქციო საზოგადოება. კასატორი საკასაციო საჩივარში ადასტურებს რა აქციების მოწინააღმდეგე მხარისათვის მიყიდვის ფაქტს, აღნიშნულით აღიარებს თ. ჭ-ძის საკუთრების უფლებას სადავო აქციებზე. შესაბამისად, მესაკუთრის უფლება, სათანადო წესით აღირიცხოს საკუთრებაზე უფლება რაიმე ვადით შეზღუდული არ არის.

სადავო ურთიერთობის წარმოშობისას მოქმედი «მეწარმეთა შესახებ» კანონის 51.4 მუხლის თანახმად, არასაჯარო (დახურული) სააქციო საზოგადოების აქციათა გასხვისება შესაძლებელი იყო აქციის სერტიფიკატზე ინდოსამენტიითა და საზოგადოების რეესტრში შესაბამისი ცვლილების შეტანით, რაც დამოწმებული უნდა იყოს რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ. ამასთან, საზოგადოების რეესტრში ცვლილების შეტანის ვადა კანონით განსაზღვრული არ არის. აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სასამართლომ თ. ჭ-ძის მოთხოვნა სწორად არ მიიჩნია ხანდაზმულად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დაადგინა:

სს «ავტომომარაგების» დირექტორ კ. ა-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 13 მარტის განჩინება დარჩეს უცვლელი.

სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

5. ერთობლივი საქმიანობა

ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების ფორმა

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ას-751-1077-07

3 აპრილი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),
თ. თოდრია**

დავის საგანი: ქონების თანამესაკუთრედ ცნობა.

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 28 ოქტომბერს ი. ჩ-ძემ სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხეების - გ. ტ-ძის, პ. გ-შვილის, ა. ც-ძისა და მ. ტ-ძის მიმართ და მოითხოვა ქ.ქუთაისში, ... ქუჩის მე-2 შესახვევის №6-ში მდებარე უძრავი ქონების, ბოსტნეულის გადასატვირთი ავტომანქანა-მაცივრისა და ამ ქონებიდან მიღებული შემოსავლების 70%-ის მესაკუთრედ ცნობა შემდეგი

საფუძვლებით: მოსარჩელის განმარტებით, 1992 წლიდან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა გ. ტ-ძესთან, რომელიც გარდაიცვალა 2004 წლის 2 სექტემბერს. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ კანონით დადგენილ ვადაში, დაეუფლა მეუღლის დანაშთ ქონებას. მისი განმარტებით, გია ტაბუცაძეს ერთობლივი საქმიანობის ზეპირი ხელშეკრულება ჰქონდა დადებული მოპასუხებთან, კერძოდ, ბოსტნეულის წარმოებისა და რეალიზაციის შესახებ. ამხანაგობაში მისი მეუღლის წილი შეადგენდა 70%-ს, ხოლო დანარჩენი ხელშეკრულების მონაწილეების წილი 30%-ს. ამხანაგობის საერთო სახსრებით შეძენილ იქნა ყოფილი სახელმწიფო საწარმო «ავანგარდის» ბალანსზე რიცხული უძრავი ქონება და ბოსტნეულის გადასატვირთი ავტომანქანა-მაცივარი, თუმცა შეძენილი ქონება გაფორმდა არა მისი მეუღლის, არამედ ამხანაგობის სხვა წევრებზე, რომლებმაც იცოდნენ, რომ ხსენებული ქონება ამხანაგობის საერთო საკუთრება იყო.

ვინაიდან მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, ერთობლივი საქმიანობიდან მოსარჩელეს წილი არ მიუღია, მოითხოვა ზემოაღნიშნული ქონების 70%-ის მესაკუთრედ ცნობა.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს იმ საფუძველით, რომ არანაირი ერთობლივი საქმიანობის შესახებ ზეპირი ხელშეკრულება არ დადებულა და, შესაბამისად, არ არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი. სამეურნეო საქმიანობა ხორციელდებოდა სარჩელში მითითებული ქონების მესაკუთრეთა მიერ, რომელშიც, როგორც ახლობელი, თავის ნათესავსა და მეგობარს ეხმარებოდა გია ტაბუცაძე და რაიმე წილობრივი მონაწილეობა არ მიუღია.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 8 იანვრის გადაწყვეტილებით ი. ჩ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოდის გამო.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ი. ჩ-ძემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 8 აგვისტოს გადაწყვეტილებით ი. ჩ-ძის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 8 იანვრის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით ი. ჩ-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - ი. ჩ-ძე ცნობილ იქნა ქ. ქუთაისში, ... ქ. მე-2 შესახვევის №6-ში მდებარე უძრავი ქონების 70%-ის თანამესაკუთრედ; ი. ჩ-ძის სარჩელი ავტომობილის რეალიზაციით მიღებული თანხის თანამესაკუთრედ ცნობის ნაწილში დარჩა განუხილველი; ი. ჩ-ძის სარჩელი ერთობლივი საქმიანობით მიღებული შემოსავლის 70%-ის თანამესაკუთრედ ცნობის ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ მხარეებს, იურიდიული პირის შეუქმნელად, მოწყობილი ჰქონდათ ერთიანი სასაბურე მეურნეობა, გადანაწილებული ფუნქციები და წილი, შესაბამისად, მხარეებს შორის არსებობდა ერთობლივი საქმიანობის, ამხანაგობის ხელშეკრულება, რომელიც მიზნად ისახავდა ბოსტნეულის წარმოებასა და რეალიზაციას, ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ გ. ტ-ძე პრაქტიკულად მონაწილეობდა სამეურნეო საქმიანობაში, რაც დადასტურდა მოწმეთა ჩვენებებით და არც მოპასუხეებს უარყვიათ. გია ტაბუცაძის წილი შეადგენდა 70%-ს, სადავო ქონება შეძენილ იქნა ამხანაგობის მიერ საერთო მიზნების განსახორციელებლად, ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ, მიუხედავად იმისა, რომ სადავო ქონება შეიძინეს პ. გ-შვილმა და მ. ტ-ძემ, გ. ტ-ძეს იდეალურად ეკუთვნოდა შეძენილი ქონების 70%, რაც, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სამკვიდრო მასაში შევიდა და მასზე უფლებები მიიღო მემკვიდრე ი. ჩ-ძემ, შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ უნდა აღიარებულიყო მოსარჩელის უფლება ქ. ქუთაისში, ... ქ. მე-2 შესახვევის №6-ში მდებარე უძრავი ქონების (საბურეების) 70% იდეალური წილის თანასაკუთრებაზე.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელი ერთობლივი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის 70%-ის მესაკუთრედ ცნობის ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილებულიყო შემდეგ გარემოებათა გამო: საქმის მასალებით დაადგინა, რომ გ. ტ-ძე გარდაიცვალა 2004 წლის 2 სექტემბერს, ხოლო საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდებოდა ის გარემოება, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება ითვალისწინებდა საქმიანობის გაგრძელებას ხელშეკრულების მონაწილე ერთ-ერთი მხარის გარდაცვალების შემდეგ და მტკიცებულებებით ისიც დადასტურებულა, რომ 2004 წლის 2 სექტემბრის შემდეგ ამხანაგობამ საქმიანობა გააგრძელა, ხოლო დღეის მდგომარეობით საბურეებით უსასყიდლოდ სარგებლობს ო. ა-ძე, რომელიც ამხანაგობის წევრი არ ყოფილა, შესაბამისად, ამხანაგობამ შეწყვიტა საქმიანობა, არავითარი შემოსავალი არ მიუღია და ამდენად, არსებულ შემოსავალზე მოსარჩელის უფლებათა აღიარება სააპელაციო სასამართლომ შეუძლებლად მიიჩნია.

რაც შეეხება მოთხოვნას ავტომობილის რეალიზაციით მიღებული თანხის 70%-ის მესაკუთრედ ცნობის ნაწილში, სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნულ ნაწილში სარჩელი განუხილველად უნდა დარჩენილიყო, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის მოთხოვნა აღიარებითი სარჩელის საგანს წარმოადგენდა, მას შეეძლო აღედრა მიკუთვნებითი სარჩელი თანხის დაკისრების მოთხოვნით, რის გამოც ამ ნაწილში სარჩელი არ პასუხობდა სსკ-ის 180-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის პირობებს, რის გამოც აღნიშნული მოთხოვნა დაუშვებლად ცნო.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრეს პ. გ-შვილმა, მ. ტ-ძემ და გ. ტ-ძემ, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძველებით:

კასატორთა განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ განჩინების გამოტანისას უხეზად დაარღვია საპროცესო სამართლის ნორმები, დადგინდად მიჩნეულ ფაქტობრივ გარემოებას, ზეპირი ფორმით დადებული ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების არსებობის შესახებ, მისცა არასწორი სამართლებრივი შეფასება, კერძოდ, სკ-ის 183-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების დასადასტურებლად აუცილებელია საჯარო რეესტრში რეგისტრირებული, სანოტარო წესით დამოწმებული სათანადო საბუთის არსებობა, რაც, თავის მხრივ, ნიშნავს იმას, რომ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება არ შეიძლება დადასტურდეს ზეპირი ხელშეკრულებით ან ზეპირი მტკიცებულებით, მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელეს არ წარმოუდგენია კანონის შესაბამისად საჯარო რეესტრში რეგისტრირებული რაიმე საბუთი იმის დასადასტურებლად, რომ მის აწ გარდაცვლილ მეუღლეს, სადავო უძრავი ქონების 70% წილზე შეძენილი ჰქონდა საკუთრების უფლება, შესაბამისად, სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანისას საპროცესო ნორმების დარღვევით დაადგინა ფაქტობრივი გარემოებანი, არასწორად განმარტა კანონი, კანონდარღვევით, უსაფუძვლოდ უგულვებელყო და არ გაიზიარა საქმის ობიექტური გადაწყვეტისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ფაქტები, არ დაადგინა, რას შეადგენდა თითოეული მონაწილის შენატანი ერთობლივ საქმიანობაში, როგორ განაწილდა უფლებები და მოვალეობები მხარეთა შორის; როგორი იყო ამხანაგობის მართვის ორგანოთა სტრუქტურა და ფუნქციები; როგორ უნდა განაწილებულიყო მოგება და ზარალი, ასევე არ დაადგინა, თუ როდის შეიქმნა ამხანაგობა, რა შემოსავლები და ხარჯები ჰქონდა მას და როგორ ნაწილდებოდა მოგება და ზარალი. კასატორთა განმარტებით, ზემოაღნიშნული გარემოებების დადგენის გარეშე, სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, მხარეთა შორის ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების არსებობის შესახებ, მოკლებულია ფაქტობრივ საფუძველს, მის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ გამომდინარეობს საქმეში არსებული მტკიცებულებებიდან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორებმა მიიჩნიეს, რომ სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა (სკ-ის 183-ე და 59-ე მუხლების პირველი ნაწილები) და არასწორად განმარტა კანონი (სკ-ის 932-ე მუხლის მესამე ნაწილი), რაც გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, საკასაციო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება კასატორების მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, რის გამოც გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქმის გარემოებები, რომლებიც, კანონის თანახმად, უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

სააპელაციო სასამართლომ მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე დადგინდად ცნო, რომ მხარეებს, იურიდიული პირის შეუქმნელად, მოწყობილი ჰქონდათ ერთიანი სასათბურე მეურნეობა, შესაბამისად, მხარეებს შორის არსებობდა ერთობლივი საქმიანობის, ამხანაგობის ხელშეკრულება, რომელიც მიზნად ისახავდა ბოსტნეულის წარმოებასა და რეალიზაციას, ასევე დადგინდად მიიჩნია, რომ გ. ტ-მე პრაქტიკულად მონაწილეობდა სამეურნეო საქმიანობაში. გ. ტ-მის წილი შეადგენდა 70%-ს. სადავო ქონება შეძენილ იქნა ამხანაგობის მიერ საერთო მიზნების განსახორციელებლად, ამდენად სასამართლომ მიიჩნია, რომ მიუხედავად იმისა, რომ სადავო ქონება შეიძინეს პ. გ-შილმა და მ. ტ-მემ, გ. ტ-მეს იდეალურად ეკუთვნოდა შეძენილი ქონების 70%, შესაბამისად, მოსარჩელე ცნო უძრავი ქონების 70%-ის თანამესაკუთრედ.

საკასაციო პალატა თვლის, სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული დასკვნა არასწორია, რადგან კანონის თანახმად მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე არ შეიძლება დადასტურდეს უძრავი ქონების შეძენის ფაქტი.

სკ-ის 327-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით.

სამოქალაქო კოდექსის 931-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს წერილობით ან ზეპირად.

ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების დადების დროს ხელშეკრულების არსებითი პირობების შესახებ მონაწილეთა ნების გამოვლენის განსაკუთრებულ ფორმას კანონი არ ითვალისწინებს, ამიტომ იგი შეიძლება დაიდოს, როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით, ზოგადი წესების გამოყენებით. ხელშეკრულების წერილობით ფორმას სავალდებულო სახე აქვს იმ შემთხვევაში, თუ შენატანი (თუნდაც ერთ-ერთი მონაწილის) წარმოდგენილია უძრავი ქონების სახით. წერილობითი ფორმის დაცვის

სავალდებულო მოთხოვნა ეფუძნება უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ უფლებათა რეგულირების ზოგად ნორმებს. სკ-ის 183-ე მუხლის პირველი ნაწილი იმპერატიულად ადგენს უძრავი ნივთის შეძენის აუცილებელ ფორმას, კერძოდ, უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შემძენზე ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში.

დადგენილია, რომ სადავო უძრავი ქონება კანონით დადგენილი წესით შეძენილია პ. გ-შვილისა და მ. ტ-ძის მიერ, მათ სახელზეა გაცემული პრივატიზებული სახელმწიფო ქონების საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა. მათი საკუთრების უფლება დასტურდება ასევე საჯარო რეესტრის ამონაწერთაც. სადავო უძრავი ქონებაზე ამხანაგობის საკუთრების უფლება, საქმის მასალებით არ დასტურდება, შესაბამისად, სააპელაციო პალატის დასკვნა იმის შესახებ, რომ სადავო უძრავი ქონება შეიძინა ამხანაგობამ, საიდანაც 70% იდეალური წილი ეკუთვნოდა გ. ტ-ძეს ვერ იქნება გაზიარებული, შესაბამისად, უძრავი ქონების 70%-ის თანამესაკუთრედ ცნობაზე, მოსარჩელეს უარი უნდა ეთქვას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 411-ე მუხლით და

გადაწყვეტა:

- პ. გ-შვილის, მ. და გ. ტ-ძეების საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
- გაუქმდეს ამ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 8 აგვისტოს გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;
- ი. ჩ-ძის სარჩელი ქ. ქუთაისში, ... ქ. მე-2 შესახვევის №6-ში მდებარე უძრავი ქონების (სათბურების) 70% იდეალური წილის თანამესაკუთრედ ცნობაზე არ დაკმაყოფილდეს;
- ი. ჩ-ძეს დაეკისროს მ. ტ-ძის სასარგებლოდ ამ უკანასკნელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის - 950 ლარის გადახდა;
- გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასასაჩივრდება.

უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

განჩინება

№ას-400-648-08

2 დეკემბერი, 2008წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი**

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა.

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 5 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა თ. ყ-ნმა მოპასუხე მ. გ-შვილის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის თბილისში, ... ქ. №12-14-ში მდებარე №2 ბინის შესასვლელი კარის გასაღების გადმოცემის დავალება და მისთვის აღნიშნულ ბინაში შესვლის აკრძალვა.

სასარჩელო განცხადებაში აღნიშნულია, რომ ქ. თბილისის საბურთალოს რ-ნის პრეფექტურის 1991 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, დაფუძნდა ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა «... II შესახვევი №12-14», რომლის მიზანს წარმოადგენდა ამხანაგობის წევრებისათვის 16-ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. თითოეული წევრის შესატანი განისაზღვრა 40 000 აშშ დოლარით. 1992 წელს ამხანაგობაში გაწევრიანდა რ. ლ-ური, ხოლო ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ მის ნაცვლად ამხანაგობის წევრად მიღებულ იქნა მ. გ-შვილი. ამხანაგობის წევრისათვის განსაზღვრული შესატანი 40 000 აშშ დოლარი არც რ. ლ-ურს და არც მ. გ-შვილს არ გადაუხდიათ. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა 2000 წელს დასრულდა, თბილისის ვაკე-საბურთალოს რ-ნის გამგეობის 2000 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილებით კი დამტკიცდა სახლის ექსპლუატაციაში მიღების აქტი. ამის მიუხედავად, რიგი მიზეზების გამო სახლი დღემდე საჯარო რეესტრში არ არის რეგისტრირებული. ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა «... II შესახვევი №12-14-ის» წევრთა საერთო კრების 2004 წლის 17 აგვისტოს გადაწყვეტილებით მ. გ-შვილი ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესატანი თანხის გადაუხდელობის გამო გაირიცხა ამხანაგობის წევრობიდან. მ. გ-შვილის ამხანაგობის წევრობიდან გაირიცხვის შემდეგ ამხანაგობის ცალკეული წევრების ინდივიდუალური

ნების გამოხატვით მიღებულ იქნა გადაწყვეტილებები გარიცხული წევრისათვის განკუთვნილი №2 ბინის ამხანაგობის თავმჯდომარე თ. ყ-ნისათვის გადაცემის შესახებ. ამხანაგობის წევრის ამხანაგობიდან გარიცხვა, ბინის (სხვა ქონების) გადანაწილება, სამოქალაქო კოდექსის 930-940-ე მუხლების თანახმად, ამხანაგობის წევრთა კომპეტენციაა. კონკრეტულ შემთხვევაში ამხანაგობის წევრთა აღნიშნული უფლება აღიარებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 3 მაისის გადაწყვეტილებით და თბილისის ვაკე-საბურთალოს რ-ნის გამგეობის წერილით. მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველად მოსარჩელე სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის მე-2 ნაწილზე მიუთითა.

2005 წლის 23 დეკემბერს იმავე სასამართლოში წარდგენილი დაზუსტებული სასარჩელო განცხადებით თ. ყ-ნმა დამატებით მოითხოვა: მოპასუხის მიერ თბილისში, ... ქ. №12-14-ში მდებარე №2 ბინის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა, აგრეთვე, აღნიშნული ბინიდან მ. გ-შვილის გამოსახლება. მისი განმარტებით, სასარჩელო მოთხოვნის გადიდება იმით იყო განპირობებული, რომ მოპასუხე სადავო ბინაში აწარმოებდა გადაკეთებებს და სარემონტო სამუშაოებს.

საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 2 ოქტომბრის სხდომაზე მოსარჩელის წარმომადგენელმა საბოლოოდ მოითხოვა: მ. გ-შვილის მიერ თბილისში, ... ქ. №12-14-ში მდებარე №2 ბინის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა, აღნიშნული ბინის მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვა და მისი მოსარჩელისათვის პირვანდელ მდგომარეობაში გადაცემა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილებით თ. ყ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ საქმეზე დადგინებულ ფაქტობრივ მდგომარეობაზე დაამტკიცა, რომ ქ. თბილისის საბურთალოს რ-ნის პრეფექტურის 1991 წლის 27 ნოემბრის №1521 განკარგულებით ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა «... II შესახვევი №12-14» შეიქმნა მრავალსართულიანი ამხანაგური ბინის აშენების მიზნით. აღნიშნული მიზნის მიღწევა დასტურდება ქ. თბილისის საბურთალოს რ-ნის გამგეობის 2000 წლის 22 ნოემბრის №11.8.142 გადაწყვეტილებით, რომლითაც დამტკიცდა ... მე-2 შესახვევის №12-14-ში მაღლივი კორპუსის ექსპლუატაციაში მიღების აქტი და გამგეობის 2000 წლის 22 ნოემბრის №10.11.144 გადაწყვეტილებით, რომლითაც ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობის წევრებს დაუმტკიცდათ ბინები, მათ შორის, მ. გ-შვილს ბინა №2.

ზემომოთხრობილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით საქალაქო სასამართლომ ჩათვალა, რომ მიზნის მიღწევის შედეგად ერთობლივი საქმიანობის ხელშეწყობა მხარეთა შორის შეწყდა და მათი შემდგომი ურთიერთობა უნდა მოწესრიგებულიყო ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის მარეგულირებელი ნორმებით (სამოქალაქო კოდექსის 208-ე-232-ე მუხლებით).

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის მარეგულირებელი ნორმები ბინის მესაკუთრის გარიცხვას ამხანაგობიდან არ ითვალისწინებს, რის გამოც მ. გ-შვილის ამხანაგობიდან გარიცხვის შესახებ ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა «... II შესახვევი №12-14-ის» გადაწყვეტილება და მის საფუძველზე ამხანაგობის ცალკეულ წევრთა გადაწყვეტილებები გარიცხული წევრის ბინის თ. ყ-სათვის გადაცემის თაობაზე ვერ მიიჩნეოდა სადავო ბინაზე მ. გ-შვილის მფლობელობის შეწყვეტის საფუძველად. აქედან გამომდინარე, თ. ყ-იანს სამოქალაქო კოდექსის 159-ე-160-ე მუხლების თანახმად ვერ წარმოეშობოდა უფლება გამოეთხოვა უძრავი ნივთი მ. გ-შვილის მფლობელობიდან.

საქალაქო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თ. ყ-ნმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

აპელანტმა არასწორად მიიჩნია სასამართლოს მსჯელობა იმის თაობაზე, რომ ინდივიდუალურ მენაშენეთა სახლში ბინების განაწილებაზე კომპეტენტური ორგანო ქ. თბილისის საბურთალოს რ-ნის გამგეობა იყო და არა თავად ამხანაგობა. რამდენადაც ინდივიდუალურ მენაშენეთა სახლი ამ უკანასკნელთა საკუთრებას წარმოადგენდა, მისი განკარგვაც მხოლოდ ამხანაგობის (და არა რ-ნის გამგეობის) კომპეტენცია შეიძლებოდა ყოფილიყო. აღნიშნული გარემოების დასადასტურებლად აპელანტი მიუთითებდა ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა «... II შესახვევი №12-14-სა» და მ. გ-შვილს შორის არსებულ დავასთან დაკავშირებით თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2005 წლის 3 მაისის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სწორედ ამხანაგობის კრება (და არა რ-ნის გამგეობა) იყო უფლებამოსილი, გადაეწყვიტა ამხანაგობიდან მისი წევრის გასვლისა და გასული მონაწილის წილის გადანაწილების საკითხი. დასახელებული გადაწყვეტილებით ამხანაგობის წევრობიდან გარიცხვის შესახებ მხარეთა შორის დავა დასრულებულია და მიჩნეულია, რომ ამხანაგობა, მ. გ-შვილის ამხანაგობიდან გარიცხვისას, მოქმედებდა მისი კომპეტენციის ფარგლებში. ამის მიუხედავად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომტანმა სასამართლომ კვლავ იმსჯელა მითითებულ საკითხზე, თუმცა სასამართლო პროცესზე მასზე მსჯელობა არ ყოფილა. უფრო მეტიც, გადაწყვეტილებაში სასამართლომ ამხანაგობის უფლებებზე საქმეში მისი მონაწილეობის გარეშე იმსჯელა.

აპელანტის განმარტებით, მისი სასარჩელო მოთხოვნა იმაში მდგომარეობდა, რომ ამხანაგობის წევრებს შორის ჩამოყალიბდა სახელშეკრულებო ურთიერთობა, მოპასუხემ ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულია არ შეასრულა და ამხანაგობამ იგი გარიცხა წევრობიდან, რაც, სამოქალაქო კოდექსის 352-ე, 405-ე და 938-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულებიდან გასვლის ტოლფასი იყო იმ

თავისებურებით, რომ ხელშეკრულებიდან ერთი წევრის გასვლა არ იწვევს ხელშეკრულების შეწყვეტას (სამოქალაქო კოდექსის 938-ე მუხლის მე-3 ნაწილის მეორე წინადადება).

აპელანტის მოსაზრებით, სამოქალაქო კოდექსის 208-232-ე მუხლებს მოცემულ დავასთან არანაირი კავშირი არ ჰქონდა. დასახელებული ნორმები, როგორც წესი, მესაკუთრეთა შორის სახლით სარგებლობის წესს განსაზღვრავდა. კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელე მოპასუხეს საკუთრების წარმოშობის საფუძველში, უფრო ზუსტად, ასეთი საფუძვლის არარსებობაში ედავებოდა. სასამართლომ ანალოგიით არასწორად გამოიყენა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის მომწესრიგებელი ნორმები, რადგან კოოპერატივის ბინებზე საკუთრება პრივატიზაციის საფუძველზე წარმოიშვა, მოცემულ შემთხვევაში კი მას ხელშეკრულება ედო საფუძველად. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის მომწესრიგებელი ნორმები სპეციალურ ნორმებს წარმოადგენდა, რომლებიც ანალოგიით არ გამოიყენებოდა. ამასთან, აღნიშნული ნორმები საბინაო კოდექსთან ერთად ძალადაკარგულად იყო გამოცხადებული.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 14 სექტემბრის საოქმო განჩინებით არასათანადო მოსარჩელე თ. ყ-ნი შეიცვალა სათანადო მოსარჩელით - ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა «... II შესახვევი №12-14-ის» წევრებით: გ. ბ-ძით, თ. ყ-ნით, რ. ჯ-თი, თ. ა-ძით, ლ. გ-ძით, ბ. ც-ძით, გ. ბ-ძით, ზ. ჯ-შვილით, დ. ს-შვილით, ზ. ა-შვილით, ნ. დ-ძით, მ. ბ-ძით, ნ. რ-ძით, ნ. კ-ით, გ. მ-შვილით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 30 იანვრის საოქმო განჩინებით ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა «... II შესახვევი №12-14-ის» წევრ ნ. დ-ძის სარჩელის ნაწილში საქმის წარმოება შეწყდა ამ უკანასკნელის მიერ სარჩელზე უარის თქმის გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილებით ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა «... II შესახვევი №12-14-ის» წევრების: გ. ბაქრამის, თ. ყ-ნის, რ. ჯ-ვას, თ. ა-ძის, ლ. გ-ძის, ბ. ც-ძის, გ. ბ-ძის, ზ. ჯ-შვილის, დ. ს-შვილის, ზ. ა-შვილის, მ. ბ-ძის, ნ. რ-ძის, ნ. კ-ის, გ. მ-შვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა «... II შესახვევი №12-14-ის» წევრების: გ. ბ-ძის, თ. ყ-ნის, რ. ჯ-ვას, თ. ა-ძის, ლ. გ-ძის, ბ. ც-ძის, გ. ბ-ძის, ზ. ჯ-შვილის, დ. ს-შვილის, ზ. ა-შვილის, მ. ბ-ძის, ნ. რ-ძის, ნ. კ-ის, გ. მ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა, მ. გ-შვილის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვილი იქნა თბილისში, ... II შესახვევის №12-14-ში მდებარე №2 ბინა და იგი გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში გადაეცა ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა «... II შესახვევი №12-14-ის» წევრებს: გ. ბ-ძეს, თ. ყ-იანს, რ. ჯ-ვას, თ. ა-ძეს, ლ. გ-ძეს, ბ. ც-ძეს, გ. ბ-ძეს, ზ. ჯ-შვილს, დ. ს-შვილს, ზ. ა-შვილს, მ. ბ-ძეს, ნ. რ-ძეს, ნ. კ-ს, გ. მ-შვილს.

სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილად იქნა მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ქ. თბილისის საბურთალოს რ-ნის პრეფექტურის 1991 წლის 27 ნოემბრის განკარგულებით შეიქმნა ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა «... II შესახვევი №12-14»; ამხანაგობის გარდაცვლილი წევრის რ. ლ-რის ნაცვლად ამხანაგობის წევრად მიღებულ იქნა მ. გ.შვილი; ქ. თბილისის საბურთალოს რ-ნის გამგეობის 2000 წლის 22 ნოემბრის №11.8.142 გადაწყვეტილებით დამტკიცდა ქ. თბილისში, ... მე-2 შესახვევის №12/14-ში მალღივი კორპუსის ექსპლუატაციაში მიღების აქტი, ხოლო გამგეობის 2000 წლის 22 ნოემბრის №10.11.144 გადაწყვეტილებით ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობის წევრებს დაუმტკიცდათ ბინები, მათ შორის, მ. გ-შვილს - ბინა №2; ამხანაგობის ცალკეულ წევრთა საკუთრება მათთვის გამოყოფილ ბინებზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებული არ არის; ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა «... II შესახვევი №12-14-ის» წევრთა 2004 წლის 17 აგვისტოს საერთო კრების გადაწყვეტილებით მ. გ-შვილი გარიცხულ იქნა ამხანაგობის წევრობიდან შესატანის გადაუხდელობის გამო; ამხანაგობის თავმჯდომარე თ. ყ-იანს დაევალა მ. გ-შვილის მესაკუთრეთა სიიდან ამორიცხვა და ბინა №2-ის ამხანაგობის წევრთა საერთო საკუთრებაში აღრიცხვა; მ. გ-შვილს ერთობლივ საქმიანობაში (ამხანაგობაში) ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესატანი არ განუხორციელებია.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 208-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, მრავალბინიან სახლებში არსებობს საკუთრების უფლება ბინაზე (ბინის საკუთრება) და შენობის იმ ნაწილზე, რომელიც არ გამოიყენება ბინად (არასაცხოვრებელი ფართის საკუთრება). ამავე კოდექსის 210-ე მუხლით, ბინაზე ინდივიდუალური საკუთრების უფლების შექმნის ან შეწყვეტისათვის აუცილებელია სანოტარო წესით დამოწმებული გარიგება და მისი რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. კანონის დასახელებულ დებულებათა შინაარსიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ კანონმდებელმა აღნიშნული ნორმებით გათვალისწინებული ურთიერთობის სუბიექტის განსაზღვრის მაკვალიფიცირებელ გარემოებად მიიჩნია სათანადო წესით რეგისტრირებული ინდივიდუალური საკუთრების უფლების ობიექტის არსებობა, რომლის მიხედვით დადგინდება თითოეული მესაკუთრის წილი არასაცხოვრებელ ფართზე.

იმის გათვალისწინებით, რომ მოცემულ შემთხვევაში საცხოვრებელი კორპუსის ცალკეულ ბინებზე საჯარო რეესტრში ამხანაგობის წევრთა ინდივიდუალური საკუთრების უფლება რეგისტრირებული არ

იყო, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ ამხანაგობის წევრთა შორის ურთიერთობათა დასარეგულირებლად სამოქალაქო კოდექსის 208-ე-232-ე მუხლები ვერ გამოიყენებოდა.

საქალაქო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ბინის მესაკუთრენი არ უნდა ყოფილიყვნენ გამოიჯნული მომავალი მესაკუთრეებისგან, სააპელაციო სასამართლოს მიერ არ იქნა გაზიარებული. ის, რომ ქვედგომი ინსტანციის სასამართლოს აღნიშნული დასკვნა სამოქალაქო კოდექსის 1512-ე მუხლს ეყრდნობოდა, რომლითაც 1997 წლის 25 ნოემბრიდან გაუქმებულად ჩათვალა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივები და მათ უფლებამონაცვლებად მიჩნეულ იქნა ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობები, არ ქმნიდა ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობების მიმართ სამოქალაქო კოდექსის 208-ე-232-ე მუხლების გამოყენების სამართლებრივ საფუძველს, რამდენადაც ზემომითითებული ნორმით განისაზღვრა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების და არა ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობების უფლებამონაცვლეობის საკითხი.

საქმეზე დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა «... II შესახვევი №12-14-ის» წევრთა შორის ურთიერთობა გრძელდებოდა 1997 წლის 25 ნოემბრის (ახალი სამოქალაქო კოდექსის ძალაში შევლის) შემდგომაც. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, სადავო სამართალურთიერთობა თავისი არსით წარმოადგენდა ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებას. სამოქალაქო კოდექსის 930-ე მუხლის მიხედვით, ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებით ორი ან რამდენიმე პირი კისრულობს, ერთობლივად იმოქმედოს საერთო სამეურნეო ან სხვა მიზნების მისაღწევად ხელშეკრულებით განსაზღვრული საშუალებებით იურიდიული პირის შეუქმნელად. ამავე კოდექსის 932-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მონაწილეებმა უნდა შეიტანონ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესატანები. რამდენადაც მ. გ-შვილს ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებით გათვალისწინებული სავალდებულო შესატანი არ განუხორციელებია, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ მას არ წარმოშობია ამხანაგობის მიმართ სადავო ბინის მოთხოვნის უფლება, ხოლო ამხანაგობას - მ. გ-შვილისათვის ბინის გადაცემის ვალდებულება.

სააპელაციო სასამართლო არ დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებას იმის თაობაზე, რომ მიზნის მიღწევის გამო, დავის განხილვის დროისათვის, შეწყვეტილ იქნა მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა, ვინაიდან ამხანაგობის მიერ საერთო მიზნის მიღწევა არ წარმოადგენდა საკმარის საფუძველს ერთობლივი საქმიანობის შესახებ ხელშეკრულების შეწყვეტისათვის. სამოქალაქო კოდექსის 940-ე მუხლი, რომელიც ხელშეკრულების შეწყვეტის წესს განსაზღვრავდა, ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტას უკავშირებდა შეუსრულებელი გარიგებების დასრულებას და დარჩენილი ქონების მონაწილეთა შორის განაწილებას, რა დროსაც დაფარული უნდა ყოფილიყო ერთობლივი საქმიანობის შედეგად წარმოშობილი ვალეები.

სააპელაციო სასამართლომ საქმეში არსებულ მასალებზე დაყრდნობით, დადგენილად მიიჩნია, რომ ამხანაგობის წევრებს (მოსარჩელები) თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 21 ივლისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით შპს «მერცხალის» სასარგებლოდ დაეკისრათ 90624 ლარის, შპს «მერცხალის» მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის - 2718 ლარის და ადვოკატის მომსახურების თანხის - 400 ლარის გადახდა. აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე 2007 წლის სექტემბრიდან მიმდინარეობდა სააღსრულებო წარმოება. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა «... II შესახვევი №12-14-ის» წევრებს ერთობლივი საქმიანობა შეწყვეტილი არ ჰქონდათ.

მ. გ-შვილის ამხანაგობის წევრად მიღებით მხარეთა შორის ერთობლივი საქმიანობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობილად მიჩნევის პირობებში, ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა «... II შესახვევი №12-14-ის» 2004 წლის 17 აგვისტოს საერთო კრების გადაწყვეტილებით მ. გ-შვილის ამხანაგობიდან გარიცხვა სამართლებრივი თვალსაზრისით ნიშნავდა მასთან ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების შეწყვეტას, რაც სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის შესაბამისად, მართლზომიერ ქმედებას წარმოადგენდა, ვინაიდან დადგენილი იყო, რომ მ. გ-შვილმა დაარღვია ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სავალდებულო შესატანის გადახდის ვალდებულება.

სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე 405-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების არსებობისას უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ (ნატურით დაბრუნება). კანონის აღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ ამხანაგობას გააჩნდა მ. გ-შვილისაგან სადავო ბინის გამოთხოვის უფლება.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა იმ გარემოებაზეც, რომ მ. გ-შვილს მასთან ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ ამხანაგობის ნების გამოვლენა (ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა «... II შესახვევი №12-14-ის» წევრთა 2004 წლის 17 აგვისტოს საერთო კრების გადაწყვეტილება) სადავოდ არ გაუხდია და რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2006 წლის 4 ოქტომბრის განჩინებით მ. გ-შვილს უარი ეთქვა საკასაციო საჩივრის განსახილველად მიღებაზე იმ საფუძველით, რომ იგი ამხანაგობის წევრს არ წარმოადგენდა.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მ. გ-შვილს არ გააჩნდა ამხანაგობის წევრთა საერთო სარგებლობაში არსებული ქონების ფლობის რაიმე სამართლებრივი საფუძველი და სამოქალაქო კოდექსის 159-ე მუხლის შესაბამისად, იგი ვერ იქნებოდა მიჩნეული ნივთის კეთილსინდისიერ მფლობელად.

მითითებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. გ-შვილმა (წარმომადგენელი დ. გ-იანია), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ მ. გ-შვილს ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სავალდებულო შესატანის გადახდის ვალდებულება არ შეუსრულებია, რამდენადაც საქმის მასალების ერთობლიობაში შეფასება ამგვარი დაკვნის გამოტანის საფუძველს არ იძლეოდა. ამხანაგობის ერთ-ერთმა წევრმა ნ. დ-ქემ დაადასტურა, რომ მ. გ-შვილის ნაცვლად ამხანაგობის თავმჯდომარეს გადასცა 10 000 აშშ დოლარი. აღნიშნული თანხა ნ. დ-ქის შენატანი ვერ იქნებოდა იმ მიზეზით, რომ მან ბინა გარანტიით მიიღო და შესაბამისად თანხის გადახდის ვალდებულება არ გააჩნდა. კასატორის არგუმენტაციას შენატანის განხორციელების შესახებ ის გარემოებაც ამყარებდა, რომ მ. გ-შვილი ამხანაგობის წევრად სწორედ ამხანაგობის ნების გამოვლენის საფუძველზე იქნა მიღებული, იგი საბურთალოს რ-ნის გამგეობის გადაწყვეტილებაშიც ამხანაგობის წევრად ფიგურირებდა. შესატანის გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სრულიად ბუნებრივია, რომ მ. გ-შვილს ამხანაგობის წევრად არავინ მიიღებდა.

კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ მოდავე მხარეთა შორის მტკიცების ტვირთი არასწორად გაანაწილა. ის გარემოება, რომ მ. გ-შვილს ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სავალდებულო შესატანის გადახდის ვალდებულება არ შეუსრულებია, მოსარჩელეს უნდა დაედასტურებინა, რადგან მან მ. გ-შვილი ამხანაგობაში თავისი ნებით გააწევრიანა. აღნიშნულის შემდგომ მოპასუხეს სადავო ბინაზე მფლობელობა მართლზომიერად წარმოეშვა.

კასატორის განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის 932-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, შესატანის შეტანის ვალდებულება ამხანაგობაში გაწევრიანების ძირითად პირობას წარმოადგენს, რის გარეშეც მ. გ-შვილი ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა «... II შესახვევი №12-14-ში» ვერ გაწევრიანდებოდა. ამხანაგობის წევრების მიერ მ. გ-შვილის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებს ერთადერთი მიზეზი გააჩნდა, რაც ამხანაგობის თავმჯდომარის მიერ ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების ანაზღაურებას უკავშირდებოდა. სხვაგვარად, გაუგებარია ამხანაგობის ამჟამინდელი წევრების მიერ გაკეთებული განცხადებები, კერძოდ, ისინი თანხმანი არიან რომ მ. გ-შვილის ამხანაგობიდან გარიცხვის სანაცვლოდ ბინა თ. ყ-ს გადაეცეს.

კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა მ. გ-შვილის ამხანაგობიდან გარიცხვას და აღნიშნული გარემოება არასწორად გაუთანაბრა ამ უკანასკნელთან ხელშეკრულების შეწყვეტას. სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის პირველი ნაწილი ზოგადი ხასიათის ნორმას წარმოადგენს, რომელიც ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებიდან გასვლის წესს განსაზღვრავს და იგი არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ ურთიერთობაში, რომელიც სპეციალური ნორმებითაა მოწესრიგებული.

გარდა ზემოაღნიშნულისა, კასატორი სადავოდ ხდის ამხანაგობის ყველა წევრისათვის სასამართლო უწყების ჩაბარებასა და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით მათ მიწვევას საქმის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად, რაც მოცემული დავის საპროცესო ნორმების დარღვევით გადაწყვეტაზე მიუთითებს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის ფარგლებში საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 18 თებერვლის განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილი უდავო ფაქტობრივი გარემოებებია:

ქ. თბილისის საბურთალოს რ-ნის პრეფექტურის 1991 წლის 27 ნოემბრის განკარგულებით შეიქმნა ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა «... II შესახვევი 12/14»;

1998 წელს ამხანაგობის წევრად მიღებულ იქნა მ. გ-შვილი;

ქ. თბილისის საბურთალოს რ-ნის გამგეობის 2000 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილებით დამტკიცდა ქ. თბილისში, ... II შესახვევი №12/14-ში მალღივი კორპუსის ექსპლუატაციაში მიღების აქტი, ხოლო გამგეობის 2000 წლის 22 ნოემბრის №10.11.144 გადაწყვეტილებით ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობის წევრებს დაუმტკიცდათ ბინები, მათ შორის, მ. გ-შვილს - ბინა №2;

ამხანაგობის წევრების საკუთრება მათთვის გამოყოფილ ბინებზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებული არ არის;

ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა «... II შესახვევი 12/14-ის» წევრთა საერთო კრების 2004 წლის 17 აგვისტოს გადაწყვეტილებით მ. გ-შვილი გაირიცხა ამხანაგობის წევრობიდან შესატანის

გადაუხდელი გამო. ამხანაგობის თავმჯდომარეს დაევალა მ. გ-შვილის მესაკუთრეთა სიიდან ამორიცხვა და ბინა №2-ის ამხანაგობის წევრთა საერთო საკუთრებაში აღრიცხვა.

საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას მოცემულ სამართალური თვითობის მიმართ ერთობლივი საქმიანობის მარეგულირებელი ნორმების გამოყენების შესახებ. სააპელაციო სასამართლომ სწორად დაასაბუთა, რომ მოცემულ შემთხვევაში ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა «... II შესახვევი 12/14-ის» წევრთა შორის ურთიერთობა თავისი არსით წარმოადგენს ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებას, რომელსაც აწესრიგებს სამოქალაქო კოდექსის ოცდამეხუთე თავი. სააპელაციო სასამართლომ სწორად შეაფასა, რომ ამ შემთხვევაში ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის წევრებს შორის ურთიერთობათა მომწესრიგებელი ნორმები (სამოქალაქო კოდექსის 208-ე-232-ე მუხლები ადრინდელი რედაქციით) ვერ იქნება გამოყენებული, რამდენადაც საცხოვრებელი კორპუსის ცალკეულ ბინებზე საჯარო რეესტრში ამხანაგობის წევრთა საკუთრების უფლება რეგისტრირებული არ არის. ამასთან, სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული დასაბუთების გამაქარწყლებელ არგუმენტებს საკასაციო საჩივარი არ შეიცავს.

საკასაციო სასამართლო ასევე იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებას იმის თაობაზე, რომ მ. გ-შვილს ერთობლივ საქმიანობაში (ამხანაგობაში) ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესატანი არ განუხორციელებია და თავისი, როგორც ამხანაგობის წევრის ვალდებულება არ შეუსრულებია. ამასთან დაკავშირებით კასატორს წარმოყენებული არა აქვს დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია. მ. გ-შვილმა ვერ წარადგინა წერილობითი მტკიცებულება მის მიერ თანხის დაფარვის შესახებ. გარდა ამისა, მ. გ-შვილს არ მიუძღრთავს სხვა სახის მტკიცებულებებით, მაგალითად, მოწმეთა ჩვენებების გზით და სხვა, აღნიშნული ფაქტის დადასტურებისა და თავისი წილი მტკიცების ტვირთის დასაბუთებისთვის. ამასთან დაკავშირებით კასატორი ვერ უთითებს, თუ რა მტკიცებულება არ გამოიკვლია სააპელაციო სასამართლომ ან მისი რომელი შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა. კასატორი აღნიშნავს მხოლოდ იმას, რომ მ. გ-შვილის მიერ თანხის გადახდას ადასტურებს ამხანაგობის სხვა წევრი - ნ. დ-მე, რომელმაც 10.000 აშშ დოლარი გადასცა ამხანაგობის თავმჯდომარე თ. ყ-ს, და ასევე იმას, რომ რ. ღ-ს თავის დროზე გადახდილი ჰქონდა 180.000 რუსული რუბლი, რომლის უფლებამონაცვლევ მ. გ-შვილია. კასატორის აღნიშნული მსჯელობა არ წარმოადგენს დასაბუთებულ საკასაციო პრეტენზიას. საქმის მასალებში არ მოიპოვება ნ. დ-მის აღნიშნული განმარტება, კასატორი ვერ ადასტურებს, რომ ნ. დ-მემ ნამდვილად გადასცა ამხანაგობის თავმჯდომარეს მ. გ-შვილის ნაცვლად რაიმე თანხა. კასატორი ვერც იმას ადასტურებს, რომ რ. ღ-ს შეტანილი ჰქონდა თანხა და რომ მ. გ-შვილი რ. ღ-ის მეგვიდრეა.

საკასაციო სასამართლო ასევე არ იზიარებს კასატორის მსჯელობას, რომ მტკიცების ტვირთი თანხის შეტანასთან დაკავშირებით აწევს ამხანაგობას და არა მას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოცემულ შემთხვევაში საკითხი ეხება ამხანაგობის წევრის მიერ განხორციელებული მოქმედების დადასტურებას (შენატანის შეტანა), რომლის არსებობაც მან უნდა დაადასტუროს. ამასთან, მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში კასატორი ასევე ვერ ადასტურებს, რომ მასა და ამხანაგობას შორის არსებობდა შეთანხმება ამხანაგობაში მხოლოდ შენატანის განხორციელების შემდეგ გაწევრიანების შესახებ და რომ მოცემულ ამხანაგობაში წევრად მიღება შენატანის შემდგომში შესრულების პირობით არ დაიშვებოდა.

საკასაციო სასამართლო ასევე არ იზიარებს კასატორის მსჯელობას, რომ ამხანაგობიდან გარიცხვას არ იცნობს სამოქალაქო კოდექსი და ამხანაგობიდან გარიცხვა არ დაიშვება. სამოქალაქო კოდექსის ნორმები საერთო საქმიანობის ხელშეკრულების შესახებ ამხანაგობიდან გარიცხვის საკითხზე მართლაც არ შეიცავს მითითებას, მათ შორის, არც კრძალავს მას. ეს სრულიად ბუნებრივია, რამდენადაც მოცემული ურთიერთობა სახელშეკრულებო ურთიერთობაა და მისი ყოვლისმომცველი მოწესრიგება მხოლოდ კონკრეტული ხელშეკრულების მომწესრიგებელი სამოქალაქო კოდექსის კერძო ნაწილის ნორმებით არ შემოიფარგლება. სააპელაციო სასამართლომ სწორად განმარტა, რომ ამხანაგობიდან გარიცხვა მოცემულ შემთხვევაში უთანაბრდება ხელშეკრულების შეწყვეტას ამხანაგობის წევრთან, რაც წარმოშობს სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრულ შედეგებს. ამხანაგობაში შენატანის განუხორციელებლობა კი წარმოადგენს იმ მართლზომიერ საფუძველს, რომლის გამოც ამხანაგობის წევრთან საერთო საქმიანობის ხელშეკრულების შეწყვეტა ამხანაგობას შეუძლია.

კასატორი ასევე აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ სააპელაციო სასამართლოში ამხანაგობის ყველა წევრს არ ჩაბარებია უწყება და ისინი კანონით დადგენილი წესით არ იყვნენ მიწვეული საქმის განხილვაში, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტით გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია. საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება კასატორს აღნიშნულთან მიმართებაში. მოცემულ შემთხვევაში კასატორი ითხოვს გადაწყვეტილების გაუქმებას იმ მოტივით, რომ მისი მოწინააღმდეგე მხარე არ იყო მიწვეული კანონით დადგენილი წესით სასამართლო სხდომაზე. კასატორი, იმავდროულად, ვერ მიუთითებს, ამით რა უფლება შეეღაზა მას და როგორ დაირღვა მისი ინტერესები. 394-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტით გადაწყვეტილების გაუქმება შეიძლება მოითხოვოს მხარემ, რომლის უფლებაც სასამართლო სხდომაზე მოუწვევლობით შეიღაზა და რომელსაც სასამართლო განხილვაზე ხელმისაწვდომობა დაერღვა. ამასთან, საქმის მასალებით დასტურდება, რომ სააპელაციო

სასამართლოს 2008 წლის 18 თებერვლის სხდომაზე ამხანაგობის წევრები კანონით დადგენილი წესით იყვნენ მიწვეულნი.

რაც შეეხება ქ. თბილისის საბურთალოს რ-ნის გამგეობის 2000 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილებას, რომლითაც ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობის წევრებს დაუმტკიცდათ ბინები, რომელზეც კასატორი მიუთითებს, მისი არსებობა არ ართმევს ამხანაგობას უფლებას, შეწყვიტოს ამხანაგობის ხელშეკრულება ამ გადაწყვეტილებაში მითითებულ რომელიმე წევრთან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს და უცვლელად ტოვებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დაადგინა:

მ. გ-შვილის (წარმომადგენელი დ. გ-ია) საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილება;
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

6. უსაფუძვლო გამდიდრება

ზიანის ანაზღაურების ვალდებულება

განჩინება

№ ას-24-379-07

20 ივნისი, 2007 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
თ. თოდრია (მომხსენებელი),
რ. ნადირიანი

დავის საგანი: თანხის დაკისრება (სარჩელში).

აღწერილობითი ნაწილი:

1997 წლის 13 ოქტომბერს დ. ო-ა თ. და მ. ბ-ებს, ზეპირი გარიგების საფუძველზე, შეუთანხმდა, რომ 70000 აშშ დოლარად შეიძენდა მათ კუთვნილ ბინას თბილისში, ... ქ. №5-ში. მხარეთა მოლაპარაკების შესაბამისად, დ. ო-ას ბინის საფასური უნდა გადაეხადა 1998 წლის 30 მაისამდე. 1997 წლის 13 ოქტომბერს დ. ო-ამ ვალდებულება იკისრა, 1997 წლის 1 ნოემბრიდან 30 მაისამდე თ. ბ-ასთვის გადაეხადა ბინის საფასური 70000 აშშ დოლარი თვეში 15-20000 აშშ დოლარის ოდენობით. ამასთან, ვადაგადაცილებისათვის დ. ო-ას ყოველი თვის ბოლოს ბ-ასთვის უნდა გადაეხადა გადაუხდელი თანხის 2%.

ვინაიდან დ. ო-ამ დათქმულ ვადაში ვერ შეძლო თანხის მთლიანად გადახდა, ნასყიდობის ხელშეკრულება მხარეებს შორის არ გაფორმდა და ბინა დაუბრუნდა თ. და მ. ბ-ებს. დ. ო-ამ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა, თ. და მ. ბ-ებს დაკისრებოდათ გადახდილი 60000 აშშ დოლარის უკან დაბრუნება.

ქ. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 4 მაისის გადაწყვეტილებით დ. ო-ას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - თ. და მ. ბ-ებს დ. ო-ას სასარგებლოდ გადასახდელად დაეკისრათ 37000 აშშ დოლარის გადახდა, ხოლო დანარჩენ 22800 აშშ დოლარის ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ.

თ. და მ. ბ-ებმა შეგებებული სარჩელით მიმართეს სააპელაციო პალატას და მოითხოვეს 1997 წლის ოქტომბრიდან ერთი წლის განმავლობაში სადავო სახლის სასტუმროდ გამოყენების შედეგად მიღებული სარგებლის - 69000 აშშ დოლარის დაკისრება, ასევე, სახლის არასწორი ექსპლუატაციის გამო მიყენებული ზარალის - 1000 აშშ დოლარის ანაზღაურება, ბინის უსაფუძვლო დაყადაღებისათვის - 40000 აშშ დოლარის, მკურნალობის ხარჯებისათვის - 2000 აშშ დოლარის, ბანკის კრედიტით სარგებლობის გამო მიყენებული ზიანისათვის - 18400 აშშ დოლარის, მორალური ზიანისათვის კი 50000 აშშ დოლარის დ. ო-თვის დაკისრება.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2001 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით თ. და მ. ბ-ებს გადასახდელად დაეკისრათ 17200 აშშ დოლარის გადახდა, დანარჩენ ნაწილში სარჩელს ეთქვა უარი.

მოცემული სამოქალაქო დავა არაერთგზის განიხილეს ზემდგომი ინსტანციების სასამართლოებმა, ბოლოს კი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 10 ოქტომბრის განჩინებით, მ. და თ. ბ-ების საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 22 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და ამავე სასამართლოს 2005 წლის 23 თებერვლის განჩინება გაუქმდა და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს შესაბამის პალატას.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232-ე მუხლით, დაუსწრებელი გადაწყვეტილება იმ შემთხვევაში უნდა იქნეს გამოტანილი, თუ გამოცხადებული მხარე უარს აცხადებს საქმის განხილვაში მონაწილეობაზე, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ საქმის განხილვა დაიწყო და მხარე შემდეგ განაცხადებს უარს საქმეში მონაწილეობაზე, სასამართლომ საქმის მასალების მიხედვით უნდა გამოიტანოს დასაბუთებული გადაწყვეტილება. საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი არ შეიძლება გახდეს მხარის მიერ სასამართლოსადმი უპატივცემულობის გამოხატვა (თუნდაც სხდომის მიტოვება). ასეთი ქმედების მიმართ სასამართლომ უნდა გაატაროს კანონით დადგენილი სხვა ღონისძიებები. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება იურიდიულად დაუსაბუთებელია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით გაუქმდა ქ.თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 4 მაისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება - დ. ო-ას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მ. და თ. ბ-ებს სოლიდარულად დაეკისრათ დ. ო-ას სასარგებლოდ 53 866 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა, დანარჩენ ნაწილში დ. ო-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა; თ. და მ. ბ-ების შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ დადგინოდა ცნო, რომ დ. ო-ამ ბ-ებს ბინის საფასურში გადაუხადა 17 200 აშშ დოლარი. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა დ. ო-ას მოსაზრება თ. და მ. ბ-ებისათვის ბინის საფასურში 60 000 აშშ დოლარის გადაცემის თაობაზე. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველ და მესამე ნაწილებზე და განმარტა, რომ თანხის გადაცემა უნდა დადასტურდეს წერილობითი დოკუმენტით და ის არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დ. ო-ას არ წარმოუდგენია მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ მან თ. და მ. ბ-ებს გადაუხადა არა მათ მიერ აღიარებული 17 200 აშშ დოლარი, არამედ 60 000 აშშ დოლარი. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ მხარეთა შორის არსებობს კონდიციური ვალდებულებითი ურთიერთობა, რომელიც გულისხმობს უსაფუძვლოდ მიღებული ქონების დაბრუნებას. შეგებებულ სარჩელთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ დ. ო-ა სადავო ბინას ფლობდა 1997 წლის ოქტომბრიდან 1998 წლის ოქტომბრამდე. სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგინოდა ცნო, რომ დ. ო-ა სადავო ბინას იყენებდა სასტუმროდ. სასამართლოს მოსაზრებით, ბ-ებმა ვერ დაადასტურეს, რომ დ. ო-ამ თბილისში, ... ქ. №5-ში მდებარე ბინის სასტუმროდ გამოყენებით მიიღო სარგებელი 41 400 აშშ დოლარის ოდენობით.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს თ. და მ. ბ-ებმა და მოითხოვეს მისი გაუქმება შემდეგი საფუძველით: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 981-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლოს უნდა დაეკისრებინა დ. ო-თვის პროცენტი იმავე გაანგარიშებით, რაც დააკისრა მათ, რადგან სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტის მიხედვით დ. ო-ა ერთი წლის მანძილზე ფლობდა სადავო ბინას, რომლის ღირებულება შეადგენს 70 000 აშშ დოლარს. კასატორები აღნიშნავენ, რომ აღნიშნული თანხის დ. ო-ას მიერ გადასახდელი პროცენტი შეადგენს 17500 აშშ დოლარს, რასაც უნდა გამოაკლდეს 17 200 აშშ დოლარი, ხოლო მიღებული სხვაობა - 300 აშშ დოლარის ოდენობით უნდა დაეკისროს დ. ო-ას მათ სასარგებლოდ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძველიანობისა და გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა-კანონიერების შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თ. და მ. ბ-ების საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს თ. და მ. ბ-ების შეგებებული სარჩელის არ დაკმაყოფილების ნაწილში, ხოლო დანარჩენ ნაწილში ძალაში უნდა დარჩეს სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 26 ოქტომბრის განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგინოდა, რომ მხარეთა შორის 1997 წლის 13 ოქტომბერს დაიდო ზეპირი გარიგება, რომლის თანახმადაც, თ. და მ. ბ-ებმა დ. ო-ას მიჰყიდეს ქ. თბილისში, ... ქ. №5-ში მდებარე თავისი კუთვნილი ბინა, რაშიც დ. ოდიშარიას 1998 წლის 30 მაისამდე უნდა

გადაეხადა 70 000 აშშ დოლარი თვეში 15-20 ათასი აშშ დოლარის ოდენობით, რაზედაც დაირიცხებოდა თანხის 2%.

სააპელაციო სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ მხარეებმა აღნიშნულის შესახებ გააფორმეს შინაურული ხელწერილი ანუ ხელშეკრულება არ გაფორმებულა 1964 წლის რედაქციის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით.

სააპელაციო სასამართლომ თ. და მ. ბ-ების აღიარებით დადგენილად მიიჩნია, რომ დ. ო-ამ ბინის საფასურში მათ გადაუხადა 17 200 აშშ დოლარი ნაწილ-ნაწილ. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ყოველთვიური 2% ბ-ებს უნდა დაეკისროს 1997 წლის 13 ოქტომბრიდან ნაწილ-ნაწილ გადახდილი თანხების შესაბამისად, რამაც შეადგინა - 36 666 აშშ დოლარი.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ 1997 წლის ოქტომბრიდან, ე.ი ზეპირი გარიგების დადების მომენტიდან ცნობილი იყო, მათ შორის ბინის ნასყიდობის ხელშეკრულება არ იდებოდა კანონის მოთხოვნათა შესაბამისად. აქედან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ ბ-ები 1997 წლის ოქტომბრიდან უსაფუძვლოდ ფლობენ თანხას, რომელიც უნდა დაბრუნდეს იმ სარგებლით, რომელიც მათ მიიღეს ან უნდა მიეღოთ თანხის სწორად გამოყენებით.

შეგებებულ სარჩელთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ დ. ო-ა სადავო ბინას ფლობდა 1997 წლის ოქტომბრიდან 1998 წლის ოქტომბრამდე. სასამართლოს მიერ ასევე დადგენილია, რომ დ. ო-ა სადავო ბინას იყენებდა სასტუმროდ.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ბ-ებმა ვერ დაადასტურეს, რომ თბილისში, ... ქ. №5-ში მდებარე ბინის სასტუმროდ გამოყენებით დ. ო-ამ მიიღო სარგებელი 41 400 აშშ დოლარის ოდენობით.

თ. და მ. ბ-ები საკასაციო საჩივარში უთითებენ, რომ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 981-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლოს უნდა დაეკისრებინა დ. ო-თვის პროცენტი იმავე გაანგარიშებით, რაც დააკისრა მათ, რადგან, სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტის მიხედვით, დ. ო-ა ერთი წლის მანძილზე ფლობდა სადავო ბინას, რომლის ღირებულება შეადგენს 70 000 აშშ დოლარს, კასატორები აღნიშნავენ, რომ აღნიშნული თანხის დ. ო-ას მიერ გადასახდელი პროცენტი შეადგენს 17500 აშშ დოლარს, რასაც უნდა გამოაკლდეს 17 200 აშშ დოლარი, ხოლო მიღებული სხვაობა 300 აშშ დოლარის ოდენობით უნდა დაეკისროს დ. ო-ას მათ სასარგებლოდ.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ბ-ებისათვის 53 866 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში სწორია.

საკასაციო პალატის აზრით, სააპელაციო სასამართლომ სწორად გამოიყენა და განმარტა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა« ქვეპუნქტი, რომლის თანახმად პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში.

კონკრეტულ შემთხვევაში, გარიგების ბათილობის გამო, არ არსებობს ვალდებულება (სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ხელშეკრულება არ დადებულა 1964 წლის რედაქციის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით).

აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების არარსებობის გამო მხარეთა შორის არ წარმოშობილა სამართლებრივი ურთიერთობა და ამდენად, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მიღებული მხარეებმა უნდა დაუბრუნონ ერთმანეთს. ამასთან ერთად, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ უსაფუძვლოდ გამდიდრების ინსტიტუტის მიზანს წარმოადგენს უსაფუძვლოდ, უსამართლოდ შექმნილი ქონების ამოღება, ანუ სამართლებრივი წონასწორობის აღდგენა, გაუმართლებლად შექმნილ ქონებაში იგულისხმება შეღავათის, უპირატესობის, უფლების ამოღება, ე.ი. ქონებრივი ნამატის ამოღება იმ პირის სასარგებლოდ, რომლის ხარჯზეც მოხდა სხვა პირის ქონების გაზრდა და არა ქონებრივი დანაკლისის შევსება.

აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ ქონების გადასვლა განხორციელდა სამართლებრივი საფუძვლის გარეშე. ანუ, ერთი მხრივ - მოხდა ვალდებულების გარეშე თანხის გადაცემა, ხოლო, მეორე მხრივ, ბინის. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა« ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ფრაზაში - „რაიმე გადასცა« ივარაუდება ერთი მხარის ხარჯზე მეორე მხარის გამდიდრება. კონკრეტულ შემთხვევაში სადავო ურთიერთობის ორივე მხარე უსაფუძვლოდ გამდიდრდა.

ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ ბ-ები სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ფლობდნენ ქ. ო-ასაგან მიღებულ თანხას 1997 წლის 13 ოქტომბრიდან, ე.ი. ზეპირი გარიგების დადების მომენტიდან ცნობილი იყო, რომ მათ შორის ბინის ნასყიდობის ხელშეკრულება არ იდებოდა კანონის მოთხოვნათა დაცვით, რაც ნიშნავს, რომ მხარეებისათვის ცნობილი იყო გარიგების სამართლებრივი ხარვეზის შესახებ. აღნიშნულის გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 981-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული პროცენტი წარმოადგენს უსაფუძვლოდ მიღებული თანხის სარგებელს მისი სწორად გამოყენების შემთხვევაში.

საკასაციო პალატა თვლის, რომ უსაფუძვლო გამდიდრების მიზანი არის სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შექმნილი ქონების (რომელშიც უნდა ვიგულისხმოთ უფლების ან გარკვეული შეღავათის, უპირატესობის) ამოღება, რითაც უნდა უზრუნველყოფილი იქნეს სამართლიანობის აღდგენა ანუ იმ მდგომარეობის აღდგენა, რომელიც იარსებებდა არაუფლებამოსილი პირის მიერ დაზარალებულის ხარჯზე გარკვეული შეღავათის, უფლების, უპირატესობის მიღებამდე.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლომ ბ-ებისათვის მიღებულ თანხაზე პროცენტის დაკისრების ნაწილში სწორად იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 981-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

ამასთან ერთად, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ განსახილველი ნორმა ხასიათდება გარკვეული თავისებურებებით.

საქართველოს საქმოქალაქო კოდექსის 981-ე მუხლის მე-2 ნაწილის მნიშვნელობის განხილვისას უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტში, უპირველეს ყოვლისა, დახასიათება უნდა მივცეთ იურიდიული პასუხისმგებლობის თავისებურებას, კერძოდ, უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტისათვის დამახასიათებელია იურიდიული პასუხისმგებლობის უფლება - აღდგენითი ფუნქცია, როდესაც უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად წარმოშობილი ვალდებულებები აკისრებენ ვალდებულ პირს კრედიტორის ადრინდელი ქონებრივი მდგომარეობის აღდგენას. უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტთან დაკავშირებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამოქალაქო კოდექსის 981-ე მუხლის მე-2 ნაწილს.

განსახილველი მუხლის პირველი ნაწილი უთითებს პასუხისმგებლობის თავისებურებებზე, რომლებიც უკავშირდებიან ამავე კოდექსის 979-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 980 მუხლით და ამავე კოდექსით გათვალისწინებულ სხვა წესებს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 981-ე მუხლი ითვალისწინებს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას ანუ აღდგენს პასუხისმგებლობის ზომას მიმღების ბრალის არსებობისას. ამ შემთხვევაში უნდა განისაზღვროს იურიდიული პასუხისმგებლობის წინაპირობები, კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილი აწესრიგებს ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ ვალდებულებას, რომლის თანახმად, თუ მიმღებმა მიღებისას იცოდა ან უხეში გაუფრთხილებლობის გამო მისთვის უცნობი იყო სამართლებრივი საფუძვლის ხარვეზის არსებობა და ამის შესახებ მოგვიანებით შეიტყობს, ან გადაცემის თაობაზე მოთხოვნა მიღებულია სასამართლო წარმოებაში, მაშინ მიმღებს ეკისრება ვალდებულება ხარვეზის თაობაზე ცნობების მიღების ან სასამართლო წარმოებაში გადაცემის დროიდან ანუ აღნიშნული ნორმის გამოყენების სამართლებრივი წინაპირობებია შემდეგი: ზიანის არსებობა; მიმღებმა იცოდა ან უხეში გაუფრთხილებლობის გამო მისთვის უცნობი იყო სამართლებრივი საფუძვლის ხარვეზის არსებობა, ან გადაცემის თაობაზე მოთხოვნა მიღებულია სასამართლო წარმოებაში. ამ შემთხვევაში კუმულაციურად უნდა არსებობდეს ზიანის, არამართლზომიერი ქმედებისა და მასში მიმღების ბრალის შესახებ არსებული იურიდიული ფაქტები. ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც უსაფუძვლო გამდიდრების მოვალე უფრო მკაცრ პასუხისმგებლობას ექვემდებარება, ვიდრე მხოლოდ მიღებულის დაბრუნება.

კონკრეტულ შემთხვევაში, სადავო ურთიერთობის თავისებურებიდან გამომდინარე, ყურადღებას ვამახვილებთ სამოქალაქო კოდექსის 979-ე მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებზე, რომლებიც ითვალისწინებენ როგორც იურიდიული პასუხისმგებლობის უფლებააღდგენით (მათ შორის საკომპენსაციო), ასევე „საჯარიმო“ ფუნქციებს. ამ შემთხვევაში აღნიშნული პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის, ზემოაღნიშნულის გარდა, უნდა არსებობდეს უსაფუძვლოდ მიღებული ქონებით შეძენილი, მიღებული სარგებელი, აგრეთვე, ყველა ის გარემოება, რაც მიუთითებს მიღებული საგნის განადგურებით, დაზიანებით ან ჩამორთმევით მიღებულ ანაზღაურებაზე, ასევე იურიდიული ფაქტები, რომლებიც მიუთითებენ გადაცემული საგნის დაბრუნების შეუძლებლობაზე.

აღნიშნულის გათვალისწინებით დავუბრუნდეთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 981-ე მუხლის მე-2 ნაწილს, რომელიც ასევე ითვალისწინებს იურიდიული პასუხისმგებლობის ე.წ „საჯარიმო“ და უფლებააღდგენით (ამ შემთხვევაში საკომპენსაციო) ფუნქციას. აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის უმთავრესი განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ მისი რეალიზაციისას დაზარებულს უნდა აუნაზღაურდეს ის სარგებელი, რომელიც მიმღებმა ვერ მიიღო მეურნეობის არასათანადოდ გაძღოლის გამო და ამაში მიმღებს მიუძღვის ბრალი. კონკრეტულ შემთხვევაში მხედველობაში მისაღებია ის შემოსავალი, რომელიც უნდა მიღებულიყო სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარების შემთხვევაში. ამდენად, ყურადღება გამახვილებულია მიმღების ანუ უსაფუძვლოდ გამდიდრებული პირის შესაძლებლობებზე, კერძოდ, აღნიშნული ნორმის კვალიფიკაციისათვის უნდა არსებობდეს გარემოება, როდესაც ქონების მიმღებს მისი ნორმალური სამეურნეო გაძღოლის შემთხვევაში შეეძლო მიეღო სარგებელი, მაგრამ ეს არ გააკეთა ბრალეული ქმედებით. ამ შემთხვევაში მტკიცების ტვირთის მატარებელია დაზარალებული, რომელმაც უნდა დაადასტუროს მიმღების ბრალი მიღებული ქონების არასათანადოდ გაძღოლისა და ამის შედეგად მოგების არმიღების შესახებ ფაქტობრივი გარემოებები საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად.

ბრალის განმსაზღვრელი კრიტერიუმები, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია თვით ამ ქონების თავისებურებებთან, მისი ბრუნვაუნარიანობასთან და „საშუალო“ მესაკუთრის მიერ ამ ქონების ჩვეულებრივი სამეურნეო მიზნებით მოხმარებასთან ანუ ამ ქონების თავისებურებიდან გამომდინარე, შესაძლებელი უნდა იყოს „საშუალო“ მესაკუთრის მიერ მისმა სათანადო სამეურნეო გაძღოლამ მას მოუტანოს სარგებელი. «საშუალო» მესაკუთრეში ივარაუდება მესაკუთრე, რომელსაც შეუძლია მიიღოს ამ ქონებიდან სარგებელი თავისი პირადი და განსაკუთრებული თვისებების გარეშე. სარგებელი, რომელიც შესაძლებელია მიღებულ იქნეს ამ ქონების ჩვეულებრივი მოხმარების შედეგად, მაგრამ განსხვავებული შემთხვევა გვაქვს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 981-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-

2 წინადადებით გათვალისწინებულ ფულად ვალზე პროცენტის გადახდის ვალდებულების წარმოშობის დროს.

კანონის ნორმა იმპერატიულად მოითხოვს, რომ ფულად ვალზე გადახდილ უნდა იქნეს პროცენტი. აღნიშნული იმპერატიულობა დაკავშირებულია ამ (ფულის) ქონების თავისებურებებთან, რაც უნდა განვასხვავოთ სხვა ქონებრივი ურთიერთობების ობიექტებისაგან, კერძოდ, როდესაც ყურადღებას ვამახვილებთ ფულად საშუალებებზე (ფულზე) მხედველობაში უნდა მივიღოთ ამ ქონების უნიკალური თვისება, რაც ნიშნავს იმას, რომ ფულადი სახსრები, როგორც საყოველთაო ეკვივალენტი, შესაძლებელია გაცვილილ იქნეს ქონებრივი ურთიერთობების თითქმის ნებისმიერ ობიექტზე, რომელიც ატარებს სასყიდლიან ხასიათს, ანუ ფულადი სახსრების საშუალებით შეიძლება დაიფაროს თითქმის ყველა ვალი. ზუსტად ამ ქონების უნიკალური თვისებიდან გამომდინარე, ივარაუდება, რომ ფულად საშუალებებს ყოველთვის შეუძლია მოუტანოს სარგებელი მის მესაკუთრეს. ამდენად, ისეთი ქონების მიღების დროს როგორცაა ფული, უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტის მიხედვით, მისმა მიმღებმა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უნდა დაადასტუროს, რომ ამ ქონებამ (ფულმა) მას არანაირი სარგებელი მოუტანა, რაშიც მას ბრალი არ მიუძღვის, ანუ მისთვის შეუძლებელი იყო ამ ქონებიდან სარგებლის მიღება. წინააღმდეგ შემთხვევაში ივარაუდება, რომ შესაძლებელი იყო ფულად სახსრებს მოეტანა მიმღებისათვის სარგებელი, რაც მან ბრალეულად არ მიიღო მისი არასათანადოდ გაძლოის შედეგად. ზუსტად ამ ქმედების შედეგად არმიღებული შემოსავალი, რაც უნდა მიღებულიყო ფულადი სახსრებით სათანადო გაძლოის გზით, წარმოადგენს მიყენებულ ზიანს. კონკრეტულ შემთხვევაში ბ-ები არ უთითებენ და ვერ ადასტურებდნენ იმ გარემოებებს, თუ რატომ არ უნდა დაეკისროთ პროცენტი უსაფუძვლოდ მიღებულ ფულად სახსრებზე.

ამრიგად, განსახილველი ნორმა განსხვავდება უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტისათვის დამახასიათებელი საერთო მიზნისაგან. აღნიშნული ნორმა ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როდესაც უსაფუძვლოდ გამდიდრებულ პირს ეკისრება არმიღებული ქონების ანაზღაურება.

საკასაციო პალატა თვლის, რომ პროცენტის დაკისრების ნაწილში არსებობს ყველა ის სამართლებრივი წინაპირობა, რომელიც აუცილებელია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 981-ე მუხლის მეორე ნაწილის გამოყენებისათვის, კერძოდ, ქ. ო-თვის ბ-ების მიერ უსაფუძვლოდ (ბათილი გარიგების საფუძველზე) თანხის მიღების ფაქტი; ამ თანხის დაუბრუნებლობის ფაქტი; ამ ქონების (ფულის) არასათანადოდ გაძლოით სარგებლის არმიღების ფაქტი, რაშიც ბრალი მიუძღვის მიმღებს (ბ-ებს); დ. ო-თვის ზიანის მიყენების ფაქტი, რაც გამოიხატა სარგებლის არმიღებაში, რომელიც მათ (ბ-ებს) ბრალეულად ვერ მიიღეს მეურნეობის არასათანადოდ გაძლოის შედეგად.

ამრიგად, საკასაციო პალატა თვლის, რომ ამ ნაწილშიც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება კანონს არ ეწინააღმდეგება.

ამასთან ერთად საკასაციო პალატა თვლის, რომ საკასაციო განაცხადი შეგებულ მოთხოვნასთან დაკავშირებით საფუძვლიანია და ამ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს.

ბ-ების მიერ წარმოდგენილია დასაბუთებული პრეტენზია (შედავება) იმ ნაწილში, რომელიც ეხება მათ შეგებულ სასარჩელო მოთხოვნას ქ. ო-ას მიერ ქ. თბილისში, ... ქ. №5-ში მდებარე ბინის სასტუმროდ გამოყენების შედეგად მიღებული სარგებლის დაკისრების ნაწილში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორის მიერ ამ ნაწილში წარმოდგენილია დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია (შედავება). კონკრეტულ შემთხვევაში დასაბუთებული საკასაციო პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება და ამის შედეგად სამართლებრივ-მატერიალური ნორმის არასწორად გამოყენება ან განმარტება, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ქ. ო-ს სადავო ბინას ფლობდა ერთი წლის მანძილზე, 1997 წლის ოქტომბრიდან 1998 წლის ოქტომბრამდე. სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ ქ. ო-ს სადავო ბინას იყენებდა სასტუმროდ. ამასთან ერთად, სააპელაციო სასამართლოს აზრით, ბ-ები ვერ ადასტურებენ, თუ რა დატვირთვით მუშაობდა სასტუმრო ერთი წლის მანძილზე.

ამრიგად, სასამართლოს მიერ დადგენილია მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის თანახმად ქ. ო-ს 1997 წლის ოქტომბრიდან 1998 წლის ოქტომბრამდე იღებდა სარგებელს ქ. თბილისში, ... ქ. №5-ში მდებარე ბინიდან, მაგრამ ამასთან ერთად სასამართლომ მიიჩნია, რომ არ დასტურდება კონკრეტულად რა სარგებელი მიიღო ო-მ ამ ბინის გაქირავებით. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ თ. და მ. ბ-ების მიერ არ არის წარმოდგენილი მტკიცებულებები, რითაც ისინი დაადასტურებდნენ იმ ფაქტს, რომ დ. ო-მ, თბილისში, ... ქ. №5-ში მდებარე ბინის სასტუმროდ გამოყენებით მიიღო სარგებელი 41.400 აშშ დოლარის ოდენობით.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, ბ-ების შეგებული სარჩელის გათვალისწინებით, განსახილველი სამართლებრივი ურთიერთობა გულისხმობს არა იმ შემოსავალს, რომელსაც მიიღებდა ბინის მოსარგებლე, არამედ ამ ბინის სარგებლობით უკვე მიღებულ სარგებელს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში მხარეთა შორის დავას იწვევს სასტუმროდ (გაქირავების) გამოყენების შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები დამქირავებლების რაოდენობა, ქირავნობის ღირებულება, ქირავნობის ხანგრძლივობა (ანუ ხელშეკრულება გრძელდებოდა ერთი წლის მანძილზე შეუწყვეტლად თუ გარკვეული პერიოდებით და ამასთან საბოლოოდ რა თანხის მოგება მიიღო ო-ამ).

აღნიშნული იურიდიული ფაქტების შეფასება ჩვენ გვაძლევს შესაძლებლობას, რომ გავაკეთოთ დასკვნა სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა უფლება-ვალდებულებების შესახებ, მაგრამ მხოლოდ მტკიცებულებათა შეფასებით, რომლითაც დგინდება აღნიშნული იურიდიული ფაქტები, შესაძლებელია სწორი წარმოდგენა შეგვექმნას აღნიშნულ ფაქტებზე.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში ასევე აღნიშნულია, რომ დ. ო-ას მიერ სასტუმროდ ერთი წლის მანძილზე ბინის ოთხ უცხოელზე 60 აშშ დოლარად ბინის გაქირავების ფაქტი არ შეიძლება დადასტურდეს მოწმეთა ჩვენებებით, ვინაიდან ეს გარემოება, კანონის თანახმად, უნდა დადასტურდეს გარკვეული წერილობითი მტკიცებულებებით.

ამასთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ მოსაზრებას და განმარტავს, რომ აღნიშნული გარემოებები შეიძლება დადასტურდეს მოწმეთა ჩვენებებით. კერძოდ, კონკრეტულ შემთხვევაში ბინის სასტუმროდ გამოყენების შედეგად წარმოშობილ ურთიერთობებზე ვრცელდება ქირავნობის ინსტიტუტი. სამოქალაქო კოდექსის 531-ე მუხლის თანახმად, ქირავნობის ხელშეკრულებით დამქირავებელი მოვალეა დამქირავებელს სარგებლობაში გადასცეს ნივთი განსაზღვრული ვადით. დამქირავებელი მოვალეა დამქირავებელს გადაუხადოს დათქმული ქირა. კანონით არ არის განსაზღვრული ქირავნობის ხელშეკრულების ფორმა, ამდენად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 69-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, შესაძლებელია მისი დადება როგორც ზეპირად, ისე წერილობით. განსახილველი ნორმის საფუძველზე მხარეთა ნებაზე დამოკიდებული კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა დაუკავშირონ წერილობით თუ ზეპირ გარიგებას.

ე.ი. აღნიშნული სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობისათვის არ არის აუცილებელია წერილობით გარიგების დადება და მისი დაუცველობა არ იწვევს გარიგების ბათილად ცნობას, ანუ კონკრეტულ შემთხვევაში მატერიალურ-სამართლებრივი ნორმით არ არის გათვალისწინებული მხოლოდ წერილობითი ხელშეკრულების არსებობა, რომლის დადასტურებაც შესაძლებელი იქნებოდა გარკვეული წერილობითი მტკიცებულებებით (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილი). იმ შემთხვევაში თუ მატერიალურ-სამართლებრივი ნორმით კონკრეტული ურთიერთობის რეგულირებისათვის გათვალისწინებულია გარიგების ზეპირი ფორმა (თუ სხვა რამ არ არის დადგენილი კანონით), ამ გარიგების არსებობა შეიძლება დადასტურდეს მოწმეთა ჩვენებებით. ამრიგად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს უნდა შეეფასებინა საქმეში არსებული მოწმეთა ჩვენებები და გამოერკვია დ. ო-ას მიერ ქონებიდან მიღებული სარგებლის ოდენობა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 981-ე მუხლის მე-2 ნაწილის ბოლო წინადადების თანახმად საგნიდან მიღებული შემოსავალი უნდა დაბრუნდეს.

მაგრამ, ამასთან ერთად საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ კონკრეტულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს არა ქირავნობის არსებობის შესახებ ფაქტი, არამედ ამ ქირავნობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ისეთი პირობების არსებობა, რითაც საბოლოოდ განსაზღვრულ უნდა იქნეს დ. ო-ას მიერ კონკრეტული სარგებლის მიღების ფაქტი. ანუ, საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებებს (რაც კასაციაში არ წარმოადგენს დავის საგანს) იმის შესახებ, რომ დ. ო-ა ერთი წლის მანძილზე ფლობდა თბილისში, ... ქ. №5-ში მდებარე ბინას და სასტუმროდ იყენებდა ამ ბინას, ანუ ის გარემოება, რომ დ. ო-ა სასტუმროდ იყენებდა ამ ბინას, რაც გულისხმობს გარკვეული სარგებლის მიღების ფაქტს, სასამართლოს მიერ დადგენილია და აღნიშნული დავის საგანს საკასაციო სასამართლოში არ წარმოადგენს.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ შეფასება უნდა მისცეს საქმეში არსებულ მოწმეთა ჩვენებებს, გამოიკვლიოს თუ რამდენად დასტურდება ამ ბინის სასტუმროდ გამოყენების ხანგრძლივობა, დამქირავებლების რაოდენობა, ქირის ოდენობა.

იმ შემთხვევაში თუ მოწმეთა ჩვენებებით ვერ დადგინდება ქირის ოდენობა, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ანალოგიური ღირებულების და პირობების ბინის სასტუმროდ გაქირავების ფასი.

ამრიგად, სამოქალაქო პროცესში მტკიცებულებათა დასაშვებობის ინსტიტუტი დამოკიდებულია სამოქალაქო (მატერიალურ) - სამართლებრივ ნორმაზე და კონკრეტული მატერიალურ-სამართლებრივი ნორმით გათვალისწინებულ ფაქტობრივ გარემოებებზე.

სამოქალაქო პროცესში მტკიცებულებათა საშუალებების დაშვების ან ამორიცხვის საკითხი უნდა გადაწყდეს იმ ნებართვების თუ აკრძალვების მიხედვით, რაც გათვალისწინებულია მატერიალური ნორმით. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კონკრეტული ნორმით გათვალისწინებული იურიდიული ფაქტების (იურიდიული შემადგენლობის) შედეგად წარმოშობილი ურთიერთობების დასადასტურებლად, რაც საბოლოოდ წარმოადგენს სამართლებრივი ნორმით გათვალისწინებულ მაკვალიფიცირებელ ელემენტებს, აუცილებელია ისეთი მტკიცებულებების არსებობა, რომლებიც მოწმეთა ჩვენებებთან ერთობლიობაში უტყუარად მიუთითებენ ყველა ზემოაღნიშნული გარემოებებზე.

ამრიგად, საკასაციო პალატა თვლის, რომ მტკიცებულებათა დასაშვებობის წესების გამოყენების დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება მტკიცების საგნის დიფერენცირებას. კონკრეტულ შემთხვევაში, ისეთი ფაქტების დადგენას, რომლებიც დაკავშირებულია უშუალოდ ზეპირი გარიგებასთან (სასტუმროდ ბინის გაქირავების ხელშეკრულება), კერძოდ, ამ გარიგებით გათვალისწინებულ პირობებთან, უფლება-ვალდებულებებთან, შესრულებასთან და ა.შ, შეიძლება დადასტურდეს მოწმეთა ჩვენებებით. აღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ არა სწორად მიიჩნია, რომ დ. ო-ას მიერ სასტუმროდ ერთი წლის მანძილზე ბინის ოთხი უცხოელისათვის 60 აშშ დოლარად ბინის მიქირავების ფაქტი არ შეიძლება დადასტურდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით, ვინაიდან ეს გარემოება, კანონის თანახმად, უნდა დადასტურდეს გარკვეული წერილობითი მტკიცებულებებით.

ამასთან ერთად საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ბ-ების მოსაზრება იმის შესახებ, რომ დ. ო-ას უნდა დაეკისროს პროცენტი ბინის სარგებლობის გამო, რადგან მას მიღებულ თანხაზე დაეკისრა პროცენტი, სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 981-ე მუხლის მე-2 ნაწილი პროცენტის დაკისრებას ითვალისწინებს მხოლოდ ფულად ვალზე და არა უსაფუძვლოდ მიღებული სხვა ქონების არასათანადოდ სარგებლობისათვის. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ბ-ები ითხოვდნენ დ. ო-ასაგან, მათი ბინის სასტუმროდ გამოყენების გამო, უკვე მიღებული სარგებელს.

საკასაციო პალატა ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ დ. ო-ას მიერ უსაფუძვლოდ მიღებული ბინა მდებარე ქ. თბილისში, ... ქ. №5-ში, რომელსაც ფლობდა 1997 წლის ოქტომბრიდან 1998 წლის ოქტომბრამდე, დაუბრუნდა ბ-ებს, მიუხედავად ამისა, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კონდიციური მოთხოვნათა ინსტიტუტის გათვალისწინებით არ არის დაცული მხარეთა ქონებრივი ბალანსი. კონკრეტულ შემთხვევაში ფულად ვალზე პროცენტის დაკისრების შესახებ მოთხოვნის სწორი შეფასებასთან ერთად უნდა სწორი სამართლებრივი შეფასება სასამართლომ მისცეს ქონებიდან მიღებული სარგებლის შესახებ კონდიციური მოთხოვნების საფუძველიანობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს თ. და მ. ბ-ების შეგებებული სარჩელის ნაწილში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, ხოლო გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად, ვინაიდან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, კანონის მითითებულ დარღვევებს არა აქვს ადგილი; სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე და 412-ე მუხლებით და

დაადგინა:

თ. და მ. ბ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება თ. და მ. ბ-ების შეგებებული სარჩელის არ დაკმაყოფილების ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

დანარჩენ ნაწილში უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება;

მ. ბ-ას სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის გადახდა გადაედოს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

თანხის დაკისრება

განჩინება

№ას-643-973-07

21 ნოემბერი, 2007 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
თ. თოდრია (მომხსენებელი),
რ. ნადირიანი

დავის საგანი: თანხის დაკისრება.

აღწერილობითი ნაწილი:

გ. ჭ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე შპს „არილი 2000-ის» მიმართ და მოითხოვა მისთვის თანხის დაკისრება იმ საფუძველით, რომ სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მსუბუქი ავტომობილების ავტოსატრანსპორტო საწარმოსა და შპს „მეგობრობას» შორის 1996 წლის 25 მარტს დაიდო ხელშეკრულება ერთობლივი საქმიანობის შესახებ. ხელშეკრულების თანახმად, ერთობლივი საქმიანობის განხორციელების მიზნით, შპს „მეგობრობას» უნდა ესარგებლა ავტოსაწარმოს ადმინისტრაციული და სხვა შენობა-ნაგებობებით, თავის მიმდებარე ტერიტორიაზე საზღვარგარეთიდან შემოსული ავტოსატრანსპორტის სადღეღამისო სადგომის მოსაწყობად, ასევე, მძღოლებისა და მათი თანხმლები პირების მომსახურებისათვის. შენობა-ნაგებობების შეკეთებას ორივე მხარე აწარმოებდა ერთობლივი ფინანსებით.

ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილებით დადგინდა იქნა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი იმის შესახებ, რომ შპს „მეგობრობის» მიერ 1996, 1997, 1998 წლებში ქ.თბილისში, ... ქ. №2-ში მდებარე ავტოსატრანსპორტო საწარმოში ჩატარებულმა სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 93095 აშშ დოლარი, რაც იმდროინდელი ეროვნული ვალუტის კურსით შეადგენდა 119353 ლარს, რასაც ასევე ადასტურებს საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 2001 წლის 6 მარტის წერილი.

სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ავტოსაწარმოს სამართალმემკვიდრეს წარმოადგენს შპს „არილი 2000».

2001 წლის 8 აგვისტოს შპს „მეგობრობის» დირექტორ - შ. დ-ძესა და გ. ჭ-ძეს შორის გაფორმდა ხელშეკრულება მოთხოვნის დათმობის შესახებ, რომლითაც შპს „მეგობრობამ» გ. ჭ-ძეს გადასცა შპს „არილი 2000-ის» დავალიანების 93 095 აშშ დოლარის მოთხოვნის უფლება.

ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილებით გ. ჭ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხე შპს „არილი 2000-ს» დაეკისრა 93095 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა გ. ჭ-ძის სასარგებლოდ.

ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 11 ოქტომბრის განჩინებით კი ამავე სასამართლოს 2001 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილების გასაჩივრების განმარტების ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატაში სააპელაციო წესით ერთი თვის ვადაში დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს მეშვეობით გადაწყვეტილების მხარეთათვის გადაცემის დღიდან.

შპს „არილი 2000-მა» სააპელაციო საჩივარი შეიტანა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე.

ქ. თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2001 წლის 4 დეკემბრის განჩინებით შპს „არილი 2000-ის» სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი დაუშვებლობის გამო.

შპს «არილი 2000-მა» კერძო საჩივარი შეიტანა საოლქო სასამართლოს განჩინებაზე, რომელიც არ დაკმაყოფილდა სააპელაციო სასამართლოს მიერ და საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 16 ოქტომბრის განჩინებით შპს „არილი 2000-ის» დირექტორ ბ. დ-ნის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2001 წლის 4 დეკემბრის განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს. გ. ჭ-მემ 2002 წლის 13 ნოემბერს კერძო საჩივრით გაასაჩივრა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 11 ოქტომბრის განჩინება.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 6 დეკემბრის განჩინებით შპს „არილი 2000-ის» დირექტორის სააპელაციო საჩივარი დატოვებულ იქნა განუხილველად სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო.

შპს «არილი 2000-ის» დირექტორმა კერძო საჩივარი შეიტანა სააპელაციო პალატის განჩინებაზე, რომლითაც მისი სააპელაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 27 მარტის განჩინებით შპს „არილი 2000-ის» კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა - გაუქმდა ამ საქმეზე თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 6 დეკემბრის განჩინება; შპს „არილი 2000-ს» გადაედო სახელმწიფო ბაჟის გადახდა; შპს „არილი-2000-ის» სააპელაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი და განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით შპს „არილი 2000-ის» სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა: გაუქმდა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, გ. ჭ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

გ. ჭ-ძემ საკასაციო საჩივარი შეიტანა სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 10 ივნისის განჩინებით გ. ჭ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 24 ივნისის საოქმო განჩინება და თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე პალატას.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 23 ივლისის განჩინებით დაკმაყოფილდა გ. ჭ-ძის წარმომადგენელი დ. სუხიტვილის შუამდგომლობა, საქმე დაუბრუნდა ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს გ. ჭ-ძის კერძო საჩივრის განსახილველად ამავე სასამართლოს 2001 წლის 11 ოქტომბრის განჩინებაზე, შპს „არილი 2000-ის» სააპელაციო საჩივარზე შეჩერდა წარმოება რაიონულ სასამართლოში კერძო საჩივრის განხილვამდე.

ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 31 აგვისტოს განჩინებით გ. ჭ-ძის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 11 ოქტომბრის განჩინება.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 15 სექტემბრის განჩინებით საქმის წარმოება განახლდა შპს „არილი 2000-ის» სააპელაციო საჩივარზე.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 21 ოქტომბრის განჩინებით გ. ჭ-ძის წარმომადგენელი დ. ს-შვილის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, შპს „არილი 2000-ის» სააპელაციო საჩივარი ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილებაზე დატოვებულ იქნა განუხილველად.

შპს „არილი 2000-ის» წარმომადგენელმა კერძო საჩივარი შეიტანა სააპელაციო სასამართლოს 2004 წლის 21 ოქტომბრის განჩინებაზე, მოითხოვა მისი გაუქმება და მათი სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობა.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 29 ნოემბრის განჩინებით შპს „არილი 2000-ის» კერძო საჩივარი მიჩნეული იქნა დაუსაბუთებლად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 18 მაისის განჩინებით შპს «არილი-2000-ის» კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა საოლქო სასამართლოს 2004 წლის 21 ოქტომბრის განჩინება და შპს «არილი-2000-ის» სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობის თაობაზე დაუბრუნდა იმავე პალატას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2007 წლის 25 მაისის გადაწყვეტილებით შპს «არილის» სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; გ. ჭ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ დადგინდა ცნო, რომ შპს «მეგობრობამ» 1996 წლის მაისიდან 1997 წლის მაისამდე ქ. თბილისში, ... ქ. №2-ში მდებარე ტერიტორიაზე შეასრულა 109 835 ლარის ღირებულების სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები. სააპელაციო პალატამ განმარტა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 449-ე მუხლი.

სააპელაციო პალატამ დადგინდა ცნო ასევე, რომ შპს «მეგობრობა» წარმოადგენდა 1996 წლის 25 მარტს გაფორმებული საერთო საქმიანობის ხელშეკრულების მონაწილე მხარეს. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელების მიზნით, ხელშეკრულების მონაწილის - სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მსუბუქი ავტომობილების ავტოსატრანსპორტო საწარმოს მიერ საერთო საქმიანობაში შეტანილ იქნა უძრავი ქონება, კერძოდ, ქ. თბილისში, ... ქ. №2-ში მდებარე ადმინისტრაციული და სხვა შენობა-ნაგებობები თავისი

მიმდებარე ტერიტორიით, ხოლო შპს «მეგობრობის» მიერ განხორციელდა ფულადი შენატანი, რაც გამოიხატება აღნიშნულ ტერიტორიაზე მის მიერ ჩატარებული სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ღირებულებაში.

სააპელაციო პალატამ დადგენილად ცნო, რომ 1997 წლის 13 მარტს რეგისტრაციაში გატარდა საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისა და ავტოტრანსპორტის სახაზინო საწარმო «არილი», რომელიც შექმნილია და დაფუძნებულია სახაზინო საწარმო «არილის» ქონების ბაზაზე.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ შპს «არილი-2000» უსაფუძვლოდ არ გამდიდრებულა შპს «მეგობრობის» ხარჯზე და, შესაბამისად, კანონისმიერი ვალდებულება ამ უკანასკნელის მიმართ მოთხოვნილი თანხების ანაზღაურებაზე არ წარმოეშობა, ვინიდან მიიჩნია, რომ შპს «მეგობრობის» უფლებები დაირღვა მაშინ, როდესაც მისი წილი საერთო ქონებიდან სახელმწიფომ განკარგა შპს «მეგობრობის», როგორც თანამესაკუთრის, თანხმობის გარეშე.

სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. ჭ-მემ და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძველით: კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო პალატამ არ გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე, 257-ე და 369-ე მუხლები და ასევე არასწორად განმარტა «მეწარმეთა შესახებ» კანონის მე-3, 45-ე, 46 მუხლები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძველიანობისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა - კანონიერების შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გ. ჭ-მის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორის მიერ წარმოდგენილია დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია. კონკრეტულ შემთხვევაში დასაშვებ და დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება და ამის შედეგად არასწორად სამართლებრივ-მატერიალური ნორმის გამოყენება ან განმარტება.

ამასთან ერთად საკასაციო პალატა თვლის, რომ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, რაც, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ე» I ქვეპუნქტის თანახმად, წარმოადგენს გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს.

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ 2001 წლის 8 აგვისტოს შპს «მეგობრობის» დირექტორსა და გ. ჭ-მეს შორის დაიდო ხელშეკრულება მოთხოვნის დათმობის შესახებ, რომლის თანახმად შპს «მეგობრობამ» გადასცა გ. ჭ-მეს შპს «მეგობრობის» მიმართ შპს «არილი-2000-ის» დავალიანება - 93095 აშშ დოლარის მოთხოვნის უფლება.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ შპს «მეგობრობამ» 1996 წლის მაისიდან 1997 წლის მაისამდე ქ.თბილისში, ... ქ. 2-ში მიმდებარე სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მსუბუქი ავტომობილების ავტოსატრანსპორტო საწარმოში შეასრულა 109 835 ლარის ღირებულების სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები.

სააპელაციო სასამართლო აღნიშნულ დასკვნამდე მივიდა შემდეგ გარემოებათა გათვალისწინებით, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 1996 წლის 25 მარტს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მსუბუქი ავტომობილების ავტოსატრანსპორტო საწარმოს (დირექტორი ვ. გ-მე) და შპს «მეგობრობას» (დირექტორი გ. ჭ-მე) შორის დაიდო ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება.

სააპელაციო სასამართლოს მიერ ასევე დადგენილია, რომ 1996 წლის 12 აპრილს შპს «მეგობრობასა» და რ. მ-მეს შორის სოფლის მეურნეობასა და სურსათის სამინისტროს სახაზინო საწარმო «ავტოსერვისი-96-ის» ტერიტორიაზე სამშენებლო-სარემონტო და აღდგენითი სამუშაოების თაობაზე დაიდო ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მოიჯარადემ იკისრა ვალდებულება, ჩატარებინა სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები სამინისტროს სახაზინო საწარმო «ავტოსერვისი-96-ის» ტერიტორიაზე (... ქ. №2-ში) «დამკვეთის» მიერ გადაცემული დეფექტური აქტის მიხედვით დამკვეთის მასალებითა და მოწყობილობებით.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნული დეფექტური აქტი შედგენილ იქნა 1996 წლის 18 აპრილს, რომელიც დაამტკიცა შპს «მეგობრობის» დირექტორმა გ. ჭ-მემ და შეთანხმებული იქნა სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს სახაზინო საწარმო «ავტოსერვისი-96-ის» დირექტორ ვ. გ-მესთან.

სააპელაციო სასამართლოს მიერ ასევე დადგენილ იქნა, რომ რ. მ-მემ შეადგინა აღნიშნულ ტერიტორიაზე ნაგებობისა და კეთილმოწყობის სამუშაოების ნაკრების ხარჯთაღრიცხვა საერთო ღირებულებით 109835 ლარი, რომელიც 1996 წლის 22 აპრილს შეთანხმებულ იქნა შპს «მეგობრობის» დირექტორთან.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ აღნიშნული სამუშაოების შესრულების ფაქტი დასტურდება 1997 წლის 5 მაისს შპს «მეგობრობასთან» გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით.

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ შპს «არილი-2000» არის სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს სახაზინო საწარმო «არილის» სამართალმემკვიდრე, რომელიც რეგისტრაციაში გატარდა 1997 წლის 13 მარტს და შეიქმნა სახაზინო საწარმო «ავტოსერვისი-96-ის» ბაზაზე, აგრეთვე, დაადგინა, რომ შპს «არილი-2000-ის» 100% წილის მფლობელი იყო სახელმწიფო; 2005 წლის 20 სექტემბერს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და ფიზიკურ პირთა ჯგუფის (ბ. რ-შვილი, ი. ზ-შვილი, ზ. გ-იანი) წარმომადგენელს შორის დაიდო 100% წილის ნასყიდობის ხელშეკრულება და, შესაბამისად, 2005 წლის 7 ნოემბერს სამეწარმეო რეესტრში განხორციელდა ცვლილებები.

ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნა: შპს «მეგობრობამ» შეასრულა 1996 წლის მაისიდან 1997 წლის მაისამდე თბილისში, ... ქ. 2-ში მდებარე სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მსუბუქი ავტომობილების ავტოსატრანსპორტო საწარმოში 109 835 ლარის ღირებულების სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები. აღნიშნულ ღირებულებიდან შპს «მეგობრობამ» გ. ჭ-მეს დაუთმო 93095 აშშ დოლარის მოთხოვნის უფლება. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, შპს «მეგობრობის» უფლებამონაცვლეს წარმოადგენს გ. ჭ-მე, ხოლო სოფლის მეურნეობის და სურსათის სამინისტროს მსუბუქი ავტომობილების ავტოსატრანსპორტო საწარმოს უფლებამონაცვლეს - შპს «არილი-2000», რაც მიუთითებს იმაზე, რომ სამართლებრივი ურთიერთობა, კერძოდ, 1996 წლის 25 მარტს დადებული საერთო საქმიანობის შესახებ სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილეები არიან გ. ჭ-მე და შპს «არილი-2000».

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა იმ არსებით ნიშნებს, რომლებიც დამახასიათებელია აღნიშნულ ურთიერთობისათვის და ამდენად, არ განსაზღვრა ის უფლება-ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშვა საერთო საქმიანობის ხელშეკრულების მონაწილეებს შორის და რასაც არსებითი მნიშვნელობა გააჩნია ამ ურთიერთობის კვალიფიკაციისათვის.

ამასთან დაკავშირებით საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ შპს «არილი-2000-ს» არ შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა, რადგან შპს «მეგობრობის» წილი საერთო ქონებიდან განკარგა სახელმწიფომ შპს «მეგობრობის» ანუ თანამესაკუთრის თანხმობის გარეშე და ამდენად, შპს «მეგობრობის» ხარჯზე უსაფუძვლოდ გამდიდრდა არა შპს «არილი-2000», არამედ სახელმწიფო, დაუსაბუთებელია.

სააპელაციო სასამართლოს არ გაუმახვილებია ყურადღება იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლითაც განისაზღვრება უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტის თავისებურება საერთო საქმიანობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ურთიერთობის დროს, კერძოდ, უპირველეს ყოვლისა, პასუხი უნდა გაიცეს კითხვას, თუ ვინ წარმოადგენს მოვალეს კონკრეტულ დავაში - შპს «არილი-2000» თუ მისი დამფუძნებელი. ამისათვის უნდა დადგინდეს და შეფასება მიეცეს სასარჩელო მოთხოვნის საფუძველს, უსაფუძვლო გამდიდრების სამართლებრივ წინაპირობებს, ანუ კონკრეტულ შემთხვევაში, მოვალისაგან ნამატის ამოღების საფუძველს და ამ უკანასკნელის შემთხვევაში რა იურიდიული ფაქტები თუ იურიდიული შემადგენლობა მიგვითითებს უსაფუძვლო გამდიდრების საფუძველზე (რამი გამოიხატა უსაფუძვლო გამდიდრება). იმ შემთხვევაში თუ შპს «არილი-2000» უსაფუძვლოდ გამდიდრდა, აუცილებელია გაიმიჯნოს იურიდიული პირის საკუთრება წილზე მისი დამფუძნებლის საკუთრებისაგან, ასევე საზოგადოების საკუთრება საერთო საქმიანობაში არსებული მისი წილის საკუთრებისაგან.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის მე-3 ნაწილის გათვალისწინებით, საერთო საქმიანობის ხელშეკრულებიდან (რომელიც შეწყდა 1997 წლის ივნისში) და ასევე, უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტიდან გამომდინარე, სამართლებრივი ურთიერთობა უნდა მოწესრიგდეს 1964 წლის 26 დეკემბრის სამოქალაქო კოდექსით, რადგან მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი იურიდიული ფაქტები უკავშირდება 1997 წლის 25 ნოემბრამდე მოქმედი და ამჟამად ძალადაკარგული ნორმატიულ აქტს, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 499-ე მუხლის მე-2 აზვაციის თანახმად, საერთო საქმიანობის ხელშეკრულების მონაწილეების ფულადი ან სხვა ქონებრივი შენატანები, აგრეთვე, საერთო საქმიანობის შედეგად შექმნილი და შეძენილი ქონება მათ საერთო საკუთრებას წარმოადგენს. საკასაციო პალატის აზრით, სააპელაციო სასამართლომ სწორად დაადგინა, რომ სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მსუბუქი ავტომობილების ავტოსატრანსპორტო საწარმოს (რომლის უფლებამონაცვლეს წარმოადგენს შპს «არილი-2000») მიერ საერთო საქმიანობაში შეტანილი უძრავი ქონება, კერძოდ, თბილისში, ... ქ. №2-ში მდებარე შენობა-ნაგებობები თავისი მიმდებარე ტერიტორიით, ხოლო შპს «მეგობრობის» (რომლის სამართალმემკვიდრეს წარმოადგენს გ. ჭ-მე) მიერ განხორციელებული ფულადი შენატანი, რაც გამოიხატა აღნიშნულ ტერიტორიაზე მის მიერ ჩატარებული სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ღირებულებაში, წარმოადგენს მხარეთა საერთო საკუთრებას.

ამასთან ერთად სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობს შპს «მეგობრობის» (მისი სამართალმემკვიდრეა გ. ჭ-მე) ხარჯზე გამდიდრების ფაქტი, ანუ აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ ერთი პირის (შპს «მეგობრობის») ქონება სამართლებრივი საფუძველის გარეშე გადავიდა მეორე პირზე. ამ უკანასკნელში სააპელაციო სასამართლო გულისხმობს სახელმწიფოს.

ამასთან მიმართებაში საკასაციო პალატა განმარტავს, რომ უნდა მკაფიოდ გაიმიჯნოს საერთო საქმიანობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესასრულებლად განხორციელებული მოქმედებები და ვალდებულების (სამართლებრივი საფუძვლის) გარეშე განხორციელებული მოქმედებები.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნა: ადგილი აქვს საერთო საქმიანობის მიზნით განხორციელებულ მოქმედებებს, მათ შორის, შენატანის შესრულებას ანუ იმ მოქმედებებს, რომლებიც დაკისრებული ჰქონდა, კონკრეტულ შემთხვევაში, შპს «მეგობრობას», როგორც საერთო საქმიანობის ერთ-ერთ წევრს, საერთო მიზნის მისაღწევად ერთ შემთხვევაში, ხოლო მეორე შემთხვევაში განხორციელებულ მოქმედებებს, რომლის დროს მოხდა შპს «მეგობრობის» ხარჯზე უსაფუძვლოდ გამდიდრება.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ამ უკანასკნელის შემთხვევაში შპს «მეგობრობა» (მისი სამართალმემკვიდრე გ. ჭ-ძე) შეიძლება წარმოადგენდეს კრედიტორს, როდესაც მას შეუძლია პირადად თავის სასარგებლოდ მოითხოვოს ვალდებულების შესრულება საერთო საქმიანობის ხელშეკრულების მეორე მონაწილისაგან. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება უსაფუძვლოდ, სხვის ხარჯზე გამდიდრების ფაქტს. ამასთან ერთად უნდა განისაზღვროს, თუ რაში გამოიხატა ამგვარი გამდიდრება და მისი საფუძველი (კონდიქციის წინაპირობები).

კიდევ ერთხელ დავტყობთ, რომ ერთ შემთხვევაში განხორციელდა შპს «მეგობრობის» მიერ მოქმედებები (დაინარჯა თანხა) - სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები ჩატარდა, მეორე შემთხვევაში კი მოხდა შპს «მეგობრობის» ხარჯზე უსაფუძვლოდ გამდიდრება.

უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტისა 1997 წლის ივლისში საერთო საქმიანობის შესახებ ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე, გადაწყვეტილებიდან არ ირკვევა, აღნიშნული ფაქტი, უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტის თანახმად, უკავშირდება თუ არა მოსარჩელის მოთხოვნას.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (1964 წლის 26 ივნისის რედაქცია) 486-ე მუხლის პირველი და მეორე აბზაცის თანახმად, «პირი, რომელმაც კანონით ან გარიგებით დადგენილი საფუძვლის გარეშე შეიძინა ქონება სხვის ხარჯზე, მოვალეა, დაუბრუნოს უკანასკნელს უსაფუძვლოდ შეძენილი ქონება».

«ასეთი მოვალეობა წარმოიშობა იმ შემთხვევაშიც, როცა ქონების შეძენას შემდეგში საფუძველი მოაკლდა.»

განსახილველი ნორმის თანახმად, უსაფუძვლოდ მიღებული ნამატის ან სხვა შეღავათის მოთხოვნის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც ქონების შეძენას შემდეგში საფუძველი მოაკლდა ანუ ვალდებულება შეწყდა (ან მოიშალა). ამ შემთხვევაში უნდა ვიგულისხმოთ საერთო საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულების შეწყვეტა. აღნიშნული შეიძლება მიუთითებდეს იმაზე, რომ საერთო საქმიანობის შესახებ ხელშეკრულების მიზანი, (მოგების ან სხვა გვარი სარგებლის მიღება) ხელშეკრულების შეწყვეტის გამო არ იქნა მიღწეული. უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტი ამ შემთხვევაში გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როდესაც ვალდებულება არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში და ამის შედეგად ამ ვალდებულების ადგილი დაიკავა კანონისმიერმა ვალდებულებითმა ურთიერთობამ. აღნიშნულის გათვალისწინებით მნიშვნელობა ენიჭება შესრულების კონდიქციას, როდესაც შესრულება არის შეგნებულად და მიზანმიმართულად განხორციელებული მოქმედება, რომელიც იწვევს შესრულების მიმღების მიერ ქონებრივი შეღავათის მიღებას. აქედან გამომდინარე, გათვალისწინებული უნდა იყოს ვალდებულების შეწყვეტის (ან მოშლის) თავისებურებები, რომლის შედეგად მიმღები დარჩა გამდიდრებული.

იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების შეწყვეტა არ უდევს საფუძვლად უსაფუძვლო გამდიდრების მოთხოვნას და სასამართლო მიიჩნევს, რომ უსაფუძვლოდ გამდიდრდა სახელმწიფო, დასადგენია, სახელმწიფომ საერთო ქონების წილის განკარგვით რა შეიძინა ან დაზოგა, რამაც მოახდინა გავლენა მოსარჩელის ქონებრივ ინტერესებზე. ამ შემთხვევაში უნდა ჩანდეს, რომ დაზოგილი ქონება, მიღებული ნამატი წარმოიშვა გადამცემი პირის ქონების ხარჯზე. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ, აღნიშნული მოსარჩებით, სააპელაციო სასამართლო ფაქტობრივად უთითებს, რომ ადგილი ჰქონდა ხელყოფის კონდიქციას. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების ანალიზი გვადლევს შესაძლებლობას ვივარაუდოთ, რომ ხელყოფის ობიექტად სასამართლო გულისხმობს სანივთო უფლებას - საერთო ქონების წილს (ნაწილს), რომელიც ეკუთვნის შპს «მეგობრობას» და რომლის განმკარგველიც არის სახელმწიფო, მაგრამ აღნიშნული გათვალისწინებით საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლო არ გაერკვია შესრულებისა თუ ხელყოფის კონდიქცია უდევს საფუძვლად სასარჩელო მოთხოვნას (ანუ მოსარჩელის მიერ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები და არგუმენტები უთითებენ მის მიერ სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების ჩატარების შედეგად მოპასუხის უსაფუძვლოდ გამდიდრებაზე, თუ ამ უკანასკნელის უსაფუძვლო გამდიდრებას საფუძვლად უდევს საერთო ქონებიდან წილის განკარგვა). ამ გარემოებების გარკვევას გააჩნია მეტად დიდი მნიშვნელობა, რადგან ისინი ახდენენ გავლენას, როგორც მოპასუხის (ანუ მიმღების), ასევე, სამართლებრივი დასაბუთების განსაზღვრაზე.

ამრიგად, უპირველეს ყოვლისა, უნდა დადგინდეს მოთხოვნის საფუძველი, რაც უდევს მის მიერ გადახდილი თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნას, კერძოდ საერთო საქმიანობის ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ან სხვა საფუძველით აღნიშნული ნამატი დარჩა მიმღებს (ანუ შპს «არილი-2000»), თუ

სახელმწიფოს მიერ საერთო ქონების წილის განსხვავებით ეს უკანასკნელი გამდიდრდა, რომლის ამოღებას (მოსარჩელის მიერ დახარჯული თანხის გათვალისწინებით) ითხოვს მოსარჩელე.

საკასაციო პალატა საჭიროდ მიიჩნევს ყურადღება გაამახვილოს იმ თავისებურებებზე, რომლებიც ახასიათებს იურიდიული პირს, როგორც ნამატის, შეღავათის მიმღებს უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტის თანახმად.

უპირველეს ყოვლისა, დაუბრუნდეთ სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომლის თანახმად მან მიიჩნია, რომ შპს «მეგობრობის» ხარჯზე უსაფუძვლოდ გამდიდრდა არა შპს «არილი-2000», არამედ სახელმწიფო, რადგან შპს «მეგობრობის» წილი საერთო ქონებიდან განკარგა სახელმწიფომ.

როგორც ეს დადგენილია, სააპელაციო სასამართლოს მიერ შპს «არილი-2000-ის» 100% დამფუძნებელი იყო სახელმწიფო, რომელმაც გაყიდა თავისი წილი. ამასთან ერთად სააპელაციო სასამართლო მიიჩნევს, ვინაიდან შპს «მეგობრობის» წილი საერთო ქონებიდან განკარგა სახელმწიფომ, ეს უკანასკნელი გამდიდრდა შპს «არილი-2000-ის» ხარჯზე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ შპს «არილი-2000-ის» პარტნიორის (სახელმწიფოს) წილი განსხვავდება შპს «არილი-2000-ის», როგორც საერთო საქმიანობის ხელშეკრულების მონაწილის ქონების წილისაგან, რადგან ამ წილების წარმოშობას საფუძვლად უდევს განსხვავებული სამართლებრივი წინაპირობები და წარმოადგენენ საკუთრების სხვადასხვა ობიექტს.

შპს «არილი-2000-ის» პარტნიორის მიერ წილის განკარგვა გავლენას არ ახდენს თვით ამ იურიდიულ პირის (შპს «არილი-2000», როგორც საერთო საქმიანობის ხელშეკრულების ერთ-ერთი მონაწილის) პასუხისმგებლობის განსაზღვრაზე, რადგან, როგორც აღვნიშნეთ საზოგადოების საკუთრება განსხვავდება მისი დამფუძნებლის საკუთრებისაგან.

უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს, როგორც შპს «არილი-2000-ის» დამფუძნებელს, გააჩნდა საზოგადოებაში თავისი შენატანის თანახმად მხოლოდ წილზე საკუთრების უფლება, ანუ ის შენატანი, რომლითაც დამფუძნებელმა (კონკრეტულ შემთხვევაში სახელმწიფომ) დააფუძნა, საზოგადოება წარმოადგენს საზოგადოების და არა დამფუძნებლის საკუთრებას.

თუ ვივარაუდებთ (რადგან აღნიშნული არ დგინდება სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით), რომ სახელმწიფოს მიერ შპს «არილი-2000» დაფუძნებული იყო იმ ქონებით, რომლითაც შპს «არილი-2000-მა» მიიღო მონაწილეობა საერთო საქმიანობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნების მიღწევისათვის, ამ შემთხვევაშიც უნდა განვასხვავოთ საზოგადოების (შპს «არილი-2000») საკუთრება ქონების წილზე (საერთო საქმიანობის ხელშეკრულების მონაწილეების ფულადი ან სხვა ქონებრივი შენატანები წარმოადგენს მათ საერთო საკუთრებას) ამავე საზოგადოებაში არსებული წილზე დამფუძნებლის საკუთრებისაგან.

ამ შემთხვევაში შპს «არილი-2000-ის» საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვით მან მიიღო მონაწილეობა საერთო საქმიანობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად და საბოლოოდ განსაზღვრა (ამ ხელშეკრულებით) თავისი (და არა თავის დამფუძნებლის) წილი საერთო საქმიანობაში, რა დროსაც უნდა გაიმიჯნოს საზოგადოების საკუთრება წილზე საკუთრებისაგან.

ამდენად, ქონება, რომელიც საერთო საქმიანობის მიზნების განსახორციელებლად იქნა შეტანილი, წარმოადგენს საერთო საქმიანობის წევრების საერთო საკუთრებას (უნდა გავითვალისწინოთ, რომ კონკრეტულ შემთხვევაში დავის საგანს არ წარმოადგენს წილის განკარგვის უკანონოდ ცნობა და ამის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება). სახელმწიფოს (დამფუძნებლის) მიერ საზოგადოებაში არსებული მისი წილის გასხვავება არ ნიშნავს საერთო საქმიანობაში არსებული საერთო ქონებიდან წილის გასხვავებას (წილი ამ შემთხვევაში შეიძლება დავახასიათოთ, როგორც მისი მესაკუთრის უფლება, მოითხოვოს ამ წილის შესამაბისი შემოსავალი). დამფუძნებლის მიერ საზოგადოებაში თავისი წილის განკარგვით იცვლება მხოლოდ პარტნიორი, ხოლო ქონება, რომელიც შეტანილი იყო ამ საზოგადოების დასაფუძნებლად რჩება საზოგადოების საკუთრებად და ამდენად, აღნიშნული იურიდიულ გავლენას არ ახდენს საერთო საქმიანობის ხელშეკრულების მონაწილეების (შპს «არილი-2000-ის» და გ. ჭ-მის) უფლება-ვალდებულებებზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ: თუ სასამართლო გადაწყვეტილებიდან ვივარაუდებთ, რომ მის დასაფუძნებლად სახელმწიფოს მიერ შეტანილი ქონებით შპს «არილი-2000-მა» მიიღო მონაწილეობა საერთო საქმიანობაში, ხოლო სახელმწიფომ (დამფუძნებელმა) გაასხვისა ამ საზოგადოებაში არსებული წილი, აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფომ ამით განკარგა საერთო საქმიანობაში საზოგადოების მიერ ჩადებული საერთო ქონება და ამდენად, აღნიშნული არ შეიძლება მიუთითებდეს სახელმწიფოს უსაფუძვლო გამდიდრებაზე.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებაზე იმის შესახებ, რომ შპს «მეგობრობამ» 1996 წლის მაისიდან 1997 წლის მაისამდე ქ.თბილისში, ... ქ. №2-ში მდებარე სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მსუბუქი ავტომობილების ავტოსატრანსპორტო საწარმოში შეასრულა 109 835 ლარის ღირებულების სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები. ამასთან მიმართებაში, სააპელაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს, თუ რამდენად მოსარჩელეს მოთხოვნა 93 095 აშშ დოლარის შესახებ შეესაბამება სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ზემოაღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებას.

კასატორმა გ. ჭ-მემ ასევე გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს 2005 წლის 28 ოქტომბრის განჩინება, რომლითაც დასაშვებად იქნა მიჩნეული შპს «არილი-2000-ის» სააპელაციო საჩივარი.

კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს არ უნდა მიეღო შპს «არილი-2000»-ის სააპელაციო საჩივარი, რადგან ამ უკანასკნელმა გაუშვა გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა. კასატორის მოსაზრებით, თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ 2001 წლის 25 სექტემბერს (რომლითაც დაკმაყოფილდა გ. ჭ-ძის სარჩელი) გამოაცხადა დასაბუთებული გადაწყვეტილება და ამდენად, მისი გასაჩივრების ვადა უნდა ათვლილიყო მისი გამოცხადებიდან.

საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის აღნიშნულ მოსაზრებას და თვლის, რომ მისი მოთხოვნა სააპელაციო სასამართლოს 2005 წლის 28 ოქტომბრის განჩინების გაუქმების შესახებ არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით იმპერატიულად არის დადგენილი გადაწყვეტილების გამოცხადების, მისი გასაჩივრებისა და კანონიერ ძალაში შესვლასთან დაკავშირებული სამართლებრივი მექანიზმები.

აღნიშნული დანაწესებიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების გამომტანმა სასამართლომ უნდა დაიცვას ყველა აღნიშნული მექანიზმი, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მხარეთა უფლების დაცვის პროცესუალური შესაძლებლობები.

ამასთან მიმართებაში საკასაციო პალატა განმარტავს, რომ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, კანონის ერთ-ერთ მოთხოვნას წარმოადგენს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადისა და წესის მითითება. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ დანაწესის მოქმედების ფარგლები დამოკიდებულია მხარეთათვის ამ გადაწყვეტილების საფუძვლების გაცნობაზე და განსაზღვრავს გასაჩივრების პროცესუალური უფლების ფარგლებს და საბოლოოდ მისი კანონიერ ძალაში შესვლის მომენტს, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლი განსაზღვრავს სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადას. სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის ცნება მოიცავს როგორც გასაჩივრების პროცესუალური უფლების მოქმედების ფარგლებს, ასევე, ამ უფლების რეალიზაციის მომენტს. კონკრეტულ შემთხვევაში ეს უკანასკნელი წარმოადგენს განხილვის საგანს.

ამასთან მიმართებაში საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ორივე ზემოაღნიშნული პროცესუალური უფლების განსაზღვრის სამართლებრივი კრიტერიუმი მოითხოვს სასამართლოსაგან მათი ზედმიწევნით ზუსტად დაცვას. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 288-ე მუხლის «ლ» ქვეპუნქტი წარმოადგენს იმპერატიული შინაარსის ნორმას, რომლის თანახმად სასამართლო სხდომის ოქმში ასევე უნდა აღინიშნოს ცნობები გადაწყვეტილებებისა და განჩინებების გამოცხადების შესახებ. აღნიშნული დანაწესი არეგულირებს პროცესუალური დოკუმენტის გასაჩივრებასთან დაკავშირებულ პროცესუალური უფლების რეალიზაციის მომენტის უზრუნველყოფის მექანიზმს, კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ სასამართლომ გამოაცხადა დასაბუთებული გადაწყვეტილება, (რომლის გასაჩივრების მომენტს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი ესწრება მის გამოცხადებას, სსსკ-ის 369-ე მუხლის მე-2 ნაწილი) ან ამავე კოდექსის 257-ე მუხლის თანახმად, გადადო დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანა და გამოაცხადა გადაწყვეტილების მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილი (რომლის გასაჩივრების მომენტი უკავშირდება სსსკ-ის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით გადაწყვეტილების ასლის მხარესათვის გადაცემას), იგი ვალდებულია, ამის შესახებ აღნიშნოს სხდომის ოქმში.

კონკრეტულ შემთხვევაში თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილებიდან და სხდომის ოქმიდან არ ირკვევა სასამართლომ გამოაცხადა დასაბუთებული გადაწყვეტილება თუ მხოლოდ მისი სარეზოლუციო ნაწილი, რითაც დაირღვა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 288-ე მუხლის «ლ» ქვეპუნქტი.

საკასაციო პალატა თვლის, რომ აღნიშნული დარღვევა წარმოადგენს მნიშვნელოვან პროცესუალურ დარღვევას, რომელიც ნეგატიურ გავლენას ახდენს სასამართლო წესით უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალების გამოყენებაზე.

აღნიშნული დანაწესის დაცვა ფაქტობრივად წარმოადგენს სასამართლო წესით დაცვის ხელმისაწვდომობის უფლების უზრუნველყოფის ერთ-ერთ ტექნიკურ-იურიდიულ საშუალებას.

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლო ერთ-ერთი საქმის განხილვისას (გოლდერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ) შეეხო სასამართლო განხილვაზე პირის უფლების ფარგლების განსაზღვრის საკითხს, რომლის გათვალისწინებით შეიძლება გაკეთდეს დასკვნა იმის შესახებ, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლება სასამართლოზე მოიცავს ასევე უფლებას ხელმისაწვდომობაზე. ეს უკანასკნელი ნიშნავს თავისი უფლებების დაცვის რეალიზაციისათვის უშუალოდ სამართალწარმოების დაწყების შესაძლებლობას, რა თქმა უნდა, ხელმისაწვდომობის უფლება არ არის აბსოლუტური და შეუზღუდავი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატის აზრით, კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოს მიერ პროცესუალური ნორმის დარღვევის შედეგად არ დგინდება, რომ სასამართლომ გამოაცხადა დასაბუთებული გადაწყვეტილება და ამდენად, მიიჩნევა, რომ სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლების უზრუნველსაყოფად, აღნიშნული ვარაუდი უნდა გადაწყდეს სააპელაციო საჩივრის შემტანი პირის სასარგებლოდ და მას უნდა მიეცეს უფლება იდავოს სამართალწარმოების გზით.

აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ სწორად ათვალა პირველი ინსტანციის გასაჩივრების ვადა დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარესათვის გადაცემის მომენტიდან, ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ არ არსებობს სააპელაციო სასამართლოს 2005 წლის 28 ოქტომბრის განჩინების გაუქმების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე და 412-ე მუხლებით და

დაადგინა:

- გ. ჭ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
- გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას;
- უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2005 წლის 28 ოქტომბრის განჩინება;
- საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ვითომ-კრედიტორისაგან მოთხოვნის საფუძველები

განჩინება

№ას-474-822-07

26 დეკემბერი, 2007 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),
თ. თოდრია

დავის საგანი: თანხის დაკისრება.

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 12 დეკემბერს ნ. ლ-ძემ სარჩელით მიმართა ზესტაფონის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე რ. ლ-ძის მიმართ 600 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე შემდეგი საფუძველებით:

მოსარჩელის განმარტებით, 2005 წლის თებერვალში გადაწყვიტა შეეძინა არასაცხოვრებელი ფართი ქალთა სალონის მოსაწყობად. თავის ახლობელ გ. მ-ძისგან, რომელიც იმჟამად მუშაობდა ზესტაფონის მერიაში, შეიტყო, რომ რ. ლ-ძე 5000 აშშ დოლარად ყიდდა ქ. ზესტაფონში, ... ქ. №11-ში მდებარე 61 კვ.მ-ს, მერიის შენობის პირველ სართულზე, მაგრამ, ვინაიდან უძრავი ქონება საჯარო რეესტრში რ. ლ-ძის სახელზე არ ირიცხებოდა, იგი ვერ ახერხებდა აღნიშნული ფართის გაყიდვას, ხოლო პრივატიზაციისათვის ესაჭიროებოდა 600 აშშ დოლარი. რ. ლ-ძემ მას შესთავაზა პრივატიზაციისათვის საჭირო თანხით დახმარებოდა, ხოლო შემდგომ გაეფორმებინათ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება, რაზედაც იგი დაეთანხმა და გ. მ-ძისა და ა. ბ-ძის მეშვეობით ჯერ 500 აშშ დოლარი, ხოლო შემდგომ 100 აშშ დოლარი გაუფზავნა. რ. ლ-ძემ აღნიშნული ფართი აღრიცხა თავის სახელზე, რის შემდეგაც მხარეთა შორის უნდა გაფორმებულიყო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება, თუმცა ხელშეკრულება ვერ გაფორმდა, ვინაიდან აღმოჩნდა, რომ არასაცხოვრებელი ფართი მდებარეობდა ... ქუჩის უკან მხარეს, რაც მოსარჩელისათვის ხელსაყრელი არ იყო. ნ. ლ-ძემ რ. ლ-ძეს მოსთხოვა თანხის უკან დაბრუნება, რომელმაც უპასუხა, რომ ამჟამად არ ჰქონდა და ფართის გაყიდვის შემთხვევაში აუცილებლად დაუბრუნებდა, ამასთან, თავად სთხოვა დახმარება მყიდველის მოძებნაში. აღნიშნული ფართი რ. ლ-ძემ გაყიდა, რაზედაც 2006 წლის დეკემბერში რ. ლ-ძესა და რ. ქ-ძეს შორის გაფორმდა ფართის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება, თუმცა ნ. ლ-ძეს კუთვნილ 600 აშშ დოლარის დაბრუნებაზე უარი განუცხადა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ნ. ლ-ძემ სარჩელით მოითხოვა რ. ლ-ძისათვის მის სასარგებლოდ 600 აშშ დოლარის გადახდის დაკისრება.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო იმ საფუძველით, რომ მოსარჩელესთან არასაცხოვრებელ ფართთან დაკავშირებით არც ზეპირი და არც წერილობითი გარიგება დაუდია და არც სათანადო მოპასუხეს წარმოადგენს.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილებით ნ. ლ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა, რ. ლ-ძეს მის სასარგებლოდ დაეკისრა 600 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა რ. ღ-მემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა უსაფუძვლობისა და დაუსაბუთებლობის გამო.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 20 აპრილის განჩინებით რ. ღ-მის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მხარეთა განმარტებების, მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე დადგინდა, რომ ნ. ღ-მესა და რ. ღ-მეს შორის ზეპირი ფორმით მოხდა შეთანხმება უძრავი ქონების ნასყიდობის გარიგების თაობაზე, რის გამოც ნ. ღ-მემ, ბეს სახით, წინასწარ გადასცა აპელანტს უძრავი ქონების პრივატიზაციის განსახორციელებლად 600 აშშ დოლარი.

პალატამ არ გაიზიარა აპელანტის განმარტება იმის თაობაზე, რომ მან ქონების საპრივატიზაციო თანხა გადაიხადა 2005 წლის თებერვალში და ნ. ღ-მისაგან ფულის გადაცემა არ დასჭირდებოდა, ვინაიდან მოწმეთა ჩვენებებით დადასტურდა, რომ მხარეთა შორის შეთანხმება ნასყიდობის ხელშეკრულების დადების თაობაზე სწორედ იმ დროს მოხდა, რა პერიოდშიც ნ. ღ-მემ რ. ღ-მეს თანხა გადაუხადა, აღნიშნული კი დაემთხვა აპელანტის მიერ პრივატიზაციის გზით ქონების შეძენის დროს.

პალატამ გაიზიარა რაიონული სასამართლოს სამართლებრივი შეფასება იმასთან დაკავშირებით, რომ, როგორც ზეპირი ფორმით დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, ისე «ბეს» შესახებ შეთანხმება ბათილი იყო.

სააპელაციო სასამართლომ მხარეთა შორის არსებული სამართალური თეორია უსაფუძვლო გამდიდრებად მიიჩნია, რის გამოც სააპელაციო საჩივარი უსაფუძვლოდ ჩათვალა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 20 აპრილის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა რ. ღ-მემ მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა უსაფუძვლობისა და დაუსაბუთებლობის გამო, შემდეგი საფუძველით:

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ განჩინების გამოტანისას არასწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, არასწორი სამართლებრივი კვალიფიკაცია მისცა მათ, კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ იგი ნ. ღ-მეს საერთოდ არ იცნობდა და სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე ნახა პირველად, სასამართლომ დადგინდა მიიჩნია, რომ მას და ნ. ღ-მეს შორის გაფორმდა უძრავ ქონებაზე ყიდვა-გაყიდვის ზეპირი გარიგება, რისთვისაც მას მოსარჩელემ გადასცა 600 აშშ დოლარი. გარდა ამისა, კასატორის განმარტებით, ნ. ღ-მემ თავად აღიარა, რომ ფართი არ უნახავს და ფულიც ბ-მესა და მ-მეს მისცა. სასამართლომ მხოლოდ მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე დააკმაყოფილა სარჩელი ისე, რომ საქმეში არანაირი საბუთი მტკიცებულების სახით არ არსებობდა. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, საკასაციო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლო-სათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაშვებ და დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება და ამის შედეგად სამართლებრივ-მატერიალური ნორმის არასწორად გამოყენება ან განმარტება.

მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგინდა არის ცნობილი, რომ ნ. ღ-მემ რ. ღ-მეს გადასცა 600 აშშ დოლარი ფართის პრივატიზაციის განსახორციელებლად იმ მიზნით, რომ ფართის პრივატიზაციის შემდეგ მხარეთა შორის დაიდებოდა ნასყიდობის ხელშეკრულება. დადგინდა, რომ რ. ღ-მემ განახორციელა ფართის პრივატიზაცია, მაგრამ მხარეთა შორის არ დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება. სადავო ფართი რ. ღ-მემ მიჰყიდა რ. ღ-მეს, რაზეც 2006 წლის დეკემბერში მათ შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება. ასევე დადგინდა, რომ რ. ღ-მემ ნ. ღ-მეს არ დაუბრუნა ამ უკანასკნელის მიერ გადაცემული 600 აშშ დოლარი.

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები საკასაციო სასამართლოსათვის სავალდებულოა, ვინაიდან კასატორის მიერ არ არის წამოყენებული დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია. კასატორი ვერ მიუთითებს იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ. კასატორი ასევე არ მიუთითებს სხვა რაიმე ისეთ მტკიცებულებაზე, რომლებიც სააპელაციო სასამართლოს მიერ არ იქნა შესწავლილი და გამოკვლეული და რომელიც გამორიცხავდა დადგინდ გარემოებებს. კასატორი არ ეთანხმება დადგინილი გარემოებების სამართლებრივ შეფასებას, კერძოდ, მიაჩნია, რომ სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლი, მაგრამ ვერ მიუთითებს, თუ რომელი კანონი უნდა გამოეყენებინა სასამართლოს.

სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა« ქვეპუნქტის თანახმად, პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ -

კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში. მითითებული ნორმის საფუძველზე მოსარჩელის მოთხოვნა საფუძვლიანია და რ. ლ-მე ვალდებულია, მიღებული თანხა დააბრუნოს. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მართებულად გამოიყენა სკ-ის 976-ე მუხლი.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მტკიცებას იმის შესახებ, რომ სასამართლოს მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე არ უნდა დაეკმაყოფილებინა სარჩელი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებითა და ექსპერტთა დასკვნებით.

აღნიშნული ნორმა ამომწურავად განსაზღვრავს მტკიცებულებათა წრეს. საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების დასადასტურებლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს აქ მითითებული მტკიცების ნებისმიერი საშუალება, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა.

სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლის თანახმად, სესხის ხელშეკრულების ნამდვილობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით, რაც არ ნიშნავს იმას, რომ მოწმეთა ჩვენებებს არავითარი მნიშვნელობა აქვს. მოწმეთა ჩვენებები მხედველობაში მიიღება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა მტკიცებულებების ერთობლივი შეფასებით. ამასთან, მოცემული დავის საგანს არ წარმოადგენს სესხის ხელშეკრულების ნამდვილობის დადგენა, შესაბამისად, აღნიშნულ ნორმას სასამართლო ვერ გამოიყენებდა.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის შესაბამისად, შეაფასა მტკიცებულებები (მხარეთა ახსნა-განმარტებები, მოწმეთა ჩვენებები, სადავო ფართის პრივატიზაციის ხელშეკრულება, ნასყიდობის ხელშეკრულება) თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც ემყარებოდა სასამართლო სხდომაზე მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მიიღო დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

ამდენად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა, შესაბამისად, არ არსებობს მისი გაუქმების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დაადგინა:

რ. ლ-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს ამ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 20 აპრილის განჩინება;
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

7. მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურება

განჩინება

№ას-92-372-08

7 ოქტომბერი, 2008 წ., თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე)
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება.

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 25 იანვარს თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართეს ი. ქ-შვილმა, ნ. ბ-შვილმა და ვ. გ-იანმა მოპასუხეების - ქ. თბილისის მერიის, თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნის გამგეობისა და შპს «თბილწყალკანალის» (ამჟამად შპს «თბილისის წყალი») მიმართ. მოსარჩელებმა მოითხოვეს მოპასუხეებისაგან სოლიდარულად ზიანის ანაზღაურება.

სასარჩელო განცხადებაში აღნიშნულია, რომ მოსარჩელები ცხოვრობენ თბილისში, ... ქ. №48-ში. სახლის მახლობლად გაყვანილია სანიაღვრე მილსადენი. 2004 წლის 22 ივლისს თბილისში ძლიერი კოკისპირული წვიმების შედეგად, სანიაღვრე სისტემის დაზიანების გამო, წყალი შეიჭრა მათ საცხოვრებელ სახლებში და დააზიანა კედლები, საძირკველი. ამ მიზეზით დაიწყო სახლის ნგრევა და მოსარჩელებს მიადგათ მატერიალური ზიანი.

მოპასუხე შპს «თბილწყალკანალმა» მისთვის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ კოკისპირული წვიმების შედეგად შპს «თბილწყალკანალის» საკანალიზაციო სექტორის დაზიანება გამოიწვია მოსახლეობის მიერ საკანალიზაციო ჭებისათვის სახურავების ახდამ და მოვარდნილი ნიაღვრის კოლექტორში ჩაშვებამ, რომელმაც ვეღარ გაატარა წყლის დიდი ხარჯი, გაჟონა გრუნტში და ამოვიდა ზედაპირზე. აღნიშნულის გამო მწყობრიდან გამოვიდა 300 მეტრი საკანალიზაციო ქსელი, რომლის სარეკონსტრუქციო და აღდგენითი სამუშაოები მოპასუხემ ჩაატარა. შპს «თბილწყალკანალმა» 2004 წლის 27 სექტემბერს წერილით მიმართა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნის გამგეობას, რომლითაც კომისიის შექმნა და ... ქ. №48-ში არსებული დაზიანებული კოლექტორის ერთობლივად შემოწმება ითხოვა, თუმცა აღნიშნულს გამგეობის მხრიდან რეაგირება არ მოჰყოლია.

შპს «თბილწყალკანალმა» მის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა საფუძველს მოკლებულად მიიჩნია იმ მიზეზითაც, რომ თბილისის მთავრობის დადგენილება ზიანის სალიკვიდაციო ღონისძიებებისა და ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობის განსაზღვრასთან მიმართებაში ერთმნიშვნელოვნად მიუთითებდა შესაბამისი რ-ნების გამგეობების ვალდებულებებზე.

«რაიონული (საქალაქო) სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 14 ნოემბრის №649 ბრძანებულებაში 2005 წლის 12 აპრილის საქართველოს პრეზიდენტის №213 ბრძანებულებით შეტანილი ცვლილების თანახმად, ლიკვიდირებულ იქნა თბილისის რაიონული სასამართლოები და შეიქმნა თბილისის საქალაქო სასამართლო, რომელშიც ჩამოყალიბდა სპეციალიზებული სასამართლო კოლეგიები - ადმინისტრაციულ საქმეთა, სამოქალაქო საქმეთა და სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 26 ივლისის განჩინებით ი. ქ-შვილის, ნ. ბ-შვილისა და ვ. გ-იანის სარჩელი მოპასუხე შპს «თბილწყალკანალის» მიმართ სანიაღვრე სისტემის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე ცალკე წარმოებად გამოიყო და განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვისას მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ მათთვის მიყენებული ზიანი გამოიწვია არა სანიაღვრე სისტემის დაზიანებამ, არამედ საკანალიზაციო კოლექტორის მწყობრიდან გამოსვლამ. აღნიშნულის შესაბამისად, მოსარჩელებმა ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულ პირად შპს «თბილისის წყალი» მიიჩნიეს. მათ საბოლოოდ მოითხოვეს შპს «თბილისის წყლისათვის» ნ. ბ-შვილის სასარგებლოდ 9625 ლარის, ვ. გ-იანის სასარგებლოდ - 10620 ლარის, ხოლო ი. ქ-შვილის სასარგებლოდ - 5200 ლარის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, შპს «თბილისის წყალს» დაეკისრა: ნ. ბ-შვილის სასარგებლოდ - 9625 ლარის, ვ. გ-იანის სასარგებლოდ - 10620 ლარის, ი. ქ-შვილის სასარგებლოდ 5200 ლარის დაკისრება.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა შორის ვალდებულების წარმოშობის საფუძველს წარმოადგენდა დელიქტური ვალდებულება. სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. ამავე კოდექსის მე-1000 მუხლის მიხედვით, თუ ნაგებობიდან გამომდინარეობს მომეტებული საფრთხე ამ ნაგებობაში წარმოებული, მოთავსებული ან მიწოდებული ენერჯისაგან, ანდა ხანძარსაში ან აფეთქებასაში, შხამიანი ანდა მომწამვლელი ნივთიერებებისაგან, მაშინ ამ ნაგებობის მფლობელი ვალდებულია, თუკი ამ საფრთხის პრაქტიკულ განხორციელებას მოჰყვება ადამიანის სიკვდილი, სხულის დაზიანება ან ჯანმრთელობის დაზიანება ანდა ნივთის დაზიანება, აუნაზღაუროს დაზარალებულს აქედან წარმოშობილი ზიანი.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქმეში არსებულ «თბილწყალკანალის» წერილზე, რომლითაც დასტურდებოდა, რომ 2004 წლის 22 ივლისს მოსული წვიმის შედეგად დაზიანდა საკანალიზაციო კოლექტორი, რომელმაც ვერ გაატარა წყლის დიდი ხარჯი და გაჟონა გრუნტში, ასევე ამოვიდა ზედაპირზე. წვიმის წყალი ჩავიდა საკანალიზაციო კოლექტორში და დააზიანა მოსარჩელეთა საცხოვრებელი სახლები. აღნიშნულთან დაკავშირებით საქალაქო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლზე, რომლის თანახმად, ერთი მხარის მიერ ისეთი გარემოების არსებობის ან არარსებობის დადასტურება (ადიარება), რომლებზედაც მეორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნებსა თუ შესაგებელს, სასამართლომ შეიძლება საკმარის მტკიცებულებად ჩათვალოს და საფუძველად დაუდოს სასამართლო გადაწყვეტილებას.

საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, ის გარემოება, რომ შპს «თბილისის წყალი» მოსარჩელეთა მიმართ დამდგარ ზიანში თავის ბრალს გამორიცხავდა, მას სამოქალაქო კოდექსის მე-1000 მუხლის მე-

3 ნაწილით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისგან არ ათავისუფლებდა, რამდენადაც კანონის აღნიშნული ნორმა წყლის მიმწოდებელი მოწყობილობების დაზიანებისას ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას დაუძლეველი ძალის არსებობის პირობებშიც ითვალისწინებდა. მისი შინაარსიდან გამომდინარე, მომეტებული საფრთხის წყაროს არსებობაში იგულისხმებოდა ისეთი ობიექტი, რომელიც თავისი თვისებებიდან გამომდინარე სრულ კონტროლს არ ექვემდებარებოდა.

იმის გათვალისწინებით, რომ საქმეში არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს ინდივიდუალური აუდიტორის დასკვნებით დადგენილი ზიანის ოდენობები, აგრეთვე თბილისში, ... ქ. №48-ზე არსებული საკანალიზაციო სისტემის მესაკუთრეობა შპს «თბილისის წყალს» სადავოდ არ გაუხდია, საქალაქო სასამართლომ მოსარჩელეთა მოთხოვნა მის მიმართ ზიანის ანაზღაურების დაკისრების შესახებ საფუძვლიანად მიიჩნია.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს «თბილისის წყალს», რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელებისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

აპელანტი არ დაეთანხმა სადავო სამართალურთიერთობის დასარეგულირებლად სამოქალაქო კოდექსის მე-1000 მუხლის გამოყენებას და მიიჩნია, რომ იგი ამავე კოდექსის 992-ე მუხლით უნდა მოწესრიგებულიყო. შპს «თბილისის წყლის» მტკიცებით, საკანალიზაციო კოლექტორი არ წარმოადგენდა წყლის მიწოდების მოწყობილობას, მის დანიშნულებას წყლის თვითდინებით გატარება და გამწმენდ ნაგებობამდე მიყვანა წარმოადგენდა. თუმცა ასეც რომ ყოფილიყო, დაუძლეველი ძალის არსებობა შპს «თბილისის წყლის» მიერ ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას გამორიცხავდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილებით შპს «თბილისის წყლის» სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება, ნ. ბ-შვილის, ვ. გ-იანისა და ი. ქ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად დადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებანი, მაგრამ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ, რამაც არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა განაპირობა. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოება, რომ მოსარჩელეთა სახლები კოვისპირული წვიმების შედეგად დაზიანებული საკანალიზაციო კოლექტორის მწყობრიდან გამოსვლის გამო დაზიანდა. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს შეფასება საკანალიზაციო კოლექტორის წყლის მიმწოდებელ მოწყობილობად მიჩნევისთან დაკავშირებით და დაეთანხმა აპელანტის მოსაზრებას იმის შესახებ, საკანალიზაციო კოლექტორის დანიშნულებას წარმოადგენდა არა წყლის მიწოდება, არამედ ჩამდინარე წყლის თვითდინებით გატარება და მისი გამწმენდ ნაგებობამდე მიყვანა.

გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა სამოქალაქო კოდექსის მე-1000 მუხლის შინაარსზე, რომელიც ბრალის გარეშე პასუხისმგებლობას ითვალისწინებს არა ყოველგვარი წყლის მიმწოდებელი ნაგებობიდან მიყენებული, არამედ მხოლოდ იმ ნაგებობიდან წარმომავალი ზიანისთვის, რომლიდანაც გამომდინარეობს მომეტებული საფრთხე. სასამართლოს აზრით, ამგვარ ნაგებობებში კანონმდებელი გულისხმობდა ისეთ ნაგებობას, რომელიც მასში წარმოებული, მოთავსებული ან მიწოდებული ენერჯის, თუ მომწამვლელი ნივთიერების გამო წარმოადგენდა მომეტებული საფრთხის წყაროს. საკანალიზაციო კოლექტორი არ შეიძლება მიჩნეულიყო მომეტებული საფრთხის წყაროს შემცველ ნაგებობად, რამდენადაც ასეთ კვალიფიკაციას ნაგებობას აძლევდა მასში გამავალი თუ მოთავსებული ისეთი ნივთიერებისა და ენერჯის არსებობა, რომელიც გარემო ფაქტორების ზემოქმედების გარეშე თავისთავად საფრთხის შემცველი იყო. ასეთს განეკუთვნებოდა, მაგალითად, ელექტროგადამცემი ხაზი მასში გამავალი ელექტროენერჯის გამო, კაშხალი მასში მოთავსებული წყლის გამო. ისინი ზემოქმედების გარეშე, თავისთავად, საფრთხის წყაროს წარმოადგენდნენ. რაც შეეხებოდა ნაგებობებს, მომეტებული საფრთხის წყაროს არ წარმოადგენდა ნაგებობა, თუკი მართლზომიერი გამოყენების შედეგად მას არ შეიძლება ზიანი მიეყენებინა გარე სამყაროსათვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია სადავო სამართალურთიერთობის სამოქალაქო კოდექსის მე-1000 მუხლით მოწესრიგება და დავის გადასაწყვეტად გამოიყენა ამავე კოდექსის 992-ე მუხლი, რომლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. სასამართლოს მითითებით, მოცემული შემთხვევის დადგომაში შპს «თბილისის წყლის» ბრალეულობის დაუდასტურებლობა დამდგარ შედეგთან (მოსარჩელეთა მიერ განცდილი ზიანი) ამ უკანასკნელის მიზეზობრივ კავშირს გამორიცხავდა.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ი. ქ-შვილმა, ნ. ბ-შვილმა და ვ. გ-იანმა. კასატორებმა მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოსათვის დაბრუნება, შემდეგი საფუძვლებით:

მედარია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ საკანალიზაციო კოლექტორი არ წარმოადგენს წყლის მიმწოდებელ მოწყობილობას, რომლის დანიშნულებას წარმოადგენს არა წყლის მიწოდება, არამედ ჩამდინარე წყლის თვითდინებით გატარება და გამწმენდ ნაგებობამდე მიყვანა. ამგვარ შემთხვევაში კანონი პასუხისმგებლობას აწესებს წყლის მიწოდების სისტემის გამო და არა იმის მიხედვით, თუ როგორ ხორციელდება ეს მიწოდება - თვითდინებით თუ იძულებით.

საკანალიზაციო სისტემა არ წარმოადგენს და არც შეიძლება წარმოადგენდეს რაღაც ცალკე დამოუკიდებელ სისტემას, რასაც არავითარი კავშირი არ აქვს წყლის მიწოდებასთან, რამეთუ იგი ჩართულია ერთიან სისტემაში, რომელიც უზრუნველყოფს საწმენდი ნაგებობიდან წყლის მიწოდებას მომხმარებლებისათვის და მისი გამოყენების შემდეგ ნარჩენი წყლების შემდგომ მიწოდებას საწმენდი ნაგებობისათვის ისევე ბუნებაში დასაბრუნებლად ან ხელმეორედ გამოსაყენებლად.

კანონმდებლის მიერ მომეტებული საფრთხის წყაროდ წყლის დასახელება მისი ფიზიკური თვისებებიდან გამომდინარეობს, რაც სრულიად არ გამოირჩევა ასეთად სასმელი წყლის მიწოდებელი სისტემის დაზიანების გამო დაგროვილი წყლის იმ რაოდენობის მიჩნევას, რომელიც შენობა-ნაგებობის დანგრევის საშიშროების რეალური საფრთხის მატარებელია. აღნიშნულით არის განპირობებული კანონში ზოგადად წყლის მიწოდებელ მოწყობილობაზე და არა მაგალითად, კაშხლის წყლებზე მითითება.

ამასთან, კანონი ითვალისწინებს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას გაუფრთხილებლობისთვისაც. გასათვალისწინებელია, რომ საკანალიზაციო სისტემის დაყენებას წინ უსწრებს მისი პროექტის შედგენა, რა დროსაც გათვლილი უნდა იყოს მისი სიმძლავრე ანუ გამტარუნარიანობა, მომხმარებელთა რაოდენობა, მათი ლოკალიზაცია, მათ მიერ მოხმარებული წყლის და ნარჩენების წარმოშობის რაოდენობა, მათი გამრავლების პერსპექტივა, სისტემის ტექნიკური მომსახურებისა და დაცვის შესაძლებლობა, მათ შორის, ბუნებრივი მოვლენებისგან. ამ შემთხვევაში სასამართლოს მიერ დადასტურებლად არის ცნობილი, რომ საკანალიზაციო სისტემამ ვერ გაუძლო დიდ წვიმებს. აღნიშნული გარემოება კი გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო როგორც სისტემის პროექტირებისას და მშენებლობისას, ისე მისი შემდგომი ტექნიკური ექსპლუატაციისას. ის გარემოება, რომ სისტემამ ვერ გაუძლო ბუნებრივ მოვლენებს, აშკარად მიუთითებს მოპასუხის ბრალეულობაზე, ვინაიდან სისტემა ისე უნდა იქნეს დაპროექტებული, აშენებული და შემდგომ ექსპლუატირებული, რომ წვიმის წყალი საერთოდ არ მოხვდეს მასში. ამასთან, სასამართლო შეიჭრა ტექნიკური საკითხების (ტერმინების) არსის დადგენაში, რაც მხოლოდ ტექნიკური სპეციალისტის კომპეტენციაში შედის.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილ უდავო ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენს, რომ 2004 წლის 21-22 ივლისის თბილისში ძლიერი კოკისპირული წვიმების შედეგად ნიაღვრის წყლები ჩავიდა საკანალიზაციო კოლექტორში თბილისში, ... ქ. №48-თან, კოლექტორმა ვერ გაატარა წყლის დიდი ხარჯი და წყლის მასამ გაჟონა გრუნტში, რის შედეგად მოქალაქეების - ნ. ბ.-შვილის, ვ. გ.-იანის და ი. ქ.-შვილის ბინებში დაზიანდა კედლები და იატაკი. ამდენად, დადგენილია, რომ მოსარჩელეთა სახლები კოკისპირული წვიმების შედეგად საკანალიზაციო კოლექტორის მწყობრიდან გამოსვლის გამო დაზიანდა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საკანალიზაციო კოლექტორი არ წარმოადგენს წყლის მიწოდებელ მოწყობილობას, მაგრამ ამ მოწყობილობის საინჟინრო-ტექნიკური ბუნება არ გამოუკვლევია, რაც შესაძლებელი იყო მხოლოდ სპეციალური ტექნიკური ცოდნით აღჭურვილი პირის დახმარებით, რამდენადაც საქმეში ამის თაობაზე არაფერი მოიპოვება. მხოლოდ კოლექტორის საინჟინრო-ტექნიკური სპეციფიკის გათვალისწინების შედეგად იქნებოდა შესაძლებელი დასკვნის გაკეთება, წარმოადგენს თუ არა იგი წყლის მიწოდებელ მოწყობილობას და შესაძლებელია თუ არა მოცემულ შემთხვევაზე სამოქალაქო კოდექსის მე-1000 მუხლის მე-3 ნაწილის გავრცელება. ამასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ კოლექტორი კიდევ რომ იყოს წყლის მიწოდებელი მოწყობილობა, ის არ არის მომეტებული საფრთხის მატარებელი. მომეტებული საფრთხის წყაროს არსებობაში იგულისხმება ისეთი ობიექტი, რომლის ექსპლუატაცია, თავისი თვისებებიდან გამომდინარე, არ ექვემდებარება ადამიანის მხრიდან სრულ კონტროლს. თუკი კოლექტორის ექსპლუატაციას შეიძლება მოჰყვეს ისეთი შედეგი, რაც მოცემულ შემთხვევაში წყლის გრუნტში გაჟონვა და მოსახლეობის ბინების დატბორვა, ასეთ შემთხვევაში ვერ ვიტყვით, რომ ასეთი რამ არ წარმოადგენს მომეტებულ საფრთხეს და სამოქალაქო კოდექსის მე-1000 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების მოთხოვნაში არ თავსდება.

გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ ისე გამოირჩევა შპს «თბილისის წყლის» ბრალეულობა კოლექტორის მწყობრიდან გამოსვლასთან დაკავშირებით, რომ არ გამოურკვევია, მისი გამართულობის პირობებში უნდა მოხვედრილიყო თუ არა წვიმის წყალი კოლექტორიდან გრუნტში, თუნდაც კოკისპირული წვიმების დროს, როგორსაც მოცემულ შემთხვევაში ჰქონდა ადგილი. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა საკითხიც, სიმძლავრის გათვალისწინებით, რამდენი წყლის გატარებაზე იყო მოცემული კოლექტორი გათვლილი და რამდენი წყლის გატარება მოუხდა კოკისპირული წვიმების შედეგად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს. სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოარკვიოს ზემოაღნიშნული გარემოებები და ამის შედეგად მიიღოს გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი :

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დაადგინა :

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს; საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**8. უხარისხო პროდუქტით გამოწვეული
ზიანის ანაზღაურება**

განჩინება

საქმე № ას-296-624-07 25 სექტემბერი, 2007 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე) ,
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი) ,
მ. ცისკაძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება.

აღწერილობითი ნაწილი :

ლ. ჩ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს «ქუთაისის რეგიონალური სისხლის ბანკის» მიმართ მორალური და მატერიალური ზიანის - 200 000 ლარის ოდენობით ანაზღაურების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 2001 წლის მარტში მოსარჩელეს საკვისრო კვეთის შედეგად ქუთაისის №2 სამშობიარო სახლში შეეძინა ვაჟი. ოპერაციისას დიდი რაოდენობით სისხლის დაკარგვის გამო ლ. ჩ-მეს დასჭირდა სისხლის გადასხმა. მისმა ნათესავებმა 600 გრამი ერთროციტული მასა და კრიოპლაზმა შეიძინეს ქუთაისის სისხლის ბანკში, რაც გადაეხა მოსარჩელეს. ბავშვის დაბადებიდან 2-3 თვის შემდეგ ლ. ჩ-მის შვილი, ხოლო ორი წლის შემდეგ თავად მოსარჩელე დაავადდა. მთელი რიგი ავადმყოფობები დროის მცირე მონაკვეთში უმეორდებათ და სრულ განკურნებას არ ემორჩილება. 2005 წლის სექტემბერში მოსარჩელეს მიმართეს ექიმებმა, აუღეს სისხლის ანალიზი და განუმარტეს, რომ ქუთაისის სისხლის ბანკიდან აღებული სისხლის გადასხმისას «აივ», ე.წ. შიდსის ვირუსით დაავადდა რამოდენიმე პირი. ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის გამოკვლევით დადგინდა, რომ ლ. ჩ-მე და მისი უმცროსი შვილი დაავადებული არიან «აივ» ვირუსით. მოსარჩელის ვაჟს ვირუსი დედის რძესთან ერთად გადაეცა. აღნიშნულმა გარემოებამ მოსარჩელის ოჯახს მიაყენა უდიდესი მორალური და მატერიალური ზიანი, რის გამოც სამოქალაქო კოდექსის 408-ე, 412-413-ე, 992-ე, 1009-ე და 1014-ე მუხლების საფუძველზე მოპასუხეს უნდა დაეკისროს აღნიშნული ზიანის ანაზღაურება, რადგან მოსარჩელე და მისი შვილი სწორედ სისხლის ბანკის ხელმძღვანელობის ბრალეული ქმედების შედეგად დაავადდნენ.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: ლ. ჩ-მისა და მისი შვილის ავადმყოფობაში საზოგადოების ბრალეულობის დამადასტურებელი მტკიცებულება არ არსებობს. სასარჩელო მოთხოვნა ეყრდნობა ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის 2006 წლის 20 მარტის №01/09/45 წერილს, რომელსაც მტკიცებულების ძალა არ გააჩნია. აღნიშნული დოკუმენტი სისხლის ბანკის მეშვეობით მოსარჩელის დაინფიცირების ფაქტზე არ მიუთითებს, არამედ ინფიცირების წყაროდ სავარაუდოდ მიიჩნევა რუსეთში მყოფ დონორს, რომლის ინფიცირების შემოწმება ვერ მოხერხდა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილებით ლ. ჩ-მის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 20 000 ლარის გადახდა, რაც ლ. ჩ-მემ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში, ხოლო მოპასუხემ სრულად გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 28 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო: სასამართლომ დაადგინა, რომ ლ. ჩ-მისათვის საჭირო 600 გრ სისხლი მოსარჩელის ნათესავებმა შეიძინეს შპს «ქ.ქუთაისის რეგიონალურ სისხლის ბანკში». აღნიშნული სისხლი ეკუთვნოდა დონორ მ. ს-მეს, რაც დასტურდება ე.წ. «ეპიდემიოლოგიური კვლევის აქტით». მითითებული დოკუმენტის მიხედვით, მ. ს-მემ სისხლი მეორეჯერ ქუთაისის სისხლის ბანკს 2001 წლის 5 მარტს ჩააბარა, რის შემდეგ მისი სისხლი შემოწმდა უსაფრთხო სისხლის პროგრამით «აივ» ინფექციაზე ტესტური სისტემით - «Hუმანა

ჩვენ», კრიოპლაზმა რეალიზდა ქ.ქუთაისის მეორე სამშობიარო სახლში და გადაესხა მოსარჩელეს. მიუხედავად იმისა, რომ დონორი მ. ს-ძის სისხლის ნიმუშის აღება და გამოკვლევა ვერ მოხერხდა, სასამართლომ საქმეში არსებულ მტკიცებულებებთან შეფასების შედეგად დაასკვნა, რომ დონორი ინფიცირებული იყო «აივ» ვირუსით. სასამართლოს ეს დასკვნა ეყრდნობა სპეციალისტ ნ.ბ-ძისა და მ. ლ-ძის ჩვენებებს, რომელთა მიხედვით «აივ» ვირუსით დაინფიცირდნენ ის რეციპიენტები, რომლებსაც დონორ მ. ს-ძის სისხლი გადაესხათ და მითითებული დონორის სისხლის შემოწმება მხოლოდ დადასტურებს აღნიშნულ გარემოებას. დოკუმენტებში არსებული მითითება მ. ს-ძის სავარაუდო ინფიცირების შესახებ გამოწვეულია იმით, რომ მითითებული დონორი ცენტრში არ გამოკვლეულა. სასამართლომ ასევე ყურადღება გაამახვილა ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამედიცინო პრაქტიკული ცენტრის ხელმძღვანელის მიწერილობაზე ქუთაისის შინაგან საქმეთა სამმართველოს გამომძიებლისადმი, საიდანაც ასევე დასტურდება, რომ 1998 წლიდან 2001 წლის ჩათვლით მ. ს-ძის სისხლი გადაესხა 19 პირს, 10 მათგანის ვინაობა დადგინდა, აქედან 4 გარდაცვლილია, 5-ს სისხლი გადაესხა 2000 წლის 29 დეკემბრიდან 2001 წლის 20 მარტამდე, იმავე დროს, როდესაც ლ. ჩ-ძეს. აღნიშნული 5 რეციპიენტი ინფიცირებულია შიდსის ვირუსით, ხოლო პირს, რომელსაც სისხლი გადაესხა 1998 წელს, ვირუსი არ აღმოაჩნდა. ამდენად, სასამართლომ დაადგინა, რომ დონორი მ. ს-ძე დაინფიცირდა 1999 წლის შემდგომ. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ ლ. ჩ-ძის მეუღლე და უფროსი ვაჟი «აივ» ვირუსით ინფიცირებული არ არის, მეორე ბავშვზე ორსულობის პერიოდში მოსარჩელე სტაბილურად იღებდა ანალიზებს და იმ პერიოდში სადავო ვირუსი არ აღმოჩენია. სასამართლომ მიუთითა სპეციალისტთა განმარტებებზე, რომელთა თანახმად, შიდსის ვირუსით დაინფიცირების დადგენის უზუსტესი მეთოდი ცენტრში ხდება, თუმცა ამ მეთოდის სიძვირის გამო იგი დონორთა სისხლის შემოწმებისას არ გამოიყენება. პალატამ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე საქმის მასალებისა და ფაქტობრივი გარემოებების სრული და ობიექტური შესწავლის შედეგად მიიჩნია, რომ ლ. ჩ-ძე დაინფიცირდა სწორედ იმ პროდუქტის - კრიოპლაზმის მოხმარების შემდეგ, რომელიც მან მოპასუხისაგან, ამ პროდუქტის მწარმოებელი და რეალიზატორი ორგანიზაციისაგან, შეიძინა. სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება, რომ შესაძლოა მოსარჩელის დაინფიცირება გამოწვეულ იქნა სხვა გარემოებით, ვინაიდან აღნიშნულის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება მხარეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის დაცვით არ წარმოუდგენია. პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 1011-ე, 1010-ე, 487-ე, 494-ე, 1009-ე მუხლებით, ასევე მოპასუხე საზოგადოების წესდების მე-3 მუხლით და ჩათვალა, რომ ლ. ჩ-ძის ახლო ნათესავები მოსარჩელისათვის საჭირო სისხლის შექმნისას ვარაუდობდნენ, რომ იძენდნენ უეჭველად საიმედო, ხარისხიან პროდუქტს და ისინი ნივთის ვარგისიანობის შესაძლო ნაკლებ არაიყოს გაუფრთხილებია. სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხე ორგანიზაციის მოსაზრება, რომ მოცემულ შემთხვევაში სარეალიზაციო პროდუქტის გატანის დროს არსებული მეცნიერულ-ტექნოლოგიური დონის გათვალისწინებით შეუძლებელი იყო პროდუქტის ნაკლის აღმოჩენა, ამდენად, საზოგადოების ბრალი არ არსებობს, რაც მის პასუხისმგებლობას გამორიცხავს. სასამართლომ განმარტა, რომ კანონის ზემოხსენებული დანაწესები სავალდებულოა მხარეთათვის ნებისმიერი მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების დონის მიუხედავად, რის გამოც მოპასუხე ვალდებული იყო, ეწარმოებინა და გაესხვისებინა მხოლოდ უსაფრთხო სისხლი იმ გარემოებათა გათვალისწინებლად, თუ რა ღირებულების გამოკვლევები ესაჭიროებოდა აღნიშნულს. სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლით და ლ. ჩ-ძის მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ საფუძვლიანად მიიჩნია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლზე დაყრდნობით სასამართლომ ჩათვალა, რომ მოსარჩელისათვის მიყენებული მორალური ზიანის არსებობა მტკიცებას არ საჭიროებს და რაიონული სასამართლოს მიერ განსაზღვრული არაქონებრივი ზიანის ოდენობა მართლზომიერია. პალატამ მიუთითა, რომ ლ. ჩ-ძემ მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ სასარჩელო მოთხოვნა მოხსნა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს «ქუთაისის რეგიონალური სისხლის ბანკმა», მოითხოვა მისი გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი დასაბუთებით: სპეციალისტთა განმარტებებსა და ქუთაისის შს სამმართველოს გამომძიებლისადმი ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამედიცინო პრაქტიკული ცენტრის ხელმძღვანელის წერილზე დაყრდნობით, სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია, რომ ლ. ჩ-ძე დაინფიცირდა დონორ მ. ს-ძის სისხლის გადასხმის შედეგად, ვინაიდან დონორის სისხლი «აივ» ინფექციაზე გამოკვლეული არ ყოფილა. სწორედ ამიტომ, 2005 წლის 29-30 სექტემბრის ეპიდემიოლოგიური კვლევის აქტსა და ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამედიცინო პრაქტიკული ცენტრის დირექტორის წერილში გამოთქმულია მხოლოდ ვარაუდი მ. ს-ძის დაინფიცირებასთან დაკავშირებით. დაუსაბუთებელია და მხოლოდ ვარაუდს ემყარება სასამართლოს მსჯელობა, რომ 6 რეციპიენტისათვის მ. ს-ძის სისხლის გადასხმის შედეგად 5 მათგანს გამოუვლინდა რა «აივ» ვირუსი, დაინფიცირების წყაროს წარმოადგენს დონორი მ. ს-ძე. სააპელაციო პალატამ არაობიექტურად შეაფასა მტკიცებულებები კასატორის ბრალეულობის საკითხის გარკვევისას, ვინაიდან საქმის მასალებით არ დასტურდება სისხლის ბანკის მიერ სისხლის გამოკვლევისა და რეალიზაციისას კანონმდებლობისა და შესაბამისი სპეციალური ინსტრუქციების დარღვევის ფაქტი. გასაჩივრებული განჩინების მსჯელობა ეყრდნობა ზოგად პრინციპებს და არ ითვალისწინებს

სპეციალისტთა განმარტებას, რომ სადავო პროდუქტის გამოკვლევა-რეალიზაციისას სისხლის ბანკს «უსაფრთხო სისხლის პროგრამით» დადგენილი ნორმები არ დაურღვევია, რაც დასტურდება 2005 წლის 6-7 ოქტომბრისა და 29-30 სექტემბრის აქტებით. სააპელაციო სასამართლომ ყოველგვარი მტკიცებულებების არსებობის გარეშე დაადგინა, რომ მ. ს-მე დაავადდა 1999 წლიდან. 2005 წლის 29-30 სექტემბრის ეპიდემიოლოგიური კვლევის აქტით დასტურდება, რომ გამოკვლეულ 6 რეციპიენტს დონორ მ. ს-მის სისხლი გადაეხსა 2000 წლის 29 დეკემბერსა და შემდგომ პერიოდში. მ. ს-მის სისხლი «ც» ჰეპატიტის აღმოჩენის გამო დაწუნებულ იქნა 2001 წლის 27 აპრილიდან. არსებობს კასატორის ბრალის გამომრიცხავი გარემოება, კერძოდ, სპეციალისტებმა მიუთითეს შიდსით დაავადების 6-თვიან ე.წ. «ფანჯრის პერიოდზე». სასამართლომ აღნიშნულ საკითხზე სპეციალისტთა განმარტებები არასრულად შეაფასა. პალატამ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 1009-ე მუხლი და მხოლოდ ზოგად მსჯელობაზე დაყრდნობით უარყო სისხლის ბანკის არგუმენტები, რომ წარმოდგენილი სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო, ვინაიდან იმუნოლოგიის ცენტრის №01-19/145 წერილის მიხედვით სისხლში «აივ» ინფექციის აღმოჩენის 100%-იანი მეთოდი მსოფლიოში მეცნიერულ-ტექნოლოგიური განვითარების მოცემულ დონეზე არ არსებობს. აღნიშნული მოსაზრება აისახა შემოწმების აქტებსა და სპეციალისტთა განმარტებებშიც. სასამართლოს 1007-ე მუხლის პირველი ნაწილით კასატორი პასუხისმგებლობისაგან უნდა გაეთავისუფლებინა, ვინაიდან მისი ბრალი კანონით დადგენილი წესით არ დადასტურებულა. სააპელაციო საჩივრის აღნიშნული არგუმენტზე სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლი და 393-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს «ქუთაისის რეგიონალური სისხლის ბანკის» საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელი შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დადგინილად ცნო, რომ შპს «ქ.ქუთაისის რეგიონალურ სისხლის ბანკისათვის» დონორ მ. ს-მის მიერ 2001 წლის 5 მარტს ჩაბარებული სისხლი შემოწმდა უსაფრთხო სისხლის პროგრამით «აივ» ინფექციაზე ტესტური სისტემით - «Hუმანა Hჰ+2», კრიოპლაზმა რეალიზდა ქ.ქუთაისის მეორე სამშობიარო სახლში და გადაეხსა ლ. ჩ-მეს. 1998 წლიდან 2001 წლის ჩათვლით მ. ს-მის სისხლი გადაეხსა 19 პირს, 10 მათგანის ვინაობა დადგინდა, აქედან 4 გარდაცვლილია, ხუთ პირს სისხლი გადაეხსა 2000 წლის 29 დეკემბრიდან 2001 წლის 20 მარტამდე, იმავე დროს, როდესაც ლ. ჩ-მეს. აღნიშნული 5 რეციპიენტი ინფიცირებულია შიდსის ვირუსით, ხოლო პირს, რომელსაც სისხლი გადაეხსა 1998 წელს, ვირუსი არ აღმოაჩნდა. სასამართლომ დაადგინა, რომ ლ. ჩ-მის მეუღლე და უფროსი ვაჟი «აივ» ვირუსით ინფიცირებული არ არის, მეორე ბავშვზე ორსულობის პერიოდში კი მოსარჩელე სტაბილურად იღებდა ანალიზებს და იმ პერიოდში (მშობიარობამდე) შიდსის ვირუსი არ აღმოჩენია. ლ. ჩ-მის ინფიცირება «აივ» ვირუსით სისხლის ბანკიდან ნაყიდი კრიოპლაზმის გადასხმამდე, ასევე, მისი დაავადების სხვა რაიმე გარემოებით გამოწვევა არ დასტურდება.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატამ დადგინილ ფაქტობრივ გარემოებებს სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა, კერძოდ, სასამართლომ მართებულად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 1010-ე და 1011-ე მუხლები, რომელთა შესაბამისად:

პროდუქტი ითვლება უხარისხოდ, თუ იგი არ უზრუნველყოფს იმ საიმედოობას, რომელიც ყველა გარემოების გათვალისწინებით მოსალოდნელი იყო ამ პროდუქტისაგან.

ამ კოდექსის მიხედვით პროდუქტად მიიჩნევა ყველა მოძრავი ნივთი.

მწარმოებლად ამ კოდექსის მიხედვით მიიჩნევა პირი, ვინც აწარმოვა საბოლოო პროდუქტი, ძირითადი ელემენტი ან პროდუქტის ნაწილი. მწარმოებლად ითვლება, ასევე, ყველა, ვინც საკუთარი სახელით, სასაქონლო ან სხვაგვარი განმასხვავებელი ნიშნით გამოდის, როგორც მწარმოებელი. მწარმოებლად ითვლება, აგრეთვე, პირი, რომელსაც პროდუქტი გამოაქვს გაყიდვის, გაქირავების, ლიზინგის ან სხვა ფორმით სამეურნეო მიზნებით თავისი საქმიანი მოღვაწეობის სფეროში ამ კოდექსით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

მითითებული ნორმებით გათვალისწინებული იურიდიული ფაქტების არსებობა დასტურდება მოცემულ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებით, კერძოდ, მომხმარებელმა ლ. ჩ-მემ მწარმოებელ შპს «ქ.ქუთაისის რეგიონალურ სისხლის ბანკისაგან» შეიძინა პროდუქტი - სისხლის კრიოპლაზმა, რომელიც უხარისხო - «აივ» ვირუსით ინფიცირებული აღმოჩნდა და შედეგად მომხმარებლის ჯანმრთელობის დაზიანება გამოიწვია. აღნიშნულ ფაქტებს სამოქალაქო კოდექსის 1009-ე და 413-ე მუხლები უკავშირებს სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობას:

უხარისხო პროდუქტის მწარმოებელი პასუხს აგებს ამ პროდუქტით გამოწვეული ზიანისათვის.

სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევაში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის არგუმენტს, რომ გასაჩივრებული განჩინება ეფუძნება საქმის მასალებს, რომლებიც მხოლოდ სავარაუდოდ ადგენენ დონორის დაინფიცირებას შიდსის ვირუსით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სასამართლო

აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს სასამართლო სხდომაზე მათს ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ გააანალიზა რა კვლევის აქტი, შიდსის ცენტრის უფროსის მიერ გაცემული წერილსა და სხვა წერილობითი მტკიცებულებებში მითითებული მოსაზრება ლ. ჩ-მის ავადმყოფობის სავარაუდო მიზეზებზე, სააპელაციო სასამართლომ, სხდომაზე დაკითხულ სპეციალისტთა განმარტებებით, დააზუსტა, რომ ზემოხსენებულ დოკუმენტებში სიტყვა «სავარაუდოს» გამოყენება განაპირობა დაავადებული დონორის მიმდინარე ეტაპზე ობიექტური გარემოებების გამო გამოკვლევის შეუძლებლობამ, თუმცა სასამართლომ ასევე გამოარკვია, რომ დონორის ხელახალი გამოკვლევა მის მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას, არ შეეცვლიდა. სასამართლომ თავისი დასკვნა დააფუძნა საქმეში წარმოდგენილი სპეციალისტთა განმარტებებს, ლ. ჩ-მის დაინფიცირების ფაქტთან წარმოებული კვლევის აქტებს და სხვა მტკიცებულებებს, რომელთა ურთიერთშეჯერებით სასამართლომ დონორის შიდსის ვირუსით დაინფიცირების ფაქტი დადგენილად მიიჩნია. ამ გარემოებასთან დაკავშირებით კასატორს დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია არ წარმოუდგენია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია.

ასევე უსაფუძვლოა კასატორის მოსაზრება, რომ მას არ უნდა დაეკისროს ზიანის ანაზღაურება, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგენილია, რომ დონორისაგან სისხლის აღების შემდეგ მისი გადამუშავებისა და რეალიზაციის დროს ზედმიწევნით არის დაცული «უსაფრთხო სისხლის პროგრამით» გათვალისწინებული ნორმები და მსოფლიოში არსებული კვლევის მეთოდები ვერ უზრუნველყოფენ «აივ» ინფექციის 100%-იან გამოკვლევას და დონორის საიმედოობას. კასატორმა ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით ასევე მიუთითა სისხლის ბანკის ბრალეულობის გამომრიცხავ ერთ-ერთ გარემოებაზე, ე.წ. «ფანჯრის პერიოდზე», რომელიც, სპეციალისტთა განმარტებით, 6 თვემდე გრძელდება და რა დროსაც დაავადებული სისხლის გამოვლენა ვერ ხერხდება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნულ არგუმენტთან დაკავშირებით მხარეთა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამედიცინო პრაქტიკული ცენტრის ხელმძღვანელის წერილში მითითებული მოსაზრება ე.წ. «ფანჯრის პერიოდში» რეციპიენტის დაინფიცირებაზე წარმოადგენს ავადმყოფის დაინფიცირების მიზეზზე წერილის ავტორის მიერ განხილული რამდენიმე ვერსიიდან ერთ-ერთს (საგულისხმოდ, ამ ვერსიებში გამოთქმული ვარაუდი, რომ შესაძლებელია აივ ანტისხეულების გამოვლენა დონორის სისხლში ვერ მოხდა გამოყენებული ტესტ-სისტემების გამო). ამდენად, რეციპიენტის ე.წ. «ფანჯრის პერიოდში» დაავადება მხოლოდ ერთ-ერთი სავარაუდო ვერსიას და მას საქმეში არსებული რომელიმე მტკიცებულება არ ადასტურებს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 1010-ე მუხლი პროდუქტის უხარისხობის კრიტერიუმად მიიჩნევს რა მის საიმედოობას, სამოქალაქო ბრუნვის მონაწილისათვის და განსაკუთრებით არამეწარმე მომხმარებლისათვის რთულია და ზოგ შემთხვევაში შეუძლებელიცაა, განსაზღვროს, თუ რამდენად საიმედოა ესა თუ ის პროდუქტი. ბუნებრივია, ხელშეკრულების მხარეს, რომელიც სთავაზობს მომხმარებელს ამა თუ იმ პროდუქციას, გულისხმიერი დამოკიდებულება მართებს ნივთის საიმედოობასთან მიმართებაში. ამგვარი გულისხმიერი დამოკიდებულების მოთხოვნა მომეტებულია იმ შემთხვევაში, როდესაც პირი ახდენს ისეთი პროდუქციის რეალიზაციას, რომელიც გარკვეულწილად რისკთანაა დაკავშირებული. ამასთან, ნივთის ხარისხი განსაზღვრავს მის ფასს და კონტრაქტის ინტერესს მოცემული პროდუქტისადმი, შესაბამისად, სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილეებს შორის ნივთის ხარისხზე შეთანხმების არარსებობა არ გამორიცხავს უხარისხო პროდუქტის მწარმოებლის პასუხისმგებლობას. მოცემულ შემთხვევაში კასატორი, თავისი საქმიანობიდან გამომდინარე, სახელმწიფოს მიერ გაცემული სპეციალური ნებართვის საფუძველზე აწარმოებს რა სპეციფიკური პროდუქტის - სისხლის პროდუქციასა და მის რეალიზაციას, მომხმარებელს მის მიმართ განსაკუთრებული ნდობა გააჩნია. ასეთი ნდობა განპირობებულია საქმიანობის ამ სფეროში კონტრაქტის მზადყოფნის პრეზუმფციით, როგორც პროფესიონალი კადრებით ისე სათანადო ტექნიკური აღჭურვილობით. გასაჩვირებული განჩინებით დადგენილია ფაქტობრივი გარემოება, რომ დონორის შიდსის ვირუსით დაინფიცირების უზუსტესი მეთოდით დადგენა შესაძლებელია სათანადო აპარატურითა და ტექნოლოგიით, რომელიც ძვირადღირებულია და ასეთი შესაძლებლობა ქვეყნის მასშტაბით მხოლოდ ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამედიცინო პრაქტიკული ცენტრს გააჩნია. ეს გარემოება გამორიცხავს კასატორის არგუმენტს სამოქალაქო კოდექსის 1009-ე მუხლის პირველი ნაწილის «ე» ქვეპუნქტის გამოყენების თაობაზე. აღნიშნული ნორმით, უხარისხო პროდუქტის მწარმოებელი პასუხს არ აგებს იმ ნაკლისათვის, რომლის აღმოჩენა შეუძლებელი იყო მეცნიერებისა და ტექნიკის იმ დონის გათვალისწინებით, რომელიც არსებობდა სარეალიზაციოდ პროდუქტის გატანის დროს. მწარმოებელი, რომელიც პრეტენზიას აცხადებს ამა თუ იმ პროდუქტის წარმოება-რეალიზაციის კომპეტენციაზე, ვალდებულია საწარმოს სათანადო ტექნიკით აღჭურვაზე, ხოლო ტექნიკის სიძვირე და იშვიათობა მწარმოებლის პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებად ვერ იქნება მიჩნეული.

ამასთან, საკასაციო პალატა განმარტავს, ვინაიდან მწარმოებელი ახდენს ისეთი პროდუქციის რეალიზაციას, რომელიც პირდაპირ მოქმედებს ადამიანის აბსოლუტურ უფლებაზე - სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე და რომლის ხარისხის სრულყოფილი გამოკვლევა მეცნიერებისა და ტექნიკის არსებული დონის გათვალისწინებით გარკვეულ პრობლემებთანაა დაკავშირებული, ვალდებულია, მომხმარებელს მისცეს ინფორმაცია აღნიშნულის თაობაზე და გააფრთხილოს სავარაუდო თანამდევ შედეგებზე. სასამართლოს ეს დასკვნა ემყარება სამოქალაქო კოდექსის 318-ე მუხლს, რომელიც ადგენს კონტრაქტის ვალდებულებას ინფორმაციის გაცემის თაობაზე. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული ურთიერთობის დასარეგულირებლად გამოყენებულ უნდა იქნეს ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილის ნორმებიც, ვინაიდან, სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან. მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართლებრივ საფუძვლებს ასევე არეგულირებს საქართველოს კანონი «მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ», რომლის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, მომხმარებელს უფლება აქვს, მოითხოვოს, რომ პროდუქცია მისი შენახვის, ტრანსპორტირებისა და გამოყენების ჩვეულებრივ პირობებში იყოს უსაფრთხო მისი სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და გარემოსათვის, აგრეთვე, არ აყენებდეს ზიანს ქონებას. ამავე კანონის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, დამამზადებელმა მომხმარებელს უნდა მიაწოდოს აუცილებელი, უტყუარი და სრული ინფორმაცია პროდუქციის შესახებ, რაც მას მისცემს სწორი არჩევნის შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით საკასაციო სასამართლო ასკვნის, რომ მწარმოებელს უნდა მიეწოდებინა ინფორმაცია თუ რა ფარგლებში უზრუნველყოფდა მის მიერ წარმოებული პროდუქტი მომხმარებლის უსაფრთხოებას, შესაბამისად, მართებულია სააპელაციო სასამართლოს მითითება, რომ ლ. ჩ-მის ახლო ნათესავები მოსარჩელისათვის საჭირო სისხლის შემენისას ვარაუდობდნენ, რომ იძენდნენ უეჭველად საიმედო, ხარისხიან პროდუქტს და ისინი ნივთის ვარგისიანობის შესაძლო ნაკლებ არავის გაუფრთხილებია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დაადგინა:

შპს «ქუთაისის რეგიონალური სისხლის ბანკის» საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 28 დეკემბრის განჩინება დარჩეს უცვლელი.
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

9. საოჯახო სამართალი

შვილად აყვანის დადასტურება

განჩინება

საქმე №ას-710-1083-06

30 აპრილი, 2007 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
მ. ცისკამე

დავის საგანი: შვილად აყვანის იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენა.

აღწერილობითი ნაწილი:

ლ. ქ-მემ განცხადებით მიმართა სასამართლოს შვილად აყვანის იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ შემდეგი საფუძვლებით: განმცხადებელი რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა ს. პ-ასთან. მეუღლეებს შვილები არ ჰყავდათ, რის გამოც ფაქტობრივად იშვილეს მცირეწლოვანი გ. შ-შვილი. ბავშვის დაბადების მოწმობაში ღვიძლ მშობლებად დაფიქსირდნენ ლ. ქ-მე და ს. პ-ა, ბავშვი კი გაფორმდა ლ. პ-ად. 2004 წლის 22 ნოემბერს ს. პ-ა გარდაიცვალა, რის შემდეგ განმცხადებელი მარტო აგრძელებდა ნაშვილების აღზრდას. 2004 წლის დეკემბერში რუსთავის სამშობიარო სახლის მიერ გაცემული ყალბი მშობიარობის ცნობის ფაქტზე აღიძრა სისხლის სამართლის

საქმე, რის შედეგად ლ. პ-ას დაბადების მოწმობა ცნობილ იქნა ძალადაკარგულად, ვინაიდან იგი გაცემულ იქნა ყალბი დოკუმენტის საფუძველზე. ასევე გაირკვა, რომ ბავშვი - ს. ყ-ი იყო ... რ-ნის სოფ. ...; 2005 წლის 22 მარტს ს. პ-ას მიმართ გამოტანილ იქნა სისხლის სამართლის საქმის არაღმერის დადგენილება პიროვნების გარდაცვალების გამო, ხოლო ბავშვის გამწვილებლების მიმართ დადგინდა გამამტყუნებელი განაჩენი. ამასთან, ბავშვის დედის მიმართ საქმე გამოიყო ცალკე წარმოებად. ბავშვის ბიოლოგიური მამა გარდაცვლილია. ლ. პ-ა მშობლებად თვლის ლ.ქ-ძესა და მის აწ გარდაცვლილ მეუღლეს. ამასთან, ლ.ქ-ძეს გააჩნია ბავშვის სათანადოდ აღზრდისათვის საჭირო ყველა პირობა, აქვს სახლი, სამსახური, არ არის ნასამართლავი. ს. ყ-ის დაბადების შესახებ არც სოფ. ... გამგეობის წიგნში და არც საროს განყოფილების სააქტო ჩანაწერში მონაცემები არ მოიპოვება, შესაბამისად, არ არსებობს მისი დაბადების მოწმობა. ერთადერთი ჩანაწერი ბავშვის დაბადების შესახებ ... საექიმო ამბულატორიაში მოიპოვება. აღნიშნული დოკუმენტით დასტურდება, რომ ს. ყ-ი დაიბადა 2002 წლის 23 თებერვალს, ბინაზე. სამოქალაქო კოდექსის 1240-ე მუხლისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 312-ე მუხლის მეორე ნაწილის «გ» და «ი» ქვეპუნქტების შესაბამისად, განმცხადებელმა მოითხოვა ლ.ქ-ძისა და ს. პ-ას მიერ 2004 წლის აგვისტოში ლ. პ-ას შვილების ფაქტის დადასტურება, ასევე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის სამსახურისათვის შემდეგი შინაარსის დაბადების მოწმობის გაცემის დავალდებულება: ბავშვის სახელი და გვარი - ლ. პ-ა, დაბადების ადგილი და თარიღი - ქ.თბილისი, 2002 წლის 23 თებერვალი, დედა - ლ. ქ-ძე, მამა - ს. პ-ა.

... რაიონული სასამართლოს 2006 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილებით ლ. ქ-ძის განცხადება არ დაკმაყოფილდა, რაზეც ლ.ქ-ძემ შეიტანა სააპელაციო საჩივარი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 17 ივლისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და საქმე დაუბრუნდა იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ გაიზიარა რაიონული სასამართლოს მსჯელობა იმის შესახებ, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 312-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის გამოყენების საფუძველი, რადგან განსახილველ შემთხვევაში განმცხადებლის მიერ შვილად აყვანის ფაქტი რეგისტრირებული არ ყოფილა. ასევე გამოყენებული ვერ იქნება ამავე მუხლის «ი» ქვეპუნქტი, ვინაიდან დასახელებული ნორმის მიხედვით, სასამართლოს მიერ ამ მუხლით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, დასაშვებია იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების დადგენა, თუ კანონმდებლობა მათი დადგენის სხვა წესს არ ითვალისწინებს. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ შვილად აყვანის ფაქტი უნდა დადგინდეს სამოქალაქო კოდექსის 1240-ე მუხლის საფუძველზე ისეთი გარემოებების დადასტურებით, რომლებიც სადავო უფლებებთანაა დაკავშირებული და მხოლოდ აღიარებითი სარჩელით. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 311-ე მუხლის თანახმად, გამოკვლეულ უნდა იქნეს განმცხადებლის მიერ აღმზრდელი მოთხოვნების სამართლებრივი ბუნება, რაც პირველი ინსტანციის სასამართლოს არ განუხორციელებია. სააპელაციო პალატის მითითებით, სამოქალაქო კოდექსის 1240-ე მუხლის შესაბამისად, აღმზრდელის გარდაცვალებისას შვილად აყვანის ფაქტი შეიძლება სასამართლოს წესით დადასტურდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანი ოჯახში შვილად იყო მიღებული, აგრეთვე, თუ მშვილებელმა სიცოცხლეშივე შეიტანა განცხადება სასამართლოში შვილად აყვანის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში სათანადო მტკიცებულებით უნდა დადასტურებულიყო არასრულწლოვანი ბავშვის აღმზრდელის ოჯახში შვილად მიღება, ამასთან, პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ბავშვს ჰყავს ბიოლოგიური დედა, რომლის უფლებაც ბავშვზე დავის შემთხვევაში უწყებრივად სასამართლოს ექვემდებარება. სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს უნდა გამოერკვია მოცემული მომენტისათვის რა სამართლებრივი რეჟიმით მოქმედებს ლ. პ-ას დაბადების მოწმობა იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგინდა მშობიარობის ცნობის სიყალბე, რომლის საფუძველზეც აღნიშნული დაბადების მოწმობა გაიცა, შესაბამის ორგანოებს კი სათანადო წესით მოწმობის სამართლებრივი მდგომარეობა არ გადაუწყვეტიათ. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ რაიონულ სასამართლოს უნდა გამოერკვია, ჰქონდა თუ არა შვილად ასაყვან ბავშვს დაბადების მოწმობა, რადგან აღნიშნულის გარეშე შვილების ფაქტის დადგენა სამოქალაქო კოდექსის 1240-ე მუხლების წინამძღვრების არსებობისასაც შეუძლებელია.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ლ. ქ-ძემ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით განცხადების დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო სასამართლომ სწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 1240-ე მუხლი და მართებულად მიიჩნია, რომ მითითებულ ნორმაში ჩამოთვლილი ორი მოთხოვნა - არასრულწლოვანის ოჯახში შვილად მიღება და მშვილებლის მიერ სასამართლოში შვილად აყვანის შესახებ განცხადების სიცოცხლეშივე შეტანა, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მოთხოვნებია და ორივე პირობის ერთდროულად არსებობა სავალდებულო არ არის. ამასთან, სააპელაციო პალატამ პირველი ინსტანციის სასამართლოს ისეთი გარემოებების გამორკვევა დაავალა, რაც საქმის მასალებით ფაქტობრივად იკვეთება. პალატამ მიუთითა რა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 312-ე მუხლის მეორე ნაწილის «გ» ქვეპუნქტის მოთხოვნაზე სადავო იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენისას შვილად აყვანის რეგისტრაციის დადგენის შესახებ, არ გაითვალისწინა, რომ ამავე კოდექსის 310-ე მუხლის «ვ» ქვეპუნქტით სასამართლო უდავო

წარმოების წესით განიხილავს საქმეს შვილად აყვანის შესახებ. სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაითვალისწინა, რომ სამოქალაქო კოდექსის 1240-ე მუხლის მოთხოვნის შესაბამისად, საქმის მასალებში წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულებებითა და მოწმეთა ჩვენებებით დგინდება, რომ არასრულწლოვანი ბავშვი მშვილბლის ოჯახში შვილად იყო მიღებული. უსაფუძვლოა სასამართლოს მითითება ბავშვის ბიოლოგიურ დედასთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობის გამორკვევისა და დავის შემთხვევაში საქმის უწყებრივად სასამართლოსათვის დაქვემდებარების შესახებ, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის «ვ» ქვეპუნქტი საკმარისად მიიჩნევს შვილებისას ბიოლოგიური დედის წერილობით თანხმობას, რაც განსახილველ შემთხვევაზეც უნდა გავრცელდეს და ამავე კოდექსის 311-ე მუხლის გამოყენება გამოირიცხოს. ანალოგიური მსჯელობა ეხება სააპელაციო პალატის მიერ მითითებულ აღიარებით სარჩელსაც, რადგან მოცემულ შემთხვევაში ბავშვის ბიოლოგიური დედის ინტერესი გარკვეულია. საქმის მასალებით ირკვევა ლ. პ-ას დაბადების მოწმობის ბედიც, კერძოდ, იგი სააქტო ჩანაწერთან ერთად ერთვის სისხლის სამართლის საქმის მასალებს, რომელიც თბილისის სააპელაციო სასამართლოში ინახება და სააპელაციო სასამართლოსათვის უფრო ხელმოსაწვდომია, ვიდრე რაიონული სასამართლოსათვის. ბავშვის დაბადების მოწმობაში მისი დაბადების თარიღი შეცვლილია და აღნიშნულის შესახებ ლ.ქ-ძისა და ს.პ-ასათვის ცნობილი არ იყო, ამასთან, კასატორს აღნიშნული მოწმობის მიმართ ინტერესი არ გააჩნია, ვინაიდან იგი იურიდიული ძალის მქონე არ არის. საქმის მასალებით ასევე დასტურდება, რომ ს. ყ-ის სახელზე დაბადების მოწმობა არ არსებობს, თუმცა სამოქალაქო კოდექსის 1240-ე მუხლი ბიოლოგიური წარმოშობის გვართ დაბადების მოწმობის სავალდებულობას არ ითვალისწინებს, მით უმეტეს, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 12 აგვისტოს განაჩენის თანახმად, ლ. პ-ა იგივე ს. ყ-ია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2006 წლის 27 ნოემბრის განჩინებით ლ. ქ-ძის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლოს საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიაჩნია, რომ ლ. ქ-ძის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელი შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ სააპელაციო სასამართლომ, რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებისას, არასწორად მიუთითა ისეთი ფაქტობრივი გარემოებების დადგენის შესახებ, რაც საქმის მასალებით ფაქტობრივად გარკვეულია. მოცემულ შემთხვევაში ლ. ქ-მე ითხოვს მისი და აწ გარდაცვლილი მეუღლის - ს. პ-ას მიერ 2004 წლის აგვისტოში ს. ყ-ი ბ-ოვას შვილად აყვანის ფაქტის დადგენას და მის მიერ მითითებული მონაცემებით დაბადების მოწმობის გაცემას.

2005 წლის 22 მარტის სისხლის სამართლებრივი დევნის აღძვრაზე უარის თქმის დადგენილებით და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თელავის მოსახლეობის რეგისტრაციისა და სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის სამსახურის განყოფილების 2005 წლის 24 დეკემბრის ცნობით ... რ-ნის სოფ. ... 2002 წლის 23 თებერვალს დაბადებული ს. ყ-ის დაბადების სააქტო ჩანაწერი არ არსებობს. «სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ» საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის, სამოქალაქო აქტების ჩანაწერის შეცვლის, აღდგენისა და გაუქმების წესს განსაზღვრავს ეს კანონი. ამავე კანონის 113-ე მუხლის მიხედვით, დაბადების, ქორწინების, განქორწინების, შვილად აყვანის, მამობის დადგენის, სახელის, მამის სახელის, გვარის, მოქალაქეობის შეცვლის, აგრეთვე, გარდაცვალების შესახებ ჩანაწერების აღდგენას აწარმოებს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, განმცხადებლის სურვილის შესაბამისად, სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების ადგილის ან სამოქალაქო აქტის დაკარგული ჩანაწერის შესრულების ადგილის მიხედვით, ხოლო 114-ე მუხლის თანახმად, სამოქალაქო აქტის ჩანაწერის აღდგენის თაობაზე სასამართლოსადმი მიმართვის საფუძველია სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს მიერ გაცემული ცნობა პირველადი (აღსადგენი) ჩანაწერის უქონლობის შესახებ. შესაბამისად, საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ უნდა იმსჯელოს «სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ» კანონის 113-ე და 114-ე მუხლების საფუძველზე ს. ყ-ის დაბადების სააქტო ჩანაწერის რეალური მონაცემებით აღდგენის თაობაზე. მხოლოდ აღნიშნულზე მსჯელობის შემდეგ სასამართლომ უნდა გამოიკვილოს, არსებობდა თუ არა სამოქალაქო კოდექსის 1240-ე მუხლით გათვალისწინებულ გარემოება - მშვილბელ ს. პ-ას მიერ არასრულწლოვანის შვილად მიღებას. მითითებული ნორმით, აღმზრდელის გარდაცვალებისას შვილად აყვანის ფაქტი შეიძლება სასამართლოს წესით დადასტურდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანი ოჯახში შვილად იყო მიღებული, აგრეთვე, თუ მშვილბელმა სიცოცხლეშივე შეიტანა განცხადება სასამართლოში შვილად აყვანის შესახებ.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოების დადგენის შემდეგ სასამართლოს შეუძლია იმსჯელოს ს. ყ-ის დაბადების სააქტო ჩანაწერში ცვლილების შეტანისა და სამოქალაქო კოდექსის 1257-1258-ე

მუხლებით გათვალისწინებული ნაშვილების მონაცემების მშვილგების მოთხოვნის შესაბამისად განსაზღვრის თაობაზე.

ამასთან, საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ სააპელაციო სასამართლომ მიუთითა რა შვილად ასაყვანის ბიოლოგიური დედის უფლებებთან დაკავშირებით, არ გაითვალისწინა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულება გამშვილგების - დედის თანხმობის თაობაზე. სამოქალაქო კოდექსის 1251-ე მუხლის დანაწესების გათვალისწინებით სასამართლომ სათანადო შეფასება უნდა მისცეს დასახელებულ მტკიცებულებას.

საკასაციო პალატა ასევე თვლის, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა იმსჯელოს ლ. კ-ას ამჟამად არსებული დაბადების მოწმობის სამართლებრივ მდგომარეობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე საფუძვლიანია, იგი უნდა დარჩეს უცვლელი და საქმის ხელახლა განხილველმა სასამართლომ უნდა დაადგინოს გადაწყვეტილების კვლევით ნაწილში მითითებული გარემოებები და სწორი სამართლებრივი შეფასება მისცეს მათ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დაადგინა:

ლ. ქ-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 17 ივლისის განჩინება დარჩეს უცვლელი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

10. ფიქტიური ქორწინების ბათილად ცნობა

განჩინება

№ას-376-625-08

21 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი**

დავის საგანი: საცხოვრებელი სახლის თანამესაკუთრედ ცნობა, კუთვნილი წილის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვა.

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 3 იანვარს მცხეთის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ა. კ-მემ მოპასუხეების - ც. და ნ. გ-რების მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა ც. გ-რთან 1983 წლის 18 ივნისს რეგისტრირებული ქორწინების ბათილად ცნობა, მოპასუხეთა კუთვნილებაში არსებული, მის მიერ აშენებული ორსართულიანი საცხოვრებელი სახლის 2/3-ის მესაკუთრედ აღიარება და მისთვის მიკუთვნება, აგრეთვე მოპასუხეების უკანონო მფლობელობიდან სახლის ამ ნაწილის გამოთხოვა.

მოსარჩელის მოთხოვნის საფუძვლები მდგომარეობს შემდეგში:

ა. კ-მემ 1983 წელს სოფელ ... დააპირა საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. აღნიშნული მიზნის მარტივად განსახორციელებლად მან თავისი სიძის, აწ გარდაცვლილი ა. ყ-ელისა და სოფელ ... მცხოვრები გ. კ-მის მეშვეობით გაიცნო ც. გ-ური, რომელთანაც დაიდო ზეპირი გარიგება იმის შესახებ, რომ ა. კ-მე თავისი სახსრებით და სამშენებლო მასალით ააშენებდა მოპასუხის მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ორსართულიან საცხოვრებელ სახლს და მშენებლობის დამთავრების შემდეგ გადასცემდა მოპასუხე ც. გ-ურს ამ სახლის 1/3-ს. თავის მხრივ, ც. გ-ურმა იკისრა ვალდებულება, რომ სახლის მშენებლობის დასრულებისა და კუთვნილი 1/3-ის მიღების შემდეგ ამ სახლის 2/3-ს გააფორმებდა მოსარჩელის სახელზე. ზეპირი გარიგების პირობების შეთანხმებას ესწრებოდა ც. გ-ურის მამიდაშვილი, სოფელ ... მცხოვრები გ. კ-მე, აგრეთვე, ა. კ-მის და ნ. კ-მე და სიძე, აწ გარდაცვლილი ა. ყ-ელი.

რამდენადაც სადავო პერიოდში არ არსებობდა საკანონმდებლო ნორმები მიწის საკუთრების შესახებ, ასევე არ ხდებოდა სოფლებსა და საკომლო მეურნეობებში სახლის მშენებლობისათვის უცხო პირებზე მიწების გამოყოფა, მხარეები შეთანხმდნენ ფიქციური ქორწინების რეგისტრაციაზე, რომლის მიზანსაც, ოჯახის შექმნის განზრახვის ნაცვლად, ზემოაღნიშნული შეთანხმებით საცხოვრებელი სახლის აშენება წარმოადგენდა. 2006 წელს მითითებული სახლთმფლობელობა საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა ც. გ-ურსა და მის შვილზე (პირველი ქორწინებიდან) - ნ. გ-ურზე.

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ ც. გ-ურმა დაარღვია მხარეთა შორის არსებული ზეპირი გარიგების პირობები და მთლიანად მიისაკუთრა მოსარჩელის მიერ აშენებული საცხოვრებელი სახლი, რაც არსებითად არღვევდა მოსარჩელის კანონიერ უფლებებს. სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველად მოსარჩელე მიუთითებდა სამოქალაქო კოდექსის 1145-ე, 1146-ე და 173-ე მუხლებზე.

მოპასუხე ც. გ-ურმა ქორწინების ბათილად ცნობის მოთხოვნის ნაწილში სარჩელი ცნო, ხოლო დანარჩენ ნაწილში მოსარჩელის მოთხოვნები უსაფუძვლოდ მიიჩნია. მისი მტკიცებით, ა. კ-ძესთან რეგისტრირებული ქორწინება ოჯახის შექმნის განზრახვას არ ისახავდა, აღნიშნული განპირობებული იყო მამიდაშვილის - გ. კ-ძის დაქინებული თხოვნით. ეს უკანასკნელი ც. გ-ურს არწმუნებდა, რომ თავის ახლობელ ა. კ-ძესთან რეგისტრირებულ ქორწინებაში გატარებით მას არანაირი პრობლემა არ შეექმნებოდა, თავად ა. კ-ძეს კი აღნიშნული ქორწინების რეგისტრაცია სოფელში ცალკე კომლად დარეგისტრირებაში დაეხმარებოდა.

სადავო საცხოვრებელი სახლის მშენებლობის თაობაზე რაიმე შეთანხმების არსებობას, სახლის მშენებლობაში ა. კ-ძის წვლილს მოპასუხე ცალსახად უარყოფდა და განმარტავდა, რომ აღნიშნული სახლი აშენებული იყო მისი დანაზოგით, მშობლებისა და ძმის - ჯ. გ-ურის ფინანსური დახმარებით. ამასთან, საქმეზე მოწმედ დასახელებული პირების ჩვენებები მოპასუხეს იმთავითვე სუბიექტურად მიაჩნდა, რადგან გ. კ-ძეს მასთან ცუდი დამოკიდებულება ჰქონდა, ხოლო ნ. კ-ძე მოსარჩელის ღვიძლ დას წარმოადგენდა.

მოსარჩელის მოთხოვნის უსაფუძვლობას მოპასუხე იმითაც ასაბუთებდა, რომ მხარეთა შორის ფიქციური ქორწინება 1983 წელს გაფორმდა, სადავო საცხოვრებელი სახლი კი მან 1981 წელს ააშენა.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 16 მარტის განჩინებით ა. კ-ძის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

2007 წლის 30 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში წარდგენილი შეგებებული სარჩელით ც. გ-ურმა მოითხოვა ა. კ-ძესთან 1983 წლის 18 ივნისს რეგისტრირებული ქორწინების, როგორც ფიქციურის, ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 22 ივნისის განჩინებით ც. გ-ურის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83¹ მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე მისი შეგებებული სარჩელი განუხილველად იქნა დატოვებული.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 22 ივნისის ნაწილობრივი გადაწყვეტილებით სარჩელი ქორწინების ბათილად ცნობის ნაწილში დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი ა. კ-ძესა და ც. გ-ურს შორის 1983 წლის 18 ივნისს თბილისის კალინინის რ-ნის მმაჩის განყოფილებაში რეგისტრირებული ქორწინება, სააქტო ჩანაწერი №147.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილებით ა. კ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა; გაუქმდა მცხეთის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 20 დეკემბრისა და 2007 წლის 4 იანვრის განჩინებებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები; ყადაღა მოეხსნა მოპასუხეების სახელზე რიცხულ სოფელ დიდმის ტერიტორიაზე მდებარე სადავო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს შენობა-ნაგებობებით და განახლდა აღნიშნული უძრავი ქონების მიმართ სარეგისტრაციო წარმოება.

საქმეში არსებული საჯარო რეესტრის ამონაწერით საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სოფელ ... ტერიტორიაზე მდებარე სადავო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების №253 მიწის ნაკვეთი შენობა-ნაგებობებით საკუთრების უფლებით ირიცხებოდა ც. და ნ. გ-რების სახელზე. ასევე დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ მხარეთა შორის 1983 წლის 18 ივნისს რეგისტრირებული ქორწინება მიზნად არ ისახავდა ოჯახის შექმნას, იგი იყო ფიქციური, თუმცა მხარეები სადავოდ ხდიდნენ აღნიშნული ფიქციური ქორწინების მოტივს.

ა. კ-ძე თავისი მოთხოვნის მართლზომიერებას ასაბუთებდა მოწმეთა - გ. კ-ძისა და ნ. კ-ძის ჩვენებებით, მაგრამ სადავო ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად აღნიშნული სახის მტკიცებულება სასამართლომ არასაკმარისად მიიჩნია, რადგან იგი არ იძლეოდა მხარეებს შორის სავარაუდოდ შემდგარი ზეპირი გარიგების პირობების ზუსტად დადგენის და შესაბამისად, მისი სამართლებრივი შეფასების შესაძლებლობას. აღნიშნულ მოწმეთა ჩვენებები სასამართლომ იმ მოტივითაც არ გაიზიარა, რომ გ. კ-ძე თავადვე მიუთითებდა ც. გ-რთან მის ცუდ დამოკიდებულებაზე, ხოლო ნ. კ-ძე, რომელიც მოსარჩელის უახლოეს ნათესავს (დას) წარმოადგენდა, ბუნებრივად იქნებოდა დაინტერესებული საქმის შედეგით.

საქალაქო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება, ისევე როგორც საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 22 ივნისის ნაწილობრივი გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. კ-ძემ, რომელმაც

მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოსათვის დაბრუნება.

2006 წლის 20 ივნისის საჯარო რეესტრის ამონაწერს აპელანტი კანონშეუსაბამოდ მიიჩნევდა, რასაც ასაბუთებდა აღნიშნული ამონაწერის უფლების დამადასტურებელ გრაფაში მითითებული იურიდიული დოკუმენტის - სოფელ დიდმის საკრებულოს თავმჯდომარის ცნობის სიყალბით. მისი მტკიცებით, საკრებულოს დასახელებული ცნობა არასწორ მონაცემებს შეიცავდა, რასაც სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია. სასამართლომ ასევე ყურადღების გარეშე დატოვა 1983 წლიდან ც. გ-ურის მოსარჩელესთან რეგისტრირებულ ქორწინებაში გატარებისა და აღნიშნულის შემდგომ სამეურნეო კომლის გაზრდის, კერძოდ კი სახლის აშენების ფაქტი.

გარდა ზემოაღნიშნულისა, აპელანტი არასწორად მიიჩნევდა საჯარო რეესტრის მონაცემების მხოლოდ საკრებულოს თავმჯდომარის ცნობაზე დაყრდნობას, რისი გათვალისწინებითაც ითხოვდა საჯარო რეესტრის ამონაწერში შესაბამისი ცვლილებების შეტანას.

სამოქალაქო კოდექსის 1146-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, აპელანტი მიზანშეწონილად მიიჩნევდა სადავო სამართალურთიერთობის დასარეგულირებლად ამავე კოდექსის 1158-ე მუხლის გამოყენებას, რაც, თავის მხრივ, გულისხმობდა მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილ ქონებაზე თანასაკუთრების სამართლებრივი რეჟიმის გავრცელებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 21 იანვრის საოქმო განჩინებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნის ნაწილში განუხილველად იქნა დატოვებული.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 4 თებერვლის განჩინებით ა. კ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ა. კ-ძის სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ ქმნიდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლით გათვალისწინებულ შემადგენლობას და შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლებს. პირველი ინსტანციის სასამართლომ სათანადოდ გამოიკვლია და დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ, რის გამოც გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად დატოვებას ექვემდებარებოდა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ა. კ-ძემ (წარმომადგენელი ლ. ლ-უა), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოსათვის დაბრუნება, შემდეგი საფუძვლებით:

2006 წლის 20 ივნისის საჯარო რეესტრის ამონაწერი უფლების დამადასტურებელ გრაფაში მიუთითებს სოფელ დიდმის საკრებულოს თავმჯდომარის ცნობაზე, თუმცა დასახელებული ცნობა მასში აღნიშნული მონაცემების უსწორობის გამო არ შეიძლება საფუძვლად დაედოს უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების წარმოშობას.

საქმის მასალები, კერძოდ, 1988 წლის სახლის ტექნიკური პასპორტი, აუდიტის დასკვნა, მოწმეთა ჩვენებები სრულიად ცხადყოფს იმ გარემოებას, რომ

1983 წლიდან მოპასუხესთან რეგისტრირებულ ქორწინებაში გატარების შემდგომ ც. გ-ურის საკომლო მეურნეობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამის მიუხედავად სადავო ქონების მეუღლეთა თანასაკუთრებაში აღრიცხვა იმ დროისათვის არ განხორციელებულა, რაც არასწორია და საჭიროებს საჯარო რეესტრის მონაცემებში შესაბამისი ცვლილების შეტანას. კასატორის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში სამოქალაქო კოდექსის 1146-ე მუხლით ქორწინების ბათილობისას მოსამართლემ უნდა გამოიყენოს სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლი, რაც გულისხმობს მეუღლეთა თანასაკუთრებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის წესებს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ ა. კ-ძის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლო-სათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში კასატორის მიერ ასეთი პრეტენზია წამოყენებული არ არის.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სოფელ ... მდებარე, მოპასუხეთა კუთვნილ სადავო საცხოვრებელ სახლზე ა. კ-ძის თანასაკუთრების უფლებას არ წარმოშობს ც. გ-რთან 1983 წლის 18 ივნისიდან რეგისტრირებულ ქორწინებაში ყოფნა, რამდენადაც თბილისის საქალაქო სასამართლოს

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის კანონიერ ძალაში შესული 2007 წლის 22 ივნისის ნაწილობრივი გადაწყვეტილებით ქორწინება ბათილად არის მიჩნეული. დადგენილია და მხარეები სადავოდ არ ხდიან იმ გარემოებას, რომ აღნიშნული ქორწინება მიზნად არ ისახავდა ოჯახის შექმნას. ამგვარი ქორწინება რეგისტრაციის მომენტიდანვე არ წარმოშობს მეუღლეთა უფლებებსა და მოვალეობებს და თავიდანვე არშემდგარად მიიჩნევა, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 1145-ე მუხლის მიხედვით, ქორწინება, რომელიც მოხდა ისე, რომ მიზნად არ ისახავდა ოჯახის შექმნას, შეიძლება ცნობილ იქნეს ბათილად, ამავე კოდექსის 1146-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ბათილად ცნობილი ქორწინება ბათილად ითვლება ქორწინების რეგისტრაციის დღიდან და არ წარმოშობს მეუღლეთა უფლებებსა და მოვალეობებს. მოცემულ შემთხვევაში მხარეთა შორის არსებული ფიქციური ქორწინების ბათილად ცნობის და, ამდენად, რეგისტრაციის მომენტიდანვე არარსებულად მიჩნევის გამო ა. კ-მეს ქორწინების პერიოდში შეძენილ მოპასუხის კუთვნილ ქონებაზე თანასაკუთრების უფლება არ წარმოეშობა. ამ შემთხვევაში სადავო ურთიერთობაზე ვერ გავრცელდება სამოქალაქო კოდექსის 1146-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომელიც ქორწინების ბათილად ცნობის შემთხვევაში მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების საერთო საკუთრების შესახებ ამ კოდექსით დადგენილი ნორმებით მოწესრიგებას ითვალისწინებს. მითითებული დანაწესი იმ შემთხვევას შეეხება, როდესაც ბათილად ცნობილი ქორწინების განმავლობაში შეძენილი (შექმნილი) ქონება სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული საერთო საკუთრების წარმოშობის რომელიმე საფუძველს აკმაყოფილებს, კერძოდ, იგი წარმოშობილია კანონის ძალით ან გარიგების საფუძველზე (სამოქალაქო კოდექსის 173-ე მუხლი), რაც მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდება. სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლით გათვალისწინებული საერთო საკუთრების უფლების წარმოშობი ნორმა სადავო სამართალურთიერთობაზე ასევე ვერ გავრცელდება, რადგან იგი ქორწინების განმავლობაში შეძენილ ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების უფლებას ითვალისწინებს, ქორწინების ბათილად ცნობა კი მექორწინეთა, როგორც მეუღლეთა უფლება-მოვალეობების არსებობას სრულიად გამორიცხავს და მის განმავლობაში შეძენილ ქონებას მეუღლეთა თანასაკუთრებას არ განაკუთვნებს.

სადავო უძრავ ქონებაზე თანასაკუთრების უფლების მოპოვების საფუძველი ვერ გახდება ვერც სამოქალაქო კოდექსის 1146-ე მუხლის მე-3 ნაწილის მითითება ქორწინების ბათილად ცნობამდე შეძენილი ქონების გაყოფისას 1158-ე და 1171-ე მუხლებით გათვალისწინებული წესების გამოყენების შესაძლებლობის თაობაზე, რადგან ამ შემთხვევაში კანონი ქონების გაყოფისას მეუღლეთა თანასაკუთრების უფლების წარმოშობი ნორმის გამოყენებას მხოლოდ იმ კეთილსინდისიერი მეუღლის მიმართ ითვალისწინებს, რომელსაც გულწრფელად გააჩნდა ოჯახის შექმნის სურვილი და არაფერი იცოდა მეორე მეუღლის ნამდვილი სურვილის შესახებ, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

საკასაციო სასამართლო ასევე არ იზიარებს კასატორის მსჯელობას სადავო უძრავ ქონებაზე თანასაკუთრების უფლების მოპოვების ერთ-ერთ საფუძველად ც. გ-რთან ზეპირი გარიგების თანახმად ა. კ-მის სახსრებითა და სამშენებლო მასალით მოპასუხე ც. გ-ურის მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი სახლის მშენებლობასა და მის შედეგად სახლის 2/3-ის მესაკუთრედ ცნობის შესახებ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებები, რომლებზეც ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ა. კ-მემ ვერ დაადასტურა თავისი სახსრებით და სამშენებლო მასალით სადავო სახლის აგება, ამასთანავე, დასახელებული ფაქტობრივი გარემოებების სათანადო წესით დადგენა გავლენას ვერ მოახდენდა საქმის შედეგზე და ვერ წარმოშობდა სადავო საცხოვრებელ სახლზე ა. კ-მის თანასაკუთრების უფლებას, რამდენადაც სამოქალაქო კანონმდებლობა უძრავ ნივთებზე საკუთრების (თანასაკუთრების) წარმოშობის ამგვარ წესს არ ითვალისწინებს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. მოცემულ შემთხვევაში უძრავ ნივთზე თანასაკუთრების უფლების წარმოშობა შეუძლებელია დადასტურდეს მოწმეთა ჩვენებებით ან ზეპირი შეთანხმების არსებობის დადგენით. შესაბამისად, კასატორის მოსაზრება აღნიშნული მოტივით სადავო საცხოვრებელი სახლის 2/3 ნაწილის თანამესაკუთრედ აღიარების თაობაზე, საფუძველს მოკლებულია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დაადგინა:

- ა. კ-მის (წარმომადგენელი ლ. ლ-უა) საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
- უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 4 თებერვლის განჩინება;
- საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

11. არასრულწლოვანი შვილების ინტერესების გათვალისწინება თანასაკუთრების გაყოფისას

განჩინება

№ას-107-388-08

29 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
თ. თოდრია (მომხსენებელი),
რ. ნადირიანი

დავის საგანი: განქორწინება და საერთო ქონების გაყოფა.

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 6 სექტემბერს ი. ი-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე ი. ზ-რის მიმართ, სადაც აღნიშნა, რომ მოპასუხესთან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება 1986 წლიდან. ერთად ცხოვრების პერიოდში შეეძინათ ორი შვილი - ნ. ი-შვილი, დაბადებული 1988 წლის 6 მარტს და ნ. ი-შვილი, დაბადებული 1989 წლის 7 ივნისს. ერთად ცხოვრების პერიოდში შეიძინეს ქ. თბილისში, ... მე-8 კორპუსში მდებარე საცხოვრებელი ბინა №2. ქ. თბილისის ... რ-ნის სასამართლოს 1998 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილებით მათ შორის ქორწინება შეწყდა, თუმცა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1131-ე და 1132-ე მუხლების მოთხოვნათა შეუსრულებლობის, კერძოდ, 200 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო, განქორწინება არ დარეგისტრირებულა, შესაბამისად, გადაწყვეტილება არ აღსრულებულა და მხარეები დარჩნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში, თუმცა ფაქტობრივად ერთად არ უცხოვრიათ. ამასთან, მოსარჩელეს კუთვნილი წილი მეუღლეთა თანასაკუთრებიდან არ მიუღია. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა ქორწინების შეწყვეტა და განქორწინების საკითხთან ერთად თანასაკუთრების გაყოფის საკითხის განხილვა.

2006 წლის 27 სექტემბერს მოსარჩელე ი. ი-შვილმა განცხადებით მიმართა სასამართლოს, რომლითაც დააზუსტა სარჩელი, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლის შესაბამისად, მოითხოვა ქორწინების განმავლობაში შეძენილი, ი. ზ-რის სახელზე რეგისტრირებული, ქ. თბილისში, ... მე-20 კორპუსში მდებარე №26 ბინის თანამესაკუთრედ ცნობა. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ აღნიშნული ბინის ღირებულება, დღევანდელი საბაზრო ფასების მიხედვით, შეადგენს 18000 აშშ დოლარს, შესაბამისად, მოითხოვა მოპასუხისათვის ბინის ღირებულების ნახევრის - 9000 აშშ დოლარის გადახდის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილებით ი. ი-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა ი. ზ-რმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილებით ი. ზ-რის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა ი. ი-შვილმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 13 თებერვლის განჩინებით ი. ი-შვილის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული დასაშვებობის შესამოწმებლად; მოწინააღმდეგე მხარეს განესაზღვრა 7 დღის ვადა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობებთან დაკავშირებით მოსაზრებების წარმოსადგენად.

კასატორის მოწინააღმდეგე მხარეს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხზე საკასაციო სასამართლოში არ წარმოუდგენია მოსაზრება საკასაციო საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივარს და თვლის, რომ ი. ი-შვილის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ი. ი-შვილი და ი. ზ-რი რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ 1986 წლის 2 იანვრიდან, მათ შეეძინათ შვილები, 1988 წლის 6 მარტს დაბადებული ნ. ი-შვილი და 1989 წლის 7 ივნისს დაბადებული ნ. ი-შვილი.

თბილისის ... რ-ნის სასამართლოს 1998 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილებით მათ შორის შეწყდა ქორწინება.

სააპელაციო სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ განქორწინების მოწმობა მხარეებს არ აუღიათ ბაჟის - 200 ლარის გადაუხდელობის გამო და მოქალაქეობრივი მდგომარეობის ჩამწერ ორგანოში მათ შორის ქორწინების შეწყვეტა არ დარეგისტრირებულა.

სააპელაციო სასამართლომ დადაგენილად მიიჩნია, რომ ი. ზ-რმა 1999 წლის 5 მაისს გაყიდა თბილისში, ... მე-8 კორპუსში მდებარე №2 ბინა, რომელიც შეძენილი იყო 1994 წლის 7 ივლისს და

ამავე 1999 წლის 10 მარტს იყიდა თბილისში, ... მე-3 «ა» მ/რ-ში, მე-20 კორპუსში მდებარე №26 ბინა.

სააპელაციო სასამართლოს მიერ ასევე დადგენილია, რომ 1998 წლიდან მხარეები ცალ-ცალკე ცხოვრობენ.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას (თანასაკუთრებას), თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ასეთ ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების უფლება წარმოიშობა მაშინაც, თუ ერთ-ერთი მათგანი ეწეოდა საოჯახო საქმიანობას, უვლიდა შვილებს ან სხვა საპატიო მიზეზის გამო არ ჰქონია დამოუკიდებელი შემოსავალი.

განსახილველი მუხლი განსაზღვრავს მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმს, რომლითაც დადგენილია მათი უფლებები ქორწინების პერიოდში შეძენილი ქონების შესახებ. განსახილველი ნორმის მიზანს წარმოადგენს ოჯახის ინტერესების დაცვა. ივარაუდება, რომ ქორწინების პერიოდში შეძენილი ქონება შეძენილია ოჯახის გაძღოლის საერთო მიზნების უზრუნველსაყოფად, ამიტომ დავის შემთხვევაში ქორწინების განმავლობაში ქონების შეძენის ფაქტი (კანონით დადგენილი გამონაკლისების გარდა) საკმარისი საფუძველია, რომ მივიჩნიოთ ეს ქონება მეუღლეთა თანასაკუთრებად.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1168-ე მუხლის მე-3 ნაწილი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც სასამართლომ შეუძლია გადაუხვიოს არასრულწლოვანი ბავშვების ინტერესებიდან გამომდინარე საერთო წესს და თითოეულ მეუღლის საკუთრებად ცნოს ის ქონება, რომელიც შეძენილია თითოეული მათგანის მიერ ქორწინების ფაქტობრივი შეწყვეტის ან მათი ცალ-ცალკე ცხოვრების დროს.

მაგრამ იმისათვის, რომ დადგეს განსახილველი ნორმის შედეგი, აუცილებელია, თითოეული მათგანის მიერ ქორწინების ფაქტობრივი შეწყვეტის ან მათი ცალ-ცალკე ცხოვრების დროს ქონების შეძენის ფაქტთან ერთად არსებობდეს ამავე კანონის 1168-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, სასამართლოს შეუძლია გადაუხვიოს მეუღლეთა წილის თანასწორობის საწყისს არასრულწლოვანი შვილების ინტერესების ან ერთ-ერთი მეუღლის ყურადსაღები ინტერესების გათვალისწინებით; კერძოდ, ერთ-ერთი მეუღლის წილი შეიძლება გაიზარდოს იმის გათვალისწინებით, რომ მასთან ცხოვრობენ არასრულწლოვანი შვილები, რომ ის შრომისუუნაროა, ანდა - თუ მეორე მეუღლე ხარჯავდა საერთო ქონებას ოჯახის ინტერესების საზიანოდ.

ამრიგად, განსახილველი ნორმა აკონკრეტებს, თუ რა ფაქტობრივი გარემოებები უნდა იქნეს გათვალისწინებული არასრულწლოვანი შვილების ინტერესების ან ერთ-ერთი მეუღლის ყურადსაღები ინტერესების შემოწმების დროს, კერძოდ: ერთ-ერთ მეუღლესთან არასრულწლოვანი შვილების ცხოვრების ფაქტი; მისი შრომისუუნარობისა და ფაქტი; მეორე მეუღლის მიერ საერთო ქონებას ოჯახის ინტერესების საზიანოდ ხარჯვის ფაქტი.

ამრიგად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1168-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის დადგომისათვის აუცილებელია არსებობდეს ქონება, რომელიც შეძენილია თითოეული მათგანის მიერ ქორწინების ფაქტობრივი შეწყვეტის ან მათი ცალ-ცალკე ცხოვრების დროს; ქორწინების რეგისტრაციის ფაქტს ამ შემთხვევაში არ ეკისრება გადამწყვეტი მნიშვნელობა; ივარაუდება, რომ ეს ქონება არ არის შეძენილი ოჯახის ინტერესებისათვის და საერთო სამეურნეო საქმიანობის გაძღოლის მიზნით, ამასთან ერთად უნდა არსებობდეს ერთ-ერთ მეუღლესთან არასრულწლოვანი შვილების ცხოვრების ფაქტი; მეორე მეუღლის მიერ საერთო ქონების ოჯახის ინტერესების საზიანოდ ხარჯვის ფაქტი.

ერთ-ერთი ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოების არსებობა იწვევს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1168-ე მუხლის მე-3 ნაწილის გამოყენების შესაძლებლობას.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა მეტად მნიშვნელოვანი გარემოება, რაც აუცილებელია ამ ნორმის სწორი განმარტებისათვის, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1168-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის დადგომისათვის აუცილებელია არსებობდეს ქონება, რომელიც შეძენილია თითოეული მათგანის მიერ ქორწინების ფაქტობრივი შეწყვეტის ან მათი ცალ-ცალკე ცხოვრების დროს. ქონებაში უნდა ვიგულისხმოთ არა მარტო უძრავი ნივთი, რომელიც შეძენილი იქნა მათ მიერ ქორწინების ფაქტობრივი შეწყვეტის ან მათი ცალ-ცალკე ცხოვრების დროს, არამედ ის სახსრებიც რომლითაც შეძენილია ეს ქონება. ამდენად, განსახილველი ნორმა ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როდესაც ქონება შეძენილია მეორე მეუღლის ქონებრივი მონაწილეობის გარეშე და, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ისევ არიან რეგისტრირებულ ქორწინებაში, პრეუდიციულ მნიშვნელობას კანონი ანიჭებს არა უფლებას, არამედ ფაქტს - ქორწინების ფაქტობრივი შეწყვეტას ან მათ ცალ-ცალკე ცხოვრებას. იმ შემთხვევაში, თუ ირკვევა მეორე მეუღლის ქონებრივი მონაწილეობა, რაც მიუთითებს ამ ქონებაზე თანასაკუთრების რეჟიმზე, დაუშვებელია საკუთრების ჩამორთმევა, რადგან აღნიშნულს განსახილველი ნორმა არ ითვალისწინებს. თანასაკუთრების რეჟიმის არსებობის შემთხვევაში სასამართლომ შეუძლია მიმართოს მის საერთო ან განსაკუთრებული გაყოფის წესს, რაც დადგენილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1168-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ი. ზ-რმა 1999 წლის 5 მაისს გაყიდა თბილისში, ... მე-8 კორპუსში მდებარე №2 ბინა, რომელიც შეძენილი იყო 1994 წლის 7 ივლისს და

ამავე 1999 წლის 10 მარტს იყიდა თბილისში, ... მე-3 «ა» მ/რ-ში, მე-20 კორპუსში მდებარე №26 ბინა.

ამრიგად, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ უნდა შეაფასოს და დაადგინოს თბილისში, ... მე-8 კორპუსში მდებარე №2 ბინა, რომელიც შეძენილი იყო 1994 წლის 7 ივლისს, წარმოადგენდა თუ არა მეუღლეთა თანასაკუთრებას; თბილისში, ... მე-20 კორპუსში მდებარე №26 ბინა ნაყიდი იყო თუ არა გაყიდული ბინის სახსრებით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დაადგინა:

ი. ი-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას;
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

12. მამობის დადგენა

მამობის დადგენა

განჩინება

№ას-36-390-07

12 სექტემბერი, 2007 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
თ. თოდრია (მომხსენებელი),
რ. ნადირიანი

დავის საგანი: მამობის დადგენა და ალიმენტის დაკისრება.

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. ც-შვილმა სარჩელით მიმართა სასამართლოს ზ. ჯ-ძის მიმართ, სადაც მიუთითა, რომ 1994 წლიდან ინტიმური ურთიერთობა ჰქონდა მოპასუხესთან. იგი დაორსულდა და 1998 წელს გააჩინა შვილი - ხ. ც-შვილი. ამის შემდეგ მოპასუხე პერიოდულად მიდიოდა მათთან ოჯახში, ბავშვს შვილად თვლიდა. 2003 წელს მოპასუხე დაქორწინდა სხვა ქალზე. ვინაიდან მოპასუხემ არ შეასრულა თავისი დაპირება, ოფიციალურად არ აღიარა თავი ბავშვის მამად და არ დაეხმარა მათ მატერიალურად, ნ. ც-შვილმა სარჩელით მოითხოვა ზ. ჯ-მე ცნობილ იქნეს მისი ქალი შვილის - ხ. ც-შვილის მამად.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ იგი დიდი ხანია იცნობს მოსარჩელეს, მასთან აქვს მეგობრული ურთიერთობა, მაგრამ არა ინტიმური. რამდენჯერმე ესტუმრა მოსარჩელეს სახლში, მაგრამ არა ისე, როგორც ბავშვის მამა. ამასთან, არც ის ახსოვს, ვინ, როდის და რა ვითარებაში გადაუღო მას ფოტოსურათები. იგი არ აღიარებს ბავშვის მამობას და არც ალიმენტის გადახდას აპირებს.

ყვარლის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ნ. ც-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მცირეწლოვანი ხ. ც-შვილის მამად დადგენილ იქნა ზ. ჯ-მე. მოპასუხეს ასევე დაეკისრა ალიმენტის გადახდა ყოველთვიურად 20 ლარის ოდენობით ხ. ც-შვილის სასარგებლოდ მის სრულწლოვანებამდე.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ზ. ჯ-მემ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 18 თებერვლის განჩინებით ზ. ჯ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ყვარლის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ რაიონულმა სასამართლომ სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და მათ მისცა სწორი სამართლებრივი შეფასება.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 18 თებერვლის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ზ. ჯ-მემ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2006 წლის 2 მარტის განჩინებით ზ. ჯ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის

2005 წლის 18 თებერვლის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილებით ზ. ჯ-მის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ყვარლის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილება, მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ნ. ც-შვილის სარჩელს უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლის მე-3 ნაწილი, არ დაადგინა აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული იურიდიული მნიშვნელობის ფაქტები, რის გამოც გასაჩივრებული გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმაოდ დასაბუთებული. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ ბავშვის დაბადებამდე ბავშვის დედისა და მოპასუხის ერთად ცხოვრების, საერთო მეურნეობის წარმოების, ბავშვის დაბადების შემდეგ ბავშვის ერთად აღზრდის, რჩენისა და მოპასუხის მიერ მამობის აღიარების ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულებები საქმეში წარმოდგენილი არ არის.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. ც-შვილმა და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება. კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელმაც არსებითად იმოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, კერძოდ, არასწორად განმარტა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლის მესამე ნაწილის შემადგენლობა და არ დაადგინა ამ ნორმით გათვალისწინებული მნიშვნელოვანი ფაქტები, რის გამოც გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძვლის შემოწმება შეუძლებელია. კასატორის მოსაზრებით, დარღვეულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტის მოთხოვნა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაცოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 22 იანვრის განჩინებით ნ. ც-შვილის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული დასაშვებობის შესამოწმებლად, მოწინააღმდეგე მხარეს განესაზღვრა 20 დღის ვადა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობებთან დაკავშირებით მოსაზრებების წარმოსადგენად.

კასატორის მოწინააღმდეგე მხარე ზ. ჯ-მეს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხზე საკასაციო სასამართლოში თავისი მოსაზრება არ წარმოუდგენია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა-კანონიერების შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ნ. ც-შვილის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად, ძალაში უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორის მიერ არ არის წარმოდგენილი დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია. კონკრეტულ შემთხვევაში დასაშვებ და დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება და სამართლებრივ-მატერიალური ნორმის არასწორად გამოყენება ან განმარტება.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ მოპასუხე ზ. ჯ-ე ხშირად მიდიოდა ნ. ც-შვილის ოჯახში, სადაც რჩებოდა ღამეც, ეთამაშებოდა ბავშვს, რომელიც მოპასუხეს ეძახდა მამას. აღნიშნული გარემოებები სასამართლომ დადასტურებულად ჩათვალა მოწმეთა ჩვენებებით და საქმეში წარმოდგენილი ფოტოსურათების საფუძველზე.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებას იმასთან დაკავშირებით, რომ ზემოაღნიშნულ გარემოებებს არ ითვალისწინებს 1190.3. მუხლის შემადგენლობა და არ არის საკმარისი საფუძველი მამობის დადგენისათვის.

განსახილველი ნორმის თანახმად, მამობის დადგენისას სასამართლო მხედველობაში იღებს ბავშვის მამისა და დედის ცხოვრებისა და საერთო მეურნეობის წარმოებას ბავშვის დაბადებამდე ან ბავშვის ერთად აღზრდას, ან რჩენას, ანდა დამამტკიცებელ საბუთს, რომელიც სავსებით ადასტურებს მოპასუხის მიერ მამობის აღიარებას.

მამობის დადგენისთვის აუცილებელია არა მარტო ბავშვის დედისა და მამად საცნობი პირის ერთად ცხოვრებისა და საერთო მეურნეობის წარმოების არსებობა ბავშვის დაბადებამდე, არამედ ბავშვის ერთად აღზრდის და რჩენის ფაქტი, ანდა დამამტკიცებელი საბუთი, რომელიც სავსებით ადასტურებს მოპასუხის მიერ მამობის აღიარებას. მითითებული ნორმის თანახმად, მამობის დადგენისთვის არ არის აუცილებელი, მოცემული მუხლის დისპოზიციით განსაზღვრული ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობის არსებობა, მაგრამ ერთ-ერთი მათგანი მაინც უნდა არსებობდეს.

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია და აღნიშნულს საკასაციო პალატაც იზიარებს, რომ ბავშვის დაბადებამდე ბავშვის დედისა და მოპასუხის ერთად ცხოვრებისა და საერთო მეურნეობის წარმოების შესახებ საქმეში სათანადო მტკიცებულებები არ მოიპოვება. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზემოაღნიშნულის დასადგენად აუცილებელია ისეთი გარემოებების არსებობის დადასტურება, რომლებიც უკავშირდება საოჯახო ურთიერთობებს, კერძოდ, ცხოვრება ერთ საცხოვრებელ სახლში, ერთად კვება, ერთმანეთისადმი ზრუნვა, ერთობლივი სარგებლობისთვის ქონების შექმნა, ე.ი. ისეთი მოქმედებების განხორციელება, რაც უკავშირდება ოჯახის შექმნის მიზანს. კონკრეტულ შემთხვევაში, ზემოაღნიშნული გარემოებების არსებობა საქმეზე დადასტურებული არ არის და უფრო მეტიც, საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ მოსარჩელე და მოპასუხე არც ბავშვის დაბადებამდე და არც მის შემდეგ ერთად არ ცხოვრობდნენ და საერთო მეურნეობას არ ეწეოდნენ.

ასევე, მამად ცნობისთვის აუცილებელია დადგინდეს ფაქტები, რომლებიც ადასტურებენ ბავშვის ერთად აღზრდისა და რჩენის ფაქტს. საქმეში არსებული მტკიცებულებებით არ დასტურდება არც ერთი ზემოაღნიშნული გარემოება. კასატორი საკასაციო საჩივარში უთითებს, რომ მოპასუხე ზრუნავდა ბავშვზე, ეხმარებოდა მას მატერიალურად და მორალურად და ასეთ დახმარებას ჰქონდა სისტემატური ხასიათი. საკასაციო საჩივარში მითითებულია, რომ აღნიშნული გარემოებები დასტურდება მოწმეთა ჩვენებებით.

არ შეიძლება აღზრდაში ან რჩენაში ვიგულისხმოდ პერიოდული ზრუნვის გამოჩენა. მით უფრო, ამ გარემოების დადგენისათვის არ შეიძლება დავეყრდნეთ ზოგადი ხასიათის ახსნა-განმარტებებს. შვილის აღზრდაში მონაწილეობა არა ეპიზოდურ, არამედ სისტემატური ხასიათის კონკრეტულ მოქმედებებს გულისხმობს, რომლებიც ადასტურებენ საოჯახო ურთიერთობების არსებობას და არა მეგობრული კეთილგანწყობის ფაქტს. მოცემულ შემთხვევაში არც მოწმეთა ჩვენებით და არც საქმეში არსებული სხვა მასალებით არ დგინდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1190.3 მუხლით გათვალისწინებული მამობის დადგენისთვის აუცილებელი მოთხოვნების არსებობა.

2002 წლის 31 ივლისს საქართველო გახდა მონაწილე 1975 წლის 15 ოქტომბრის «ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი სტატუსის შესახებ» ევროპული კონვენციისა. მითითებული კონვენციის მე-5 მუხლის თანახმად, მამობის დადგენასთან დაკავშირებულ მოქმედებაში მეცნიერული მტკიცებულებანი, რომლებსაც ძალუმთ, ხელი შეუწყონ მამობის დადგენას ან უარყოფას, იქნება დაშვებული.

კონკრეტულ შემთხვევაში საკასაციო საჩივრის ავტორი აპელირებს იმის შესახებ, რომ მას სააპელაციო სასამართლომ უმოტივაციოდ უთხრა უარი გენეტიკური ექსპერტიზის ჩატარებაზე და არ მისცა მას სამართლებრივი შეფასება.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1190.3 მუხლის თანახმად, დადგენილია ის რეკვიზიტები, რომელთა გამოკვლევაც აუცილებელია მამობის დადგენისათვის. ამასთან, საკმარისია ერთ-ერთი პირობის არსებობა და აუცილებელი არ არის, რომ არსებობდეს მოცემული მუხლის დისპოზიციით განსაზღვრული ყველა პირობა. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ, თუ მამობის დადგენისათვის მითითებული ნორმით განსაზღვრული ერთ-ერთი პირობის არსებობის დასადასტურებლად არ არის საკმარისი მტკიცებულებები, სასამართლომ შეიძლება დააკმაყოფილოს მხარის შუამდგომლობა და დანიშნოს კონკრეტულ შემთხვევაში, გენეტიკური ექსპერტიზა, რაც სასამართლოს მისცემს სრული და ობიექტური წარმოდგენის შექმნის შესაძლებლობას.

ამასთან ერთად, საკასაციო პალატა აღნიშნულთან დაკავშირებით ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას, შესაბამისად, მიაჩნია, რომ სააპელაციო პალატამ მართებულად უთხრა უარი გენეტიკური ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე, რამდენადაც მოცემული საკითხი სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილია სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის სრული დაცვით, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 280.2. მუხლის თანახმად, ახალი ფაქტები და ახალი მტკიცებულებები, რომლებიც მხარეს შეეძლო წარმოდგინა I-ლი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია არ მიიღოს, როგორც დაგვიანებით წარმოდგენილი, თუ მათი განხილვა ხელს შეუშლის სააპელაციო სასამართლოში საქმის დროულად განხილვას და მხარემ ეს მასალები I-ლი ინსტანციის სასამართლოს არასაპატიო მიზეზით არ წარუდგინა. კონკრეტულ შემთხვევაში, აღნიშნულთან დაკავშირებით კასატორ ნ. ც-შვილის საკასაციო პრეტენზია სრულიად დაუსაბუთებელია, რამდენადაც მის მიერ არ არის დასაბუთებული, თუ რა ხელშემშლელი გარემოებები არსებობდა, რის გამოც ამ უკანასკნელის მიერ I-ლი ინსტანციის სასამართლოში არ იქნა აღძრული შუამდგომლობა გენეტიკური ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი, ვინაიდან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევა არ არსებობს; სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა.

სარეზოლუციო ნაწილი :
საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დადგინა :

ნ. ც-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილება;
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მამობის დადგენა

განჩინება

საქმე № ას-752-1078-07 17 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე) ;
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი) ,
ლ. ლაზარაშვილი**

დავის საგანი: მამობის დადგენისა და დაბადების მოწმობების გაუქმება, არასრულწლოვანი ბავშვის კანონიერი მეურვისათვის დაბრუნება.

აღწერილობითი ნაწილი :

ვ. ო-ნკომ სარჩელი აღძრა სასამართლოში სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ქუთაისის სამსახურის მიმართ ა. კ-ის სახელზე გაცემული მამობის დადგენის მოწმობის, მ. კ-ას სახელზე გაცემული დაბადების მოწმობის გაუქმებისა და შვილიშვილის დაბრუნების შესახებ შემდეგ გარემოებათა გამო: მ. ო-ო არის მოსარჩელის აწ გარდაცვლილი ქალიშვილის - ე. ო-ოს შვილი, რომლის მეურვეც ვ. ო-ნკოა. მოსარჩელისათვის ცნობილი გახდა, რომ ა. კ-მა მიმართა მოპასუხეს და ყოველგვარი წერილობითი მტკიცებულების წარდგენის გარეშე მოითხოვა მ. ო-ოს მამად ცნობა და ბავშვის დაბადების მოწმობაში მისი გვარის - ო-ოს ნაცვლად, კ-ას მითითება. მოპასუხემ უკანონოდ გაიზიარა ა. კ-ის მოთხოვნა და არასწორად გასცა მ. ო-ოს მამად ამ უკანასკნელის ცნობის შესახებ ... და ... დაბადების მოწმობები. აღნიშნული დოკუმენტების საფუძველზე ბავშვი მოსარჩელეს ჩამოერთვა და გადაეცა ა. კ-ს.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: 2006 წლის 27 დეკემბერს მას მიმართა ა. კ-მა და, «სამოქალაქო აქტების შესახებ» კანონის 65-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, მოითხოვა მ. ო-ოს მამობის დადგენა. განცხადებას დაურთო ბავშვის დედის გარდაცვალების მოწმობა. დასახელებული დოკუმენტაცია შესწავლილ იქნა კანონის მოთხოვნათა დაცვით და განმცხადებლის მოთხოვნა დაკმაყოფილდა.

საქმეში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის არმქონე მესამე პირად ჩაება ა. კ-ი.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილებით ვ. ო-ნკოს სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ა. კ-ის წარმომადგენელმა ე. ტ-მემ შეგებებული სარჩელი აღძრა სასამართლოში და მოითხოვა მ. კ-ას მეურვედ ცნობა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 28 მაისის განჩინებით საქმე განსჯადობით გადაეცა ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილებით გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა, ვ. ო-ნკოს სარჩელი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ა. კ-ის სახელზე გაცემული ... მამობის დადგენისა და ... დაბადების მოწმობები, ა. კ-ის შეგებებული სარჩელი დარჩა განუხილველი შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ სამოქალაქო რეგისტრაციის სააგენტოს ქუთაისის სამსახურის განყოფილების უფროს მ.გ-მის 2006 წლის 27 დეკემბრის №162 დასკვნით, «სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ» კანონის 103-ე მუხლის საფუძველზე, ა. კ-ის მოთხოვნა დაკმაყოფილდა და მ. ო-ოს გვარი შეიცვალა კ-ით, შესაბამისად, შესწორდა დაბადების სააქტო ჩანაწერი. სასამართლომ მიუთითა, რომ ა. კ-ის მამობა დადგინდა ამავე კანონის 65-ე მუხლის საფუძველზე, თუმცა აღნიშნული ნორმა მამობის დადგენას ითვალისწინებს ბავშვის დაბადების მომენტში დედის გარდაცვალებისას, მოცემულ შემთხვევაში კი

ბავშვის - მ. ო-ოს დაბადებისას დედა ე. ო-ო ცოცხალი იყო. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ სამოქალაქო კოდექსის 1193-ე მუხლის შესაბამისად, მ. ო-ოს მამის სახელად დედის მიერ მითითებულია სახელი ა.; სასამართლომ იხელმძღვანელა ამავე კოდექსის 1190-ე მუხლის მეორე ნაწილით და ჩათვალა, რომ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ქუთაისის სამსახურს არ ჰქონდა უფლება, ა. კ-ი მ. ო-ოს მამად ეწოდ და გაეცა მამობის დადგენისა და შესწორებული დაბადების მოწმობები, რადგან მამობის დადგენის უფლება გააჩნია მხოლოდ სასამართლოს. ამდენად, პალატის მითითებით, მამობის დადგენისა და შესწორებული დაბადების მოწმობების გაცემა მოპასუხეს შეეძლო მხოლოდ სასამართლოს მიერ ა. კ-ის მ. ო-ოს მამად ცნობის შემთხვევაში. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 381-ე მუხლით და მიიჩნია, რომ ა. კ-ის წარმომადგენელ ე. ტ-ძის შეგებებული სარჩელი დაუშვებელია, რადგან იგი შეტანილია სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას.

სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა ვ. ო-ნკომ და მოითხოვა დამატებითი გადაწყვეტილების მიღება, რადგან სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია მოსარჩელის მოთხოვნაზე შვილიშვილის დაბრუნების შესახებ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 3 აგვისტოს განჩინებით ვ. ო-ოს განცხადება არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ვ. ო-ნკოს სასარჩელო მოთხოვნას შეადგენდა ა. კ-ის სახელზე გაცემული მამობის დადგენის მოწმობის, მ. კ-ას სახელზე გაცემული დაბადების მოწმობის გაუქმება და შვილიშვილის დაბრუნება. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში შეტანილი 2007 წლის 19 ივნისის შუამდგომლობითა და სასამართლო მთავარ სხდომაზე აპელანტმა დაახუსტა თავისი მოთხოვნა და ბავშვის დაბრუნება აღარ მოუთხოვია. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ იგი მხარის მოთხოვნის ფარგლებს ვერ გასცდებოდა და ბავშვის დაბრუნების მოთხოვნაზე ვერ იმსჯელებდა. სააპელაციო პალატამ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტზე დაყრდნობით დაასკვნა, რომ დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი არ არსებობს.

სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილება ვ. ო-ომ გაასაჩივრა საკასაციო წესით, ხოლო ამავე სასამართლოს 2007 წლის 3 აგვისტოს განჩინებაზე შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მათი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ქუთაისის სამსახურის მიმართ ა. კ-ის სახელზე გაცემული მამობის დადგენის მოწმობისა და მ. კ-ას სახელზე გაცემული დაბადების მოწმობის ბათილად ცნობა, მათი აღსრულების შეწყვეტა და მცირეწლოვანი მ. ო-ოს კანონიერი მეურვე ვ. ო-ნკოსათვის დაბრუნება შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო სასამართლომ არასწორად განიხილა მოცემული საქმე ადმინისტრაციული სამართალწარმოების ნაცვლად, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, ვინაიდან დავა ეხებოდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმებას, რომელიც გამოტანილ იქნა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტის ბოლო წინადადების შესაბამისად, კანონმდებლობის დარღვევით და უფლებამოსილების გადამეტებით. ამდენად, მისი გაუქმება, ანუ ბათილად ცნობა უნდა მომხდარიყო არა სამოქალაქო საპროცესო და სამოქალაქო კოდექსებისა და «სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ» კანონის საფუძველზე, არამედ «ნორმატიული აქტების შესახებ» კანონის 25-ე მუხლის დაცვით, უფრო ახალი ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის საფუძველზე. დასახელებული კოდექსის 31-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადების, 43-ე მუხლის, მე-5 მუხლის პირველი და მესამე ნაწილების, მე-60 მუხლის პირველი ნაწილის, ასევე ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების მიხედვით, სადავო მოწმობები უნდა გაუქმდეს ანუ ბათილად იქნეს ცნობილი და მათი აღსრულება შეწყდეს. ანალოგიური შედეგი შესაძლოა დამდგარიყო სააპელაციო სასამართლოს მიერ სამოქალაქო კოდექსის 54-ე, 81-82-ე მუხლებისა და «სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ» კანონის 85-ე, 103-ე მუხლების გამოყენებით, რა დროსაც კანონსაწინააღმდეგო, მოტყუებით დადებული გარიგებების შედეგად შექმნილი დოკუმენტები ცნობილ იქნებოდა ბათილად, თუმცა აღსრულების შეწყვეტის მითითების გარეშე და სარჩელის მეორე მოთხოვნა ვერ გადაწყდებოდა. ამდენად, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის მეშვიდე ნაწილის შესაბამისად, სადავო დოკუმენტების ბათილად ცნობასთან ერთად სასამართლოს უნდა ემსჯელა მცირეწლოვანი მ. ო-ოს კანონიერი მეურვისათვის დაბრუნებაზე, რაც შესაძლებელი იყო მხოლოდ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განხილვისას. მოცემული სარჩელი შეიცავდა როგორც ადმინისტრაციული წესით განსახილველ მოთხოვნას, ისე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით გადასაწყვეტ საკითხებს და, რადგან აღნიშნული საქმე განსახილველად გადაეცა სამოქალაქო საქმეთა პალატას, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო ვალდებული იყო, ემსჯელა ყველა მოთხოვნაზე, რაც არ განუხორციელებია და დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილი. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ქუთაისის სამსახურს უფლება არა აქვს შეიტანოს სარჩელი მის მიერ გაცემული სადავო მოწმობების კანონიერებაზე, აღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხეს არ შეუძლია ასევე გაასაჩივროს მითითებულ საკითხზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილება, მაშასადამე, სააპელაციო პალატის 2007 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილება მისთვის კანონიერ ძალაშია შესული, რის გამოც მცირეწლოვანი მ. ო-ო დაუყოვნებლივ

უნდა დაუბრუნდეს ბებიას. მ. ო-ო უკანონოდ იმყოფება სხვა პირებთან, რომლებიც ნებაყოფლობით არ უბრუნებენ ბავშვს კანონიერ მეურვეს.

სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილება სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ქუთაისის სამსახურმა გასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 1192-ე მუხლი, რომელიც არეგულირებს დაუქორწინებელი მშობლების მიერ ბავშვის ჩაწერას და დასახლებული ნორმის მეორე ნაწილის მიხედვით, დასაშვებია ბავშვის ჩაწერა მამის განცხადების საფუძველზე. აღნიშნული შესაძლებელია მოხდეს დედის გარდაცვალების შემთხვევაში, რა დროსაც მამის შესახებ ჩანაწერის გასაკეთებლად საკმარისია მხოლოდ მამის განცხადება და სხვა პირთა ნებართვა საჭირო არ არის. სასამართლომ არასწორად განმარტა «სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ» კანონის 65-ე მუხლი და ბავშვის დაბადების მომენტად ჩათვალა უშუალოდ ბავშვის გაჩენის მომენტი. ეს რომ ასე იყოს, კანონმდებელი არ მიუთითებდა ისეთ გარემოებებზე, როგორცაა დედის ადგილსამყოფელის დადგენის შეუძლებლობა, დედისათვის მშობლის უფლების ჩამორთმევა და ა.შ. აღნიშნული გარემოებების დასადგენად კი საკმაოდ დროა საჭირო, ამდენად, კანონით გათვალისწინებული «ბავშვის დაბადების მომენტი» უფრო ფართოდ უნდა ყოფილიყო გაგებული, ვიდრე უშუალოდ ბავშვის დაბადებაა. აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორმა სადავო მოწმობები გასცა კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: სამოქალაქო რეგისტრაციის სააგენტოს ქუთაისის სამსახურის განყოფილების უფროსის 2006 წლის 27 დეკემბრის №162 დასკვნით, «სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ» კანონის 103-ე მუხლის საფუძველზე, ა. კ-ის მოთხოვნა დაკმაყოფილდა, იგი ცნობილ იქნა მ. ო-ოს მამად და ბავშვის გვარი შეიცვალა კ-ით, შესაბამისად, შესწორდა დაბადების სააქტო ჩანაწერი. ასევე დადგენილია, რომ მ. ო-ოს დედა - ე. ო-ო გარდაიცვალა 2006 წლის 10 აგვისტოს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო და კერძო საჩივრების საფუძვლების შესწავლის, გასაჩივრებული გადაწყვეტილებისა და განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ვ. ო-ოს საკასაციო და კერძო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება მცირეწლოვანი შვილიშვილის აღსაზრდელად დაბრუნების ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას, რომ მშობელთა ერთობლივი განცხადების არარსებობის შემთხვევაში მამობის დადგენა დასაშვებია მხოლოდ სასამართლო წესით.

უსაფუძვლოა კასატორ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ქუთაისის სამსახურის წარმომადგენლის მოსაზრება, რომ სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო კოდექსის 1192-ე მუხლის მეორე ნაწილი, რომელიც წარმოადგენს საფუძველს კასატორის მოქმედების კანონიერად მიჩნევისათვის. აღნიშნული ნორმით, თუ დედა გარდაიცვალა, ცნობილია ქმედუწაროდ, ჩამორთმეული აქვს მშობლის უფლება ან შეუძლებელია მისი საცხოვრებელი ადგილის დადგენა, ბავშვის მამის ჩაწერა ხდება მამის განცხადებით.

მშობლებისაგან შვილების წარმოშობის დადგენა მნიშვნელოვანი იურიდიული ფაქტია. დაუქორწინებელ მშობელთა შვილის მიმართ მამობის დადგენა წარმოებს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს სამსახურში მშობლების მიერ ერთობლივი განცხადების შეტანით. ამგვარი განცხადების საფუძველზე ბავშვის მამად ცნობა შესაძლებელია როგორც დაბადების რეგისტრაციის დროს, ასევე მის შემდეგაც, ნებისმიერ დროს. ასეთი ერთობლივი განცხადების არარსებობის შემთხვევაში მშობლის ვინაობის განსაზღვრა გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული (განსაკუთრებულად რთულია ბავშვის მამისაგან წარმოშობის დადგენა) და იგი გარკვეული ფაქტების დადგენა-შემოწმებასთანაა დაკავშირებული. სწორედ აღნიშნული გარემოებითაა გამოწვეული, რომ მშობელთა ერთობლივი განცხადების არარსებობის შემთხვევაში მამობის დადგენა დასაშვებია მხოლოდ სასამართლო წესით.

უდავოა, რომ მოცემულ შემთხვევაში ბავშვის მშობლები არ იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში და ა. კ-ს ბავშვის დაბადების მომენტისათვის, ვიდრე დაბადების მოწმობის გაცემამდე და არც ბავშვის დედის - ე. ო-ოს გარდაცვალებამდე არ მოუთხოვია ბავშვის მამად ცნობა. ამდენად, დაუქორწინებელ მშობელთა ბავშვის მამად ცნობისათვის აუცილებელია რა მშობელთა ერთობლივი განცხადება, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს სამსახურს მხოლოდ ასეთი განცხადების შემთხვევაში შეეძლო ბავშვის მამად ა. კ-ის რეგისტრაცია.

რაც შეეხება სამოქალაქო კოდექსის 1192-ე მუხლის მეორე ნაწილს, აღნიშნული ნორმა ითვალისწინებს ისეთ განსაკუთრებულ და გამონაკლის შემთხვევას, როდესაც ობიექტური გარემოებების გამო (დედა გარდაიცვალა, ცნობილია ქმედუწაროდ, ჩამორთმეული აქვს მშობლის უფლება ან შეუძლებელია მისი საცხოვრებელი ადგილის დადგენა) შეუძლებელია მშობელთა ერთობლივი განცხადების წარდგენა. ამასთან, მითითებული ნორმა კონკრეტული პერიოდისათვის, ბავშვის დაბადების მომენტისათვის, არის გათვალისწინებული და ადგენს მამობის დადგენას მხოლოდ მამის განცხადების საფუძველზე. ამ დასკვნას ამყარებს «სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ» საქართველოს კანონის 65-ე მუხლი, რომლის ძალითაც, თუ ბავშვის დაბადების მომენტისათვის

მშობლები დაუქორწინებელი არიან, მამობის დადგენის რეგისტრაციის საფუძველია ბავშვის მამის განცხადება დედის გარდაცვალების, ქმედუქუნაროდ ცნობის, ადგილსამყოფელის დადგენის შეუძლებლობის, აგრეთვე, დედისათვის მშობლის უფლების ჩამორთმევის შემთხვევაში.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორ ვ. ო-ოს მოსაზრებას, რომ სააპელაციო პალატას უნდა ემსჯელა მის სასარჩელო მოთხოვნაზე მცირეწლოვანი შვილიშვილის აღსაზრდელად დაბრუნებასთან დაკავშირებით. აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ განიხილა რა ვ. ო-ოს განცხადება დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე, 2007 წლის 3 აგვისტოს განჩინებით არ დააკმაყოფილა მისი მოთხოვნა იმ მოტივით, რომ სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე ვ. ო-ომ დააზუსტა თავისი მოთხოვნა და შვილიშვილის დაბრუნება არ მოუთხოვია. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, ვ. ო-ომ სარჩელით მიმართა რა სასამართლოს, მამობის დადგენისა და დაბადების მოწმობის გაუქმებასთან ერთად, მოითხოვა შვილიშვილის დაბრუნება. საქმეში არსებული სააპელაციო საჩივრით ვ. ო-ოს სასარჩელო მოთხოვნები არ შეუცვლია და პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებას მისი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ასაჩივრებდა მთლიანად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლი ადგენს რა დისპოზიციურობის პრინციპს, მხარეები თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის შეტანის შესახებ და ასევე მოსარჩელეს შეუძლია, უარი თქვას სარჩელზე. სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ სასამართლომ სარჩელზე საქმის წარმოება უნდა დაასრულოს გადაწყვეტილებით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი მხარე უარს ამბობს სარჩელზე, უნდა შეწყვიტოს საქმის წარმოება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «გ» პუნქტი) ან თუკი არსებობს სარჩელის განუხილველად დატოვების საფუძველი სასამართლომ საქმის წარმოება სარჩელთან დაკავშირებით შესაბამისი განჩინებით უნდა დაასრულოს.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ მიუთითა რა, რომ სასამართლო განხილვის საგანს წარმოადგენდა მხოლოდ ორი სასარჩელო მოთხოვნა, არ იმსჯელა ამავე სარჩელით წარმოდგენილი მესამე მოთხოვნაზე.

საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ უნდა იმსჯელოს მხარის მოთხოვნაზე და თუკი მხარე უარს აცხადებს სარჩელზე ან არსებობს სარჩელის განუხილველად დატოვების საფუძველი, უნდა მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დაადგინა:

ვ. ო-ნკოს საკასაციო და კერძო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 3 აგვისტოს განჩინება; გაუქმდეს ამავე სასამართლოს 2007 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილება მცირეწლოვანი შვილიშვილის აღსაზრდელად დაბრუნების ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს; დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

13. მშობლის უფლებებისა და მოვალეობების ჩამორთმევა

განჩინება

საქმე № ას-804-1019-08

30 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: მშობლის უფლების ჩამორთმევა, უკანონოდ შეწყვეტილი მზრუნველობის აღდგენა, მორალური ზიანის ანაზღაურება, შვილის დაბრუნება, ბავშვთან ურთიერთობის აკრძალვა.

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. ქ-იამ სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. ს-მის, გაზეთ «ახალი გაზეთის» რედაქტორ ი. ბ-მისა და საგანმანათლებლო რესურსცენტრის მუშაკების - ვ. პ-მისა და მ. ლ-ავას მიმართ და მოითხოვა მ. ს-მისათვის არასრულწლოვანი გ. გ-იანის დედობის უფლების ჩამორთმევა, გ. გ-იანზე მზრუნველობის აღდგენა და ბავშვის პატივისა და ღირსების შელახვისათვის მოპასუხეთათვის სოლიდარულად

მორალური ზიანის ანაზღაურება შემდეგი საფუძვლებით: 1993 წლიდან მოსარჩელის შვილი - დ. გ-იანი რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა მ. ს-ძესთან. ქორწინების პერიოდში მათ შეეძინა ორი შვილი - ა. და გ. გ-იანები. მეუღლის ოჯახში ცხოვრებისას მ. ს-ძემ გამოავლინა უარყოფითი თვისებები, მუდმივი კონფლიქტისა და უთანხმოების გამო, 1999 წლიდან დ. გ-იანი იძულებული გახდა, დაეტოვებინა ოჯახი და საცხოვრებლად რუსეთში გადასულიყო. დედის მხრიდან ფიზიკურ შეურაცხყოფას ვერ გაუძლო ვერც გ. გ-იანმა და სახლიდან გაიქცა. 2003 წლის ზაფხულის არდადეგები გ. გ-იანმა გაატარა ბებიასთან, რის შემდგომ მ.ს-ძემ ბავშვი საცხოვრებლად თავისთან აღარ მიიღო, რის გამოც ქ.ქუთაისის განათლების განყოფილების უფროსის 2003 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილებით მცირეწლოვან გ. გ-იანს მზრუნველად ბებია - ნ. ქ-ია დაენიშნა. 2004-2006 წლებში ბავშვი ბებიასთან ერთად საცხოვრებლად მამასთან, რუსეთში გადავიდა, თუმცა 2006 წლის ოქტომბერში მოსარჩელე იძულებული გახდა, დაეტოვებინა რუსეთი, ხოლო საქართველოში მომავალი გ. გ-იანი 11 დღის განმავლობაში რუსეთ-საქართველოს საზღვარზე იქნა დაკავებული. სამშობლოში დაბრუნებულ გ. გ-იანს დახვდა მ. ს-ძე და ბავშვი მცირე ხნით თავისთან წაიყვანა, თუმცა შვილმა, მოპასუხის მხრიდან უარყოფითი დამოკიდებულების, ბებიასთან საუბრისა და შეხვედრის აკრძალვის გამო, კვლავ საკუთარი ნებით დატოვა დედა და მოსარჩელესთან დაბრუნდა. მ. ს-ძემ, შვილზე შურისძიების მიზნით, «ახალი გაზეთის» რედაქტორ ი. ბ-ძის დახმარებით, გამოაქვეყნა გ. გ-იანის შეურაცხმყოფელი სტატია, რითაც მძიმე მორალური ზიანი მიაყენა ბავშვს. ქუთაისის საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანამშრომელ მ. ღ-ავას უკანონო დასკვნის საფუძველზე 2007 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილებით ნ. ქ-იას არასრულწლოვან გ. გ-იანზე მზრუნველობა შეუწყდა.

მ. ს-ძემ სარჩელი არ ცნო და შეგებებული სარჩელით მოითხოვა შვილის აღსაზრდელად მისთვის დაბრუნება, ხოლო ნ. ქ-იასათვის გ. გ-იანთან ურთიერთობის აკრძალვა შემდეგი დასაბუთებით: მ. ს-ძესა და დ. გ-იანს შორის ქორწინება შეწყდა და მ. ს-ძე იძულებული გახდა, ორ შვილთან ერთად დაეტოვებინა მეუღლის ოჯახი, ვინაიდან მოსარჩელე ნ. ქ-იას საქციელი უარყოფითად მოქმედებდა ბავშვების ფსიქიკაზე, მას ხშირად მიჰყავდა სახლში უცხო პირები და იმყოფებოდა ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ. 2003 წელს, სასწავლო წლის დასრულებისას, ნ. ქ-იამ სკოლაში მიაკითხა გ. გ-იანს და თვითნებურად წაიყვანა თავისთან. აღნიშნულის შემდეგ მ.ს-ძე არაერთხელ უშედეგოდ შეეცადა ბავშვის დაბრუნებას. გ. გ-იანს ბებიასთან ერთად წარმატებული საცხოვრებელი არ გააჩნია, ისინი ფაქტობრივად ქუჩაში ცხოვრობენ. ნ. ქ-ია კი ბავშვით სპეკულირებს და აცხადებს, რომ იგი უპატრონოა. მოსარჩელე ვერ უზრუნველყოფს ბავშვის სათანადო აღზრდა-განვითარებას, რის გამოც გ. გ-იანი აღსაზრდელად უნდა დაუბრუნდეს დედას.

მოპასუხე ი. ბ-ძემ სარჩელი არ ცნო იმ მოტივით, რომ სადავო საგაზეთო სტატია შეადგინა მ. ს-ძემ და მას აღნიშნულში არანაირი წვლილი არ მიუძღვის. სარჩელი არ ცნეს არც დანარჩენმა მოპასუხეებმა და განმარტეს, რომ ნ. ქ-იას მიერ გ. გ-იანის მზრუნველობის მოპოვებისათვის დასახელებული გარემოებანი არ დადასტურდა, ფაქტობრივად ბავშვი მიტოვებული არ იყო, მას ჰყავდა დედა, რომელსაც სათანადო პირობები გააჩნდა შვილის აღსაზრდელად, ამდენად, სადავო მზრუნველობა კანონიერად გაუქმდა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილებით ნ. ქ-იას სარჩელი და მ. ს-ძის შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მხარეებმა გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილებით ნ. ქ-იას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, მ. ს-ძის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება ბავშვის დაბრუნების შესახებ მ.ს-ძის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გაუქმდა, არასრულწლოვანი გ. გ-იანი დაუბრუნდა დედას - მ. ს-ძეს, დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მ. ს-ძე და დ. გ-იანი იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში და 1995 წელს შეეძინათ შვილი - გ. გ-იანი. 1999 წლიდან მეუღლეები ფაქტობრივად დაშორდნენ ერთმანეთს და 2003 წლამდე გ.გ-იანი ცხოვრობდა დედასთან. 2003 წლიდან ბავშვი საცხოვრებლად გადავიდა ბებიასთან, ხოლო 2004-2006 წლებში - მამასთან, ქ.მოსკოვში. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა ნ.ქ-იას მოთხოვნა მ. ს-ძისათვის დედის უფლების ჩამორთმევის შესახებ. სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 1206-ე მუხლზე და განმარტა, რომ დასახელებული ნორმა ადგენს იმ წინაპირობებს, რაც შესაძლოა მშობლის უფლების ჩამორთმევას საფუძვლად დაედოს, კერძოდ, კანონმდებელი მშობლის უფლების ჩამორთმევას უკიდურეს ღონისძიებად მიიჩნევს და უკავშირებს ერთდროულად რამდენიმე პირობის არსებობას, რაც გამოიხატება მშობლის მიერ მშობლის მოვალეობის შესრულებისაგან სისტემატურად თავის არიდებაში, მშობლის უფლების არაჯეროვნად გამოყენებაში, ბავშვისადმი უდიერ დამოკიდებულებაში, მშობლის ამორალური საქციელით ბავშვზე უარყოფითი ზეგავლენის მოხდენასა და მშობლის ქრონიკულად ალკოჰოლური ან ნარკოტიკული ზეგავლენის ქვეშ ყოფნაში. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ნ. ქ-იმ ვერ წარადგინა მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა იმ ფაქტობრივი გარემოებების არსებობას, რაზედაც ზემოხსენებული ნორმა უთითებს. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ 2003 წლამდე, 8 წლის განმავლობაში, გ. გ-იანი სწორედ დედასთან იზრდებოდა. სააპელაციო პალატამ ასევე დაუსაბუთებლად ჩათვალა ნ. ქ-იას მოთხოვნა ბავშვზე მზრუნველობის უკანონოდ გაუქმების შესახებ. სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო მზრუნველობის დანიშნას საქართველოს განათლებისა

და მეცნიერების სამინისტროს ქ. ქუთაისის განათლების განყოფილების №25 გადაწყვეტილებით საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ «ბავშვის მამა გასულია რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, დედის ადგილსამყოფელი კი უცნობია». ქუთაისის საგანმანათლებლო რესურსცენტრის 2007 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილების მიხედვით სააპელაციო პალატამ გამოარკვია, რომ ნ. ქ-იას გ.გ-იანზე მზრუნველობა შეუწყდა მ. ს-ძის განცხადების საფუძველზე, რომლითაც მან მოითხოვა შვილის აღსაზრდელად მისთვის დაბრუნება. სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 1304-ე მუხლით და მიიჩნია, რომ გ.გვიში.ნის მიმართ ნ.ქ-იას მზრუნველობა სავსებით კანონიერად შეწყდა, რადგან ის საფუძველი, რის გამოც მზრუნველობა დაინიშნა, აღარ არსებობს. სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასაბუთება მოპასუხეთათვის ნ. ქ-იას სასარგებლოდ მორალური ზიანის - 50000 ლარის ანაზღაურებაზე უარის თქმის შესახებ და მიიჩნია, რომ სამოქალაქო კოდექსის მე-18 და 413-ე მუხლები განსაზღვრავს მორალური ზიანის ანაზღაურების კონკრეტულ შემთხვევებს, მოცემულ შემთხვევაში კი კანონით გათვალისწინებული შემთხვევები არარსებობს და არ დაუდასტურებია. სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ მოპასუხე «ახალი გაზეთის» რედაქცია, ისევე, როგორც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ქუთაისის განათლების განყოფილება და რესურსცენტრის სოციალური მუშაკი მ. ლ-ავა კანონის ფარგლებში მოქმედებდნენ და საქმეში არ მოიპოვებენ მტკიცებულებას, რომელიც დაადასტურებდა დასახელებულ მოპასუხეთა მხრიდან სამოქალაქო კოდექსის მე-18 ან 413-ე მუხლებით დადგენილ სიკეთეთა ხელყოფას. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გ. გ-იანზე ნ. ქ-იას მზრუნველობის კანონიერად გაუქმების პირობებში, სამოქალაქო კოდექსის 1204-ე მუხლის შესაბამისად, ბავშვი აღსაზრდელად უნდა გადაეცეს დედას - მ. ს-ძეს. სასამართლომ ყურადღება გაამხვილა საქმის განხილვისას დაკითხული სპეციალისტის განმარტებაზე, რომ «ნებისმიერ შემთხვევაში ვერ ავცდებით ბავშვის ფსიქიკაზე უარყოფით ზეგავლენას, თუ ბავშვი ბებიასთან დარჩება, ეს უარყოფითი ზეგავლენა მოგვიანებით იჩენს თავს, დედასთან შეგუბება შესაძლოა თავიდან გაუჭირდეს, მაგრამ დროთა განმავლობაში ჩადგება...». სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო პალატამ შინაგანი რწმენის, საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესწავლისა და კანონის მოთხოვნების საფუძველზე ჩათვალა, რომ მ.ს-ძის მოთხოვნა ბავშვის დაბრუნების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს. სამოქალაქო კოდექსის 1203-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტ მ.ს-ძის მოთხოვნა ნ.ქ-იასათვის გ. გ-იანთან ურთიერთობის აკრძალვის თაობაზე, ვინაიდან ნ.ქ-იას, როგორც ბავშვის ბებიას, კანონი ანიჭებს შვილიშვილთან ურთიერთობის უფლებას. ამასთან, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მ. ს-ძეს არ წარმოუდგენია იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ ნ. ქ-იასთან ურთიერთობა უარყოფითად მოქმედებს და ცულ ზეგავლენას ახდენს ბავშვზე.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ნ. ქ-იამ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმის ფაქტობრივი გარემოებანი, როდესაც მიიჩნია, რომ სამოქალაქო კოდექსის 1206-ე მუხლით გათვალისწინებული მშობლის უფლების ჩამორთმევის წინაპირობები მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს. ფაქტობრივად, დადასტურდა მ. ს-ძის მიერ მშობლის მოვალეობის შესრულებისათვის თავის არიდებისა და მისი არაჯეროვნად გამოყენების, ბავშვის ცემისა და წამების ფაქტები. სასამართლომ არ გაითვალისწინა თავად არასრულწლოვანი გ. გ-იანის აზრი, რითაც დაარღვია «ბავშვის უფლებათა კონვენციის» მე-12-მე-13 მუხლები. სააპელაციო პალატამ უგულვებელყო ბავშვის ინტერესები და მათ წინ მშობლის უფლებები დააყენა. სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიუთითა, რომ მ. ს-ძემ მიმართა რესურსცენტრს ბავშვის დაბრუნების მოთხოვნით, რელურად რესურსცენტრის თანამშრომლებმა მოიძიეს მ.ს-ძის ადგილსამყოფელი, რის შემდეგ ეს უკანასკნელი იძულებული გახდა, ბავშვისათვის დედობა გაეწია. აღნიშნული დადასტურებულია საქმის მასალებით. უსაფუძვლოა სააპელაციო სასამართლოს უარი, სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის შესაბამისად, მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ, რადგან საქმის მასალებით დასტურდება მ.ს-ძის, ი.ბ-ძის, მ. ლ-ავასა და ვ. პ-ძის მიერ როგორც გ. გ-იანის, ისე კასატორისათვის მორალური ზიანის მიყენების ფაქტი. ამასთან, სასამართლოს ი.ბ-ძისათვის უნდა დაეკისრებინა მის გაზეთში გამოქვეყნებული წერილის საწინააღმდეგო საპასუხო ცნობების გამოქვეყნება.

2008 წლის 15 დეკემბერს კასატორმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და საქმესთან დაკავშირებით წარმოადგინა ახალი მტკიცებულებები 19 ფურცლად.

სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: მ. ს-ძე და დ. გ-იანი იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში და 1995 წელს შეეძინათ შვილი - გ. გ-იანი. 1999 წლიდან მეუღლეები ფაქტობრივად დაშორდნენ ერთმანეთს და 2003 წლამდე გ.გ-იანი ცხოვრობდა დედასთან. 2003 წლიდან ბავშვი საცხოვრებლად გადავიდა ბებიასთან, ხოლო 2004-2006 წლებში - მამასთან, ქ. მოსკოვში. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ქ. ქუთაისის განათლების განყოფილების №25 გადაწყვეტილებით გ. გ-იანის მზრუნველად დაინიშნა ბებია ნ. ქ-ია, რასაც საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ «ბავშვის მამა გასულია რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, დედის ადგილსამყოფელი კი უცნობია».

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. ქ-იას საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელი დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო პალატამ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა დადგინდეს ფაქტობრივ გარემოებებს, კერძოდ:

სამოქალაქო კოდექსის 1198-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მშობლები უფლებამოსილი და ვალდებული არიან, აღზარდონ თავიანთი შვილები, ხოლო ამავე კოდექსის 1206-ე მუხლის შესაბამისად, მშობლის უფლების ჩამორთმევა უკანასკნელი ზომისა, რის შესახებაც გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ან 14 წლის ასაკს მიღწეული ბავშვის ინიციატივით. ამავე მუხლით დადგენილია გარემოებები, რომელთა საფუძველზეც დასაშვებია მშობლის უფლების ჩამორთმევა. მშობლის მიმართ ასეთი ღონისძიების გამოყენებისას უტყუარად უნდა დადგინდეს კანონით გათვალისწინებული რომელიმე პირობის არსებობა, რაც მოცემულ შემთხვევაში არ დგინდება. აღნიშნულთან დაკავშირებით უსაფუძვლოა კასატორის მოსაზრება გასაჩივრებული გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობის თაობაზე, ვინაიდან არც საქმის მასალებით და არც საკასაციო საჩივრით არ დასტურდება მ. ს-ძის მიმართ ამგვარი ღონისძიების გამოყენების საფუძვლიანობა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. კასატორი ვერ უთითებს და ასევე ვერ ასაბუთებს მშობლის უფლების ჩამორთმევის კანონით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობას.

ყოველგვარ დასაბუთებასაა მოკლებული კასატორის მითითება სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით ბავშვის უფლებათა კონვენციის დარღვევაზე. კასატორი უთითებს რა სააპელაციო სასამართლოს მიერ «ბავშვის უფლებათა კონვენციის» მე-12-მე-13 მუხლების დარღვევაზე, სათანადოდ ვერ ასაბუთებს, თუ კონკრეტულად რაში გამოიხატა მითითებული დარღვევა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომელზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამდენად ნ. ქ-ია ვალდებული იყო, კანონის მოთხოვნათა შესაბამისად დაედგინებინა დასახელებული კონვენციის მე-12 და მე-13 მუხლების დარღვევა სააპელაციო პალატის მიერ.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ქუთაისის რესურსცენტრის მიერ მზრუნველობის შეწყვეტის კანონიერების თაობაზე, რადგანაც საქმეში წარმოდგენილი ქ.ქუთაისის განათლების განყოფილების გადაწყვეტილების საფუძველზე დადგენილია შემდეგი: გ. გ-იანის მზრუნველად ნ.ქ-იას დანიშვნა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ არასრულწლოვანი გ.გ-იანის მამა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ იმყოფება, ხოლო დედის ადგილსამყოფელი უცნობია. სამოქალაქო კოდექსის 1204-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტი მზრუნველობის შეწყვეტის საფუძველად უთითებს იმ გარემოების მოსპობას, რამაც მზრუნველის დანიშვნა გამოიწვია, ამდენად, დასახელებული ნორმის თანახმად, მზრუნველობა კანონის მოთხოვნათა შესაბამისად იქნა შეწყვეტილი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის თუ წამოყენებული არ არის დასაშვები ან დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო პალატის მიერ დადგენილია, რომ მოპასუხე გაზეთის რედაქცია და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ქუთაისის განყოფილება, ასევე რესურსცენტრის სოციალური მუშაკი მ. ლ-ავა მოქმედებდნენ კანონის ფარგლებში, რის გამოც არ დასტურდება სამოქალაქო კოდექსის 413-ე და მე-18 მუხლებით დადგენილ სიკეთეთა ხელყოფა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ იქნება გაზიარებული კასატორის მოსაზრება სარჩელზე მოპასუხეთა მხრიდან მორალური ზიანის ანაზღაურებისა და იმავე გაზეთში გამოქვეყნებული წერილის საწინააღმდეგო საპასუხო ცნობების გამოქვეყნების თაობაზე დაუსაბუთებლობის გამო. სამოქალაქო კოდექსის 1204-ე მუხლი მშობელს უფლებას ანიჭებს, მოითხოვოს არასრულწლოვანი შვილის დაბრუნება იმ პირისაგან, რომელიც მას თავისთან ამყოფებს კანონიერი საფუძვლის გარეშე. განსახილველ შემთხვევაში ნ. ქ-იას არასრულწლოვან გ. გ-იანზე მზრუნველობა შეუწყდა კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, რის გამოც სამზრუნველო პირის მასთან ცხოვრება კანონიერ საფუძველს არის მოკლებული, აღნიშნული გარემოება კი მშობელს ანიჭებს არასრულწლოვანი შვილის მასთან დაბრუნების მოთხოვნის უფლებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვთ. განსახილველ შემთხვევაში, კასატორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები ვერ იქნება განხილული და გაზიარებული საკასაციო სასამართლოს მიერ ამავე კოდექსის 407-ე მუხლის

საფუძველზე. ნ. ქ-იას უნდა დაუბრუნდეს მის მიერ 2008 წლის 15 დეკემბერის განცხადებაზე დართული მასალები 19 ფურცლად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დაადგინა:

ნ. ქ-იას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

უცვლელი დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილება.

კასატორს დაუბრუნდეს მის მიერ 2008 წლის 15 დეკემბერს წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულებები 19 ფურცლად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

14. ალიმენტი

ალიმენტის დაკისრება

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით**

№ას-534-876-07

4 დეკემბერი, 2007 წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
მ. ცისკაძე (მომხსენებელი),
თ. თოდრია**

დავის საგანი: განქორწინება და შვილთან ურთიერთობის განსაზღვრა (სარჩელში); ალიმენტის დაკისრება (შეგებებულ სარჩელში).

აღწერილობითი ნაწილი:

მ. კ-ევმა 2005 წლის ნოემბერში სასარჩელო განცხადებით მიმართა სასამართლოს მოპასუხე მ. ფ-იას მიმართ და მოითხოვა მ. ფ-იასთან განქორწინება, შვილთან ურთიერთობისათვის დღეების განსაზღვრა და მოპასუხის დავალდებულება, რომ არ შეეშალოს ხელი თავისი უფლებების განხორციელებაში. მოსარჩელემ თავისი მოთხოვნა იმით დაასაბუთა, რომ მოპასუხესთან დაქორწინდა 2003 წლის ოქტომბერში ქ.თბილისში. იგი დროებით საცხოვრებლად და სამუშაოდ გაემგზავრა ქ.ლონდონში. რადგან მათი თანაცხოვრება შეუძლებელი იყო მ. ფ-ია დაბრუნდა მშობლებთან ქ.თბილისში. შვილის გაჩენის შესახებ მისი დაბადებიდან ერთი თვის შემდეგ შემთხვევით შეიტყო, მოპასუხისაგან ახსნა-განმარტებაც მიიღო, რომ ბავშვი მას არ ეკუთვნოდა. მოსარჩელე 2005 წლის გაზაფხულზე დაბრუნდა ქ.თბილისში და დაუკავშირდა მ. ფ-იას, მან მისი და ბავშვის ნახვაზე მოპასუხისაგან კატეგორიული უარი მიიღო. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ სამოქალაქო კოდექსის 1127-ე მუხლის საფუძველზე მოითხოვა მოპასუხესთან განქორწინება შესარიგებელი ვადის გარეშე. მან სამოქალაქო კოდექსის 1202-ე მუხლის საფუძველზე მოითხოვა კვირაში ორი დღე - შაბათი და კვირა, ან კვირის რომელიმე სხვა დღე, რათა მიეცეს საშუალება, ურთიერთობა იქონიოს შვილთან და მონაწილეობა მიიღოს მის აღზრდაში.

მ. ფ-იამ შეგებებული სასარჩელო განცხადება შეიტანა სასამართლოში მოპასუხე მ. კ-ევის მიმართ და მოითხოვა მოპასუხისათვის ალიმენტის დაკისრება. შეგებებული სარჩელის ავტორმა მიუთითა, რომ მცირეწლოვან შვილს ზრდის მშობლების ბინაში მათი დახმარებით. 2004 წლის მარტიდან იგი არსად არ მუშაობს. მ.კ-ევი მუშაობს ინგლისში და მისი წლიური შემოსავალი შეადგენს 38500 ფუნტ სტერლინგს. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგებებული სარჩელის ავტორმა მოითხოვა მ. კ-ევისათვის მცირეწლოვანი შვილის სარჩენად ალიმენტის სახით ყოველთვიურად 1000 ფუნტი სტერლინგის გადახდის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 29 მაისის გადაწყვეტილებით მ. კ-ევის სარჩელი დაკმაყოფილდა. მ. კ-ევსა და მ. ფ-იას შორის შეწყდა ქორწინება, რეგისტრირებული 2003 წლის 11 ოქტომბერს, სააქტო ჩანაწერი ...; მ. კ-ევს შვილთან - 2004 წის 11 ოქტომბერს დაბადებულ ა. ფ-ია-კ-ევთან ურთიერთობისათვის განესაზღვრა კვირაში ერთი

დღე - შაბათი, დღის 12.00 საათიდან საღამოს 18.00 საათამდე; მ. ფ-იას შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა - მ. კ-ევს შვილის 2004 წლის 11 ოქტომბერს დაბადებულ ა. ფ-ია-კ-ევის სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტის გადახდა თვეში 150 ლარის ოდენობით სარჩელის აღძვრის მომენტიდან - 2005 წლის 2 ნოემბრიდან შვილის სრულწლოვანებამდე.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრა მ. ფ-იამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილებით მ. ფ-იას სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; გაუქმდა ამ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 29 მაისის გადაწყვეტილება ბავშვთან ურთიერთობის წესის, ალიმენტის ოდენობის განსაზღვრის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; მ. კ-ევს სარჩელი შვილთან ურთიერთობის წესის განსაზღვრის შესახებ დაკმაყოფილდა იმგვარად, რომ მ. კ-ევს შვილთან - 2004 წლის 11 ოქტომბერს დაბადებულ ა. ფ-ია-კ-ევთან ურთიერთობისათვის განესაზღვრა კვირაში ერთი დღე - შაბათი, დღის 12.00 საათიდან საღამოს 18.00 საათამდე დედის, მ. ფ-იას თანდასწრებით; მ. ფ-იას შეგებებული სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. მ. კ-ევს დაეკისრა შვილის, 2004 წლის 11 ოქტომბერს დაბადებულ ა. ფ-ია-კ-ევის სასარგებლოდ სარჩელის აღძვრის მომენტიდან - 2005 წლის 25 ნოემბრიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე - ალიმენტის, ყოველთვიურად 500 ფუნტი სტერლინგის შესაბამისი ლარის გადახდა. სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 1202-ე მუხლის პირველი ნაწილზე მითითებით ჩათვალა, რომ ბავშვთან ურთიერთობის წესის განსაზღვრისას, მისი სპეციფიკურობიდან გამომდინარე, მშობლების უფლება-მოვალეობათა სრული თანასწორობის გარდა, უპირველეს ყოვლისა, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ბავშვის აღზრდის ინტერესი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო ამგვარი საკითხის გადაწყვეტისას ითვალისწინებს თითოეული კონკრეტული შემთხვევის შესაბამისად, ბავშვის ასაკს, მის მდგომარეობას, მისგან განცალკევებით მცხოვრებ მშობელთან არსებულ ურთიერთობას. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში, ბავშვი ა. ფ-ია-კ-ევი სამ წლამდე ასაკისაა, ამასთან, მას, როგორც მხარე და წარმომადგენლები აღნიშნავენ, ფაქტობრივად მამასთან ურთიერთობა არ ჰქონია. აღნიშნულის გათვალისწინებით, სამოქალაქო საქმეთა პალატამ მიზანშეწონილად მიიჩნია, მამის მ. კ-ევის ურთიერთობა შვილთან განსაზღვრა კვირაში ერთი დღით - შაბათით, დღის 11.00 საათიდან საღამოს 18.00 საათამდე, დედის - მ. ფ-იას თანდასწრებით. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის - მ. ფ-იას მოთხოვნა მოწინააღმდეგე მხარეზე - მ. კ-ევზე შვილის სასარგებლოდ ალიმენტის სახით 1000 ფუნტი სტერლინგის შესაბამისი ლარის დაკისრების თაობაზე, რადგან მხარე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლით დადგენილი წესის დაცვით ვერ ასაბუთებს იმ გარემოებებს, რომ მ. კ-ევის წლიური ხელფასი შეადგენს 38.500 ფუნტ სტერლინგს. რაც შეეხება დიდი ბრიტანეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელით გაცემულ სამუშაო ნებართვას, აღნიშნული დოკუმენტის შეფასებისას, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა და ჩათვალა, რომ იგი არ არის გაცემული საქართველოს კანონის „საქართველოს საკონსულო დაწესებულებათა შესახებ“ 55-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით, კერძოდ, არ არის სათანადო წესით ლეგალიზებული საქართველოს კონსულის მიერ. მოცემულ შემთხვევაში, დოკუმენტი არ არის წარმოდგენილი კანონის მითითებული მოთხოვნის დაცვით. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ გაითვალისწინა მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლის თ. ხ-იას მიერ მითითებული გარემოება იმის თაობაზე, რომ მ. კ-ევს ყოველთვიური ხელფასი შეადგენს 1.672 ფუნტ-სტერლინგს. სააპელაციო პალატამ სამოქალაქო კოდექსის 1214-ე მუხლის საფუძველზე ჩათვალა, რომ შეგებებული სარჩელის ავტორის - მ. ფ-იას მოთხოვნა მოპასუხე მ. კ-ევისათვის ალიმენტის დაკისრების თაობაზე, ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და მ. კ-ევს, არასრულწლოვანი შვილის 2004 წლის 11 ოქტომბერს დაბადებული ა. ფ-ია-კ-ევის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ალიმენტის გადახდა სარჩელის აღძვრიდან 2005 წლის 25 ნოემბრიდან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა მ. კ-ევმა, რომლითაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახალი განხილვისათვის იმავე სასამართლოში დაბრუნება. კასატორმა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის პირველ პუნქტზე მითითებით განმარტა, რომ მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით უნდა მომხდარიყო მოცემულ შემთხვევაში ქ.თბილისის სააპელაციო სასამართლოს საქმის განხილველი პალატის მიერ ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისათვის მნიშვნელობის მქონე არსებითი ფაქტობრივი გარემოებების დადგენა. მას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად წარდგენილ მტკიცებულებათა მიღებაზე ყოვლად უსაფუძვლოდ ეთქვა უარი. ზემოხსენებული მტკიცებულებებით იგი მიზნად ისახავდა აპელანტის მიერ სააპელაციო სასამართლოში წარდგენილ ახალ მტკიცებულებათა გაქარწყლებას, კერძოდ კი მ. კ-ევს ყოველწლიურად 38500 ფუნტ სტერლინგის ოდენობის შემოსავლისა და მის მიერ ყოველთვიურად ალიმენტის სახით 1000 ფუნტ სტერლინგის გადახდის შესაძლებლობის გამორიცხვას. ამასთან, საქმის პირველ ინსტანციაში განხილვისას მათ მიერ წარდგენილ იქნა მტკიცებულება მ. კ-ევის უმუშევრობის თაობაზე, ხოლო აპელანტის ახალი მტკიცებულებები მისი მუშაობის ფაქტის თაობაზე მოიცავს სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის პერიოდს. კასატორის მიერ ყურადღება გამახვილებულია სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის პროცესუალური წესების

დარღვევაზე. კასატორმა მიუთითა, რომ სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 105-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნათა მიუხედავად შეფასებისა და მისი ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის გარეშე დატოვა მათი მხარის მიერ პირველ ინსტანციაში წარდგენილი მტკიცებულება მ. კ-ევის საქმის რაიონულ სასამართლოში განხილვის პერიოდში უმუშევრობის შესახებ. სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად უთხრა უარი მის მხარეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საპროცესო უფლების გამოყენებაზე და არ მიიღო აპელანტის ახალ მტკიცებულებათა გაქარწყლების მიზნით წარდგენილი მტკიცებულებები. კასატორმა ასევე მიუთითა, რომ მ. კ-ევს 500 ფუნტ სტერლინგის ოდენობით ალიმენტის გადახდა დაეკისრა მისი უმუშევრობის პერიოდიდან, კერძოდ კი მ. ფ-იას მიერ სარჩელის შეტანის დღიდან, 2005 წლის 25 ნოემბრიდან. სამოქალაქო კოდექსის 1214-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას არ იქნა სრულად დადგენილი მ. კ-ევის რეალური მატერიალური მდგომარეობა, რის შედეგადაც მ.კ-ევს დაეკისრა ყოველთვიურად 500 ფუნტი სტერლინგის გადახდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების შედეგად თვლის, რომ მ. კ-ევის წარმომადგენელი მ. ხ-იას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს; მოცემულ საქმეზე უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილება მ. კ-ევისათვის 2004 წლის 11 ოქტომბერს დაზადებული შვილის ა. ფ-ია-კ-ევის სასარგებლოდ 2005 წლის 25 ნოემბრიდან ყოველთვიურად 2006 წლის ივნისამდე ალიმენტის სახით 500 ფუნტი სტერლინგის შესაბამისი ლარის გადახდის ნაწილი; მ. კ-ევს უნდა დაეკისროს მცირეწლოვანი შვილის ა. ფ-ია-კ-ევის სასარგებლოდ ალიმენტის გადახდა 2005 წლის ნოემბრიდან ყოველთვიურად 2006 წლის ივნისამდე 250 ფუნტი სტერლინგის ოდენობით. დანარჩენ ნაწილში სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა დარჩეს უცვლელი შემდეგი გარემოებების გამო:

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებას იმის შესახებ, მას რომ არ შეუძლია მოსარჩელის მოთხოვნის ოდენობის შესაბამისი ალიმენტის გადახდა, ამის დამადასტურებელი მტკიცებულებების მიღებაზე სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად უთხრა უარი. როგორც საქმის მასალებით ირკვევა, სააპელაციო პალატის 2007 წლის 6 თებერვლის სხდომაზე მ.კ-ევის წარმომადგენელმა თ.ხ-იამ წარადგინა ახალი მტკიცებულებები ინგლისში მოპასუხის ხელფასის, ბინის ქირის გადახდის და მის მიერ გაწეული აუცილებელი ხარჯების თაობაზე, მაგრამ სააპელაციო სასამართლომ მხოლოდ მ.კ-ევის ხელფასის ცნობა მიიღო და საქმეს მტკიცებულების სახით დაურთო; ხოლო მის მიერ წარდგენილ სხვა მტკიცებულების მიღებაზე კი უარი განუცხადა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე; ამ ნორმის თანახმად, ახალი ფაქტები და მტკიცებულებები, რომლებიც მხარეს შეეძლო წარმოედგინა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია არ მიიღოს, როგორც დაგვიანებით წარმოდგენილი, თუ მათი განხილვა ხელს შეუშლის სააპელაციო სასამართლოში საქმის დროულად განხილვას და მხარეებს მასალები პირველი ინსტანციის სასამართლოს არასაპატიო მიზეზით არ წარუდგინა.

საკასაციო პალატას დაუსაბუთებლად მიაჩნია ასევე კასატორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ სააპელაციო სასამართლოს არ უნდა მიეღო და საქმიდან უნდა ამოეღო მ.ფ-იას მიერ წარდგენილი მტკიცებულება. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 3 აპრილის სხდომაზე მოსარჩელის წარმომადგენელმა სასამართლოს წარუდგინა ახალი მტკიცებულებები მ.კ-ევის ხელფასის თაობაზე, რომელიც მოიპოვა დიდ ბრიტანეთში საქართველოს საკონსულოს მეშვეობით და სასამართლოს თხოვა საპატიოდ ჩათვალა აღნიშნული დოკუმენტების წარდგენა სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლის პირველი ნაწილის და 382-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად მ. ფ-იას მიერ წარდგენილი ცნობა მ.კ-ევის ხელფასის თაობაზე მიიღო და საქმეს დაურთო მტკიცებულების სახით. ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ მოცემულ შემთხვევაში სწორად გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსი და კანონის შესაბამისად გადაწყვიტა მხარეთა მიერ წარდგენილი მტკიცებულებების მიღების საკითხი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორი შეფასება და მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების არასწორად გამოყენება და განმარტება. საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორს ზემოაღნიშნული გარემოებების თაობაზე დასაბუთებული პრეტენზია არ წარმოუდგენია, რის გამოც უნდა ჩაითვალოს, რომ სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება მიღებულია სამოქალაქო საპროცესო ნორმების დარღვევის გარეშე.

მ. კ-ევმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების ერთ-ერთ მოტივად მიუთითა ის გარემოება, რომ სასამართლოს მისთვის ალიმენტის გადახდა არ უნდა დაეკისრებინა მისი უმუშევრობის პერიოდიდან, კერძოდ, მ. ფ-იას მიერ სარჩელის აღმზრის მომენტიდან - 2005 წლის 25 ნოემბრიდან.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საკასაციო სასამართლოს 2007 წლის 4 დეკემბრის სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარე მ. ფ-იას წარმომადგენელმა რ.პიტავამ განმარტა, თუ სადავო ხდება მ.კ-ევის უმუშევრობის პერიოდში მისთვის 2005 წლის ნოემბრიდან ყოველთვიურად 2006 წლის ივნისამდე ალიმენტის სახით 500 ფუნტი სტერლინგის დაკისრების საკითხი, მაშინ მოსარჩელე თანახმაა, მოპასუხისათვის ამ პერიოდისათვის დაკისრებული ალიმენტის ოდენობა გაანახევროს სასამართლომ. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გამოყენებული უნდა იქნეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილი; ამ ნორმის თანახმად მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს - ცნოს სარჩელი. საკასაციო პალატის სხდომაზე მოსარჩელის წარმომადგენლის აღნიშნული განმარტება მიუთითებს იმაზე, რომ მან კასატორის მოთხოვნა ნაწილობრივ ცნო; რის გამოც საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს მ. კ-ევისათვის ალიმენტის სახით მოსარჩელის სასარგებლოდ 2005 წლის 25 ნოემბრიდან ყოველთვიურად 2006 წლის ივნისამდე 500 ფუნტი სტერლინგის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად.

მართალია, მოსარჩელის წარმომადგენელმაც სადავო არ გახადა 2005 წლის ნოემბრიდან 2006 წლის ივნისის ჩათვლით მოპასუხის უმუშევრობის საკითხი, მაგრამ მ.კ-ევის თავისი მცირეწლოვანი შვილის ნორმალური რჩენა-აღზრისათვის აუცილებელ მოთხოვნათა გათვალისწინებით სამოქალაქო კოდექსის 1197-1198-ე და 1199-ე მუხლების თანახმად უნდა დაეკისროს ამ პერიოდისათვის ყოველთვიურად ალიმენტის სახით 250 ფუნტი სტერლინგის შესაბამისი ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-411-ე მუხლით და

გადაწყვეტა:

მ. კ-ევის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

გაუქმდეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილება მ. კ-ევისათვის 2004 წლის 11 ოქტომბერს დაბადებული შვილის ა. ფ-ია-კ-ევის სასარგებლოდ 2005 წლის 25 ნოემბრიდან ყოველთვიურად 2006 წლის ივნისამდე ალიმენტის სახით 500 ფუნტი სტერლინგის შესაბამისი ლარის გადახდის ნაწილში;

მ. კ-ევის დაეკისროს მცირეწლოვანი შვილის ა. ფ-ია-კ-ევის სასარგებლოდ ალიმენტის გადახდა 2005 წლის ნოემბრიდან ყოველთვიურად 2006 წლის ივნისამდე 250 ფუნტი სტერლინგის შესაბამისი ლარის ოდენობით.

დანარჩენ ნაწილში სასამართლოს გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელი.

საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ალიმენტის გადახდისგან განთავისუფლება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ას-711-1041-07

19 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),
თ. თოდრია

დავის საგანი: ალიმენტის დაკისრება.

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 9 სექტემბერს ა. თ-მემ სარჩელით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე ნ. თე-მე-თ-ძის წინააღმდეგ განქორწინების თაობაზე.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 19 სექტემბრის განჩინებით საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

2005 წლის 10 ნოემბერს მოპასუხე ნ. თე-მე-თ-მემ შეგებებული სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხე ა. თ-ძის წინააღმდეგ და მოითხოვა მისთვის ალიმენტის დაკისრება მცირეწლოვანი შვილის - დ. თ-ძის სარჩოდ ყოველთვიურად 300 ლარის ოდენობით და თანასაკუთრებიდან წილის გამოყოფა შემდეგი საფუძვლებით: შეგებებული

სარჩელის ავტორის განმარტებით, 1997 წლიდან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება მოპასუხესთან. ერთად ცხოვრების პერიოდში შეეძინათ ერთი შვილი - 2003 წლის 2 დეკემბერს დაბადებული დ. თ-ძე. თანაცხოვრების დროს შეიძინეს ოროთახიანი ბინა - მდებარე ქ. ბათუმში, ... ქ. №41-ში, ასევე საოჯახო და საყოფაცხოვრებო ნივთები, რომლებიც მათ თანასაკუთრებას წარმოადგენს. რაც შეეხება ალიმენტის დაკისრებას, მისი განმარტებით, ა. თ-ძე მუშაობს ქ. ბათუმში, სს «გაერთიანებული ქართული ბანკის» სათავო ოფისში და მისი ხელფასი შეადგენს 1550 ლარს (თანამდებობრივი სარგო 775 ლარი და პრემია 775 ლარი), ხოლო თვითონ არის ინვალიდი, უმუშევარი, ზავში ცხოვრობს მასთან ერთად და, ვინაიდან სხვა მარჩენალი არც თვითონ და არც მის შვილს არ ჰყავს, მოითხოვა ა. თ-ძისათვის ყოველთვიურად ალიმენტის დაკისრება 550 ლარის ოდენობით, რომელიც 2006 წლის 5 დეკემბრის სასამართლო სხდომაზე შეამცირა 300 ლარამდე.

ა. თ-ძის წარმომადგენელმა შეგებებული სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ ა. თ-ძე ავტოავარიის შედეგად გახდა პირველი ჯგუფის ინვალიდი, რის გამოც გაათავისუფლეს სამსახურიდან და ამჟამად არსად მუშაობს, ჰყავს მეორე ოჯახი - ერთი მცირეწლოვანი ბავშვი და ორსული მეუღლე. ა. თ-ძე ავადმყოფობის გამო საჭიროებს გარეშე მომვლელს, რის გამოც მას არ შეუძლია ალიმენტის გადახდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 18 ნოემბრის ნაწილობრივი გადაწყვეტილებით ა. თ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა და მხარეებს შორის შეწყდა ქორწინება, რომელიც შევიდა კანონიერ ძალაში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 5 დეკემბრის განჩინებით საქმიდან ცალკე წარმოებად გამოიყო ნ. თე-ძე-თ-ძის სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხე ა. თ-ძის მიმართ ერთად შეძენილი ქონების გაყოფის თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოში 2006 წლის 5 დეკემბრის სასამართლო სხდომაზე, ა. თ-ძის წარმომადგენელმა ბ. ბ-შვილმა შუამდგომლობით მოითხოვა საქმის წარმოების შეჩერება ა. თ-ძის ავადმყოფობის გამო, რაც არ დაკმაყოფილდა საოქმო განჩინებით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილებით ნ. თე-ძე-თ-ძის შეგებებული სარჩელი ალიმენტის დაკისრების თაობაზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ა. თ-ძეს დაეკისრა ალიმენტის გადახდა არასრულწლოვანი შვილის - 2003 წლის 2 დეკემბერს დაბადებული დ. თ-ძის სასარგებლოდ თვეში 200 ლარის ოდენობით 2005 წლის 10 ნოემბრიდან მის სრულწლოვანებამდე.

2007 წლის 23 თებერვალს აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა ა. თ-ძის წარმომადგენელმა ბ. ბ-შვილმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით ა. თ-ძისათვის ალიმენტის დაკისრების შესახებ შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, ხოლო მოგვიანებით დაზუსტებული სააპელაციო საჩივრით მოითხოვა საქმის წარმოებით შეჩერებაზე უარის თქმის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 5 დეკემბრის საოქმო განჩინების გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილებით ა. თ-ძის წარმომადგენელ ბ. ბ-შვილის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ახალი გადაწყვეტილებით შეიცვალა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილება, ნ. თე-ძე-თ-ძის შეგებებული სარჩელი მოპასუხე ა. თ-ძის მიმართ ალიმენტის დაკისრების თაობაზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ა. თ-ძეს 2005 წლის 10 ნოემბრიდან დაეკისრა ალიმენტის გადახდა არასრულწლოვანი შვილის - 2003 წლის 2 დეკემბერს დაბადებული დ. თ-ძის სასარგებლოდ, ყოველთვიურად 50 ლარის ოდენობით მის სრულწლოვანებამდე.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ საქმეზე დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ა. თ-ძესა და ნ. თე-ძე-თ-ძეს რეგისტრირებულ ქორწინებაში, 2003 წლის 2 დეკემბერს შეეძინათ შვილი - დ. თ-ძე, ა. თ-ძე არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება ნ. დოლიძესთან, რომელთანაც ჰყავს მცირეწლოვანი შვილი - მ. თ-ძე და ორსულად არის მეორე ბავშვზე.

2003 წლიდან ა. თ-ძე და ნ. თე-ძე-თ-ძე ერთად ადარ ცხოვრობენ. არასრულწლოვანი შვილი დ. თ-ძე ცხოვრობს დედასთან ერთად, რომელიც არ მუშაობს, დადგენილი აქვს შრომითი საქმიანობის უნარისა და გადაადგილების მე-2 ხარისხის შეზღუდვა.

2006 წლის 26 მარტს მომხდარი ავტოავარიის შედეგად ა. თ-ძემ მიიღო თავის ქალის მძიმე ტრავმა, რომელსაც ვაკე-საბურთალოს სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ბიუროს 2006 წლის 18 სექტემბრის №289970 ცნობის თანახმად, დაუდგინდა შრომითი საქმიანობის უნარის, გადაადგილებისა და თვითმომსახურების მესამე ხარისხის შეზღუდვა და საჭიროებს გარეშე მომვლელს.

აღნიშნული ტრავმის გამო, სს «გაერთიანებული ქართული ბანკის» გენერალური დირექტორის 2006 წლის 20 ივლისის ... ბრძანებით ა. თ-ძე გათავისუფლებულია დაკავებული თანამდებობიდან.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, მიიჩნია, რომ მშობლების - ა. თ-ძისა და ნ. თე-ძე-თ-ძის მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით, არასრულწლოვან დ. თ-ძისათვის მამის - ა. თ-ძის მიერ გადასახდელი ალიმენტის ოდენობა უნდა განსაზღვრულიყო 50 ლარის ოდენობით.

რაც შეეხება ა. თ-ძის წარმომადგენელ ბ. ბ-შვილის მოთხოვნას საქმის წარმოების შეჩერებაზე უარის თქმის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 5 დეკემბრის საოქმო განჩინების გაუქმების შესახებ, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია დაუშვებლად გასაჩივრების ვადის გასვლის გამო, ვინაიდან იგი თავდაპირველი სააპელაციო საჩივრით არ იყო გასაჩივრებული, ხოლო შემდგომ დაზუსტებული სააპელაციო საჩივრით უკვე ვადის დარღვევით იყო შემოტანილი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ა. თ-ძის წარმომადგენელმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით ნ. თე-ძე-თ-ძის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძველებით:

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევით გამოიტანა და არასწორად განმარტა იგი, ვინაიდან საქმის ფაქტობრივი რეალობის გათვალისწინებით, სასამართლოს უარი უნდა ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე, კერძოდ, სასამართლოს წარედგინა ყველა მტკიცებულება, რაც აშკარად მიუთითებდა ა. თ-ძის ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობას, რასაც თავად მოწინააღმდეგე მხარეც ეთანხმება. ავტოვარიის შემდგომ დღემდე იგი ვერ აცნობიერებს თავის უფლება-მოვალეობებს, არის მწოლიარე ავადმყოფი, მას თავად სჭირდება ძვირადღირებული მკურნალობა, საჭიროებს გარეშე მომვლელს, შესაბამისად, სასამართლოს სსკ-ის 1214-ე მუხლის საფუძველზე ალიმენტი კი არ უნდა განესაზღვრა ა. თ-ძისათვის, არამედ უარი უნდა ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე, ვინაიდან კასატორის განმარტებით, აღნიშნული მუხლის განმარტება, საქმის ფაქტობრივი რეალობის გათვალისწინებით, სასამართლოს აძლევდა საშუალებას უარი ეთქვა ნ. თე-ძე-თ-ძისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, საკასაციო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, რის გამოც გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და, ვინაიდან საქმის ფაქტობრივი გარემოებები საპროცესო ნორმების დარღვევის გარეშე დადგენილი, მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

სამოქალაქო კოდექსის 1214-ე მუხლის თანახმად, თუ მშობლები ვერ შეთანხმდნენ ალიმენტის ოდენობაზე, მაშინ დავას გადაწყვეტს სასამართლო. ალიმენტის ოდენობას სასამართლო განსაზღვრავს გონივრული, სამართლიანი შეფასების საფუძველზე შვილის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნათა ფარგლებში. ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს როგორც მშობლების, ისე შვილის რეალურ მატერიალურ მდგომარეობას.

საალიმენტო ვალდებულებათა მიზანია უფლებამოსილი პირისათვის აღზრდისა და რჩენის ნორმალური პირობების შექმნა ანუ საალიმენტო ვალდებულება ემსახურება პირის რჩენის უზრუნველყოფას. მაგრამ სასამართლოს მიერ განსაზღვრული ალიმენტის ოდენობა არ არის მუდმივი ხასიათის (სკ-ის 1221-ე მუხლი). შესაძლებელია არსებითად შეიცვალოს ალიმენტის გადამხდელი მშობლის მატერიალური და ოჯახური მდგომარეობა - გაუმჯობესდეს ან გაუარესდეს. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია შეამციროს ან გაადიდოს დადგენილი ალიმენტის ოდენობა დაინტერესებული პირის სარჩელის საფუძველზე. (მაგ. მეორე ქორწინებაში ბავშვის გაჩენა ან კმაყოფაზე მყოფ პირთა ოდენობის შემცირება, პენსიაზე გასვლა და სხვა).

სამოქალაქო კოდექსის 1237-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ალიმენტის გადახდისაგან ან ალიმენტის დავალიანების შემცირება შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით.

1237-ე მუხლის თანახმად, სასამართლო ასევე უფლებამოსილია, გაათავისუფლოს ალიმენტის გადახდისაგან ვალდებული პირი, თუ არსებობს საპატიო მიზეზი. ასეთი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი შეიძლება გახდეს მატერიალური და ოჯახური პირობების გაუარესება, ავადმყოფობა და სხვა, რაც არ ნიშნავს მომავალში სავსებით განთავისუფლებას ალიმენტის გადახდისაგან. ალიმენტის გადამხდელი მშობლის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების შემდეგ, დაინტერესებული პირის სარჩელის საფუძველზე, სასამართლომ შეუძლია განსაზღვროს გადასახდელი ალიმენტის ოდენობა.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ა. თ-ძემ, 2006 წლის 26 მარტს მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის გამო, მიიღო თავის ქალის მძიმე ტრავმა. ვაკე-საბურთალოს სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის ბიუროს 2006 წლის 18 სექტემბრის დასკვნით, ა. თ-ძეს მიენიჭა შესაძლებლობის მკვეთრად შეზღუდვის სტატუსი, კერძოდ, დაუდგინდა შრომითი საქმიანობის უნარის, გადაადგილებისა და თვითმომსახურების შესაძლებლობის ხარისხის შეზღუდვა და საჭიროებს გარეშე მომვლელს.

აღნიშნული ტრავმის გამო, სს „გაერთიანებული ქართული ბანკის“ გენერალური დირექტორის 2006 წლის 20 ივლისის ბრძანებით, ა. თ-ძე გათავისუფლებულია დაკავებული თანამდებობიდან.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სალიმენტო ვალდებულება ემსახურება პირის რჩენის უზრუნველყოფას. მოცემულ შემთხვევაში, როცა ა. თ-ძეს შეზღუდული აქვს შრომითი საქმიანობის, გადაადგილებისა და თვითმომსახურების უნარი და საჭიროებს გარეშე მომვლელს, იგი ვერ უზრუნველყოფს არათუ შვილის რჩენას, არამედ საკუთარი თავის რჩენასაც, შესაბამისად, საკასაციო პალატა თვლის, რომ ა. თ-ძე უნდა გათავისუფლდეს ალიმენტის გადახდის ვალდებულებისაგან. ა. თ-ძის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების შემდეგ, მოსარჩელე უფლებამოსილია, კვლავ მიმართოს სასამართლოს ალიმენტის განსაზღვრის მოთხოვნით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გადაწყვეტა:

- ა. თ-ძის წარმომადგენლის ბ. ბ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
- გაუქმდეს ამ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 13 ივნისის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება:
- ბ. თე-ძე-თ-ძის სარჩელი ალიმენტის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;
- საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

15. სამკვიდრო

სამკვიდრო ქონება

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით**

№ას-786-1110-08

25 ივნისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი

(თავმჯდომარე, მომხსენებელი)

რ. ნადირიანი, თ. თოდრია

დავის საგანი: სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობა, სამკვიდრო ქონების ნაწილზე მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობა.

აღწერილობითი ნაწილი:

2003 წლის 11 თებერვალს ვლ. ო-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხის ვ. ო-შვილის მიმართ (მესამე პირები: ნოტარიუსი კ-ძე, ქ. ... საჯარო რეესტრი) და აღნიშნა, რომ 2002 წლის 13 აგვისტოს ნოტარიუსმა მისი ძმის - ვ. ო-შვილის სახელზე გასცა კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობა, სადაც ვ. ო-შვილი მითითებული იყო გარდაცვლილი მამის ა. ო-შვილის ერთადერთ მემკვიდრედ მაშინ, როდესაც, ა. ო-შვილს, გარდა ვ. ო-შვილისა ყავს ორი ვაჟი. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხის სახელზე გაცემული სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობა, მამის დანაშთ ქონებაზე მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობა. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

გორის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 22 მაისის გადაწყვეტილებით ვლ. ო-შვილის სარჩელი უსაფუძვლობის გამო არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ვლ. ო-შვილმა.

თბილისის საოლქო სასამართლოს 2005 წლის 20 მაისის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა - გაუქმდა გორის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება და მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება. დაკმაყოფილდა ვლ. ო-შვილის სარჩელი და ნაწილობრივ ბათილად იქნა ცნობილი 2002 წლის 13 აგვისტოს ვ. ო-შვილის სახელზე გაცემული სამკვიდრო მოწმობა; ვლ. ო-შვილი ცნობილი იქნა ა. ო-შვილის მემკვიდრედ და სამკვიდრო ქონებას თანამესაკუთრედ; საჯარო რეესტრს დაევალა მის მონაცემებში შესაბამისი ცვლილების შეტანა.

თბილისის საოლქო სასამართლოს 2005 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. ო-შვილმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავოტრების საქმეთა პალატის 2006 წლის 28 თებერვლის განჩინებით ნ. ო-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილებით ვლ. ო-შვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა.

პალატამ მიიჩნია, რომ ა. ო-შვილი გარდაიცვალა 1966 წლის 15 მარტს, მისი გარდაცვალების შედეგად გაიხსნა სამკვიდრო.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ 2002 წლის 9 აგვისტოს ამონაწერით საჯარო რეესტრიდან, გორში, ... ქ. №6-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი წილობრივი მონაცემებით (215,41 კვ.მ. საკუთრების უფლებით აღრიცხული იყო გარდაცვლილი ა. ო-შვილის სახელზე, ხოლო მიწის ნაკვეთზე დარეგისტრირდა ა., ა. და ვლ. ო-შვილების საერთო საკუთრება (გორის სანოტარო ბიუროს მასალები).

პალატამ ასევე მიიჩნია, რომ 2002 წლის 13 აგვისტოს ვ. ო-შვილზე გაცა სამკვიდრო მოწმობა ა. ო-შვილის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხულ უძრავ ქონებაზე.

პალატამ განმარტა, რომ მიწის ნაკვეთზე, რომლის თანამფლობელს წარმოადგენდა ა. ო-შვილი, 1966 წელს საცხოვრებელი სახლი ააშენა ვლ. ო-შვილმა.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. ო-შვილმა.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განსაზღვრა, თუ რა შევიდა სამკვიდრო ქონებაში და მიიღო თუ არა მოსარჩელემ სამკვიდრო კანონით დადგენილ ვადაში.

კასატორის აზრით, სააპელაციო სასამართლომ ა. ო-შვილის დანაშთ ქონებად ცნო 2002 წლის 9 აგვისტოს საჯარო რეესტრში მის სახელზე რიცხული ქონება (საცხოვრებელი სახლის და ეზოს ნაწილი) ამდენად, ა. ო-შვილის სახელზე რიცხული სახლის 1/2 და საერთო ეზოს ნაწილი 2002 წლისათვის თავის სახელზე აღრიცხული ჰქონდა ვლ. ო-შვილს და მიღებული აქვს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

კასატორის აზრით, სააპელაციო სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა ფაქტობრივ გარემოებას, ვინაიდან ქონებას, რომელიც აღრიცხებოდა ა. ო-შვილის სახელზე საჯარო რეესტრში, არასოდეს დაუფლებია ვლ. ო-შვილი.

ასევე კასატორის განმარტებით, ვლ. ო-შვილს 37 წლის განმავლობაში არ მიუძღვარს სათანადო ორგანოებისათვის მემკვიდრეობის მიღების სურვილით და არც ფაქტობრივად დაუფლებია მას.

ასევე კასატორის აზრით, ვლ. ო-შვილს გაშვებული აქვს კანონით განსაზღვრული საერთო და სპეციალური ხანდაზმულობის ვადები, რადგან სამკვიდროს გახსნის თარიღს წარმოადგენს არა 2002 წლის 25 თებერვალი, როცა ვ. ო-შვილმა მოახდინა სახლის და მიწის ნაკვეთების რეგისტრაცია გარდაცვლილ ა. ო-შვილის სახელზე, არამედ 1966 წელს, როცა გარდაიცვალა ა. ო-შვილი და 1986 წელი როცა გარდაიცვალა მისი მეუღლე. იმ პერიოდში კი ვლ. ო-შვილი სამკვიდროს მისაღებად არ მიუძღვარს სანოტარო ორგანოსათვის და არც ფაქტობრივად დაუფლებია მას.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ ვერ განსაზღვრა სამკვიდროს ფარგლები და გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

აღნიშნულიდან გამომდინარე კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივრის საფუძვლებს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ა. ო-შვილი გარდაიცვალა 1966 წლის 15 მარტს. მისი გარდაცვალების შედეგად გაიხსნა სამკვიდრო. ა. ო-შვილის სახელზე ირიცხებოდა გორში, ... ქ. №6-ში მდებარე ბინის 1\2, ხოლო მიწის ნაკვეთი იყო საერთო სარგებლობის. 1981 წელს აღმასკომის გადაწყვეტილების საფუძველზე დაინგრა ძველი ბინა და პროექტის თანახმად ა. და ან. ო-შვილების სახელზე აშენდა ახალი ბინა. გორის რ-ნის გამგეობის 2002 წლის 13 თებერვლის №1 დადგენილებით დამტკიცდა ქ. გორში, ... ქ. №6-ში მდებარე, აწ გარდაცვლილი ა. ო-შვილის სახელზე რიცხული საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციაში მიღების აქტი. 2002 წლის 9 აგვისტოს საჯარო რეესტრის ამონაწერით გორში ... ქ. №6-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი წილობრივი მონაცემით 122,2\215, 41 საკუთრების უფლებით აღრიცხა გარდაცვლილი ა. ო-შვილის სახელზე, ხოლო მიწის ნაკვეთი დარეგისტრირდა ა., ან. და ვლ. ო-შვილების საერთო საკუთრებად. 2002 წლის 13 აგვისტოს ვ. ო-შვილს მიეცა სამკვიდრო მოწმობა ა. ო-შვილის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხულ უძრავ ქონებაზე.

აღნიშნულ გარემოებათა ანალიზი ცხადყოფს, რომ სახლი, რომელიც ა. ო-შვილის სამკვიდროში შედიოდა დაინგრა 1981 წელს. ბუნებრივია, რომ ახალ ბინას, რომელიც ექსპლუატაციაში მიღებული იქნა 2002 წელს, ა. ო-შვილი ვერ ააშენებდა. აღნიშნულ სახლის მშენებლობაში მონაწილეობის შესახებ პრეტენზიას არ აცხადებს ვლ. ო-შვილი. ამდენად, სახლი რომელიც აშენდა ა. ო-შვილის გარდაცვალების შემდეგ, მის სამკვიდროში ვერ შევიდა. თუმცა, როგორც საქმის მასალებით ირკვევა, ახალი სახლი კვლავ დარეგისტრირდა ა. ო-შვილის სახელზე. საყურადღებოა ის გარემოება, რომ სამკვიდრო მოწმობა, რომლის ბათილობასაც ითხოვს მოსარჩელე, გაცემულია საცხოვრებელ სახლზე. აღნიშნულ სახლზე საკუთრების უფლების მოსაპოვებლად ვლ. ო-შვილს მონაწილეობა უნდა მიეღო სახლის მშენებლობაში. ასეთი გარემოება კი საქმის მასალებით არ დგინდება. ვლ. ო-შვილმა

მემკვიდრეობით, როგორც სასამართლოს მიერაა მითითებული, მიიღო მიწის ნაკვეთი, მაგრამ მითითებული ქონების მიღება არ ნიშნავს იმას, რომ მას უფლება წარმოეშვა ახალ საცხოვრებელ სახლზეც, რომელიც მის მიერ აშენებული არ ყოფილა და უფრო მეტიც, არ ყოფილა აშენებული ა. ო-შვილის მიერ. სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სამკვიდრო შეიცავს მამკვიდრებლის როგორც ქონებრივი უფლებების, ისე მოვალეობების ერთობლიობას, რომელიც მას ჰქონდა სიკვდილის მომენტისათვის. საცხოვრებელი სახლი, რომელზეც ა. ო-შვილს ჰქონდა საკუთრების უფლება დღეისათვის აღარ არსებობს. სამკვიდრო მოწმობა კი გაცემულია ახალ სახლზე, რომლის ბათილობითაც მოსარჩელეს საკუთრების უფლება არ წარმოეშობა მემკვიდრეობის მიღების გზით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ არასწორია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სადავო საცხოვრებელ სახლზე ვლ. ო-შვილის მესაკუთრედ ცნობის თაობაზე. რის გამოც, გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და მიღებული ახალი გადაწყვეტილებით ვლ. ო-შვილის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გადაწყვიტა:

ნ. ო-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
ვლ. ო-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სამკვიდროს მიღება და მემკვიდრედ ცნობა

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით**

№ას-533-916-06

16 აპრილი, 2007 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
მ. ცისკამე (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი.

დავის საგანი: მემკვიდრედ ცნობა (სარჩელში); სამკვიდრო ქონებაზე მესაკუთრედ ცნობა (შეგებულ სარჩელში); სამკვიდრო ქონებიდან წილის გამოყოფა (მესამე პირების დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით სარჩელში).

აღწერილობითი ნაწილი:

თ. ა-მემ 2005 წლის ივლისში სასარჩელო განცხადებით მიმართა სასამართლოს მოპასუხე ნ. ა-მის მიმართ და მოითხოვა მამის დანაშთ ქონებაზე მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობა, მიყენებული ზიანის ანაზღაურების ნ. ა-მისათვის დაკისრება. მოსარჩელემ თავისი სასარჩელო განცხადება იმით დაასაბუთა, რომ მისი დედა თ. ა-მე გარდაიცვალა 1991 წლის 15 ოქტომბერს, მამა მ. ა-მე გარდაიცვალა 1995 წლის 2 მარტს. მშობლების გარდაცვალების ხარჯები მან გაიღო. მშობლების გარდაცვალების შემდგომ არცერთ მემკვიდრეს სანოტარო ორგანოსათვის არ მიუმართავს მემკვიდრეობის მისაღებად. 1990 წელს ოჯახთან ერთად შვილის სამკურნალოდ წავიდა რუსეთში, ქ. ორიოლში და დროებით იქ ცხოვრობდა. პერიოდულად ჩამოდიოდა ქ. ვანში და ოჯახს უვლიდა. მამის გარდაცვალების შემდგომ მის დას ნება დართო, რომ ოჯახთან ერთად ეცხოვრა მის სახლში მასთან ერთად. მოსარჩელის მითითებით, 2004 წლის ოქტომბერში მისმა დამ დაუკეტა კარი და არ უშვებს.

ნ. ა-მემ 2005 წლის ივლისში შეგებულ სარჩელი შეიტანა სასამართლოში მოპასუხე თ. ა-მის მიმართ და მოითხოვა სამკვიდრო ქონებაზე მესაკუთრედ ცნობა. ნ. ა-მემ მიუთითა, რომ მამის მ. ა-მის გარდაცვალების შემდეგ, 1995 წლიდან, ოჯახთან ერთად ცხოვრობს მამის დანატოვარ სახლში, დაუფლებულია მთელ სამკვიდრო ქონებას.

ვანის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 16 სექტემბრის განჩინებით მ. ა-მე და ი. კ-მე (ან გარდაცვლილი მ. ა-მის შვილი და შვილიშვილი) ჩართულ იქნენ სამოქალაქო საქმეში №2/110-2005 წ., თ. ა-მის სარჩელის გამო ნ. ა-მის მიმართ, მესამე პირებად დამოუკიდებელი მოთხოვნით თავდაპირველი მოსარჩელის სარჩელთან ერთად მათი მოთხოვნის განსახილველად.

მესამე პირებმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მოპასუხედ მიუთითეს ნ. ა-მე და მოითხოვეს სამკვიდრო ქონებიდან კუთვნილი წილის გამოყოფა.

ვანის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილებით თ. ა-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - თ. ა-ძეს სამკვიდროს მისაღებად გაშვებული ვადა ჩათვალა საპატიოდ და მამკვიდრებლის მ. ა-ძის დანაშთი ქონებიდან, რომელიც შედგება მიწის ნაკვეთისაგან, ფართით - 2688 კვ.მ და მასთან უძრავად დაკავშირებული საცხოვრებელი სახლისაგან - ფართით - 73,6 კვ.მ, დამხმარე ფართით - 24,7 კვ.მ, სამეურნეო ფართით - 139,2 კვ.მ, საზაფხულო ფართით - 45,0 კვ.მ. მოსარჩელეს მოპასუხის მიმართ მატერიალური ზიანის ანაზღაურებაზე და ნივთების დაბრუნების ნაწილში ეთქვა უარი დაუსაბუთებლობის გამო; მესამე პირების: მ. ა-ძის და ი. კ-ძის მოთხოვნა დაკმაყოფილდა. მესამე პირებს მ. ა-ძეს და ი. კ-ძეს სამკვიდროს მისაღებად გაშვებული ვადა ჩათვალა საპატიოდ და გამოეყოთ მამკვიდრებლის დანაშთი ქონებიდან თითოეულს 1/4.

ვანის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 29 ნოემბრის განჩინებით გასწორდა ვანის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილებაში დაშვებული შეცდომა და ამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი თ. ა-ძის მოთხოვნის ნაწილში ჩამოყალიბდა შემდეგ სახით: მოსარჩელეს თ. ა-ძეს სამკვიდროს მისაღებად გაშვებული ვადა ჩათვალა საპატიოდ და მამკვიდრებლის მ. ა-ძის დანაშთი ქონებიდან, რომელიც შედგება მიწის ნაკვეთისაგან, ფართით - 2688 კვ.მ და მასთან უძრავად დაკავშირებული საცხოვრებელი სახლისაგან, ფართით - 73,6 კვ.მ, დამხმარე ფართით - 24,7 კვ.მ, სამეურნეო ფართით - 139,2 კვ.მ, საზაფხულო ფართით - 45,0 კვ.მ, გამოეყო 1/4.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. ა-ძემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 1 ივნისის გადაწყვეტილებით ნ. ა-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ვანის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; თ. ა-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. თ. ა-ძე ცნობილ იქნა ქ. ვანში, მ. ა-ძის დანაშთი ქონების - 2688 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და საცხოვრებელი სახლის, ფართით - 73,6 კვ.მ, დამხმარე ფართით - 24,7 კვ.მ, სამეურნეო ფართით - 139,2 კვ.მ, საზაფხულო ფართით - 45,0 კვ.მ - 1/4 - მემკვიდრედ; ნ. ა-ძის შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - ნ. ა-ძე ცნობილ იქნა ქ. ვანში, მ. ა-ძის დანაშთი ქონების მიწის ნაკვეთის, ფართით - 2688 კვ.მ და საცხოვრებელი სახლის, ფართით - 73,6 კვ.მ, დამხმარე ფართის - 24,7 კვ.მ, სამეურნეო ფართის - 139,2 კვ.მ, საზაფხულო ფართის 345,0 კვ.მ 3/4-ის მემკვიდრედ; დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირების: მ. ა-ძისა და ი. კ-ძის სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ქ. ვანში, ... ქ. №3-ში მდებარე 2688 კვ.მ მიწის ნაკვეთი და საცხოვრებელი სახლი, საცხოვრებელი ფართით - 73,6 კვ.მ, დამხმარე ფართი - 24,7 კვ.მ, სამეურნეო ფართი - 139,2 კვ.მ საზაფხულო ფართი - 45,0 კვ.მ საკუთრების უფლებით ირიცხებოდა მ. ა-ძის სახელზე. სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგენილად ჩათვალა, რომ მ. ა-ძეს ჰყავდა ოთხი შვილი: თ., ნ., მ. და ი. ა-ძეები. მ. ა-ძე გარდაიცვალა 1995 წელს, იმ დროისათვის მისი შვილი ი. ა-ძე გარდაცვლილი იყო და მისი მემკვიდრეა შვილი ი. კ-ძე; მამის გარდაცვალების შემდეგ სამკვიდროს ფაქტობრივ ფლობას შეუდგნენ ნ. ა-ძე და თ. ა-ძე. სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის თანახმად ჩათვალა, რომ განსახილველ შემთხვევაში გამოყენებული უნდა იყოს 1964 წლის რედაქციით მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსი. ამ კოდექსის 544-ე, 556-ე მუხლებსა და 561-ე მუხლის პირველ ნაწილზე მითითებით ჩათვალა, რომ რადგან მ. ა-ძის გარდაცვალების შემდეგ მის დანაშთ ქონებას ფაქტობრივად დაეუფლენ თ. და ნ. ა-ძეები, ხოლო სხვა მემკვიდრეებს კანონით დადგენილი წესით სამკვიდრო ქონება არ მიუღიათ, მ. ა-ძისა და ი. კ-ძის სასარჩელო მოთხოვნა სამკვიდრო ქონებიდან წილის გამოყოფის თაობაზე უსაფუძვლოდ და ხანდაზმულად იქნა მიჩნეული. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ვინაიდან თ. ა-ძეს ვანის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც მიეკუთვნა სამკვიდრო ქონების 1/4, არ გაუსაჩივრებია, ნ. ა-ძის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მას მიაკუთვნა სამკვიდრო ქონების 3/4.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 1 ივნისის გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა თ. ა-ძემ, რომლითაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება. კასატორის მოსაზრებით, უკანონოა სასამართლოს გადაწყვეტილება ნ. ა-ძისათვის სადავო ქონების 3/4-ის მიკუთვნების ნაწილში, რადგან მ. ა-ძის და ი. კ-ძისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში, მათი წილების ხარჯზე ნ. ა-ძეს არასწორად მიეკუთვნა სადავო ქონების 3/4, რითაც სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წლის რედაქცია) 544-ე და 568-ე მუხლების მოთხოვნა მემკვიდრეთა შორის წილთა თანაბარი პროპორციულობით განაწილების შესახებ. კასატორის მოსაზრებით, არასწორია სააპელაციო პალატის მოსაზრება იმის შესახებ, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას სამკვიდრო წილის განაწილების ნაწილში ვერ გააუქმებდა იმის გამო, რომ იგი თ. ა-ძეს არ გაუსაჩივრებია. კასატორი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სასამართლოს უნდა ემსჯელა ნ. ა-ძესა და თ. ა-ძეს შორის წილთა თანაბარი განაწილების შესახებ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების განხილვის, საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების შედეგად თვლის, რომ თ. ა-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს; მოცემულ საქმეზე უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 1 ივნისის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც თ. ა-ძე ცნობილი იქნა მ. ა-ძის სამკვიდრო ქონების 1/4 ნაწილის მემკვიდრედ, ხოლო ნ. ა-ძე იმავე სამკვიდრო ქონების 3/4-ის მემკვიდრედ და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება; თ. ა-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს; ნ. ა-ძის შეგებებული სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს; თ. ა-ძე და ნ. ა-ძე ცნობილი იქნენ მამის, აწ გარდაცვლილი მ. ა-ძის სამკვიდრო ქონების, მდებარე ქ.ვანში, ... ქ. №3-ის 2688 კვ.მ მიწის ნაკვეთის, 73,6 კვ.მ საცხოვრებელი სახლის, 24,7 კვ.მ დამხმარე ფართის, 139,2 კვ.მ სამეურნეო ფართის და 45 კვ.მ საზაფხულო ფართის 1/2-1/2-ზე მემკვიდრეებად და მესაკუთრეებად; დაევალოს საჯარო რეესტრის სააგენტოს შესაბამისი ცვლილებების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში შემდეგი გარემოებების გამო:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მემკვიდრეების მ. ა-ძის სახელზე ირიცხებოდა საკუთრების უფლებით, ე.ი. სამკვიდრო ქონებას შეადგენს ქ.ვანში, ... ქ. №3-ში მდებარე 2688 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასთან უძრავად დაკავშირებული 73,6 კვ.მ ფართის საცხოვრებელი სახლი, 24,7 კვ.მ დამხმარე ფართი, 139,2 კვ.მ სამეურნეო ფართი, 45 კვ.მ საზაფხულო ფართი.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, კასატორმა საკასაციო საჩივრით სადავო გახადა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ნ. ა-ძისათვის სადავო ქონების 3/4-ის მიკუთვნების ნაწილში. საკასაციო პალატა თვლის, რომ საკასაციო საჩივარი საფუძვლიანია, რის გამოც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

საკასაციო პალატა თვლის, ვინაიდან მემკვიდრეები მ. ა-ძე გარდაიცვალა 1995 წელს, ამიტომ სააპელაციო სასამართლომ სწორად მიუთითა, რომ მოცემული საქმის გადაწყვეტისას გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსი (1964 წლის რედაქციით). როგორც საქმის მასალებით ირკვევა, მ. ა-ძის გარდაცვალების შემდეგ მის დანაშთ ქონებას ფაქტობრივად დაეუფლენ თ. და ნ. ა-ძეები, ხოლო სხვა მემკვიდრეებს კანონით დადგენილი წესით სამკვიდრო ქონება არ მიუღიათ, მ. ა-ძისა და ი. კ-ძის სასარჩელო მოთხოვნა სამკვიდრო ქონებიდან წილის გამოყოფის თაობაზე სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ და ხანდაზმულად მიიჩნია. მაგრამ საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ვინაიდან თ. ა-ძეს ვანის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც მიეკუთვნა სამკვიდრო ქონების 1/4, არ გაუსაჩივრებია, ამიტომ ნ. ა-ძეს უნდა მიეკუთვნოს სამკვიდრო ქონების 3/4. სააპელაციო სასამართლომ მოცემულ შემთხვევაში არასწორად განმარტა სამოქალაქო სამართლის კოდექსის 544-ე მუხლი. ამ მუხლის პირველი და მეორე ნაწილის თანახმად კანონისმიერი მემკვიდრეობის დროს თანასწორი წილის უფლების მემკვიდრეებად ითვლებიან პირველ რიგში გარდაცვლილის შვილები. ამ ნორმის შინაარსი მიუთითებს იმაზე, რომ კანონმდებელი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს კანონით მემკვიდრეთა შორის წილის გათანაბრებაზე, რის გამოც მემკვიდრეთა შორის სამკვიდრო ქონება თანაბრად უნდა განაწილდეს, ამიტომ საკასაციო პალატა თვლის, რომ თ. და ნ. ა-ძეები, როგორც აწ გარდაცვლილი მ. ა-ძის კანონით მემკვიდრეები, ცნობილ უნდა იქნენ სამკვიდრო ქონების 1/2-1/2-ის მემკვიდრეებად და მესაკუთრეებად. აღნიშნულის შესაბამისად, სათანადო ჩანაწერი უნდა გაკეთდეს ქ.ვანში, ... ქ. №3-ში მდებარე უძრავი ქონების თაობაზე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვანის სარეგისტრაციო სამსახურის ჩანაწერში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლში განსაზღვრულია მხარეთა შორის სასამართლო ხარჯების განაწილების წესი. ამ მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადების თანახმად თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს - სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. ამ მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები, შეეხება, აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. ვინაიდან თ. ა-ძეს გადახდილი აქვს სახელმწიფო ბაჟი 300 ლარის ოდენობით, საკასაციო პალატა თვლის, რომ ნ. ა-ძეს თ. ა-ძის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის გადახდა 150 ლარის ოდენობით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გადაწყვეტა:

თ. ა-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

მოცემულ საქმეზე გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 1 ივნისის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც თ. ა-მე ცნობილ იქნა მ. ა-მის სამკვიდრო ქონების 1/4-ის, ხოლო ნ. ა-მე იმავე სამკვიდრო ქონების 3/4-ის მემკვიდრედ და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

თ. ა-მის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს; ნ. ა-მის შეგებებული სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს; თ. ა-მე და ნ. ა-მე ცნობილი იქნენ მამის აწ. გარდაცვლილი მ. ა-მის სამკვიდრო ქონების, მდებარე ქ. ვანში, ... ქ. პირველი ჩიხის, №3-ის 2688 კვ.მ მიწის ნაკვეთის, 73,6 კვ.მ საცხოვრებელი სახლის, 24,7 კვ.მ დამხმარე ფართის, 139,2 კვ.მ სამეურნეო ფართის და 45 კვ.მ საზაფხულო ფართის 1/2-1/2-ზე მემკვიდრეებად და მესაკუთრეებად;

დაევალოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვანის სარეგისტრაციო სამსახურს შესაბამისი ცვლილებების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში.

ნ. ა-მეს დაეკისროს თ. ა-მის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის გადახდა 150 ლარის ოდენობით.

საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სამკვიდროს მიღება

განჩინება

№ას-67-351-08

24 ივნისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: მემკვიდრედ ცნობა, სამკვიდრო ფართიდან გამოსახლება.

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 17 მაისს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა დ. ს-მემ მოპასუხე ა. ნ-მის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა ქ. ქუთაისში, ... ქ. №37-ში (ყოფილი ... ქ. №31) მდებარე საცხოვრებელი სახლის 29.94 კვ.მ-სა და 28.04 კვ.მ-ზე (სულ 57.44 კვ.მ-ზე) მემკვიდრედ ცნობა და აღნიშნული ფართიდან მოპასუხისა და მისი ოჯახის წევრების გამოსახლება.

სარჩელის საფუძვლები მდგომარეობდა შემდეგში:

ქ. ქუთაისში, ... ქ. №37-ში (ყოფილი ... ქ. №31) მდებარე სახლის გამოყოფილი ნაწილი - ორი ოთახი - 29.49 კვ.მ და 28.04 კვ.მ (მთლიანობაში 57.44 კვ.მ) ირიცხებოდა ბ. ს-მის საკუთრებად. ბ. ს-მე გარდაიცვალა 1940 წლის ივლისში. 1968 წლის 28 თებერვლის სამემკვიდრეო მოწმობით ბ. ს-მის მემკვიდრეობის 4/9 მიიღო მისმა შვილმა - ნ. ს-მემ, რომელიც გარდაიცვალა 1970 წელს. ნ. ს-მის შვილის - ს. ს-მის გარდაცვალების შემდეგ (გარდაიცვალა 1986 წლის 18 თებერვალს), 1989 წლის 18 მარტის კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობით ნ. ს-მის დანაშთი სამკვიდროდან - ზემოაღნიშნული საცხოვრებელი სახლის 4/6-დან 2/6 მიიღო მოსარჩელემ - დ. ს-მემ, რომელიც იყო ნ. ს-მის რძალი.

1991 წლის 20 აგვისტოს ქ. ქუთაისის სასამართლომ განიხილა საქმე ი. ს-მის სარჩელისა გამო მოპასუხეების - ქ. ქუთაისის პრეფექტურის, ქ. ქუთაისის საბინაო სამმართველოსა და ქ. ქუთაისის ტექადრიცხვის ბიუროს მიმართ საცხოვრებელი სახლის ნაწილზე პირვანდელი მდგომარეობის აღდგენისა და მემკვიდრედ ცნობის შესახებ. აღნიშნულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებით ი. ს-მის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, აღდგენილ იქნა პირვანდელი მდგომარეობა და აწ გარდაცვლილ ბ. ს-მის საკუთრებად აღირცხა ქ. ქუთაისში, ... ქ. №37-ში (ყოფილი ... ქ. №31) მდებარე სახლის ორი ოთახი - 29.49 კვ.მ და 29.04 კვ.მ.

ქ. ქუთაისის სასამართლოს 1993 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით გაუქმდა ქუთაისის №1 სანოტარო კანტორის მიერ 1992 წლის 24 სექტემბერს გაცემული კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობა, რომლითაც ბ. ს-მის კუთვნილ სახლზე მემკვიდრეობა მიიღო მ. ნ-მემ; ამავე გადაწყვეტილებით გაუქმდა ქუთაისის №2 სანოტარო კანტორის მიერ 1992 წლის 8 დეკემბერს იმავე ქონებაზე გაცემული კანონისმიერი მემკვიდრეობის მოწმობა ი. ს-მის სახელზე.

მოსარჩელემ იმაზე მითითებით, რომ იგი არის ნ. ს-მის კანონისმიერი მემკვიდრე, მოითხოვა ბ. ს-მის დანაშთ სამკვიდროზე, ქ. ქუთაისში, ... ქ. №37-ში (ყოფილი ... ქ. №31) მდებარე 29.94 კვ.მ-სა და 28.04 კვ.მ-ზე მემკვიდრედ ცნობა და ამ ფართიდან ა. ნ-მისა და მისი ოჯახის წევრების გამოსახლება.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის საოქმო განჩინებით მოცემულ საქმეში დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირად ჩაება გ. ს-მე.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილებით დ. ს-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ 1940 წლის 17 ივლისს გარდაიცვალა ს. ს-ძე, რომელსაც დარჩა ოთხი მემკვიდრე: ნი., ნ., ვ. და ლ. ს-ძეები. ნ. ს-ძე გარდაიცვალა 1970 წლის 18 თებერვალს. 1989 წლის 18 მარტს გაცემული სამემკვიდრეო მოწმობის საფუძველზე მოსარჩელემ მიიღო ნ. ს-ძის სამკვიდრო, რომელიც შეადგენდა ქ. ქუთაისში, ... ქ. №37-ში (ყოფილი ... ქ. №31) მდებარე, ნ. ს-ძის კუთვნილი 4/6-დან 2/6-ს, ხოლო 2/6 დატოვებულ იქნა ღიად.

ლ. ს-ძე-ნ-ძემ მამის - ბ. ს-ძის სამკვიდროდან მიიღო მთელი სახლთმფლობელობის 6/9-დან 2/9, ხოლო 4/9 დარჩა ღიად დანარჩენ მემკვიდრეთა სასარგებლოდ. ა. ნ-ძე არის ლ. ს-ძე-ნ-ძის შვილიშვილი.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ბ. ს-ძის სახელზე რიცხული ... ქ. №37-ში მდებარე სახლი 1940 წლიდან იყო მუნიციპალიზებული და ირიცხებოდა საბინაო სამმართველოს საკუთრებად.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 1991 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილებით ი. ს-ძის სარჩელი ქუთაისის პრეფექტურის, ქუთაისის საბინაო სამმართველოსა და ქუთაისის ტექადრიცხვის ბიუროს მიმართ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და ს. ს-ძის საკუთრებად აღირიცხა ქ. ქუთაისში, ... ქ. №37-ში (ყოფილი ... ქ. №31) მდებარე სახლის ორი ოთახი - 29.49 კვ.მ და 28.04 კვ.მ.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 1993 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით გაუქმდა ქუთაისის სანოტარო კანტორის მიერ 1992 წლის 24 სექტემბერს მოპასუხის მამაზე - მ. ნ-ძეზე გაცემული კანონისმიერი მემკვიდრეობის მოწმობა, რომლითაც მ. ნ-ძე ცნობილ იქნა მემკვიდრედ და მესაკუთრედ ს. ს-ძის ქონებაზე, ასევე გაუქმდა ამავე ქონებაზე ქუთაისის №2 სანოტარო კანტორის მიერ 1992 წლის 8 დეკემბერს გაცემული კანონისმიერი მემკვიდრეობის მოწმობა ი. ს-ძეზე და სადავო ქონება ისევ აღირიცხა ს. ს-ძის საკუთრებად.

სასამართლომ მოწმეთა ჩვენებებით დადგენილად მიიჩნია, რომ სადავო ფართში 1992 წლიდან ცხოვრობს მოპასუხის ოჯახი. იმის გათვალისწინებით, რომ 1940 წლიდან სადავო ფართი ირიცხებოდა ქუთაისის საბინაო სამმართველოს სახელზე და იგი ბ. ს-ძის საკუთრებად აღირიცხა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 1991 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილების საფუძველზე, სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული ფართი არ შედიოდა 1940 წელს გარდაცვლილი ბ. ს-ძის სამკვიდრო ქონების მასაში, თანახმად სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლისა.

სამოქალაქო კოდექსის 1307-ე მუხლზე მითითებით, სააპელაციო სასამართლომ არ მიიჩნია ს. ს-ძის გარდაცვალების მომენტისათვის სადავო ქონება მის სამკვიდრო მასად, სასარჩელო მოთხოვნა არარსებულ ქონებაზე მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობაზე მიიჩნია უსაფუძვლოდ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის პირველ ნაწილზე და 183-ე მუხლზე მითითებით, სასამართლომ სასარჩელო მოთხოვნა სადავო ფართიდან მოპასუხის ოჯახის გამოსახლების თაობაზე არ დააკმაყოფილა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა დ. ს-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილებით დ. ს-ძის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, დ. ს-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - დ. ს-ძე აღიარებულ იქნა ქ. ქუთაისში, ... ქ. №37-ში (ყოფილი ... ქ. №31) მდებარე 29.49 კვ.მ და 28.04 კვ.მ ორი ოთახის, მთლიანობაში 57.44 კვ.მ-სგან შემდგარი, 1940 წლის 17 ივლისს გარდაცვლილი ბ. ს-ძის დანაშთი სამკვიდრო ქონებიდან 4/27-ის მემკვიდრედ და მესაკუთრედ; მოსარჩელის მოთხოვნა ქ. ქუთაისში, ... ქ. №37-ში მდებარე 57.44 კვ.მ-დან ა. ნ-ძის გამოსახლების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ბ. ს-ძის გარდაცვალების შემდეგ მისი დანაშთი სამკვიდროს - ქ. ქუთაისში, ... ქ. №37-ში (ყოფილი ... ქ. №31) მდებარე სახლთმფლობელობის 6/9-დან 2/9 1967 წლის 27 ოქტომბრის კანონისმიერი მემკვიდრეობით მიიღო მამკვიდრებლის - ბ. ს-ძის შვილმა - ლ. ნ-ძემ, ხოლო ამავე სამკვიდროს 4/9 1968 წლის 28 თებერვლის კანონისმიერი მემკვიდრეობით მიიღო მამკვიდრებლის მეორე შვილმა - აპელანტის მამამთილმა ნ. ს-ძემ. ნ. ს-ძის გარდაცვალების შემდგომ, 1989 წლის 18 მარტს, ნ. ს-ძის დანაშთი სამკვიდროდან (სადავო სახლთმფლობელობის 4/9-დან) 2/6, ანუ ბ. ს-ძის სამკვიდროს 4/27 მიიღო დ. ს-ძემ.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მოსაზრება, რომ რამდენადაც ბ. ს-ძის გარდაცვალების მომენტისათვის სადავო ორი ოთახი საერთო ფართით 57.44 კვ.მ მუნიციპალიზირებული იყო და იგი მხოლოდ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 1991 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილებით აღირიცხა ბ. ს-ძის საკუთრებად, სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლის შესაბამისად, ბ. ს-ძის სამკვიდრო მასაში არ შედიოდა. ამასთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლზე, რომლის თანახმად, სამკვიდრო შეიცავს მამკვიდრებლის როგორც ქონებრივი უფლებების (სამკვიდრო აქტივის), ისე მოვალეობების (სამკვიდრო პასივის) ერთობლიობას, რომელიც მას ჰქონდა სიკვდილის მომენტისათვის.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის «ბ» პუნქტის შესაბამისად, მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებსაც, თუმცა ემყარება მათი მოთხოვნები თუ შესაგებელი, მაგრამ დამტკიცებას არ საჭიროებენ. ასეთ ფაქტებს წარმოადგენს ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ. კანონის აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 1991 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილებით სადავო 57.44 კვ.მ აღირიცხა 1940 წელს გარდაცვლილი ბ. ს-ძის საკუთრებად, იგი ჩათვლილი უნდა ყოფილიყო ბ. ს-ძის სამკვიდრო მასაში.

იმის გათვალისწინებით, რომ 1989 წლის 18 მარტს დ. ს-ძემ მიიღო თავისი მამამთილის - ნ. ს-ძის სამკვიდროდან 2/6, ხოლო, თავის მხრივ, ნ. ს-ძეს 1968 წლის 28 თებერვლის კანონისმიერი მემკვიდრეობით მიღებული ჰქონდა ბ. ს-ძის სამკვიდროს 4/9, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტმა მიიღო ბ. ს-ძის სამკვიდროს 4/27 (4/9-ის 2/6).

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სამოქალაქო კოდექსის 1423-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც იგი სამკვიდროს გახსნის ადგილის სანოტარო ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მან სამკვიდრო მიიღო. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამ.დ, თუ მემკვიდრე ფაქტობრივად შეუდგა სამკვიდროს ნაწილის ფლობას, ითვლება, რომ მან მთლიანად მიიღო სამკვიდრო, რაშიც უნდა გამოიხატებოდეს და სადაც უნდა იყოს იგი. კანონის მითითებული ნორმიდან გამომდინარე, იგულისხმება, რომ აპელანტმა მიიღო რა ბ. ს-ძის დანაშთი სამკვიდროს ნაწილის მიღებით მიღებულად ჩაითვლება მამკვიდრებლის მთლიანი სამკვიდრო, რომელშიც შედის სადავო საცხოვრებელი ფართიც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ აპელანტის მოთხოვნა სადავო ქონების მემკვიდრედ და მესაკუთრედ აღიარების შესახებ საფუძვლიანად მიიჩნია. ამასთან, სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სადავო საცხოვრებელი ფართი მემკვიდრეობისა და საკუთრების უფლებით მხოლოდ მას ეკუთვნოდა, რადგან როგორც საქმეში არსებული მტკიცებულებებით დასტურდებოდა, ბ. ს-ძეს აპელანტის გარდა დარჩა სხვა მემკვიდრეც, რის გამოც აპელანტი მიჩნეულ უნდა ყოფილიყო ამ ქონების მხოლოდ თანამემკვიდრედ.

იმ პირობებში, როდესაც დ. ს-ძის იდეალურ საკუთრებას წარმოადგენდა სადავო ფართის მხოლოდ 4/27, სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია აპელანტის მოთხოვნა მთელი სადავო ფართიდან მოწინააღმდეგე მხარის გამოსახლების თაობაზე და აღნიშნა, რომ მითითებულ ნაწილში სარჩელი არ ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა დ. ს-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოსათვის დაბრუნება.

კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას მისი სადავო ქონების მხოლოდ 4/27-ზე თანამემკვიდრედ ცნობის თაობაზე, მისი მოსაზრებით, აღნიშნული დასკვნის გამოტანამდე, სააპელაციო სასამართლოს უნდა დაედგინა მემკვიდრეთა წრე და მათი რიგითობა, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდებოდა ბ. ს-ძის დანაშთი ქონებიდან კასატორის წილის განსაზღვრა. ამასთან, სასამართლოს არ გამოურკვევია აღნიშნულ ქონებაზე გააჩნდათ თუ არა პრეტენზია სხვა მემკვიდრეებს, ხომ არ ამბობდნენ ისინი უარს თავიანთ წილზე სხვა მემკვიდრეთა სასარგებლოდ. დასახელებული საკითხების სწორად განსაზღვრის შემდგომ ცხადი გახდებოდა სადავო ფართიდან მოპასუხისა და მისი ოჯახის წევრების გამოსახლების მოთხოვნის საფუძვლიანობაც.

კასატორი მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 1457-ე მუხლზე, რომლის თანახმად, თანამემკვიდრეთა შეთანხმებით შეიძლება მთელი სამკვიდროს გადასვლა ერთ თანამემკვიდრეზე. ამავე კოდექსის 1452-ე მუხლის მიხედვით, სამკვიდროს გაყოფა ხდება სამკვიდროს მიმღები მემკვიდრეების შეთანხმებით.

კასატორი მიიჩნევს, რომ აღნიშნული დავა საჭიროებს სააპელაციო სასამართლოს მიერ ხელახალ განხილვას, რათა დადგინდეს სადავო ფართის პირველი რიგის მემკვიდრეთა ვინაობა, თანახმანი არიან თუ არა ისინი მათი წილი ქონების კასატორისათვის გადაცემაზე, რის შემდგომაც შესაძლებელი გახდება მითითებული ქონებიდან მისი წილის განსაზღვრა. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ დ. ს-ძის მიერ მიღებული სამემკვიდრეო წილი - მთელი საცხოვრებელი სახლის გამოყოფილი ნაწილის 2/6 ამ ეტაპზე გაჩუქებულია მის შვილზე - ბ. ს-ძეზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ დ. ს-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილია:

ბ. ს-ძის სამკვიდროს შეადგენდა ქ. ქუთაისში, ... ქ. №37-ში (ყოფილი ... ქ. №31) მდებარე სახლთმფლობელობის 6/9;

ბ. ს-ძის გარდაიცვალა 1940 წელს. მისი სამკვიდრო კანონისმიერი მემკვიდრეობით მიიღო მისმა ორმა შვილმა: ლ. ნ-ძემ და ნ. ს-ძემ, კერძოდ, ლ. ნ-ძემ სამკვიდრო მოწმობით მიიღო ქ. ქუთაისში, ... ქ. №37-ში მდებარე სახლთმფლობელობის 6/9-დან 2/9 1967 წლის 27 ოქტომბერს, ხოლო ნ. ს-ძემ - ამავე სახლთმფლობელობის 4/9 1968 წლის 28 თებერვალს;

ნ. ს-ძე გარდაიცვალა 1970 წელს. მას დარჩა ორი ვაჟი - ი.ი და ს.ი, ამ უკანასკნელის მეუღლეა დ. ს-ძე;

დ. ს-ძემ 1989 წელს კანონისმიერი მემკვიდრეობით მიიღო ნ. ს-ძის დანაშთი საცხოვრებელი სახლის გამოყოფილი ნაწილის 4/6 უფლებიდან 2/6.

ბ. ს-ძის გარდაცვალების შემდგომ, ქ. ქუთაისში, ... ქ. №37-ში მდებარე სახლთმფლობელობის ნაწილი, კერძოდ, ორი ოთახი - 29.49 კვ.მ და 29.04 კვ.მ, რომელიც ბ. ს-ძის გარდაცვალების მდგომარეობით მუნიციპალიზებული იყო, 1991 წლის 20 აგვისტოს ქ. ქუთაისის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე (მოსარჩელე ი. ს-ძე) აღირიცხა აწ გარდაცვლილ ბ. ს-ძის საკუთრებად.

ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ ბ. ს-ძის სამკვიდრო მიღებული აქვს მის ორ კანონისმიერ მემკვიდრეს - ნ. ს-ძეს და ლ. ნ-ძეს, რომელთა მემკვიდრეობაც, თავის მხრივ, შესაბამ.დ წარმოადგენენ მოსარჩელე დ. ს-ძე და მოპასუხე ა. ნ-ძე. საქმის მასალებით, ასევე, დადგენილია, რომ ლ. ნ-ძეს მიღებული აქვს ბ. ს-ძის სამკვიდროს 2/9, ხოლო ნ. ს-ძეს - ამავე სამკვიდროს 4/9, ანუ 2-ჯერ მეტი, ვიდრე ლ. ნ-ძეს. ე.ი. ლ. ნ-ძეს მიღებული აქვს ბ. ს-ძის მთლიანი სამკვიდროს 1/3, ხოლო ნ. ს-ძეს - 2/3.

მოცემულ შემთხვევაში სადავოა, თუ როგორ უნდა გაიყოს სამკვიდრების გარდაცვალების შემდგომ გამოვლენილი სამკვიდრო ქონების ნაწილი მემკვიდრეებს შორის, კერძოდ, კონკრეტულ შემთხვევაში რამდენს შეადგენს დ. ს-ძის წილი ბ. ს-ძის სამკვიდრო მასას დამატებულ ქონებაზე - ქუთაისში, ... ქ. №37-ში მდებარე 29.49 კვ.მ და 29.04 კვ.მ ორ ოთახზე. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ აღნიშნული ქონებიდან დ. ს-ძის წილი მემკვიდრეობა შეადგენს სადავო ფართის 4/27-ს და მიიჩნევს, რომ აღნიშნულ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია. ამ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ დ. ს-ძის წილ მემკვიდრეობად განსაზღვრა 57,44 კვ.მ-ის 4/27, რაც შეადგენს დაახლოებით 8,5 კვ.მ-ს. აღნიშნული განსაზღვრა როგორც 4/9-ის 2/6, მაშინ, როდესაც, საქმის მასალების თანახმად, დ. ს-ძეს სამკვიდრო მიღებული აქვს არა 4/9-ის 2/6-ზე, არამედ ნ. ს-ძის დანაშთი საცხოვრებელი სახლის გამოყოფილი ნაწილის 4/6-დან. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ ისე მოახდინა აღნიშნული წილის განსაზღვრა, რომ არ დაადგინა პრინციპი, რომლის მიხედვითაც, მოცემულ შემთხვევაში უნდა გაიყოს სამკვიდრო ქონების ნაწილი მემკვიდრეებს შორის.

სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ მემკვიდრე ფაქტობრივად შეუდგა სამკვიდროს ნაწილის ფლობას, ითვლება, რომ მან მთლიანად მიიღო სამკვიდრო, რამაც უნდა გამოიხატებოდეს იგი და სადავო უნდა იყოს იგი. ამასთან, ამავე კოდექსის 1435-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არ დაიშვება სამკვიდროს მიღება ან მასზე უარის თქმა ნაწილობრივ, რამე დათქმით ან ვადით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ მემკვიდრე უარს იტყვის სამკვიდროს ნაწილზე, ითვლება, რომ ის უარს ამბობს სამკვიდროზე. ამავე კოდექსის 1446-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მემკვიდრის უარი სამკვიდროს მიღებაზე შეუქცევადია.

იმ შემთხვევაში, თუკი ბ. (ს.) ს-ძის მემკვიდრეობა მიღებული აქვთ მხოლოდ ლ. ნ-ძესა და ნ. ს-ძეს, შესაბამ.დ, ითვლება, რომ მათ მთლიანად მიიღეს სამკვიდრო, მათ შორის, ამ სამკვიდროს ნაწილიც - 57,44 კვ.მ სადავო ორი ოთახი. ამდენად, აღნიშნული ორი ოთახი მათზე განაწილდებოდა იმავე პრინციპით, როგორც დანარჩენი სამკვიდრო ქონება: ლ. ნ-ძეს - 1/3 (დაახლოებით 19,14 კვ.მ), ხოლო ნ. ს-ძეს - 2/3 (დაახლოებით 38,29 კვ.მ). შესაბამ.დ, ლ. ნ-ძის მემკვიდრეობაზე აღნიშნული სამკვიდროს ნაწილი (სადავო ორი ოთახი) უნდა განაწილდეს იმგვარად, რომ მათ მიიღონ ამ ქონების 1/3, ხოლო ნ. ს-ძის მემკვიდრეობა უნდა მიიღონ ამ ქონების 2/3, მათ შორის, დ. ს-ძემ უნდა მიიღოს თავისი კუთვნილი სამკვიდროს წილი აღნიშნული 2/3-დან. თუ, კონკრეტულად, რამდენს შეადგენს დ. ს-ძის კუთვნილი წილი, ამისათვის საქმის გარემოებები დამატებით გამორკვევას საჭიროებს, კერძოდ, გასარკვევია, თავის დროზე ბ. ს-ძის სამკვიდრო ქონება მხოლოდ კანონისმიერი მემკვიდრეობით განაწილდა, თუ ანდერძისმიერი მემკვიდრეობითაც, ლ. ნ-ძის და ნ. ს-ძის გარდა კიდევ ხომ არ არიან ბ. ს-ძის მემკვიდრეები. ამასთან დაკავშირებით საქმის მასალებიდან ჩანს, რომ ბ. ს-ძეს დარჩა 4 შვილი: ვ., ნი., ლ. და ნ. ი, ხოლო ლ. სა და ნ. ის გარდა დანარჩენმა შვილებმა მიიღეს სამკვიდრო, თუ უარი თქვეს მასზე, საქმიდან არ ჩანს. ასევე გასარკვევია, ზუსტად ვისზე განაწილდა ნ. ს-ძის სამკვიდრო, როგორ განაწილდა და აქედან რამდენს შეადგენს დ. ს-ძის მიერ მიღებული მემკვიდრეობის წილი.

ზემოაღნიშნული გარემოებების გამორკვევის შემდეგ სააპელაციო სასამართლომ უნდა მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დაადგინა :

1. დ. ს-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამკვიდროს მიღება

განჩინება

№ას-63-347-08

17 სექტემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
თ. თოდრია (მომხსენებელი),
რ. ნადირიანი**

დავის საგანი: სამკვიდრო მოწმობის გაცემა.

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 21 მაისს გ. კ-ძის წარმომადგენელმა ლ. ფ-ძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს ქ. ქუთაისის ნოტარიუს მ. ბ-ძისა და მესამე პირის - ი. კ-ძის მიმართ. მან მიუთითა, რომ 2000 წლის 28 თებერვალს გარდაიცვალა ნ. კ-ძე, რომლის საკუთრებაში ირიცხებოდა ქ. ქუთაისში, ... ქ. №4-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 1/2. ნ. კ-ძეს დარჩა ორი მემკვიდრე - გ. და ი. კ-ძეები, რომელთაგანაც გ. კ-ძე დარჩა დედისეულ სახლში, ხოლო ი. კ-ძე კი ცხოვრობდა სამტრედიის რ-ში, სოფ. ...; მამკვიდრებელ - ნ. კ-ძეს სამკვიდრო ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშვა მეუღლის - დ. კ-ძის გარდაცვალების შემდეგ.

მოსარჩელის განმარტებით, ვინაიდან იგი დედის გარდაცვალების შემდეგ ცხოვრობდა სამკვიდრო სახლში და ფაქტობრივად ფლობდა და მართავდა მას, სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის შესაბამისად, სამკვიდრო მიღებულად ეთვლება, ხოლო მოპასუხე ი. კ-ძეს კი, ფაქტობრივი ფლობითა და მართვით სამკვიდრო არ მიუღია და მის მიერ გაშვებულია სანოტარო ორგანოსათვის სამკვიდროს მისაღებად კანონით გათვალისწინებული ექვსთვიანი ვადა.

მოსარჩელის განმარტებით, 2006 წლის 25 დეკემბერს, სამკვიდრო ქონების მიღების მიზნით, განცხადებით მიმართა ნოტარიუსს სამკვიდროს გახსნის ადგილის მიხედვით. მას 2006 წლის 25 დეკემბრის დადგენილებით ეთქვა უარი სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე იმ საფუძველით, რომ აღნიშნულ სამკვიდრო ქონებაზე სამკვიდრო მოწმობის მისაღებად მიმართული აქვს ი. კ-ძეს, რის გამოც მემკვიდრეებს შორის არის დავა.

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გამო მოსარჩელემ მოითხოვა ქალაქ ქუთაისის ნოტარიუს მ. ბ-ძის 2006 წლის 25 დეკემბრის №155 დადგენილების - სამემკვიდრეო მოწმობის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გაუქმება და იმავე ნოტარიუსის დავალდებულება, გასცეს მოსარჩელის სახელზე მოწმობა დედის - ნ. კ-ძის მთლიან დანაშთ ქონებაზე, კერძოდ, ქ. ქუთაისში, ... ქ. №4-ში მდებარე მთლიანი სახლის 1/2-ზე.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე გ. კ-ძის წარმომადგენელმა ლ. ფ-ძემ შეიტანა სააპელაციო საჩივარი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილებით გ. კ-ძის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქ. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. გ. კ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა ქუთაისის ნოტარიუს მ. ბ-ძის 2006 წლის 25 დეკემბრის №155 დადგენილება სანოტარო მოქმედების შესარულებაზე უარის თქმის შესახებ და ქ. ქუთაისის ნოტარიუს მ. ბ-ძის უფლებამონაცვლე - ქ. ქუთაისის ნოტარიუს დ. ხ-შვილს დაევალა გ. კ-ძის სახელზე სამკვიდრო მოწმობის გაცემა გარდაცვლილი დედის - ნ. კ-ძის დანაშთი ქონების - ქ. ქუთაისში, ... ქ. №4-ში მდებარე სახლის S ნაწილის ნახევარზე ანუ სახლის ნაწილზე.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები იმის შესახებ, რომ მამკვიდრებელი - ნ. კ-ძე გარდაიცვალა 2000 წლის 28 თებერვალს, დარჩა პირველი რიგის ორი მემკვიდრე - გ. და ი. კ-ძეები, რომლებსაც სამკვიდროს მისაღებად

სამოქალაქო კოდექსის 1424-ე მუხლით გათვალისწინებულ 6 - თვიან ვადაში სანოტარო ორგანოსათვის არ მიუმართავთ. ნ.კ-ძის მემკვიდრეებმა მემკვიდრეობის მისაღებად სანოტარო ორგანოს მიმართეს განცხადებით მხოლოდ 2006 წლის დეკემბერში, რაზედაც ქ. ქუთაისის ნოტარიუსის მ.ბ-ძის დადგენილებით უარი ეთქვათ მემკვიდრეობის მოწმობის გაცემაზე მხარეთა შორის დავის არსებობის გამო.

სააპელაციო პალატამ დადგინდა, რომ გ. კ-ძესთან ერთად სამკვიდროს ფაქტობრივ ფლობასა და მართვას შეუდგა ნ.კ-ძის მეორე მემკვიდრე - ი. კ-ძეც, რომელიც დღემდე რეგისტრირებული იყო ამ მისამართზე. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ აღნიშნულის გამო გ. კ-ძე მიჩნეულ უნდა იქნას ნ. კ-ძის დანაშთი სამკვიდროს თანამემკვიდრედ ი.კ-ძესთან ერთად.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 1503-ე მუხლის მოთხოვნები.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა გ. კ-ძემ. მან აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ იგი ფაქტობრივად ფლობდა დედის დანაშთ სამკვიდრო ქონებას, ხოლო მისი და არ ფლობს ამ ქონებას და არც კანონით დადგენილ 6-თვიან ვადაში მიუმართავს ნოტარიუსისათვის სამკვიდროს მიღების თაობაზე. სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიაკუთვნა მის დას - ი. კ-ძეს ქონების ნაწილი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა - კანონიერების შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გ. კ-ძის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად, უცვლელად უნდა დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგინდა, რომ მამკვიდრებელი ნ. კ-ძე გარდაიცვალა 2000 წლის 28 თებერვალს, დარჩა პირველი რიგის ორი მემკვიდრე - გ. და ი. კ-ძეები, რომლებსაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1424-ე მუხლით გათვალისწინებული 6-თვიან ვადაში სანოტარო ორგანოსათვის არ მიუმართავთ.

სააპელაციო სასამართლოს მიერ ასევე დადგინდა, რომ მათ, სამკვიდროს მისაღების მიზნით, სანოტარო ორგანოს მიმართეს მხოლოდ 2006 წლის დეკემბერში, რაზედაც ნოტარიუსის დადგენილებით უარი ეთქვათ მემკვიდრეობის მოწმობის გაცემაზე მხარეთა შორის დავის არსებობის გამო.

სააპელაციო სასამართლოს ასევე დადგინდა მიიჩნია, რომ ნ. კ-ძის მემკვიდრეებმა სამკვიდროს მისაღებად ნოტარიუსს არ მიმართეს კანონით დადგენილ 6-თვიან ვადაში, მაგრამ ისინი ფაქტობრივად შეუდგნენ სამკვიდროს ფლობასა და მართვას, რაც უდავოდ მოწმობს მათ მიერ სამკვიდროს მიღებას.

სააპელაციო სასამართლომ დადგინდა მიიჩნია, რომ ი. კ-ძეს გ. კ-ძესთან ერთად მიღებული აქვს სამკვიდრო ფაქტობრივი ფლობით.

კონკრეტულ შემთხვევაში განხილვის საგანს წარმოადგენს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება ი. კ-ძის მიერ სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღების შესახებ.

იბადება შემდეგი კითხვები, კერძოდ, შესაძლებელია თუ არა სასამართლომ დაადგინოს დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის მიერ სამკვიდროს ფლობის ფაქტი, როდესაც ეს უკანასკნელი არ არის არც მოსარჩელე და არც მოპასუხე, რომელსაც აღძრული აქვს სარჩელი ან შეგებებული სარჩელი სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობის მიღებულად ცნობის შესახებ; ამ შემთხვევაში დარღვეულია თუ არა სასამართლოს მიერ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის მოთხოვნები.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება ასევე, თუ მემკვიდრე ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მან სამკვიდრო მიიღო. განსახილველი ნორმით გათვალისწინებული სამკვიდროს მიღება წარმოადგენს ცალმხრივ გარიგებას, რომლისთვისაც დამახასიათებელია ზოგადად გარიგების ნიშან-თვისებები იმ თავისებურებების გათვალისწინებით, რაც სამკვიდრო მიღების შესახებ გარიგებისათვისაა დამახასიათებელი.

ამდენად, აღნიშნული გარიგება წარმოადგენს ფაქტს, რომლის წარდგენის უფლებამოსილება გააჩნია ასევე მესამე პირს დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე, რომლითაც შესაძლებელია განისაზღვროს მოსარჩელის მიერ ფაქტობრივი ფლობით სამკვიდროს მიღების ფარგლები. აქედან გამომდინარე, იმისათვის, რომ სასამართლოში წარმოდგენილ იქნეს ფაქტობრივი ფლობით სამკვიდროს მიღების ფაქტი, რითაც განისაზღვრება მემკვიდრის უფლებრივი შინაარსი, არ არის აუცილებელი ამის შესახებ მან აღძრას სარჩელი და ასევე მოითხოვოს სამკვიდროს ფლობით მიღების დადასტურება. აღნიშნული მოთხოვნის სარჩელით აღძვრა წარმოადგენს მის უფლებას, რაც დაცულია დისპოზიციურობის პრინციპით (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლი). კიდევ ერთხელ დავძენთ, რომ იმ შემთხვევაში, თუ მესამე პირს არა აქვს აღძრული სარჩელი დამოუკიდებელი მოთხოვნით, ის უფლებამოსილია, დაადასტუროს მის მიერ სამკვიდროს მიღების ფაქტი, რითაც განისაზღვრება ამ შემთხვევაში მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების ფარგლები.

ამრიგად, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს არ დაურღვევია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის მოთხოვნები.

ამასთან ერთად საკასაციო პალატა განმარტავს, რომ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, «სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.»

უპირველეს ყოვლისა, საკასაციო პალატა ყურადღებას აქცევს ამ ნორმის იმ დანაწესს, რომელიც ადგენს, რომ მტკიცებულებები უნდა შეფასდეს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად. აღნიშნული დანაწესი მიუთითებს მათი შეფასების ერთობლიობაზე. ყოველი მტკიცებულების ცალ-ცალკე შეფასებით შემდგომ ერთობლივად ფასდება წარმოდგენილი მტკიცებულებები, რაც ხელს უწყობს მოსამართლის შინაგანი რწმენის ჩამოყალიბებას.

ამრიგად, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები ერთობლიობაში მიუთითებენ ი. კ-ძის მიერ სამკვიდროს ფლობის ან მართვის ფაქტზე, რაც ამ უკანასკნელის მიერ სამკვიდროს მიღებაზე მეტყველებს.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომელიც საკმარისია იმისათვის, რომ მივიჩნიოთ ი. კ-ძის მიერ სამკვიდროს მიღების ფაქტი დადგენილად და ამით განვსაზღვროთ გ. კ-ძის მიერ აღძრული მოთხოვნის ფარგლები, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ სს «საქართველოს სატელეკომუნიკაციო კომპანიის» ქუთაისის ფილიალის 2007 წლის 27 თებერვლის ცნობის საფუძველზე დადგენილად მიიჩნია, რომ სადავო ბინაში ტელეფონი აღრიცხული იყო ი. კ-ძის სახელზე, რომლის სააბონენტო გადასახადების გადახდა აღარ ხორციელდებოდა 2006 წლიდან. აღნიშნული მტკიცებულებით დადგენილი ორი გარემოება (ტელეფონის რეგისტრაციისა და სააბონენტო გადასახადის შეწყვეტის ფაქტი), სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ გადასახადებს იხდიდა ი. კ-ძე. ისმის კითხვა, თუ აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები რამდენად სავალდებულოა საკასაციო ინსტანციისათვის და წამოყენებულია თუ არა ამ ფაქტობრივ გარემოებასთან მიმართებაში დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია.

უპირველეს ყოვლისა, კიდევ ერთხელ დავძენთ, რომ განსახილველი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმა (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის მე-2 ნაწილი) სამკვიდროს მიღებას უკავშირებს ასევე სამკვიდროს ფლობას და მართვას, რაც უნდა მოხდეს სამკვიდროს გახსნიდან 6 თვის განმავლობაში. ამასთან ერთად ფლობა და მართვა უნდა მიუთითებდნენ იმაზე, რომ მეკვიდრემ ამით განახორციელა მესაკუთრის ბატონობა და, აქედან გამომდინარე, იკისრა მესაკუთრის ყველა უფლება და ვალდებულება. მტკიცებულება, რომლითაც დასტურდება ი. კ-ძის სახელზე სადავო ბინაში ტელეფონის რეგისტრაციის ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ პირი, რომელიც რეგისტრირებულია აბონენტად, ამ ტელეფონით სარგებლობისათვის დარიცხულ გადასახადებსაც ეს უკანასკნელი იხდის (ამ შემთხვევაში დავალიანების ქვითარზე მითითებული უნდა იყოს პირი, ვის სახელზეც არის დარეგისტრირებული ტელეფონი). აღნიშნული პრეზუმფცია ვრცელდება იქამდე, სანამ არ იქნება დადასტურებული საწინააღმდეგო, ანუ ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც მიუთითებენ იმაზე, რომ ამ სატელეფონო გადასახადებს იხდიდა არა ი. კ-ძე, არამედ გ. კ-ძე. კონკრეტულ შემთხვევაში კასატორი არ უთითებს და არც საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულება, რომელიც გამორიცხავდა ი. კ-ძის მიერ სააბონენტო გადასახადების გადახდის ფაქტს და დაადასტურებდა გ. კ-ძის მიერ აღნიშნული მოქმედებების განხორციელებას. ამრიგად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორის მიერ არ არის წარმოდგენილი დასაბუთებული პრეტენზია. კონკრეტულ შემთხვევაში დასაშვებ და დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება და სამართლებრივ-მატერიალური ნორმის არასწორად გამოყენება ან განმარტება.

კონკრეტულ შემთხვევაში კასატორი არ უთითებს იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც მიუთითებენ ი. კ-ძის მიერ სატელეფონო გადასახადების არარსებობის და ამ გადასახადების გ. კ-ძის მიერ გადახდის ფაქტზე, რომლის შესახებ წარმოდგენილი მტკიცებულებები არ შეაფასა ან არასათანადო შეაფასა სააპელაციო სასამართლომ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული სააბონენტო გადასახადის გადახდით დასტურდება მეკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღების ფაქტი, რადგან აღნიშნული ვალდებულების განხორციელება (თუ საწინააღმდეგო არ იქნება დადასტურებული), მიუთითებს ი. კ-ძის, როგორც მესაკუთრის, უფლებამოსილებაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დაადგინა:

გ. კ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება;
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სამკვიდროს მიღება

განჩინება

№ას-388-637-08

24 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი
(თავმჯდომარე, მომხსენებელი),
რ. ნადირიანი,
თ. თოდრია

დავის საგანი: ფაქტობრივი მფლობელობით სამკვიდროს მიღების დადასტურება და სამკვიდროზე მესაკუთრედ აღიარება.

აღწერილობითი ნაწილი:

ბორჯომის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა ნ. ჯ-შვილმა და მოითხოვა კანონიერ მემკვიდრედ ცნობა საცხოვრებელი სახლის 2/3-ზე, ბორჯომის რ/ნის, დ. ბაკურიანში, ... №3-ში.

ბორჯომის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილებით, ნ. ჯ-შვილის სარჩელი ფაქტობრივი ფლობით სამკვიდროს მიღების დადასტურებისა და სამკვიდრო ქონებაზე მესაკუთრედ აღიარების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. ჯ-შვილმა და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 31 იანვრის განჩინებით, ნ. ჯ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელი დარჩა ბორჯომის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

მოსარჩელე ნ. ჯ-შვილის მამკვიდრებელი ა. ჯ-შვილი გარდაიცვალა 1980 წლის 19 მაისს.

მამკვიდრებლის ა. ჯ-შვილის სახელზე ირიცხებოდა და ირიცხება დედის მდგომარეობითაც, ბორჯომის რ-ნის დ. ბაკურიანში, ... №3-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 2\3.

მოდვე მხარეებს წარმოადგენენ ა. ჯ-შვილის პირველი რიგის მემკვიდრეები, კერძოდ, მოსარჩელე ნ. ჯ-შვილი არის ა. ჯ-შვილის შვილი, ხოლო მოპასუხეები: გ., ს. და შ. ჯ-შვილები არიან ა. ჯ-შვილის 1975 წელს გარდაცვლილი შვილის - შ. ჯ-შვილის შვილები (მემკვიდრეობითი ტრანსმისია);

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ მოსარჩელე ნ. ჯ-შვილს დედის სამკვიდრო კანონით დადგენილი წესით არ აქვს მიღებული, ვინაიდან ნ. ჯ-შვილს სამკვიდროს გახსნის ადგილის სანოტარო ორგანოში განცხადება სამკვიდროს მიღების შესახებ არ წარუდგენია და ამასთან, სათანადო მტკიცებულებების წარმოდგენით ვერ დაადასტურა, რომ მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდგომ ფაქტობრივად შეუდგა სამკვიდროს ფლობას და მართვას.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღების მტკიცების ტვირთი მართებულად იქნა გადატანილი მოსარჩელეზე.

სააპელაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილი მოწმეთა ახსნა-განმარტებები, რომლებზეც აპელირებს მოსარჩელე, მათი შინაარსიდან გამომდინარე ვერ ადასტურებს მოსარჩელის მიერ ფაქტობრივად სამკვიდროს დაუფლებას.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. ჯ-შვილმა.

კასატორის აზრით, სააპელაციო პალატამ არასწორი შეფასება მისცა მოწმეების ჩვენებებს, რომელითაც დასტურდება, რომ მოსარჩელეს დედის დანაშთ ქონებასთან არ გაუწყვეტია ურთიერთობა და იგი დაეუფლა მას და არა მარტო ნ. ჯ-შვილი, არამედ მისი დებიც.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო პალატამ საერთოდ არ მისცა შეფასება აპელანტის მიერ დამატებითი მტკიცებულებების სახით წარმოდგენილ მიწის გადასახადის ქვითარს, რომელიც გაცემულია ახალციხის საგადასახადო სამსახურის მიერ, ხოლო გადამხდელს წარმოადგენდა ნ. ჯ-შვილი.

არც პირველი ინსტანციის და არც სააპელაციო პალატამ არ იმსჯელა, საქმის განხილვისას სარჩელი სწორად იყო თუ არა აღძრული იმ პირის მიმართ, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე, რასაც ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.

კასატორის განმარტებით, საქმეში მოპასუხედ არასწორედ იქნა ჩაბმული ლ. წ-რი, რომელმაც სასამართლოს განუმარტა, რომ ამოერიცხათ იგი როგორც არასათანადო მოპასუხე, ვინაიდან იგი საკუთრების უფლებით არ ფლობდა არაფერს. ასევე, სასამართლომ არასწორად ჩააბა საქმეში გ., ს. და შ. ჯ-შვილები, ვინაიდან ისინი სათანადო მოპასუხედ ჩაითვლებოდნენ იმ შემთხვევაში თუკი მათ საკუთრებაში აღმოჩნდებოდა ნ. ჯ-შვილის დედის დანატოვარი ქონება, სხვა ყველა შემთხვევაში მოპასუხე მხარე უნდა ყოფილიყო ქ. ბორჯომის სანოტარო ბიურო.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსთვის ხელახლა განსახილველად

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ განიხილა საკასაციო საჩივრის საფუძვლები, გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

კასატორი საკასაციო პრეტენზიას აფუძნებს იმ გარემოებას, რომ სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა მოწმეთა ჩვენებებს. კასატორი მიიჩნევს, რომ აღნიშნული მტკიცებულებებით დასტურდება მის მიერ დედის დანატოვარი ქონების ფაქტობრივი ფლობით მიღების ფაქტი. უნდა აღინიშნოს, რომ კასატორი არ უთითებს, თუ რომელი ნორმები დაარღვია სასამართლომ მტკიცებულებათა შეფასების თუ ფაქტობრივი გარემოებების დადგენის დროს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებები ითვლება დადგენილად, თუ წარმოდგენილი არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია. დასაბუთებულ პრეტენზიაში კი მოიაზრება საპროცესო ნორმათა დარღვევა, რომელთაც განაპირობებს საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების მიღება. მოცემულ შემთხვევაში კი საკასაციო საჩივარი ასეთ სახის მითითებას საპროცესო ნორმების დარღვევის თაობაზე არ შეიცავს. უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ მემკვიდრეობის მიღება არ გულისხმობს სამკვიდროს ე.წ. მექანიკურ დაუფლებას, არამედ იგი მოიაზრებს მემკვიდრის მიერ ქონების, როგორც მისი საკუთარი, მემკვიდრეობით მიღებული ქონების, დაუფლებას. ის გარემოება, რომ ნ. ჯ-შვილმა დამარხა ძმა და უვლიდა ძმისშვილებს, ასრულებდა მიცვალებულთათვის აუცილებელ ქრისტიანულ წესებს, არ ნიშნავს იმას, რომ მან, როგორც მემკვიდრემ, მიიღო ქონება. იგივე შეიძლება ითქვას ავეჯის თაობაზეც. აქ უმთავრესია გამოიკვეთოს მიზანი ასეთი ქმედებისა. არც ერთი მოწმის ჩვენებით არ დასტურდება ის გარემოება, რომ კასატორი სადავო ქონებას ფლობდა, როგორც საკუთარს და თავისად დაგულვებულს. აღნიშნულს ვერ ადასტურებს ახალციხის საგადასახადო ინსპექციიდან წარმოდგენილი ცნობაც, რომლიდან ისიც კი არ ირკვევა, თუ რა სახის გადასახადებს იხდიდა ნ. ჯ-შვილი.

პალატა ვერ გაიზიარებს იმ მოსაზრებასაც, რომ მოცემულ დავაში მხარე ნოტარიუსია და არა გ. ჯ-შვილი მხარეთა შორის დავის საგანია სამკვიდრო ქონების მიღება. სამკვიდროს გაყოფა კი ხდება მემკვიდრეთა შორის, ნოტარიუსი მხოლოდ და მხოლოდ აფიქსირებს მხარეთა შორის მემკვიდრეობის მიღებიდან გამომდინარე სამართლებრივ შედეგს.

რაც შეეხება საქმეში მოპასუხეთა სახით ჩართული ა. ჯ-შვილის შვილებისა და შვილიშვილების საკითხს და მათი სხდომაზე მოუწვევლობის ფაქტს, უნდა ითქვას, რომ განჩინებაში არ არის მითითებული მათი მონაცემები საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით (გვარი, სახელი, მისამართი და ა.შ.). ასეთი რეკვიზიტების არსებობის შემთხვევაში კი შეუძლებელია ისინი მიჩნეული იქნენ მხარედ საქმეში და მათ მიმართ დადგეს რაიმე შედეგი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის ფარგლებში შეუძლებელია გადაწყვეტილების გაუქმება, რის გამოც იგი უცვლელად უნდა იქნეს დატოვებული.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დაადგინა:

ნ. ჯ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

უცვლელად დარჩეს თბილისის სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 31 იანვრის განჩინება. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სამკვიდროს მიღება

განჩინება

საქმე №ას-595-822-08

4 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე)

მოსამართლეები: ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობა, მესაკუთრედ ცნობა.

აღწერილობითი ნაწილი:

კ. ა-ვმა, ალ. და ამ. ა-ვების კანონიერმა წარმომადგენელმა ე. ა-ვმა სარჩელი აღძრეს სასამართლოში მ. ა-ვისა და ნოტარიუს დ. ო-ძის მიმართ 2007 წლის 6 მარტსა და 2007 წლის 24 აპრილს გაცემული სამკვიდრო მოწმობების ბათილად ცნობისა და ქ.თბილისში, ... დასახლების №8 კორპუსში მდებარე №141 საცხოვრებელი ბინის 1/2-ის მესაკუთრედ კ. ა-ვისა და დარჩენილი 1/2-ის მესაკუთრედ ალ. და ამ. ა-ვების ცნობის თაობაზე შემდეგი საფუძვლებით: კ. ა-ვი, ე. ა-ვის აწ გარდაცვლილი მეუღლე - ა. ა-ვი და მ. ა-ვი არიან 1995 წლის 13 აპრილს გარდაცვლილი ს. ა-ვის შვილები და მისი პირველი რიგის მემკვიდრეები. დედის სამკვიდრო მიიღეს ფაქტობრივი ფლობით, ვინაიდან მის გარდაცვალებამდე და შემდგომაც ცხოვრობდნენ სამკვიდრო მასაში შემავალ ბინაში, რაც დასტურდება სადავო ობიექტში მათი ჩაწერით, კომუნალური გადასახადების გადახდით, მეზობლების განცხადებითა და უზნის ინსპექტორის თქმით. მოპასუხე მ. ა-ვი სამკვიდროს ად დაუფლებია და 1988 წლიდან, დაოჯახების შემდეგ, საცხოვრებლად გადავიდა მეუღლესთან. 2007 წლის 22 მაისს მოსარჩელეთათვის ცნობილი გახდა, რომ მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან 12 წლის შემდეგ ნოტარიუს დ. ო-ძის მიერ გაცემული სამკვიდრო და დამატებითი მოწმობებით სადავო საცხოვრებელი ბინის 1/3-ზე თანამესაკუთრედ ცნობილ იქნა მ. ა-ვი დასახლებული მოწმობების გაცემა მოხდა უკანონოდ, რადგან ნოტარიუსმა არ მიიწვია სხვა თანამემკვიდრეები იმის გასარკვევად, მიიღო თუ არა სამკვიდრო მოპასუხემ. ამასთან, მ. ა-ვმა ძმისგან - ა. ა-ვისგან სამკვიდროში კუთვნილი წილის სანაცვლოდ მიიღო 3500 აშშ დოლარი.

მ. ა-ვმა სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ სამკვიდრო გაიხსნა სამოქალაქო კოდექსის 1319-ე-1320-ე მუხლების საფუძველზე და მოპასუხემ იგი მიიღო ამავე კოდექსის 1421-ე მუხლით დადგენილი წესით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, ს. ა-ვის დანაშთ ქონებაზე ნოტარიუს დ. ო-ძის მიერ გაცემული 2007 წლის 6 მარტის სამკვიდრო მოწმობა და 2007 წლის 24 აპრილის დამატებითი სამკვიდრო მოწმობა ცნობილ იქნა ბათილად, კ. ა-ვი ცნობილ იქნა სადავო სამკვიდრო ქონების 1/2-ის, ალ. ა-ვი - იდეალური 1/4-ის, ხოლო ამ. ა-ვი ასევე იდეალური 1/4-ის მესაკუთრედ.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ა-ვმა, მოითხოვა გასაჩივრებულად გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის განსჯადობის წესით ადმინისტრაციული კოლეგიისათვის გადაცემა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 24 აპრილის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება, რომ მამკვიდრებელი ს. ა-ვი გარდაიცვალა 1995 წლის 13 აპრილს, რომლის პირველი რიგის მემკვიდრეებს წარმოადგენენ მისი შვილები: ა., მ. და კ. ა-ვები. ა. ა-ვი გარდაიცვალა 1998 წლის 18 დეკემბერს, რომელსაც პირველი რიგის მემკვიდრეებად დარჩა მეუღლე ე. ა-ვი და შვილები ამ. და ალ. ა-ვები. 2007 წლის 6 მარტის სამკვიდრო მოწმობითა და 2007 წლის 24 აპრილის დამატებითი სამკვიდრო მოწმობით მ. ა-ვმა მიიღო სამკვიდრო, კერძოდ, ქ.თბილისში, ... დასახლების №8 კორპუსში მდებარე №141 ბინის 1/3, რაც აღირიცხა მის სახელზე, ხოლო დანარჩენი 2/3 - ს. ა-ვის სახელზე. სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რა ა. და კ. ა-ვებს მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან ექვს თვეში სამკვიდრო მოწმობის მისაღებად სანოტარო ორგანოსათვის განცხადებით არ მიუმართავთ, ხოლო მ. ა-ვმა სამკვიდროს გახსნის ადგილის მიხედვით სანოტარო ბიუროს სამკვიდროს მიღებისათვის დადგენილი ვადის გასლის შემდეგ მიმართა, ამასთან ამ უკანასკნელს სამკვიდრო არც ფაქტობრივი ფლობით არ მიუღია, რის გამოც სასამართლომ ნოტარიუსის მიერ სამკვიდრო მოწმობის გაცემა არაკანონიერად მიიჩნია, ხოლო, ვინაიდან მხარეებს სადავოდ არ გაუხდით კ. და ა. ა-ვების სადავო ბინაში ცხოვრება მამკვიდრებლის სიცოცხლეშიც და მისი გადაცვლების შემდეგაც, დადგინდა, რომ თითოეულმა მათგანმა სამკვიდროს 1/2 ფაქტობრივი ფლობით მიიღო. რაც შეეხება გარდაცვლილი ა. ა-ვის მიერ დატოვებულ სამკვიდროს, ვინაიდან მისი მეუღლე ე. ა-ვი არ აცხადებს პრეტენზიას, იგი გადაეცა მის შვილებს ალ.

და ამ. ა-ვებს თითოეულს 1/14 წილი. მ. ა-ვი დაოჯახების შემდეგ, 1988 წლიდან საცხოვრებლად გადავიდა მეულესთან. სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის საფუძველზე პალატამ დაყრდნობით, დაუსაბუთებლად მიიჩნია აპელანტის მოსაზრება სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღების თაობაზე რადგან მხოლოდ სადავო მისამართზე რეგისტრაციის ფაქტი არ ადასტურებს, რომ მემკვიდრე დასახელებულ მისამართზე ცხოვრობს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. ა-ვმა, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის გადაცემა იმავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატისათვის ხელახლა განსახილველად შემდეგი დასაბუთებით: ს. ა-ვის დანაშთ ქონებაზე სამკვიდრო გაიხსნა მამკვიდრებლის გარდაცვალების დღეს სამოქალაქო კოდექსის 1319-ე-1320-ე მუხლების შესაბამისად. კასატორმა სამკვიდრო მიიღო ამავე კოდექსის 1421-ე მუხლის საფუძველზე ფაქტობრივი ფლობით, რასაც ადასტურებს სადავო მისამართზე მისი რეგისტრაცია. დღეისათვის სადავო მისამართზე ცხოვრების საშუალებას კი მისი და და რძალი არ ძლევენ. სამკვიდრო მოწმობა გაიცა სრულიად კანონიერად, სამოქალაქო კოდექსის 1499-ე და 1453-ე მუხლების საფუძველზე და აღნიშნული გარემოების თაობაზე ცნობილი იყო მოწინააღმდეგე მხარისათვის სასამართლომ არასწორად ჩათვალა დადგენილად ის გარემოება, რომ სადავო ბინაში დღეისათვის ცხოვრობს კ. ა-ვი, რადგანაც იგი ფაქტობრივად დასთან - მ. ა-ვთან ცხოვრობს. ს. ა-ვს ჰყავდა ხუთი პირველი რიგის მემკვიდრე, რაც არ ყოფილა გამოკვლეული სასამართლოს მიერ. სასამართლომ არასწორად გაიზიარა ის გარემოება, რომ ნოტარიუსმა მხოლოდ რეგისტრაციის ფაქტზე დაყრდნობით გასცა სამკვიდრო მოწმობა, რადგანაც დასახელებული მოწმობის გაცემისას მ. ა-ვს თან ახლდა მისი და კ. ა-ვი. ასევე არასწორადაა გაზიარებული გარემოება ა. ა-ვის მიერ 3500 აშშ დოლარის გადახდის თაობაზე, რადგან საქმეში ამ ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულება არ ყოფილა წარმოდგენილი. თ. ხ-ნი, რომელიც მოწმის სახით იქნა დაკითხული, წარმოადგენს არა მეზობელს, არამედ კასატორის დის - მ. ა-ვის შვილს, რის გამოც იგი საქმის შედეგით დაინტერესებულია და არასწორი ჩვენების მიცემით შეცდომაში შეიყვანა სასამართლო. სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლი და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლი, რადგანაც სამკვიდრო მოწმობა გაცემულია საჯარო მოხელის - ნოტარიუსის მიერ და იგი წარმოადგენს ადმინისტრაციულ აქტს, რის გამოც საქმის წარმოება უნდა მომხდარიყო ადმინისტრაციული სამართალწამოების წესით. ვინაიდან სამკვიდრო მოწმობა რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში, სასამართლოს მოპასუხედ უნდა ეცნო ნოტარიუსი დ. ო-ძე, ხოლო მ. ა-ვი და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო დავაში უნდა იყვნენ ჩაბმული მესამე პირებად.

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: მამკვიდრებელი ს. ა-ვი გარდაიცვალა 1995 წლის 13 აპრილს, რომლის პირველი რიგის მემკვიდრეებს წარმოადგენენ მისი შვილები: ა., მ. და კ. ა-ვები. ა. ა-ვი გარდაიცვალა 1998 წლის 18 დეკემბერს, რომელსაც პირველი რიგის მემკვიდრეებად დარჩა მეულე ე. ა-ვი და შვილებით ამ. და ალ. ა-ვები. 12007 წლის 6 მარტის სამკვიდრო მოწმობითა და 2007 წლის 24 აპრილის დამატებითი სამკვიდრო მოწმობით მ. ა-ვმა მიიღო სამკვიდროდ ქ. თბილისში, ... დასახლების №8 კორპუსში მდებარე №141 ბინის 1/3, რაც აღირცხა მის სახეზე, ხოლო დანარჩენი 2/3 აღრიცხულია ს. ა-ვის სახელზე. ა. და კ. ა-ვებს მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან ექვს თვეში სამკვიდრო მოწმობის მისაღებად სანოტარო ორგანოსათვის განცხადებით არ მიუმართავთ, ხოლო მ. ა-ვმა სამკვიდროს გახსნის ადგილის მიხედვით სანოტარო ბიუროს სამკვიდროს მიღებისათვის დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ მიმართა, ამასთან ამ უკანასკნელს სამკვიდრო არც ფაქტობრივი ფლობით არ მიუღია. კ. და ა. ა-ვებმა სადავო ბინაში მამკვიდრებლის სიცოცხლეშიც და მისი გარდაცვალების შემდეგაც ცხოვრებით სამკვიდროს 1/2 ფაქტობრივი ფლობით მიიღეს. მ. ა-ვი დაოჯახების შემდეგ, 1988 წლიდან, საცხოვრებლად გადავიდა მეულესთან.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებულ განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ა-ვის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელი დარჩეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის „ბ« ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ გააუქმებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას, თუ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო პალატამ გასაჩივრებული განჩინებით სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა დადგენილ გარემოებებს და ამ ფაქტობრივი გარემოებების საწინააღმდეგოდ კასატორს დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია არ წარმოუდგენია.

ამ სახის პრეტენზიად ვერ მიიჩნევა და საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანი ვერ გახდება ს. ა-ვის პირველი რიგის სხვა ორი მემკვიდრის არსებობის ფაქტი, რადგანაც აღნიშნულ გარემოებაზე არც ერთი ინსტანციის სასამართლოს არ უმსჯელია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად, პირი თავად წყვეტს საკუთარი უფლების დასაცავად სასამართლოსათვის მიმართვის საკითხს.

მოცემულ შემთხვევაში ს. ა-ვის დანარჩენ ორ მემკვიდრეს აღნიშნული უფლებით არ უსარგებიათ და სასამართლოსათვის არ მიუმართავთ.

ასევე დაუსაბუთებელია კასატორის მოსაზრება, რომ სასამართლომ უკანონოდ არ გაიზიარა მის მიერ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად დადასტურებული გარემოება მემკვიდრეობის ფაქტობრივი ფლობით მიღების თაობაზე. კასატორი ამ გარემოების დასადასტურებლად უთითებს მის ახსნა-განმარტებაზე და სადავო ბინაზე რეგისტრაციაზე. სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც იგი სამკვიდრო გახსნის ადგილის სანოტარო ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მან სამკვიდრო მიიღო. ამდენად, სამკვიდროს მიღება ორი გზით - სანოტარო ორგანოში განცხადების შეტანისა და სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით შეიძლება განხორციელდეს. ორივე ხერხით სამკვიდროს მიღება ერთისა და იმავე შედეგის წარმოქმნილია და იურიდიულად რომელიმე მათგანს პრიორიტეტული მნიშვნელობა არ ენიჭება. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ სანოტარო ორგანოში მიმართვას ადასტურებს წერილობითი განცხადება. რაც შეეხება სამკვიდროს ფაქტობრივ ფლობას, იგი მემკვიდრის სხვადასხვა მოქმედებით შეიძლება დადგინდეს, თუმცა ნებისმიერი ამ მოქმედებიდან აშკარად უნდა იკვეთებოდეს მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღების სურვილი, მემკვიდრის ნება (სამკვიდროს მიღება ცალმხრივი გარიგებაა, რომლისთვისაც, ჩვეულებრივ, აუცილებელია ნების ნამდვილობა). მემკვიდრის ყველა ამგვარი მოქმედების შედეგს უნდა წარმოადგენდეს სამკვიდრო ქონების ფაქტობრივი ფლობა (მაგალითად: მამკვიდრებლის საცხოვრებელ სახლში ცხოვრება, მამკვიდრებლის ნივთების, როგორც საკუთარის მიღება და განკარგვა, სამკვიდროს ფაქტობრივი მართვა, მოვლა და სხვა). აღნიშნულიდან გამომდინარე, დაუსაბუთებელია კასატორის მითითება, რომ პირის საცხოვრებელ ბინაში რეგისტრაციის ფაქტი ადასტურებს მემკვიდრის მიერ სამკვიდროს ფაქტობრივ ფლობას. მართალია სათანადო ნორმატიული აქტი ავალდებულებს პირს საცხოვრებელი მისამართის მიხედვით რეგისტრაციას, მაგრამ კონკრეტულ მისამართზე პირის რეგისტრაცია თავისთავად არ გულისხმობს ამ მისამართზე პირის ცხოვრების ფაქტს. ამ დასკვნას ამყარებს სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლის პირველი ნაწილი, რომლის ძალითაც ფიზიკური პირის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა ის ადგილი, რომელსაც იგი ჩვეულებრივ საცხოვრებლად ირჩევს, პირს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი. მითითებული ნორმის დანაწესიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ კანონმდებელი არ გამორიცხს პირის საცხოვრებელი და რეგისტრაციის ადგილების არაიდენტიფიცირებას.

დაუსაბუთებელია კასატორის მოსაზრება სააპელაციო პალატის მიერ მტკიცებულების, მოწმე თ.ბ-ნის ჩვენების არასწორად შეფასების თაობაზე იმ მოტივით, რომ თ.ბ-ნი არის მოდავე მხარეთა დის - მ. ა-ვის შვილი, რომელიც დაინტერესებულია საქმის შედეგით. უპირველესად, უნდა აღინიშნოს, რომ თ.ბ-ნი საქმეში მხარეს არ წარმოადგენს და საქმის შედეგით ვერ იქნება დაინტერესებული. რაც შეეხება ნათესაურ დამოკიდებულებას, იგი ისეთივე ნათესავია მოწინააღმდეგე მხარის, როგორც - კასატორის. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ კრძალავს მხარის ნათესავის მოწმედ დაკითხვას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლი მეორე ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. სასამართლოს მიერ მტკიცებულების შეფასება გულისხმობს მტკიცებულებათა როგორც ინდივიდუალურ, ასევე მათ ერთობლიობაში შეფასებას. ამასთან, სასამართლო ვალდებულია, მოწმის ჩვენებაც და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებიც შეაფასოს მათი შინაარსის და იურიდიული დამაჯერებლობის კუთხით. აღნიშნული გულისხმობს ყველა იმ ობიექტური თუ სუბიექტური კრიტერიუმების (მხარეებთან დამოკიდებულებას, ფიზიკური მდგომარეობასა და სხვა) განხილვას და გამორიცხვას, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მოწმის ჩვენების სისწორეზე მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს მიერ დადგენილი სადავო გარემოება, სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღებისა, არ ეფუძნება მხოლოდ დამოწმის ჩვენებას და არც მტკიცებულების მიღება-შეფასება უკავშირდება საპროცესო კანონმდებლობის დანაწესების დარღვევას.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ დავა ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებს განეკუთვნება და, შესაბამისად იგი ადმინისტრაციული სასამართლოს განსჯადია, რადგანაც, მიუხედავად იმისა, რომ ნოტარიუსი საჯარო მოხელეა, მის მიერ გაცემული სამკვიდრო მოწმობა არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რადგანაც თავად სამემკვიდრეო ურთიერთობები სამოქალაქო კანონმდებლობას მიკუთვნებული წრიდან გამომდინარეობს და აღნიშნულ სფეროში წამოჭრილი ყოველი დავა გადაწყვეტილი უნდა იქნას არა ადმინისტრაციული, არამედ სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძველზე. აღნიშნული დავა ვერ იქნება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ დავებს მიკუთვნებული. დასახელებული მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება ის დავები, რაც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. მოცემულ შემთხვევაში კი, დავა გადაწყვეტილი უნდა იქნას სამოქალაქო, კერძოდ, სამემკვიდრეო სამართლის საფუძველზე, რადგან დავის საგანს წარმოადგენს სამკვიდრო ქონებაზე უფლების ცნობა და არა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების საკითხი.

არასწორია კასატორის მოსაზრება სათანადო მოპასუხის თაობაზე. მოცემულ შემთხვევაში დავის საგანი არის სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობა, რის შედეგადაც ხდება მოდავე სუბიექტების სამოქალაქო ურთიერთობებში ჩართვა, შესაბამისად, სარჩელი მიმართულია იმ პირის მიმართ, რომელიც სადავო ხდის სამართლებრივი ურთიერთობის იმ სახით არსებობას, როგორც იყო იგი კასატორის მიერ სამკვიდრო მოწმობის მიღებამდე. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, სასამართლომ სწორად მიიჩნია მ. ა-ვის სათანადო მოპასუხედ და არა მესამე პირად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დაადგინა:

მ. ა-ვის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
უცვლელი დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 24 აპრილის განჩინება.
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამკვიდროს მიღება

განჩინება

№ას-412-762-07

13 ნოემბერი, 2007 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავორტების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
მ. ცისკამე (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: ქორწინების განმავლობაში შექმნილი ქონების გაყოფა.

აღწერილობითი ნაწილი:

მ. ლ-ვამ 2006 წლის თებერვალში სასარჩელო განცხადებით მიმართა სასამართლოს მოპასუხეების ნ. ლ-ვას და ნოტარიუსი ე. გ-შვილის მიმართ და მოითხოვა ი. ლ-ვას სახელზე 1988 წლის 15 აპრილს გაცემული მემკვიდრეობის მოწმობის და ნ. ლ-ვას სახელზე 2005 წლის 21 ოქტომბერს გაცემული მემკვიდრეობის მოწმობის ბათილად ცნობა, ასევე მთელი სამკვიდრო ქონების - ქ. ქუთაისში, ... II შესახვევის №16-ში მდებარე საცხოვრებელი ბინი სმემკვიდრედ ცნობა. მან სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება მოითხოვა იმ საფუძველით, რომ ქ. ქუთაისში, ... ქ. II შესახვევის №16-ში მდებარე სახლის მესაკუთრე იყო მისი დედა თ. ლ-ვა. აღნიშნულ სახლში ცხოვრობდნენ მოსარჩელე და მისი ძმა ი. ლ-ვა. მათ მემკვიდრეობა არ აღუდგენიათ, რადგან ფაქტობრივად ფლობდნენ ბებია-ბაბუის და მშობლების დანაშთ ქონებას. მისი ძმა გარდაიცვალა 2005 წელს, რომლის მკურნალობისა და გასვენების ხარჯებიც მან და მისმა ოჯახმა გაიღო. მოსარჩელის სახით დარჩა ბებუის და ბაბუის დანაშთი ქონების ერთადერთი მემკვიდრე. მისთვის ცნობილი გახდა, რომ სასამართლოში სარჩელი შეიტანა მისმა ძმისშვილმა მისი ოჯახის წევრების საცხოვრებელი სახლიდან გამოსახლების შესახებ. სასარჩელო განცხადება დანართთან ერთად ჩაჰპარდა 2006 წლის 10 იანვარს, რომლითაც მისთვის ცნობილი გახდა, რომ მის ძმას 1988 წელს აღუდგენია მემკვიდრეობა. აღნიშნულ მისთვის ცნობილი არ იყო და აღნიშნულზე თანხმობა ან უარი მას არ განუცხადებია. შემდგომში მისი ძმის ი. ლ-ვას დანაშთ ქონებაზე მემკვიდრეობა აღუდგენია მის შვილს ნ. ლ-ვას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელის მოსაზრებებით, ი. ლ-ვაზე და ნ. ლ-ვაზე გაცემული სამკვიდრო მოწმობები უკანონოა, რაც მათი ბათილად ცნობის საფუძველია.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 11 აგვისტოს გადაწყვეტილებით მ. ლ-ვას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ლ-ვამ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 28 მარტის გადაწყვეტილებით მ. ლ-ვას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 11 აგვისტოს გადაწყვეტილება; მ. ლ-ვას სარჩელი დაკმაყოფილდა. 1998 წლის 15 აპრილს გაცემულ სამკვიდრო მოწმობაში შეტანილ იქნა ცვლილება და მ. ლ-ვას წილი ი. ძ-ძისა და ქ. ჯ-ძე-ძ-ძის დანაშთ ქონებაზე განისაზღვრა S1/2-ით. შესაბამისად 2005 წლის 21 ოქტომბერს გაცემულ სამკვიდრო მოწმობაში შეტანილ იქნა ცვლილება და ნ. ლ-ვას მიერ მიღებული სამკვიდრო ქონება განისაზღვრა ქ. ქუთაისში, ... ქ. II შესახვევის №16-ში მდებარე საცხოვრებელი

სახლის S1/2-ით. სააპელაციო სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ სადავო საცხოვრებელი სახლი წარმოადგენდა აპელანტის პაპისა და ბების - ი. მ-ძისა და ქ. ჯ-მე-მ-ძის საერთო საკუთრებას, რაც დასტურდება საქმეში არსებული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 2006 წლის 21 თებერვალს გაცემული ცნობით. მათი შვილი ანუ აპელანტის დედა თ. ლ-ვა გარდაიცვალა 1985 წელს და მისი გარდაცვალების შემდეგ 1988 წლის 15 აპრილს ი. მ-ძისა და ქ. ჯ-მე-მ-ძის დანაშთ ქონებაზე გაიკა სამკვიდრო მოწმობა ი. ლ-ვას სახელზე. სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლზე მითითებით ჩათვალა, რომ სადავო სამართლებრივი ურთიერთობა ამ კოდექსით მოაწესრიგონ. სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 1307-ე მუხლზე მითითებით მიიჩნია, რომ სადავო ქონებაზე მემკვიდრეებს წარმოადგენდნენ არამარტო ი. ლ-ვა, რომლის სახელზედაც არასწორად გაიკა სამკვიდრო მოწმობა, არამედ მ. ლ-ვაც, რომელიც დაბადებიდან 1953 წლიდან ცხოვრობდა ქ. ქუთაისში, ... ქ. II შესახვევის №16-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში. სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად მიიჩნია, რომ მართალია ი. ლ-ვამ მისი დედის გარდაცვალების შემდეგ შეიტანა განცხადება სანოტარო ორგანოში და მოითხოვა სამკვიდრო მოწმობის გაცემა, მაგრამ მის სახელზე სამკვიდრო მოწმობა გაცემულ უნდა ყოფილიყო სადავო საცხოვრებელი სახლის მხოლოდ S1/2-ზე იმ საფუძველით, რომ ქონების მეორე ნაწილის მემკვიდრეს წარმოადგენდა მ. ლ-ვა, რომელიც ფაქტობრივად ფლობდა სადავო ქონებას. სადავო საცხოვრებელი სახლის თანამფლობელებს წარმოადგენენ ი. და მ. ლ-ვები. სააპელაციო პალატამ სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის მე-3 ნაწილზე მითითებით ჩათვალა, რომ მ. ლ-ვა ითვლება სადავო საცხოვრებელი სახლის S1/2-ის მემკვიდრედ და არანაირი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ იგი დროებით, დაქორწინების შემდეგ, ცხოვრობდა ნაქირავებ ბინაში. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ ნოტარიუსის მიერ დადგენილ უნდა ყოფილიყო ის გარემოება, არსებობდნენ თუ არა სხვა მემკვიდრეები და ამის შემდეგ უნდა მომხდარიყო მის მიერ ი. ლ-ვასთვის სამკვიდრო მოწმობის გაცემა. საქმის მასალებიდან არ ირკვევა და არც მოწინააღმდეგე მხარის მიერ არ ყოფილა წარმოდგენილი არანაირი მტკიცებულება იმასთან დაკავშირებით, რომ მ. ლ-ვამ უარი განაცხადა სამკვიდროს მიღებაზე კანონით დადგენილი წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 28 მარტის გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანეს ე. გ-შვილმა და ნ. ლ-ვამ, რომლითაც მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. კასატორებმა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 381-ე მუხლზე მითითებით განმარტეს, რომ სასარჩელო განცხადებით მ. ლ-ვა ითხოვდა ი. ლ-ვასა და ნ. ლ-ვაზე გაცემული სამკვიდრო მოწმობების ბათილად ცნობას, ხოლო სააპელაციო საჩივრით ითხოვდა ზემოაღნიშნული სამკვიდრო მოწმობების ბათილად ცნობას, ასევე ქ. ჯ-ძისა და ი. მ-ძის საცხოვრებელ სახლზე, მდებარე ქ. ქუთაისში, ... II შესახვევის №16-ში მემკვიდრედ ცნობას. ამდენად, სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მ. ლ-ვამ შეცვალა დავის საგანი, ერთგვარად გააძიდა კიდეც მოთხოვნა, რაც ეწინააღმდეგება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 381-ე მუხლის მოთხოვნას. სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია მ. ლ-ვას ახალი მოთხოვნის დაყენების უფლების კანონიერებაზე, არ უმსჯელია, თუ რა ფარგლებში განიხილავდა სააპელაციო საჩივარს.

კასატორების მითითებით, სასამართლომ უხეშად დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის მოთხოვნა, სასამართლომ მხარეს მიაკუთვნა ის, რასაც არ ითხოვდა, ცნო მ. ლ-ვა სადავო ქონების არა მემკვიდრედ, არამედ მესაკუთრედ.

კასატორების მოსაზრებით, სასამართლომ ასევე დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 244-ე და 105-ე მუხლების მოთხოვნები. კასატორის მითითებით, მამკვიდრებელ თ. მ-ძეს სიცოცხლეში სურდა ქონების კასატორის მამაზე გადაფორმება, მაგრამ გარდაიცვალა 1985 წლის 25 მაისს. მ. ლ-ვა არ უარყოფს, რომ ი. ლ-ვა დედის გარდაცვალების შემდეგ ნამდვილად ცხოვრობდა სადავო სახლში. სასამართლო ვალდებული იყო შესაბამის მტკიცებულებებზე დაყრდნობით გამოკვლია, ცხოვრობდა თუ არა მ. ლ-ვა 1985 წელს სადავო სახლში. 2005 წლამდე მ. ლ-ვას სადავო ბინაში არ უცხოვრია. კასატორის მითითებით, დავის გადაწყვეტისას სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 1434-ე მუხლი. სასამართლომ ასევე არ მიუთითა, თუ რა პერიოდს მოიცავდა მ. ლ-ვას მიერ სხვა სახლში ცხოვრების დრო, იყო თუ არა ეს სამკვიდროს მიღებისათვის დადგენილ 6-თვიან ვადაში. ამ შემთხვევაში სასამართლომ არასწორად განმარტა 1421-ე მუხლი, სასამართლომ ასევე არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 1424-ე მუხლი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების განხილვის, საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების შედეგად თვლის, რომ ნ. ლ-ვას და ე. გ-შვილის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, მოცემულ საქმეზე უცვლელად უნდა დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 28 მარტის გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ სადავო საცხოვრებელი სახლი წარმოადგენდა ი. მ-ძისა და ქ. ჯ-მე-მ-ძის საერთო საკუთრებას, რაც დასტურდება საქმეში არსებული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 2006 წლის 21 თებერვალს გაცემული ცნობით. მათი შვილი თ. ლანავა გარდაიცვალა 1985 წელს და მას დარჩა ორი შვილი: მ.

და ი. ლ-ვები. მისი გარდაცვალების შემდეგ 1988 წლის 15 აპრილს ი. მ-ძისა და ქ. ჯ-მე-ძ-ძის დანაშთ ქონებაზე გაიცა სამკვიდრო მოწმობა ი. ლ-ვას სახელზე.

საკასაციო პალატა თვლის, რომ ვინაიდან მოცემული დავის მხარეებს სურთ ერთმანეთს შორის ურთიერთობა მოაწესრიგონ სამოქალაქო კოდექსით, ამიტომ სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის თანახმად სწორად მიუთითა, რომ მოცემული საქმის გადაწყვეტისას გამოყენებულ უნდა იქნეს მოქმედი სამოქალაქო კოდექსი. სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დაკითხული მოწმეების განმარტებების საფუძველზე დადგენილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ მ. ლ-ვა 1953 წლიდან ცხოვრობდა ქ. ქუთაისში, ... ქ. II შესახვევის №16-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში. იგი ცხოვრობდა და ფლობდა სადავო საცხოვრებელ სახლს როგორც პაპისა და ბების, ასევე მშობლების გარდაცვალების შემდეგაც; საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ სწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლი. ამ მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც იგი სამკვიდროს გახსნის ადგილი სანოტარო ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მან სამკვიდრო მიიღო, ხოლო იმავე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, თუ მემკვიდრე ფაქტობრივად შეუდგა სამკვიდროს ნაწილის ფლობას, ითვლება, რომ მან მთლიანად მიიღო, სამკვიდრო, რაშიც უნდა გამოიხატებოდეს და სადაც უნდა იყოს იგი. სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ მართალია, მ. ლ-ვა ცოტა ხნით ცხოვრობდა ნაქირავებ ბინაში, მაგრამ აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ იგი დედის გარდაცვალების შემდეგ არ დაუფლებია სამკვიდრო ქონებას და არ ფლობდა მას. სასამართლომ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 155-ე მუხლი და მიუთითა, რომ სამკვიდრო საცხოვრებელი სახლის თანამფლობელებს წარმოადგენენ ი. და მ. ლ-ვები. სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, კანონით მემკვიდრეები კანონით მემკვიდრეობის დროს თანასწორი წილის უფლებით მემკვიდრეებად ითვლებიან პირველ რიგში გარდაცვლილის შვილები, მეუღლე, მშობლები (შვილიშვილები). ამ ნორმის შინაარსი მიუთითებს იმაზე, რომ კანონმდებელი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს კანონით მემკვიდრეთა შორის წილის გათანაბრებაზე, რის გამოც მემკვიდრეთა შორის სამკვიდრო ქონება თანაბრად უნდა განაწილდეს, ამიტომ საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად ჩათვალია, რომ მ. ლ-ვა ითვლება სადავო საცხოვრებელი სახლის 1/2-ის მემკვიდრედ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლო-სათვის, თუ წამოყენებული არ არის დაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორი შეფასება და მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების არასწორად გამოყენება და განმარტება. საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორებს ასეთი დასაბუთებული პრეტენზია არ წარმოუდგენიათ.

საკასაციო პალატას დასაბუთებლად მიაჩნია კასატორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ სასარჩელო განცხადებით მ. ლ-ვა ითხოვდა ი. ლ-ვაზე და ნ. ლ-ვაზე გაცემული სამკვიდრო მოწმობების ბათილად ცნობას და ქ. ჯ-ძისა და ი. მ-ძის ქონებაზე, საცხოვრებელ სახლზე მდებარე ქ. ქუთაისში, ... OII შესახვევის №16-ში მემკვიდრედ ცნობას. ხოლო სააპელაციო საჩივრით მოითხოვა ზემოაღნიშნული სამკვიდრო მოწმობების ბათილად ცნობა, ასევე ქ. ჯ-ძისა და ი. მ-ძის საცხოვრებელ სახლზე, მდებარე ქ. ქუთაისში, ... II შესახვევის №16-ში მემკვიდრედ ცნობა. სააპელაციო სასამართლოში მთავარ სხდომაზე საქმის განხილვის დროს კი მ. ლ-ვას წარმომადგენელმა მოთხოვნა შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: ცვლილება შევიდეს სამკვიდრო მოწმობაში, კერძოდ, სადავო ბინის S1/2-ის მესაკუთრედ აღიარებული იქნეს მ. ლ-ვა და 1/2-ის მესაკუთრედ ნ. ლ-ვა. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მ. ლ-ვამ შეცვალა დავის საგანი, ერთგვარად გაადიდა კიდეც მოთხოვნა, რაც ეწინააღმდეგება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 381-ე მუხლის მოთხოვნას. სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია მ. ლ-ვას ახალი მოთხოვნის დაყენების უფლების კანონიერებაზე, არ უმსჯელია, თუ რა ფარგლებში განიხილავდა სააპელაციო საჩივარს. საკასაციო პალატა თვლის, რომ ზემოაღნიშნული არ წარმოადგენს დავის საგნის შეცვლას ან მოთხოვნის გადიდებას, რადგან კასატორი სადავოდ არ ხდის იმ გარემოებას, რომ მოსარჩელე სასარჩელო განცხადებით და სააპელაციო საჩივრით ითხოვდა მემკვიდრედ ცნობას. სამოქალაქო კოდექსის 1433-ე მუხლის თანახმად კი მიღებული სამკვიდრო ცნობას. სამოქალაქო კოდექსის 1433-ე მუხლის თანახმად კი მიღებული სამკვიდრო მემკვიდრის საკუთრებად ითვლება მემკვიდრეობის გახსნის დღიდან. ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ მ. ლ-ვამ დავის საგანი კი არ შეცვალა ან გაადიდა, არამედ შეამცირა თავისი მოთხოვნა და მთელი სამკვიდრო ქონების ნაცვლად მხოლოდ სამკვიდროს 1/2-ზე მოითხოვა თავისი უფლების აღიარება. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით კი არ არის შეზღუდული სასარჩელო მოთხოვნის შემცირება.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს მოცემული დავის გადაწყვეტისას კანონი არ დაურღვევია და საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი :

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დაადგინა :

ნ. ლ-ვას და ე. გ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
მოცემულ საქმეზე უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 28 მარტის გადაწყვეტილება.
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სამკვიდროს მიღების ვადა

განჩინება

№ას-386-737-07

10 დეკემბერი, 2007 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი
(თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ცისკაძე,
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელება.

აღწერილობითი ნაწილი :

2003 წლის 30 ივლისს მ. ა-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართა ქ.თბილისის ისანი-სამგორის რაიონულ სასამართლოს ი. ა-შვილის წინააღმდეგ და მოითხოვა სამკვიდროს მიღების კანონით დადგენილი ვადის აღდგენა შემდეგ გარემოებათა გამო:

მოსარჩელის მითითებით, იგი 2000 წელს გახდა სრულწლოვანი და მოიპოვა აწ გარდაცვლილი მამის - შ. ა-შვილისა და ბიძის - ე. ა-შვილის დანაშთი ქონებიდან მის კანონიერ წილზე სამკვიდრო მოწმობის მიღების უფლება, თუმცა, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობისა და დედის - ვ. ა-შვილის ავადმყოფობის გამო, სამკვიდროს მიღების კანონით დადგენილი 6-თვიანი ვადა გაუშვა. მოსარჩელემ სასარჩელო განცხადებაში ასევე აღნიშნა, რომ იგი მამის - შ. ა-შვილის ერთადერთი მემკვიდრეა, ხოლო ბიძის დანაშთი ქონებაზე სამკვიდრო მოწმობას ითხოვს იმ ნაწილზე, რომელიც მამამისმა ბიძისაგან 55 000 რუსულ მანეთად შეიძინა.

გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილებით მ. ა-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა და მოსარჩელეს სამკვიდროს მიღების ვადა 6 თვით გაუგრძელდა.

გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ი. ა-შვილმა. სააპელაციო სასამართლოს 2004 წლის 21 სექტემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით აპელანტის სააპელაციო საჩივარს ეთქვა უარი აპელანტის გამოუცხადებლობის გამო; უცვლელად დარჩა გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილება.

აპელანტმა დაუსწრებელი გადაწყვეტილება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით თბილისის საოლქო სასამართლოს იმავე პალატაში გაასაჩივრა. სააპელაციო პალატამ 2004 წლის 17 დეკემბრის საოქმო განჩინებით საჩივარი დააკმაყოფილა და საქმის წარმოება განაახლა.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატამ 2005 წლის 18 თებერვლის განჩინებით მხარეთა შორის მორიგება დაამტკიცა და გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილება გააუქმა.

2006 წლის 24 ივლისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა ნ. ა-შვილმა და მოითხოვა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 18 თებერვლის განჩინების ბათილად ცნობა შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში წარმოდგენილი გარდაბნის რაიონული სასამართლოს 1988 წლის 4 აგვისტოს გადაწყვეტილების თანახმად, განმცხადებელს, როგორც ი. ა-შვილის კანონიერ წარმომადგენელს, გ. ა-შვილის დანაშთი ქონებიდან ერთი მესამედი წილი მიეკუთვნა. ზემოაღნიშნული მორიგება კი მისი მონაწილეობის გარეშე დამტკიცდა, შესაბამისად, მისი საკუთრების უფლება დაირღვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 8 ნოემბრის განჩინების საფუძველზე ნ. ა-შვილის განცხადება დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 18 თებერვლის განჩინება და ი. ა-შვილის სააპელაციო საჩივარზე საქმის წარმოება განაახლდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო პალატის 2006 წლის 1 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ი. ა-შვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის გამო, გაუქმდა გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, მ. ა-შვილის სარჩელი სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

დაუსწრებელი გადაწყვეტილება მ. ა-შვილმა გაასაჩივრა სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. სააპელაციო პალატის 2007 წლის 14 მარტის საოქმო განჩინებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის პირველი დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაუქმდა და ი. და ნ. ა-შვილების სააპელაციო საჩივარზე საქმის წარმოება განახლდა.

სააპელაციო პალატის 2007 წლის 14 მარტის გადაწყვეტილებით ი. ა-შვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, მ. ა-შვილის სარჩელი სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

1. მ. ა-შვილი არის აწ გარდაცვლილი შ. ა-შვილის შვილი;

2. 1988 წლის 15 აპრილს გარდაბნის ნოტარიუსის მიერ გაცემულ იქნა კანონისმიერი მემკვიდრეობის მოწმობა, რომლის შესაბამისად გ. ა-შვილის შვილები - ე. ა-შვილი და შ. ა-შვილი ცნობილ იქნენ გარდაბნის რ-ნის სოფ. ... მდებარე, მამის დანაშთი ქონების თანაბარი წილის მემკვიდრეებად;

3. გარდაბნის რ-ნის სასამართლოს 1988 წლის 4 აგვისტოს გადაწყვეტილებით გარდაბნის რ-ნის სახელმწიფო ნოტარიუსის სამემკვიდრეო საქმეში შეტანილ იქნა დამატება და ნ. ძ-ძეს, ი. ა-შვილის წარმომადგენლის დედას, მიეცა გ. ა-შვილის დანაშთი ქონებიდან - გარდაბნის რ-ნის სოფ. ... მდებარე საცხოვრებელი სახლიდან მესამედი წილი;

4. შ. ა-შვილი გარდაიცვალა 1997 წლის 9 ივლისს;

5. 2003 წლის პირველ ივლისს მ. ა-შვილის წარმომადგენელმა სამკვიდრო მოწმობის მისაღებად მიმართა გარდაბნის ნოტარიუსს;

6. ნოტარიუსის 2003 წლის 7 ივლისის დადგენილებით განმცხადებელს უარი ეთქვა სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე სამკვიდრო მოწმობის მისაღებად კანონით დადგენილი ვადის გაშვების გამო;

7. მოსარჩელე მ. ა-შვილის მოთხოვნა სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელების თაობაზე ემყარება იმ გარემოებას, რომ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ის იყო არასრულწლოვანი, ხოლო სრულწლოვანების მიღწევის შემდგომ (2000 წლის 9 ნოემბერს), დედის ავადმყოფობის გამო, ვერ შეძლო კანონით მისთვის მინიჭებული უფლების განხორციელება;

8. მოსარჩელე მ. ა-შვილი დაიბადა 1982 წლის 9 ნოემბერს, ხოლო სამკვიდრო გაიხსნა 1997 წლის 9 ივლისს, შესაბამისად, სამკვიდროს მიღების კანონით დადგენილი ვადა დამთავრდა 1998 წლის 9 იანვარს.

სააპელაციო პალატამ აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებისას იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1422-ე და 1198-ე მუხლებით და განმარტა შემდეგი: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1422-ე მუხლის შესაბამისად, ქმედუუნარო და შეზღუდული ქმედუუნარიანობის მქონე პირები სამკვიდროს იღებენ მათი კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით, ამავე კოდექსის 1198-ე მუხლის შესაბამისად, მშობლები თავიანთი არასრულწლოვანი შვილების კანონიერი წარმომადგენლები არიან და განსაკუთრებულ რწმუნებულებათა გარეშე გამოდიან მათი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად მესამე პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის - სასამართლოშიც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ მიუთითა, რომ მ. ა-შვილს 1997 წლის 9 ივლისიდან 1998 წლის 9 იანვრამდე შეეძლო მემკვიდრეობა მიეღო მისი კანონიერი წარმომადგენლის - დედის მეშვეობით. ამიტომ ამ საფუძველით ვადის გაშვება არ წარმოადგენს კანონით განსაზღვრულ საპატიო მიზეზს, რაც შეეხება დედის ავადმყოფობას, პალატამ არც აღნიშნული მიიჩნია ვადის გაშვების საპატიოობის საფუძველად, ვინაიდან მ. ა-შვილის დედის - ვ. ა-შვილის ავადმყოფობა დასტურდება 2000 წლის 31 ოქტომბრიდან 2000 წლის 7 ნოემბრამდე, მაშინ, როდესაც მოსარჩელეს სამკვიდრო მოწმობის მიღების უფლება 1997 წლის 9 ივლისიდან 1998 წლის 9 იანვრამდე ჰქონდა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მ. ა-შვილს უარი უთხრა სამკვიდრო მოწმობის მიღების ვადის აღდგენაზე მისი არასაპატიოდ გაშვების საფუძველით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. ა-შვილმა და მოითხოვა აღნიშნული გადაწყვეტილების შეცვლა და ამავე პალატის 2006 წლის 8 ნოემბრის განჩინების გაუქმება იმ საფუძველით, რომ სააპელაციო პალატამ 2006 წლის 8 ნოემბერს ისე განაახლა საქმის წარმოება, რომ არ უმსჯელია განჩინების ბათილობის საფუძველის ხანდაზმულობაზე, გარდა ამისა, სასამართლო გასცდა ნ. ა-შვილის მოთხოვნის ფარგლებს. კასატორის აზრით, სასამართლოს ასევე არ უმსჯელია ნ. ა-შვილისა და ნ. ძ-ძის პიროვნებათა იდენტურობის შესახებ. კასატორი მიუთითებს ასევე სააპელაციო პალატის მიერ საპროცესო ნორმების დარღვევაზე და ეჭვქვეშ აყენებს ი. ა-შვილის წარმომადგენლის - თ. კ-ავას უფლებამოსილების საკითხს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა გასაჩივრებული განიხილისა და გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთება და მიიჩნია, რომ მ. ა-შვილის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის თანახმად, განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს ერთი თვის განმავლობაში და ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება. ვადის დენა იწყება იმ დღიდან, როდესაც მხარისათვის ცნობილი გახდა გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლების არსებობა.

ამავე კოდექსის 427-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, განცხადება უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომლებიც მოწმობენ, რომ დაცულია განცხადების შეტანის ვადა და ამ გარემოებების დამადასტურებელ მტკიცებულებებზე. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ განცხადების ავტორის მითითება განცხადების შეტანის ერთთვიანი ვადის დაცვის შესახებ რაიმე მტკიცებულებით უნდა იყოს დადასტურებული. ასეთ შემთხვევაში ერთთვიანი ვადის დაცვის მტკიცების ტვირთი განცხადების ავტორს ეკისრება. საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ საქმეში არ არის წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება აღნიშნული ვადის დაცვის დადასტურების მიზნით.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სამკვიდროს გახსნის შედეგად მემკვიდრეობის მიღებისათვის მხოლოდ მემკვიდრეობის უფლების ქონა საკმარისი არ არის, ანუ მხოლოდ უფლების არსებობა არ წარმოშობს იურიდიულ შედეგს. აღნიშნული უფლების სარეალიზაციოდ აუცილებელია კონკრეტული მოქმედების განხორციელება - მემკვიდრეობის მიღება. მემკვიდრეობის სამართალი სამკვიდროს მიღების ორ ფორმას იცნობს, მემკვიდრეობის მიღებას უფლებამოსილ თანამდებობის პირთან ნების გამოხატვითა და კონკლუდენტური მოქმედებით. უფლებამოსილ თანამდებობის პირთან ნების გამოხატვა შეზღუდულია დროით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1424-ე მუხლის შესაბამისად, სამკვიდრო მიღებულ უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან. ამავე კოდექსის 1426-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადა შეიძლება გააგრძელოს სასამართლომ, თუ ვადის გადაცილების მიზეზები საპატიოდ იქნება მიჩნეული. კანონმდებელი საპატიობის კრიტერიუმებს არ აკონკრეტებს, აღნიშნული ყოველი კონკრეტული შემთხვევის თავისებურებიდან გამომდინარეობს, თუმცა, სამართლის ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, სამკვიდროს მიღების ვადის გაშვების საპატიობის ორი მნიშვნელოვანი საფუძველი უნდა განისაზღვროს: 1. თუ მემკვიდრემ არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა სამკვიდროს გახსნის თაობაზე; 2. თუ მემკვიდრემ ვადა რაიმე საპატიო საფუძველით გაუშვა და მან სასამართლოს ვადის აღდგენის თაობაზე აღნიშნული საფუძვლის აღმოფხვრის შემდეგ მიმართა.

სააპელაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მ. ა-შვილს 1997 წლის 9 ივლისიდან 2000 წლის 9 ნოემბრამდე შეეძლო, მემკვიდრეობა მიეღო მისი კანონიერი წარმომადგენლის - დედის მეშვეობით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ საფუძველით ვადის გაშვება კანონით განსაზღვრულ მიზეზს არ წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს, რომ წარმომადგენლის მიერ მოქმედებათა შეუსრულებლობა თავისთავად არ წარმოადგენს ვადის გაშვების საპატიო მიზეზს. ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ვადის გაშვების საპატიობაზე მსჯელობისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს კანონიერი წარმომადგენლის დამოკიდებულება არასრულწლოვანთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მიმართ. კანონიერი წარმომადგენლის მიერ თავის მოვალეობის არაჯეროვანი შესრულება ან უფლებამოსილების უკანონო გამოყენება შეიძლება გახდეს არასრულწლოვანის მიერ გაშვებული სამკვიდროს მიღების ვადის აღდგენის საფუძველი.

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით იმასთან დაკავშირებით, რომ ვ. ა-შვილი მკურნალობდა 2000 წლის 31 ოქტომბრიდან 2000 წლის 7 ნოემბრამდე და 2000 წლის 9 ნოემბრიდან 2000 წლის 17 ნოემბრამდე. პალატამ აღნიშნული მტკიცებულებები არასაკმარისად მიიჩნია სამკვიდროს მიღების ვადაში ვ. ა-შვილის ავადმყოფობის ფაქტის დასადასტურებლად. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს ვ. ა-შვილის ავადმყოფობის თაობაზე მტკიცებულებების შესწავლისას თერაპიის განყოფილებაში მკურნალობის თარიღებთან ერთად ყურადღება უნდა გაემახვილებინა ავადმყოფობის სიმძიმეზე და გაეთვალისწინებინა მისი შვილის შესაძლებლობა, ეზრუნა სამკვიდროს მიღებაზე ასეთ პირობებში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის მიერ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. ამასთან, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სააპელაციო პალატამ, პირველ რიგში, უნდა იმსჯელოს საქმის წარმოების განახლების თაობაზე განცხადების დასაშვებობის წინაპირობებზე, კერძოდ კი, განცხადების სასამართლოში კანონით დადგენილ ერთთვიან ვადაში

შეტანის საკითხზე. დამატებითი მტკიცებულებები კი სამკვიდროს მიღების ვადის გაშვების საპატიოობის ფაქტის დასადაგენად მხოლოდ მას შემდეგ უნდა გამოიკვლიოს, თუ საქმის წარმოების განახლების პროცესულურ-სამართლებრივი წინაპირობების არსებობა დადგინდება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 412-ე, 427-ე მუხლებითა და

დაადგინა:

მ. ა-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
მოცემულ საქმეზე გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის პირველი სექტემბრის განჩინება, 2006 წლის 8 ნოემბრის განჩინება და 2007 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა იმავე სააპელაციო პალატას;
განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

16. სავალდებულო წილი

განჩინება

№ ას-59-408-07

12 სექტემბერი, 2007 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
თ. თოდრია (მომხსენებელი),
რ. ნადირიანი**

დავის საგანი: ჩუქების ხელშეკრულების, ანდერძების ბათილად ცნობა და მემკვიდრედ ცნობა (სარჩელში); მესაკუთრედ ცნობა (შეგებებულ სარჩელში).

აღწერილობითი ნაწილი:

არასრულწლოვანი შვილების - ლი. და ლა. ქ-შვილების წარმომადგენელმა ლე. ქ-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში ნ. ზ-შვილის მიმართ და აღნიშნა, რომ ლუ. და გ. ქ-შვილები იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში 1960 წლის 21 ნოემბრიდან. მათ ერთად ცხოვრების პერიოდში, 1961 წლის 14 მარტს, შეეძინათ შვილი - დ. ქ-შვილი, რომელთანაც რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა 1982 წლის 16 იანვრიდან. მათ ერთად ცხოვრების პერიოდში შეეძინათ ორი შვილი - 1991 წლის 17 დეკემბერს დაბადებული ლა. ქ-შვილი და 1989 წლის 14 დეკემბერს დაბადებული ლი. ქ-შვილი.

მოსარჩელის განმარტებით, მისი შვილების ბებია და პაპა - ლუ. და გ. ქ-შვილები დაქორწინებიდან ცხოვრობდნენ გორის რ-ნის სოფ. ... და 1961-1966 წლების საკომლო წიგნში ოჯახის უფროსად აღრიცხული იყო აწ გარდაცვლილი გ. ქ-შვილი. მას კომლის წევრთა სიაში ეწერა ასევე შვილი - დ. ქ-შვილი. გ. ქ-შვილი მოგვიანებით ამოეწერა სოფ. ... და საცხოვრებლად გადავიდა ქ. გორში, ... ქ. №34-ში მდებარე ბინაში, რომლის მესაკუთრედ იგი ითვლებოდა გარდაცვალებამდე. გ. ქ-შვილის გარდაცვალების შემდეგ მთელი სამკვიდრო ქონება, კერძოდ, ქ. გორში, ... ქ. №34-ში მდებარე ბინა 1971 წლის 11 აგვისტოს №6/7053 სამკვიდროს მოწმობის საფუძველზე მთლიანად აღირიცხა ლუ. ქ-შვილის სახელზე.

მოსარჩელის განმარტებით, იგი შვილებსა და მეუღლესთან ერთად ჩაწერილი იყო აღნიშნულ ბინაში. ბინაში ცხოვრებას დღემდე აგრძელებს შვილებთან ერთად, როგორც მისთვის გახდა ცნობილი დედამთილს, აწ გარდაცვლილ ლუ. ქ-შვილს, 1998 წლის 2 დეკემბერს №2-565 სანოტარო წესით შედგენილი ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე აღნიშნული ბინა უჩუქებია თავისი დის შვილისათვის, მოპასუხისთვის - ნ. ზ-შვილისათვის. ამასთან, 1998 წლის ოქტომბერში შედგენილი ანდერძით გორის რ-ნის სოფ. ... მდებარე ქონება ასევე უანდერძებია ნ. ზ-შვილისათვის.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ლუ. ქ-შვილი გარდაიცვალა ათეროსკლეროზით და აქვს საფუძვლიანი ეჭვი იმის თაობაზე, რომ როგორც ანდერძზე, ასევე ჩუქების ხელშეკრულებაზე, ლუ. ქ-შვილის სახელით შესრულებული ხელმოწერა მას არ ეკუთვნის. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა 1998 წლის 8 დეკემბრის №565 ჩუქების ხელშეკრულების, ასევე, 1998 წლის 10 ოქტომბრის სხვადასხვა სახით და შინაარსით გაცემული ანდერძების ბათილად ცნობა და მისი არასრულწლოვანი შვილების - ლი. და ლა. ქ-შვილების, აწ გარდაცვლილი ლუ. ქ-შვილის ქონებაზე მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობა.

ნ. ზ-შვილმა არ ცნო სარჩელი და 2002 წლის 28 მაისს შეგებებული სასარჩელო განცხადებით მიმართა სასამართლოს. მისი განმარტებით, აწ გარდაცვლილმა ლუ. ქ-შვილმა როგორც ანდერძის, ასევე ჩუქების ხელშეკრულების შედგენისას გონივრულად განსაჯა საკუთარი მოქმედება და ნათლად გამოხატა თავისი ნება ქონების განკარგვისას. აღნიშნული დადასტურებულია მისივე ხელმოწერით. ნ.ზ-შვილმა მოითხოვა ქ.გორში, ... ქ. №34 ბინიდან, ასევე გორის რ-ნის სოფ. ... მდებარე ბინიდან მოსარჩელის გამოსახლება.

გორის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ლი. და ლა. ქ-შვილების წარმომადგენლის - ლე. ქ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა; ამავე გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ნ. ზ-შვილის შეგებებული სარჩელი - ლი., ლა. და ლე. ქ-შვილებს აკრძალათ ნ. ზ-შვილის სახელზე რიცხული ქონების უკანონოდ ფლობა და ისინი გამოსახლებულ იქნენ ქ.გორში, ... ქ. №34-ში მდებარე ბინიდან.

გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ლა. და ლი. ქ-შვილების წარმომადგენელმა ლე. ქ-შვილმა. აპელანტმა მოითხოვა გორის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით მისი სარჩელის დაკმაყოფილება და მოპასუხის მიერ წარდგენილ შეგებებულ სასარჩელო განცხადებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 7 ნოემბრის განჩინებით ლა. და ლი. ქ-შვილების წარმომადგენლის - ლე. ქ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. გორის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ მოსარჩელის მთავარ მოთხოვნას წარმოადგენს მისი არასრულწლოვანი შვილების - ლი. და ლა. ქ-შვილების, აწ. გარდაცვლილი ლუ. ქ-შვილის ქონებაზე მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობა. სააპელაციო პალატამ განმარტა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლი და მიუთითა, რომ ლა. და ლი. ქ-შვილების წარმომადგენელი ლე. ქ-შვილი ზემოაღნიშნული მუხლით დადგენილი წესით ვერ ადასტურებს იმ გარემოებებს, რაზედაც ამყარებს თავის მოთხოვნას, კერძოდ, იგი ვერ ადასტურებს იმ გარემოებებს, რომ სადავო გრიგებებზე აწ გარდაცვლილი ლუ. ქ-შვილის სახელით შესრულებული ხელმოწერა მას არ ეკუთვნის და ლ. ქ-შვილის მიერ მოწინააღმდეგე მხარე ნ. ზ-შვილისათვის უძრავი ქონების ჩუქების, კერძოდ, ანდერძით დატოვების ნება არ გამოვლენილა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ლა. და ლი. ქ-შვილების წარმომადგენელმა ლე. ქ-შვილმა და მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლით: კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლო დაეყრდნო ორი ანდერძისა და ჩუქების ხელშეკრულების ასლებსა და არა დედნებს, რითაც დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 135-ე მუხლის მოთხოვნა. კასატორი მიუთითებს ასევე იმის თაობაზე, რომ უძრავი ქონების ჩუქებისა და ანდერძის გაფორმებისას აწ გარდაცვლილი ლუ. ქ-შვილის ნების ნამდვილობას და სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძვლად მიუთითებს იმ გარემოებებზე, რომ სასამართლო გადაწყვეტილება დაეყრდნო საქმეზე ჩატარებულ კალიგრაფიული ექსპერტიზის დასკვნებს, რომლებიც, კასატორის განმარტებით, არასრულყოფილია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა - კანონიერების შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ლა. და ლი. ქ-შვილების წარმომადგენლის - ლე. ქ-შვილის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შესაბამისად, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 7 ნოემბრის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

ამავე კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ ლუ. ქ-შვილი და გ. ქ-შვილი რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ 1960 წლის 21 ნოემბრიდან. 1964 წლის 14 მარტს მათ შეეძინათ შვილი - დ. ქ-შვილი.

სააპელაციო სასამართლოს მიერ ასევე დადგენილია, რომ დ. ქ-შვილი და ლე. ქ-შვილი (კასატორების წარმომადგენელი) დაქორწინდნენ 1982 წლის 26 იანვარს და შეეძინათ ორი შვილი - 1989 წლის 14 დეკემბერს დაბადებული ლი. ქ-შვილი და 1991 წლის 17 დეკემბერს დაბადებული ლა. ქ-შვილი.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ დ. ქ-შვილი გარდაიცვალა 1992 წლის 21 იანვარს, გ. ქ-შვილი-1970 წლის 11 დეკემბერს, ხოლო ლუ. ქ-შვილი კი 2001 წლის 2 თებერვალს.

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ 1998 წლის 2 დეკემბრის №2-565 ჩუქების ხელშეკრულებით ლუ. ქ-შვილმა ქ. გორში, ... ქ. №34-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის Sნაწილი

აჩუქა დისშივლს - ნ. ზ-შვილს, მასვე 1998 წლის 10 ოქტომბერს შედგენილი ანდერძით ლუ. ქ-შვილმა უანდერძა გორის რ-ნის სოფ. ... მდებარე სახლთმფლობელობა და ამავე დღეს შედგენილი ანდერძით ქ. გორში, ... ქ. №34-ში მდებარე სახლი.

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ აღნიშნული გარიგებების საფუძველზე ნ. ზ-შვილი აღირიცხა ქ. გორში, ... ქ. №34-ში მდებარე ბინისა და გორის რ-ნის სოფ. ... მდებარე ორსართულიანი სახლის, მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელის მთავარ მოთხოვნას წარმოადგენს მისი არასრულწლოვანი შვილების, ლი. და ლა. ქ-შვილების, აწ გარდაცვლილი ლუ. ქ-შვილის ქონებაზე მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობა.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად მიიჩნია, რომ არ არსებობს გასაჩივრებული ანდერძებისა და ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძველი. ამ ნაწილში საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორის მიერ არ არის წარმოდგენილი დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია. კონკრეტულ შემთხვევაში დასაშვებ და დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება და სამართლებრივ-მატერიალური ნორმის არასწორად გამოყენება ან განმარტება.

ამასთან ერთად, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლის თანახმად, მამკვიდრებლის შვილებს, მშობლებსა და მეუღლეს ანდერძის შინაარსის მიუხედავად, ეკუთვნით სავალდებულო წილი, რომელიც უნდა იყოს იმ წილის ნახევარი, რაც თითოეულ მათგანს კანონით მემკვიდრეობის დროს ერგებოდა (სავალდებულო წილი). ამავე კანონის 1372-ე მუხლის თანახმად, სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლება წარმოიშობა სამკვიდროს გახსნის მომენტიდან. ასეთი მოთხოვნის უფლება გადადის მემკვიდრეობით.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კანონის გამოყენებისა და განმარტების დროს სასამართლო არ არის შეზღუდული მხარეთა მითითებებით. სასამართლომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა დაადგინოს, რომ მოსარჩელის ძირითად მოთხოვნასთან მიმართებაში დაირღვა თუ არა მისი მატერიალურ-სამართლებრივი უფლება, კონკრეტულ შემთხვევაში მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ უნდა გამოარკვიოს საქმეში არსებული მასალების გათვალისწინებით ლა. და ლი. ქ-შვილების ლა. ქ-შვილის ქონებაზე სავალდებულო წილის მიღებისა და მოცულობის სამართლებრივი და ფაქტობრივი წინაპირობები და შემდეგ მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დაადგინა:

ლი. და ლა. ქ-შვილების წარმომადგენლის - ლე. ქ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 7 ნოემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე პალატას;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სავალდებულო წილი

განჩინება

საქმე №ას-288-545-08

19 სექტემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა, სავალდებულო წილის გამოყოფა.

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. თ-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. ლ-ძის მიმართ, სამოქალაქო კოდექსის 170-ე და 172-ე მუხლების საფუძველზე, ქ.თბილისში, ... ქ.№34-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მოპასუხის

უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 1995 წლის 17 თებერვლის ანდერძისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობის მიხედვით, მოსარჩელე არის ქ.თბილისში, ... ქ. №34-ში მდებარე 540 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობის მესაკუთრე. აღნიშნული საცხოვრებელი სახლის მე-2 სართულზე არსებულ №13, №15 და №17 ოთახებს უკანონოდ ფლობს და სარგებლობს მ. ლ-მე, რითაც ხელს უშლის ნ. თ-შვილს საკუთრების უფლების განხორციელებაში.

მ. ლ-მემ, თი., თე. და დ. თ-შვილებმა ასევე სარჩელით მიმართეს სასამართლოს ნ. თ-შვილის წინააღმდეგ და მოითხოვეს სამოქალაქო კოდექსის 1307-ე, 1324-ე, 1336¹-ე, 1371-1374-ე მუხლების, 1421-ე მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილების, 1424-ე, 1427-ე, 1430-1431-ე, 1433-ე, 1435-ე, 1454-ე, 1456-1457-ე, 1459-ე, 1462-ე, 1464-ე, 1469-ე, 1481-ე, 1502-ე მუხლების საფუძველზე ვ. თ-შვილის კანონისმიერ მემკვიდრეებად ცნობა, ასევე ქ.თბილისში, ... ქ.№34-ში მდებარე მისი დანაშთი მიწის ნაკვეთიდან და შენობა-ნაგებობებიდან მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი სახლის მე-2 სართულზე განლაგებული №13, №15 და №17 საცხოვრებელი ფართის სავალდებულო წილის სახით გამოყოფა შემდეგ გარემოებათა გამო: თი. თ-შვილი არის მამკვიდრებელ ვ. თ-შვილის შვილი, მ. ლ-მე - მამკვიდრებლის შვილის, აწ გარდაცვლილი ა. თ-შვილის მეუღლე, ხოლო თე. და დ. თ-შვილები - მ. ლ-მისა და ა. თ-შვილის შვილები. მოსარჩელები წლების განმავლობაში ცხოვრობენ სადავო სახლში და ფაქტობრივად ფლობენ ვ. თ-შვილის სამკვიდროში შემავალი სახლის ნაწილს. ა. თ-შვილი გარდაიცვალა სამკვიდროს გახსნის შემდეგ, სამკვიდროს მიღებამდე. ამდენად, მემკვიდრეობითი ტრანსმისიით მოსარჩელებზე გადადის ა. თ-შვილის სავალდებულო წილის მიღების უფლება.

ნ. თ-შვილმა სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: მამკვიდრებელი ვ. თ-შვილი გარდაიცვალა 1984 წლის 7 თებერვალს, რა დროსაც გაიხსნა მისი სამკვიდრო. ამდენად, სადავო ურთიერთობა უნდა მოწესრიგდეს იმ დროისათვის მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსით, რომლის 547-ე მუხლის შესაბამისად ვ. თ-შვილის კანონისმიერი მემკვიდრეებიდან არასრულწლოვანი ან შრომისუუნარო არც ერთი არ იყო, ამდენად, მათ სავალდებულო წილის მიღების უფლება არ გააჩნდათ. აღსანიშნავია, რომ ვ. თ-შვილს ჰყავდა კანონისმიერი კიდევ ერთი მემკვიდრე - დ. თ-შვილი, რის გამოც სავალდებულო წილის მიღების უფლების არსებობის შემთხვევაში მოსარჩელეთა წილი იქნებოდა არა 1/6, არამედ ქონების 1/8. ამასთან, თი. თ-შვილი წლების განმავლობაში სადავო სახლში არ ცხოვრობს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებით ნ. თ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა, ქ. თბილისში, ... ქ.№34-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მე-2 სართულზე არსებული №13, №15 და №17 ოთახები გამოთხოვილ იქნა მ. ლ-მის, თე. და დ. თ-შვილების მფლობელობიდან და მოპასუხეები ხსენებული ფართიდან გამოსახლდნენ, მ. ლ-მის, თი., თე. და დ. თ-შვილების სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც ამ უკანასკნელებმა გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 17 იანვრის განჩინებით მ. ლ-მის, თი., თე. და დ. თ-შვილების სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: მამკვიდრებელი - ვ. თ-შვილი გარდაიცვალა 1984 წლის 7 თებერვალს. მას გარდაცვალების შემდეგ დარჩა პირველი რიგის მემკვიდრეები - მეუღლე მ. თ-შვილი, რომელიც 1996 წელს გარდაიცვალა, შვილები - ა. თ-შვილი, რომელიც 1985 წლის 10 მაისს გარდაიცვალა, თი. და დ. თ-შვილები. ანდერძისმიერი მემკვიდრეობის უფლების საფუძველზე 1995 წლის 7 თებერვალს ნ. თ-შვილმა მიიღო სადავო სამკვიდრო ქონება - ქ. თბილისში, ... ქ.№34-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი და საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით აღრიცხა თავის სახელზე. ვ. თ-შვილის კანონით მემკვიდრეები არ ყოფილან არასრულწლოვანი, შრომისუუნარო ან მამკვიდრებლის რჩენაზე მყოფი პირები. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ, სამოქალაქო კოდექსის 1320-ე მუხლის საფუძველზე, ვ. თ-შვილის სამკვიდროს გახსნის დროდ მართებულად ჩათვალა 1984 წლის 7 თებერვალი და, ამავე კოდექსის 1507-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილების თანახმად, სადავო ურთიერთობის მოსაწესრიგებლად სწორად გამოიყენა 1964 წლის რედაქციის სამოქალაქო სამართლის კოდექსი, ვინაიდან მიუთითა, რომ მოსარჩელე მხარეს არ სურს მოქმედი სამოქალაქო კოდექსით დავის გადაწყვეტა. პალატამ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მოსაზრება, რომ თი. და ა. თ-შვილებს, სამოქალაქო სამართლის კოდექსის 547-ე მუხლის მიხედვით, სავალდებულო წილის მიღების უფლება არ გააჩნდათ, შესაბამისად, გარდაცვლილი ა. თ-შვილის მემკვიდრეებზე ვ. თ-შვილის სამკვიდროდან სავალდებულო წილის მიღების უფლება ვერ გადავიდოდა. სააპელაციო პალატის მითითებით, დასაბუთებულია გასაჩივრებული გადაწყვეტილება ნ. თ-შვილის სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ. სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 170-ე, 172-ე მუხლებით და ჩათვალა, რომ სადავო სახლის №13, 14 და 15 ოთახები გამოთხოვილ უნდა იქნას მ. ლ-მის, თე., თი. და დ. თ-შვილების მფლობელობიდან, რადგან მოპასუხეები სადავო უძრავ ნივთს ფლობენ ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე და მართლზომიერ მფლობელებად მიჩნეული ვერ იქნებიან.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება მ. ლ-მემ, თი., თე. და დ. თ-შვილებმა გაასაჩივრეს საკასაციო წესით, მოითხოვეს მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა

განსახილველად შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ნ. თ-შვილმა მამკვიდრებელ ვ. თ-შვილის სამკვიდრო ნოტარიუსის მიერ 1995 წლის 7 თებერვალს გაცემული ანდერძისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობის საფუძველზე მიიღო და თავისი მოტივაცია სწორედ აღნიშნულ სამკვიდრო მოწმობას დააფუძნა, თუმცა სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე და 106-ე მუხლების მოთხოვნები, როდესაც დასახელებული მტკიცებულება საერთოდ არ გამოიკვლია და პრეიუდიციული ძალა მიანიჭა მას. სასამართლომ იხელმძღვანელა რა 1964 წლის რედაქციის სამოქალაქო სამართლის კოდექსით, არ გაითვალისწინა, რომ მითითებული კოდექსი ნოტარიუსის მიერ ანდერძისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობის გაცემას დასაშვებად მიიჩნევდა სამკვიდროს გახსნიდან 6 თვის მანძილზე და აღნიშნული ვადის გაშვების შემთხვევაში უნდა მომხდარიყო მისი სასამართლო წესით აღდგენა. სააპელაციო და საქალაქო სასამართლოებმა ყურადღება არ მიაქციეს მოცემული დავის არსს. ფაქტობრივად, გასარკვევი იყო სადავო ქონებაზე კასატორთა, როგორც კანონისმიერ მემკვიდრეთა და ნ. თ-შვილის, როგორც ანდერძისმიერი მემკვიდრის, თანასაკუთრების საკითხი, საჭირო იყო იდეალური თანასაკუთრებიდან რეალური წილის დაანგარიშება და გამოყოფა, ასევე მხარეთა თანასაკუთრების წარმოშობის საფუძვლების შესწავლა. პალატამ არ იმსჯელა სააპელაციო საჩივარში მითითებულ გარემოებაზე, რომ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში დავის საგანი არასრულად იქნა მითითებული. სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინებას საფუძვლად დაუდო 1995 წლის 7 თებერვალს ნოტარიუსის მიერ ნ. თ-შვილის სახელზე გაცემული სამკვიდრო მოწმობა ვ. თ-შვილის დანაშთი ქონების მიღების თაობაზე, თუმცა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 106-ე მუხლის დარღვევით, არ გამოიკვლია აღნიშნული მემკვიდრეობის უფლების მოწმობა.

საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 19 სექტემბრის სხდომაზე საქმის განხილვისას სასამართლოს განჩინებით კასატორების შუამდგომლობის საფუძველზე სადავო ბინიდან გამოსახლების ნაწილში მოსარჩელე ნ. თ-შვილის უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა რ. ონიანი.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო შემდეგი გარემოებები: მამკვიდრებელი - ვ. თ-შვილი გარდაიცვალა 1984 წლის 7 თებერვალს. მას გარდაცვალების შემდეგ დარჩა პირველი რიგის მემკვიდრეები - მეუღლე მ. თ-შვილი, რომელიც 1996 წელს გარდაიცვალა, შვილები - ავთანდილ თ-შვილი, რომელიც 1985 წლის 10 მაისს გარდაიცვალა, თი. და დ. თ-შვილები. ანდერძისმიერი მემკვიდრეობის უფლების საფუძველზე 1995 წლის 7 თებერვალს ნ. თ-შვილმა მიიღო სადავო სამკვიდრო ქონება - ქ. თბილისში, ... ქ. №34-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი და საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით აღრიცხა თავის სახელზე. ვ. თ-შვილის კანონით მემკვიდრეები არ ყოფილან არასრულწლოვანი, შრომისუუნარო ან მამკვიდრებლის რჩენაზე მყოფი პირები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ლ-ძის, თი., თე. და დ. თ-შვილების საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და საკასაციო საჩივარში მითითებული გარემოებები დასაბუთებულ საკასაციო პრეტენზიად ვერ ჩაითვლება, კერძოდ:

კასატორი სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას უკანონოდ მიიჩნევს იმ საფუძველზე, რომ სასამართლომ სრულად არ იმსჯელა მ. ლ-ძის, თი., თე. და დ. თ-შვილების სასარჩელო მოთხოვნაზე, ვინაიდან მოთხოვნის არსს წარმოადგენდა კასატორთა, როგორც კანონისმიერი მემკვიდრეებისა და ნ. თ-შვილის, როგორც ანდერძისმიერი მემკვიდრის, თანასაკუთრების დადგენა.

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა აგებულია რა შეჯიბრებითობის პრინციპზე, პირის დარღვეული ან სადავოდ ქცეული უფლების დაცვა ამავე პირის ნებაზე დამოკიდებული. მხარეები სამოქალაქო სამართალწარმოებაში თვითონვე განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის შეტანის შესახებ (სსკ-ის მე-3-4 მუხლები), რაც კანონის მოთხოვნათა დაცვით (სსკ-ის 178-ე მუხლი) უნდა აისახოს მხარეთა მიერ სასამართლოში წარდგენილ სარჩელში. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს უფლება არა აქვს მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა. ამდენად, სასამართლო, სამოქალაქო საქმის განხილვისას შეზღუდულია მხარეთა მოთხოვნებით და მას არა აქვს უფლება, იმსჯელოს იმ საკითხებზე, რაც სარჩელით არ არის განსაზღვრული. მოცემულ შემთხვევაში მ. ლ-ძის, თი., თე. და დ. თ-შვილების სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა ვ. თ-შვილის კანონისმიერ მემკვიდრედ ცნობა და სავალდებულო წილის გამოყოფა, შესაბამისად, სასამართლომ დავა განიხილა სწორედ მოსარჩელეთა მოთხოვნის ფარგლებში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეუწონელია კასატორის მოსაზრების გაზიარება, რომ სასამართლოს უნდა ემსჯელა სადავო ნივთზე მხარეთა თანასაკუთრების უფლებაზე.

ასევე უსაფუძვლოა კასატორის პრეტენზია, რომ სასამართლომ კანონდარღვევით (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე და 106-ე მუხლები) არ იმსჯელა ნ. თ-შვილის სახელზე გაცემული ანდერძისმიერი მემკვიდრეობის მოწმობის კანონიერებაზე. აღნიშნული მტკიცებულების საეჭვოობა კასატორს კანონით დადგენილი წესით სადავოდ არ გაუხდია, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ, სამართალწარმოების შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, სავსებით სწორად არ შეამოწმა მითითებული მტკიცებულების საფუძველზე ნ. თ-შვილის უფლების დადგენის სისწორე.

საკასაციო სასამართლო კასატორის არგუმენტის საწინააღმდეგოდ სრულიად ეთანხმება სააპელაციო პალატის სამართლებრივ შეფასებას სავალდებულო წილზე უფლების მოპოვების საკითხში და მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის მესამე ნაწილზე დაყრდნობით სწორად იქნა გამოყენებული საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წლის რედაქცია) 547-ე მუხლი. იმის გათვალისწინებით, რომ ვ. თ-შვილის სამკვიდრო გაიხსნა 1984 წლის 7 თებერვალს, სამკვიდროსთან დაკავშირებული დავა უნდა შეფასდეს იმ დროს მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსით, რომლის 547-ე მუხლით სავალდებულო წილის მიღების უფლება გააჩნიათ სამკვიდროს დამტოვებლის არასრულწლოვან ან არაშრომისუნარიან შვილებს (მათ შორის შვილობილებს), აგრეთვე, გარდაცვლილის არაშრომისუნარიან მეუღლეს, მშობლებს (მშვილებლებს) და მის რჩენაზე მყოფ სხვა მემკვიდრეებს. კასატორებმა ვერ დაასაბუთეს, რომ ვ. თ-შვილის სამკვიდროსთან მიმართებით ამ კატეგორიის მემკვიდრეებს წარმოადგენდნენ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება შეამოწმა რა საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ასკვნის, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება კანონიერია და მისი გაუქმების საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დაადგინა:

მ. ლ-მის, თი., თე. და დ. თ-შვილების საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 17 იანვრის განჩინება დარჩეს უცვლელი.

სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.